

644/  
1972/4



# ԳԻՏԱԿԱՆ

4

1972



Ո.Յ  
1933

Եռսկ միաբանաց



# სსსრ

122/4

178

გაგონების მეთოდებისა და ფორმების

4

ეკიდი

1972

თბილისი



საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბიბლიოგრაფია

საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტისა და მხარეთა კავშირის ორგანო





თავისუფალ ერთა  
მკლე კავშირი ძმური

- 3. ისტონელი პოეტები: ელენ ნიბი, პაულ-ჰერიკ რუმო, ენ ვაბიანა, ჰანდო რუნელი, შივი ლუიკი. თარგმნეს თედო ბექაშვილმა, ამირან კალაძემ
- 6. აუზუსტ ელფინია. ორიოდე სიტყვა თანამედროვე ისტონურ კოეზიკაზე

პ რ ო ზ ა

- 11. შახუა ამირაჯიბი. დათა თუთაშხიძე. რომანი. ეპიგრამები
- 50. ელიზბარ გიორგაძე, სალამი თქვენდა, ბატონო გოგამე!
- 57. მზია შენგელია. უბეჭვი მოწვევა. მოთხრობა

ძ რ ო ნ ი კ ა

- 60. სარბი შილიაია. შვილები. მიწრა წიგნი. დასაწყისი.

კ ო ე ზ ი ა

- 8. ზაპარია შარაზადიშვილი. ახალბაგრალობა. ლექსი
- 43. მედეა პახიძე. ლექსები
- 45. ნოდარ ჯალაღონია. გული, ლექსი
- 47. დილარ ივარდავა. ლექსები
- 54. შირიან შირნელი. ლექსები
- 55. ნოდარ ხვადალია. ლექსები

ასფურცელას რვეული

- 73. ანორ სალუჰვაძე. შთო და ცისყვარკი.
- 83. გუგული გოგონიძე. რა უხაროდა გოგონას?

ხუთფლადი ჩემს სოფელში

- 84. ვახტანგ გორგაძელი. თუ კაცი გონიერია

თავისუფალ ერთა მკლე კავშირი ძმური

- 90. ნოდარ შველიძე, ღარიბუხან ციცაძე. ინტარნაციონალური მრავალეროვანი საზოგადოება სახალმწიფოს საფუძველია

ჩვენი კალენდარი

- 101. ელისო აბრამიშვილი. ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 112. სოსო სიგუა. პითოსი და რეალობა
- 127. ჯიგო ლომიშვილი, ვლადიმერ აბრამიშვილი. გოდისა და გოდის შესახებ

— 70 —

- 139. დავაწმოსილი მიცენიერი

მ რ ნ ო გ რ ა ზ ი ა

- 141. რევაზ თვაჩაძე. ლიბედა ბალახტიონის ცხოვრებისა. დასასრული
- 160. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯ ა ნ ს უ ლ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,  
ატაკი გაბრძანა,  
გივი გაბეჭკორი,  
გურამ გვარდნიშვილი,  
მერაბ ელითიშვილი,  
პარლო ქალაძე,  
კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე,  
ოტინა კავთორია,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ ფოფხაძე,  
ნოდარ წულეისკირი,  
ტარიელ შანჭყალი,  
სერგი შილიაია,  
თამაზ შილაძე,  
ლუა ჯანაშია.



# თხვისუფალ ერთნა მკლავ ქვეშეირი ქვეშეირი

## ისტორიული კომენტაჰი

1936 წიი30

### ს ა მ ყ უ რ ა

განქარდა ბევერი ნათელი წამი  
და იმ სხვიან დღეთა ნაგრილი  
მიმწუხრისაკენ გადაისარა...

მაღალ ლარნაკებს,  
ყელყარყარა მაღალ ლარნაკებს  
შემორჩენია ულამაზეს ყვავილთ სურნელი...

იასამანი...  
ვარდის ტოტი...  
ქრიზანთემები...  
...მაგრამ — მარადი სიხარულისთვის  
საკმარისია სამყურას ღერო  
ახლა შეიღმა რომ მომიტანა  
ჩვენი ბაღიდან.

თარგმნა თაღო ბაჰიშვილმა.

პაუდ-მეჩიკ ახმელ

მზის ნოტებით რომ დილას მახარებ  
ცად რა გიზიდავს, ტოროლავ, ნეტავ?  
თავდავიწყებით უსტვენ, ფართხალეზ...  
შენი ხმა მესმის და ძლივსლა გხედავ.  
შენ გაქვს სუსტი და

ბატარა ფრთები,  
ცა კი, ჩიტუნავ —  
ცაა იმზელა...  
მაღალ ზეცაში რას გაედევნე?  
ნუთუ შენსავე ლამაზ სიმღერას.

ჩვენ ერთხელ უნდა შევიკრიბოთ განთიადისას,  
რათა ავაგოთ და გრანიტის ცადაწვდილ სვეტზე  
(რომელსაც წუთით დაუჩოქებს მლოცველი ხალხი)  
კი არ დავწეროთ, ამოვკვეთოთ სახელი —  
ბ ა ხ ი!

მერე ფოლადის გამდნარი და ბრწყინვალე ლავა  
დავღვართ ისე, და მოვაწყოთ ისე ყოველი,  
რომ ჩამოვადნოთ ჩვენ სახელი იქ —  
ბ ე თ ხ ო ვ ე ნ ი!

ხოლო ხეებთან, სადაც კქონდათ პაემანები  
და კოცნის მოწმედ კყავდათ მთვარე, ყოვლის  
მომთმენი...

ყვითელ ფოთლებით დაიწეროს უნდა სახელი  
ასე:

შ ო - პ ე - ნ ი!

მაგრამ ო, ნეტავ როგორ, რით და სად გამოვსახოთ  
ერთად რომ იყოს: პურის მკა და გრილი ზღვაური...  
ქერათმიანი გოგონები და ყვავილები  
და გაზაფხულის ბალახებში წვიმის ხმაური.

თარგმნა აშირან კალაძემ.

უკანასკნელი სუსტი ხიდები  
გადამწვარია სამარადქაშოდ!  
მე ყრუმუნჯივით ნაპირთან ვდგავარ,  
შენ კი ჩემს სახელს ჩურჩულებ სადღაც.

და განთიადის მკრთალი სინათლე  
დახშულ ფანჯრებში ხმაურით ჟონაეს...  
ჩვენი ბავშვობის თეთრ ნაკვალევზე  
დრომ დააბიჯა ვეება თათი!  
საოცარია, არ მტკივა სულაც.  
ოღონდ მგონია, ვით სასწაული  
გამიგარდები უცებ ხელიდან...  
როგორ უმწეო იყავი...  
თითქოს  
ღამეულ ტყეთა სურნელება ქროდა  
შორიდან...

ახლა, როდესაც ნაპირთან ვდგავარ,  
შეშინებული და გარინდული,



მაფხიზლებს შენი გრილი ხელები  
და ცხადლივ ვხედავ,  
როგორ გვესება თვალები ფიქრით!  
ნუთუ, ო, ნუთუ  
შენც სხვათაებრ მართლა ქალი ხარ?!

## ჰანრო ანელი

---

### ნოქტიური

მთვარე გამოსხლტა ღრუბლის ტვერიდან  
და ჩემი ჩრდილი მიწას ეხლებო.  
ჩაჟამებული ჭაობებიდან  
მთვარით ანთებულ გორაკზე გაველ.  
აქ სადმე ცეცხლი უნდა დავანთო,  
ვინ იცის, ეგებ მოვიდეს ვინმე  
და ჩემს კოცონთან ჩამოისვენოს...

...მშვიდად, თავისთვის ძინავს ქვეყანას,  
არავინაა,

არ ჩანს არავინ...  
ხოლო კოცონი,  
ჩემი კოცონი  
როგორ უმწოდ ბჟუტავს ღამეში!

ვით ნუგეშის ხმა,  
მამლის ყივილი  
ძილ-ბურანიდან ცხადში მებრუნებს,  
გავახელ თვალებს და ფანჯარასთან  
მტრედის ფრთებივით ფრთხილებს ზეცა.

## ვივი ღვივი

---

### ყაყარო

ციმციმებს ველზე მზით მოთენთილი,  
ავსებულია უცნაურ შვებით...  
ასე უმწეოს, ნაზს და პატარას  
ცხელი ხელები ეფერებიან...

ამ ხელებს იგი მინდობილია  
და გრილი გულიც ღიაა მზისთვის...

აბა, რა იცის, რომ იგი ზოჯჯერ  
გადიკარგება ღრუბლების ზემოთ!

სალამობით მზის მიმქრალ ნათელს  
თავგანწირული ებლაუჭება  
და ნელა, ნელა მის ღია თვალში  
გროვდება მძიმე, ვეება ცრემლი.

თარგმნა თეოდო ზაქიშვილმა.





მოდის შემოდგომა  
ჩემო პირიტაო,<sup>1</sup>  
ხალხს ნუ ელოდები  
განა ზაფხულია...

გედების სიმღერით  
ყვითელი ფოთლები  
სულ მალე ქუჩებში  
წამოვა მაყრობად.

ტყე-ტყე ნაგროვები  
სოკო და მაყვალი,  
ქილებით საზამთროდ  
გადანახულია.

აი ეს ზაფხულიც  
წავიდა უეცრად,  
რომელიც მეორედ  
არ მოვა, არ მოვა!

1. პირიტა—პლიაჟი ქ. ტალინში

თარგმან აზირან კალაძემ

უკუხსვ ექვთია

**ჩვენი სიტყვა თანამედროვე ესტონურ პოეზიაზე**

ამ ნომერში ქვეყნდება თანამედროვე ცნობილი ესტონელი პოეტების შემოქმედებითი ნიმუშები. ესტონური ლიტერატურა და ხელოვნება დიდად განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სხვა მოქმე რესპუბლიკების ძმურ კავშირში ესტონური პოეზია გაგამოირჩევა ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებითა და თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნებით.

სამყაროს მდიდარ სურათს თვალწინ გადაუშლის მკითხველს თანამედროვე ესტონური პოეზიის მადლსავეც ტალანტის დებორა ვაარანდის შემოქმედება. ეს ის მთლიანი სურათია, რომლის წიაღშიც პოეტი ქალის შეგრძნება ყოვლის მიმართ თანაზიარობისა აკავშირებს მარტივსა და რთულს, ახლომდებარესა და შორეულს; აქ პოეტი ქალის ძალუმი აზრი, ცხოვრებისეულ მოვლენათა ძალუმი გავება ლირიულობის მრავალფეროვნებას შეხმატკბილებულია. მისი საუკეთესო ლექსების კრებული „ქალისპირა პურისყანები“ რესპუბლიკური პრემიით დაჯილდოვდა.

ესტონური პოეზიის ერთიან სურათს სიხალისეს ჰმატებს ელენ ნიიტის მოწიფული, ინტიმური და ბუნებრივი ლირიკა. (მისი კრებული 1960 წ. გამოქვეყნდა).

მრავალმხრივ ნოვატორული, ტევადი, ტექნიკურად სრულყოფილი — ასეთია აინ კაალეპის პოეზია. ერთი შეხედვით, იგი არაა ისეთი აქტიური დისპუტანტი, როგორც თუნდაც იან კროსი, თუმცაღა მან დასდო თვალსაჩინო წვლილი ლირიულ, იუმორისტულ თუ ფილოსოფიურ პოეზიას.

განუშეორებელია აუგუსტ სანგის ერთი შეხედვით წმინდა კლასიკური ფორმისათვის დამახასიათებელი პოეტური განცდის ინტენსივობა. ეს გახლავთ შემოქმედება სრულიად გამომსახველი,



აღალმართალი, გონივრული, ღრმად ჰუმანური ცხოვრებისეული პროგრამისა, რომელიც უმთავრესად ადამიანის ეთიკურ ღირსებათა ასახვას ემსახურება.



სანგს რამდენადმე უახლოვდება პოეტური კრებო კ ე რ ს ტ რ მ ე რ ი ლ ა ა ს ი ს ა. ცხოვრების დამამკვიდრებელ მის პოეზიას ახალისებს წმინდა რომანტიული ელფერი.

60-იანი წლების ესტონური პოეზიისათვის ნიშანდობლივია აღორძინება თავისუფალი ლექსისა და პარალელურად კლასიკური პოეზიის ფორმათა ინტენსიური გამოყენება, მათ შორის აღმოსავლური ლექსისაც (ხანკუ, ტანკა, რობაია). თავისუფალ ლექსს განსაკუთრებული გასაქანი მისცა სოციალურ-ფილოსოფიურ თემათა ამსახველმა პოეზიამ.

ამ პერიოდში პოეზია მეტწილად ასოციაციურია, მისი სახოვანი ენა არატრადიციული და რეალობისადმი სტერეოტიპიულად შეპიროსპირებულია. იგი აღმქმელისაგან გონებრივ ჯაფას და თანაეტრობასს მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილება დაეტყო პოემის სტრუქტურას. გაჩნდა სწრაფვა თხრობითი, სიუჟეტური პოემის უკუუგდებისა. განზოგადოების ძალა ახლა ასოციაციათა ჯაჭვით შეიკრა და დაეფუძნა.

ეტაპური გამოდგა ესტონური პოეზიისათვის 1962 წელი. ლიტერატურას შემოემატნენ: პ ა უ ლ ე ე რ ი კ რ უ მ ო, მ ა ტ ს ტ რ ა ა ტ ი და ე ნ ვ ე ტ ე მ ა ა.

რუმოს სრულყოფილი ტალანტი გამომქლავნდა პოეტის პიოველსავე ლექსებში; მოგვიანებით მან შესანიშნავად ასახა თანამედროვე მსოფლიოს წინააღმდეგობრივობა. მომდევნო კრებულებმა რუმო ესტონური პოეზიის სათავეში ჩააყენა. ტრაატის დაუდგრომელი და მარადის მაძიებელი შემოქმედებისათვის უცხოა კომპრომისი, როგორც სოციალურ, ისე ეთიკურ პლანში. იგი უპირატესად ლირიკოსია, თუმცა ერთ ხანს მის პოეზიაში აქლერდა სატირული და მძაფრი პოლემიკური ჰანგიც.

ენ ვ ე ტ ე მ ა ა ს პოეზიისათვის ნიშანდობლივია ხალასი ფანტაზია და არტისტული ელევანტურობა. (მან შემდგომ პროზაში გადაინაცვლა). მისი პოეზია ხშირად ირონიითაა შეზავებული, პლასტიურია და უნარი შესწიგს მოკლენათა შორის არსებითის წვდომისა.

ი ა ნ კ ა პ ლ ი ნ ს კ ი ს მედიტაციური, ღრმააზროვანი პოეზიის ერთი ძირითადი კომპონენტია ბუნებასთან თანაზიარობა.

ფილოსოფიური სიღრმე, სახეთა მრავალფეროვნება, — აი, რა არის დამახასიათებელი ჰ ა ნ დ ო რ უ ნ ე ლ ი ს მ ხ ნ ე და მიწის მადიდებელი პოეზიისათვის. იგი და კაპლინსკი ერთ წელიწადს მოვიდნენ პოეზიაში.

თავისებურად ასრულებს ახალგაზრდული ესტონური პოეზიის სურათს ნაზი, ჰაეროვანი, ბუნების მადიდებელი პოეზია ვ ი ე ი ლ უ ი კ ი ს ა.

ძნელია დავასკვნათ, თითქოს ესტონურ თანამედროვე პოეზიას აღარ მოელოდეს სიძნელენი. ამისგან დაზღვეული არაა არც ცალკეულ ავტორთა შემოქმედება, არც ერთიანი პოეტური გარემო. ცხადია, რომ ესტონური პოეზია ახალ იმპულსს და კიდევ მეტ ცხოველუნარიანობას ელტვის.

ა ხ ა ლ ბ ა გ რ დ ო ბ ა

ჰე, კომკავშირო მჩქეფარე,  
რაც გაჩნდი, ბალად, ვარდნარად,  
ორმოცდაათი ზამთარი  
წაბრძანებულა, გამდნარა,  
წამომწვევიან შვილები  
ჩემებრ შენს კვალზე დამდგარან.

მეც ხომ მირწიე აკვანი,  
ჩემს ხორგს შენი მზეც აღსობდა,  
გონების საგზალს ნამჯივით  
ვზიდავდი შენი ახოდან,  
მაგრამ თუ გთვლიდი ოდესმე,  
დღეს გთვლი უმეტეს მახლობლად.

შენი ტოლი და სწორი ვარ, —  
ერთნი ვართ ხნით და ასაკით,  
ორმოცდაათი წელია,  
რაც მოვისწრაფით მას აქეთ,  
მხარში ვუდევით სიკეთეს,  
არ გაუახარეთ ფარსავი.

ტანში ის დეღვა მიდგია,  
ისევ ბობოქრობს ის გეში,  
რომლითაც მწვრთნიდი, მწაფავდი,  
რათა საქმეზე მიგვევი,  
შენი საგზლით და საგზურით  
შეველ პარტიის რიგებში.

შვილებზე გითხარ, იმათაც  
შენ მიეც ალღო მიგნების,  
ფიცით ჭფიცავენ მშობლიურს  
და ესმით რჩევა წიგნების,  
ისინი შენთან არიან,  
მე, აბა, სადღა ვიქნები?!

არწივულ გასცქერ მომავალს,  
ვით ზღვას გასცქერის შენძე,  
შენ გვიზრდი შთამომავლობას,  
ძალას და ღონეს შენ აძლევ,  
შენი გზის ნათელ დასაწყისს  
კარს უღებს ბორის ძნელაძე.

მზისა და მიწის დოვლათო,  
ცაზე ღრუბელთა ნახირხო,  
მომწყურდა: მათი სიკეთე  
ვაქო, ვადიდო, ვამხილო,  
რომელთა ღვაწლმა უნაკლომ  
მოგვცა დღეები სალხინო.

თქვენს სამსახურად აღუძარი  
ჩემი კალამი საწვეროლო,  
კომკავშირლებო, მომსურდა  
კვლავ თქვენს რიგებში ჩამწეროთ.  
ისევ მიმიხმით კრებებზე,  
გადავიხადო საწვერო.

ძუძუ გაწოვით „ლილეომი“,  
ლექსმა და სიბრძნემ ხალხურმა,  
გაგაშლეგინათ მხარბეგი,  
გაქციათ ქვეყნის მსახურად,  
გრძელდება ჩვენი აზმანი,  
მტერს რომ ეგონა დახურა.

ქალწულო, კომკავშირელო,  
შენ სიყვარულის ფაცერო,  
ტანს არწევ სათიბ-სამკალში  
რათა გულები ასცელო,  
შენ, ჩვენი ქართველკაცობის  
და სიამაყის დამცველო.

კომკავშირელო ჭაბუკო,  
გალადებულო არწივო,  
რომ ცდილობ შენი მამულის  
სახელი ცამდე ასწიო;  
სიცოცხლე აეცრმა გასწირა,  
დაგვეპირდეს, შენაც გასწირო.

დაწყვილებოდეთ ურთიერთს,  
როგორც მტევენები აკიდოს,  
ჩვენია თქვენი იმედი,  
თქვენია ჩვენი სამკვიდრო,  
გეწანს, საფიცარი მამული  
ვერავინ ჰგმოს და გაჰყიდოს.

დე, ცრემლებს შემოქმედისას  
მთლად დედამიწა მოელტოს,  
ქართველო კაცო, აკენიდან  
ამოდერილო პოეტო,  
შენი სხარტულა ნათქვამი  
გულს ანკესივით მოედო.

პეი, ქართველო მეპანგევ,  
ვინ გნახავს გუდაცარიელს,  
შენა სთქვი „მუმილი, „შავლეგო“,  
შენ ქმნიდი „მრავალკამიერს“,  
ვიგრძნეთ და გამოვარჩიეთ,  
განა სხვისაში ავრიეთ.

ქართველო ხუროთმოძღვარო,  
ოქრომჭედელო, მხატვარო,  
გული იმისი გულია,  
ცეცხლმოდებული ატარო,  
სულ მზგაბუვად გამყოფოს,  
სივრცე ფრთით შემოგატაროს.

ტაძარზე ხელის მტევანი,  
როგორც ვარსკვლავი ხუთწვერა,  
სულ რომ სამშობლოს უთესა,  
აუგო, გადაუწერა,  
ქართლში რომ ლოცავს ატენი,  
ზემო რაჭაში — უწერა.

შენ, ხუთო თითო გაშლილო,  
სალამურზე რომ დახტოდი,  
შუბო, მიტომაც შუბობდი,  
ლახტო, მისთვისაც ლახტობდი,  
ეს შენი მადლით გიზგიზებს  
მცხეთა, თბილისი, არხოტი.

მძლავრობდა ენა ქართული,  
რომ ვერ თრგუნავდა სხვა ენა,  
ვერ შესძლო შეუძლებელი  
ხონთქარმა, გინდა ყვენმა...  
სულს ენა უდგამს ქართული  
ლხინს, მოთქმას, ლოცვას, პაემანს.

კომკავშირელო მესაზღვრევ,  
კომკავშირელო მუშაკო,  
ქვეყნის პირველო დამცველო,  
ქვეყნის პირველო გუშაგო,  
მუდამ მოქმეთა მძებნელო,  
მრისხანე მტერთან გულშმაგო.

შენ დგახარ ყველა სატყესთან,  
გზა გაგყავს ყველა უღრანში,  
შენ გასწავლიდა ლენინი  
მერე უსმენდი ჯულაშვილს,  
შენ განგიცდია შიმშილიც,  
თოშიც გაცრეცილ ჯუბაში.

შენი სულ ახლო წარსული  
ქერჩისკენ დროშებს მიაქნევს,  
იმსხვრევა მტრების ანძები,  
ძალს მატებს მოყვრის იალქნებს,  
იპოვის მტრების ძელმიწურს,  
გადეფარება ტყვიამფრქვევს.

შენი სახელით იღწვოდნენ  
მოყმენი პირტიტველები,  
რომ დაგვინარცხეს უმწიფრად,  
ვით სეტყვამ მკვახე მტევნები,  
როდესაც მტერმა მოიცვა  
თვალუწვდენელი ტვერები.

მაშინ მერხიდან უდროოდ  
აყრილი თანატოლები:  
ზოია, კიდევე ზოია,  
ულიანა და ოლევი,  
რომ ასახელეს მშობლები,  
კომკავშირი და სკოლები!..

ახდა! დაგამხეთ, ვინც ჩვენს ბედს  
ყალბი სასწორით წონიდა,  
უფრო მძლავრნი და ძლიერნი  
დავბრუნდით დიდი ომიდან,  
მეტი ყამირის გატყვვა,  
მეტის შენება მოგვინდა.

გაქვს მხოლოდ გაუმტყუნარი  
წესი, ხერხი და ილეთი,  
გენდობა, მხარში მოგყვება  
ახალგაზრდობა მილეთის,  
დაგვაქვს ბრძოლებში მრავალგზის  
წრთობაგავლილი ბილეთი.

გმფარველობს დიდი პარტია.  
ხარ თანაშემწე უძლევი,  
შენ, მასთან ერთად იბრძოდი,  
შენ, მასთან ერთად უძლებდი  
და მასთან ერთად ჩასწერე  
დიდი გამირობის ფურცლები.

თუ ვინმე გმირად შერაცხეს,  
შენ გხედავ ყველა მათგანში,  
შენს იმედზეა მოხუცი,  
ჩვილი ღულუნებს აკვანში,  
ნესტი უჭრება საძირკველს,  
სხივი ეცემა საკანში.

შენ სულში გიდგას სინათლე,  
ხმაში — გუგუნი ზარების,  
შთამომავალმა ხალიბის,  
არ იცი, რაა ბზარები,  
ალოსთავს ხსნა და შველა ხარ,  
ხელმარდი, დაუზარელი.

შენ შემოგტქერი, კომკავშირს,  
მალეღვებს შენი ამინდი,  
მალეღვებს?! ვის არ აღეღვებს,

ვინ არის თვალის ამრიდი,  
შვილებიც, შვილიშვილებიც  
შენს ზღვა რიგებში დაგვიდის?



მესაჭევე ახალგაზრდობის,  
დაწყვილებულო ნიაღვრებს,  
გზად ნარს და ეკალს მილეკავ,  
ხმას სულ ვაჟკაცურ იმაღლებ,  
გახველ, კოსმოსი გააპე,  
ქვესკნელში ჩაჰყევ წიაღებს.

შენ ხარ პირველი ბლუმინგთან,  
ვერავენ გისწრებს მომკალში,  
გმირობას სჩადი ენგურზე,  
დევემირულ მკლავებს რომ გაშლი,  
გაზრდას და დაეჟაკცებას  
გილოცავ ქართულ კომკავშირს!..



# დათა თუთაშხია

რომანი

ჭაჭი თორია

— თქვენი ნათქვამიდან ისე გამოდის, რომ დათა თუთაშხიასი თუ ვიცი რაიმე, ისიც გაინტერესებთ და, ვირთაგნების ხსენება რატომ იცოდა ხოლმე თუთაშხიამო, ისიც. მე სწორედ ეგ და მაგის გარშემო რაცაა, ის ვიცი მხოლოდ. ეს ამბავი სხვადასხვა დროს ბევრისთვის მაქვს ნაამბობი. ალბათ ნახეთ ვინმე, ვისაც ჩემგან ეგ გაუგონია და იმიტომ მომაკითხეთ. კეთილი და პატიოსანი, გაიამბობთ.

ზოგი ადამიანი სპხელიან ხალხთან ნაცნობობას საგანგებოდ ეძებს და მერმე ტრაბახობს, წუხელის ამ და ამ კაცთან ერთად აქ და აქ ვიყავიო. ამაში პატივმოყვარეობაცაა და ანგარებაც, ასეთი საქციელისგან ყოველთვის შორს მეჭირა თავი. მე დათა თუთაშხიასთან ახლო დამოკიდებულება არ მქონია, მაგრამ ამ ორმოცი წლის წინ, თვე იყო

თუ ცოტა მეტი, ერთად გავატარეთ. მაშინ ოცის ვიყავი.

პირველად მე ის თორმეტი წლისამ ვნახე. ვნახე კი არა და, იმ დროს ჩვენი ოჯახი თურქეთში, ქალაქ სამსუნში ცხოვრობდა და თუთაშხია დედაჩემის ძმას ესტუმრა. ორი კვირა იყო იქ. ბავშვს მისი გარეგნობა მეხსიერებაში კარგად ჩამრჩა. ცხრა წლის მერმე რომ ვნახე, უცებ ვიცანი, გახსენება არ დამჭირვებია. მანაც მიცნო, თითქოს, მაგრამ სად ათი წლის ბიჭის გარეგნობა და სად ოცი წლის ბიჭის. ძალიან გამოვიცვალე და, მგონი, უცებ ვერ მიხვდა, ვინ ვიყავი. არც მე გამომხეღია ჩემი ვინაობა, — არაფრად არ მჭიროდა! ისე ნუ მიიღებთ, ვითომ აბრაგთან ურთიერთობას მისთვის დახმარების აღმოჩენად ჩამითვლიდა ვინმე და ამის მშინებოდეს. სრულიადაც არა. მე ეგოისტი არ ვარ და ეს იქედანაც ჩანს, რომ თუთაშხიაზე მაშინ დიდი ფული იყო გაცემოცხადებული, იმ თანხის ხელში ჩაგ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № № 2, 3.



დება სულ ადვილად შემძლო, მაგრამ ამგვარი რამ აზრადაც არ მომსვლია! მე თვითონ პირველი არ გამოვეცნაურე მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი აღამიანები არ მიყვარს. სახელის მაძიებლები არიან ისინი და, მაშასადაჲ, ავანტიურისტებიც. კაცის ყველაზე მაღალ ღირსებად მოკრძალება მიმაჩნია, თავიდანვე ასე მზრდიდნენ. როგორც ხედავთ, თუთაშხიას პიროვნება ჩემი ინტერესების გარეთ იდგა. გეტყვით მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალთ მკავეს ნანახი. რასაც თვითონ შევესწარი, იმაში დათა თუთაშხიას არაფერი საყურადღებო არ გაუშელავებია. ადვილი შესაძლებელია, ჩემი ნაამბობი თქვენთვის ინტერესს მოკლებული აღმოჩნდეს, მაგრამ რადგან მთხოვთ, მოგიყვებით მაინც.

თორიები ვართ ჩვენ. თითქოს კოლხური გვარია და, ამასთან ერთად, არც ერთმა წინაპარმა არ იცოდა, რომელი ადგილია ჩვენი ფუძე. იქედან, ალბათ, უძველეს დროში ვართ წამოსული. ჩემი სხვა მოგვარე-ნათესავები ახლაც უმთავრესად ზღვისპირა ქალაქებში ცხოვრობენ, ჩარჩენი იქ. მამაჩემი სასუსუნში დასახლდა, ლაზის ქალი შეერთო. ზღვისპირა ქალაქებში ცხოვრება ჩვენი საგვარეულო ხელობით იყო გამოწყვეული. იყო-შეთქი, მიტომ ვაძბობ, რომ ჩვენი გვარის ხალხი ახლა იმ საქმეს აღარ მისდევს, უწინ მისდევდა. ხომ არის ოჯახები, საგვარეულო წამალი რომ აქვთ. ისე ვიყავით ჩვენც, მაგრამ წამალი არ გვექონია, ვირთავები გამოგვყავდა, თავიკაშია და ვირთავიკაშია ვირთავებია, კაციკაშიები ქვით! ხომ გესმით, როგორც არის საქმე?.. ძველ დროში ხის ზომალდები რომ იყო, მღრღნელები დიდ ზიანს აყენებდნენ საქონელსაც და ზომალდსაც. კაციკაშიამ ერთმა თუ გაიჭაჭანა ზომალდზე, ადგილობრივი მღრღნელები ათასობითაც, რომ იყვნენ იქ, ეს ვირთავა სათითაოდ დაუწყებეს დაზრჩობას, ჭამას და რომელიც ვასწრებას

შედლებს, თვითონ გაიქცევა გემიდან. ასეთი ვირთავა ძალიან ძველია, სობდა. მებომალდები თითოში მოცდაათ, სამოც თუმანს იძლეოდნენ ოქროთი. ჩვენმა გვარმა იცის ეს საიღუმლო, სხვამ არავინ! იქნებ იმ საგვარეულო ხელობის ბრალიც არის, მედიცინაში, რომ, ბოლოსდაბოლოს, სანიტარიისა და ჰიგიენის განხრა ავირჩიე.

ეს — ასე. ახლა ჩემი ბიძის, მურმან თორიას ამბავს მოგახსენებთ და მერმე იმის მოყოლაც შეიძლება, მე რომ თუთაშხიასთან ერთად ვიყავი. ბიძაჩემამ მურმან თორია საფელდშერო სასწავლებელში შეიყვანეს. დაამთავრა და მას მერმე ოცდაათი წელიწადი გემებზე იყო. არც ცოლი ყოლია როდისმე და არც შვილი. პრაქტიკული ცოდნით გამოცდილ ექიმებს არ ჩამოუვარდებოდა. მთავარი ისაა, რომ აღმოსავლეთში ძველი მედიცინა შეისწავლა და იმ მეთოდებით მკურნალობაში იზვიათი კარგი შედეგები ქონდა. მობეზრდა ზღვებზე ხეტიალი, ფოთის ახლოს მიწის ნაჭერი იყიდა ზღვის პირას, პატარა სახლი აიშენა და დაიწყო ხმელეთზე ექიმობა. მოკლე ხანში გაითქვა სახელი. საიდან არ მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ უიმედო ავადმყოფები! მერმე და მერმე სტაციონარულად მკურნალობის საჭიროებამაც იჩინა თავი და პატარა ლაზარეთი გამართა, ათსაწოლიანი. მიღებასაც აწარმოებდა, მწოლიარებსაც უვლიდა და ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ერთი მოხუცი ყავდა სანიტრად, სახელად ხოსრო, მეტი არავინ. ძალიან მშრომელი კაცი იყო ბიძაჩემი მურმანი. მოსვენება მან არ იცოდა წესიერი, სმაკამა და ძილი. ავადმყოფებს იყო გადაყოლილი. ჰონორარის აღების წესიც თავისებური ქონდა: ზოგს ისეთს არ გამოართმევდა კაბიკს, რომელიც არც უფულო კაცს გავდა და წოლითაც ექვსი თვე რომ უნდა წოლილიყო. ზოგს, შესახედავად მშვიერს, და მწყურ-





ვალს, მარტო გასინჯავში გადაახდევინებდა. ამისთვის, ალბათ, თავისი საზომი და ნიშანი გააჩნდა — არ ვიცი მე. ასეთი კაცი იყო მურმან თორია.

ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი, მაშინაც არდადეგებს უფრო ხშირად და მეტხნობით ბიძაჩემის ლაზარეთში ვატარებდი. სამსუნში მშობლებთან ორი კვირით თუ მივიდიოდი ზაფხულობით. ლაზარეთში მერჩივნა, უფრო სასარგებლო იყო ჩემთვის. ერთი, რომ საექიმო განათლების მიღებას ვპირებდი, პრაქტიკა იყო იქ ყოფნა ჩემთვის და აღმოსავლურ მედიცინასაც რომ ვეცნობოდი, ეს კიდევ სხვაა. მე რომ ამბავს მოგიყვებით, მაშინ გიმნაზია ახალი დამთავრებული მქონდა, ბიძაჩემ მურმანთან ვიყავი ჩასული სამსუნდან. მურმანის სახლი სამი ოთახისგან შედგებოდა. ერთ ოთახში თვითონ ცხოვრობდა, ამბულატორიაც იქ ქონდა, მიღებას იქ აწარმოებდა და სხვა ტახტი რომ ვეღარ იდგმებოდა, ხოსროს იატაკზე, სანახევროდ მაგიდის ქვეშ დიხნა, მაგრამ ეს მაშინ, როცა მე ვესტუმრებოდი იქ. მეორე ოთახი დიდი იყო — მამაკაცების ექვსსაწოლიანი პალატა. მესამე ოთახი ქალების პალატად იყო განზრახული და ვინაიდან მურმან თორიას მღვდრობითი სქესის ავადმყოფები თითქმის არასოდეს ყოფილა, იმ ოთახში ზამთრის არდადეგებზე, თუ იქ ვიყავი, მე მეძინა და თუ არა — ხოსროს. იმ პატარა ოთახში კიდევ ორი საწოლი იდგა და პირსაბანი და მაგიდაც იყო. მამაკაცების პალატასთან კარი მეკრებოდა, უფრო სწორად, — კარის სიო. სიოში ფარდა მქონდა ჩამოკიდებული, უწინ კრეტსაბმელს რომ ეტყოდნენ — ის. მე ყველაფერს ვხედავდი და ყველაფერი მესმოდა, რაც პალატაში ხდებოდა. იქედან ჩემსკენ არაფერი არ ჩანდა.

ერთ დილას ხმაურმა გამომადვიძა. მესმის, რომ ბიძაჩემს შემოვლა დაუ-

თავრებია და ავადმყოფებს ელაპარაკება:

— ყველას უკეთესობა გეტყობათ, ხიეეს. ახლა მთავარია კარგად ჰქამოთ, რომ მალე გამოჯანმრთელდეთ. მე იმის არც სახსარი გამაჩნია და არც პირობები, რომ ვაქამოთ. იცით ეს თქვენ და თქვენმა ჭირისუფლებმაც. სანოვანს არ მოგაკლებენ, ალბათ. თუ რომელიმეს შემოგელიოთ საქმელი — უზიარეთ ერთმანეთს. ავადმყოფები ხართ და ლაზარეთში ერთმანეთის დაუხმარებლობა სასიკვდილოდ გამეტეხება ნიშნავს. წამლები, რაც დაგინიშნეთ და რაც მოგცეთ ხოსრომ, წესიერად მიიღეთ ყველაფერი. კვიშილაც, ფეხების გაციება არ შეიძლება შენი. დაიხსომე ეს და სითბოში გქონდეს მუდამ. მშვიდობით იყავით, ნუ მოიწყენთ. დარდი და ფიქრი ავადმყოფობას აჭიანურებს, იოღდეთ ეს.

გავიდა პალატიდან მურმანი და კონიამ უთხრა კვიშილაცეს:

— ქუჩულორიამ და ვარაიამ გუშინ იყო, ფქვილის პარკები ქვაბში ჩამიფერთხეს ორივემ. რა ვქნათ აწი, რა ვქამოთ და როგორ ვიცხოვროთ, ნეტავი?

ბიძაჩემ მურმანს იმის საშუალება მართლაც არ ქონდა, ავადმყოფებისთვის საქმელი ეკეთებინა. არც აწვენდა თავისთან ისეთს, დიეტა და საგანგებო კვება, რომ სჭიროდა. არა, მაშინდელ დროში გლეხი ღარიბი იყო და სასიკვდილოდ რომ ქონოდა საქმე, იმდენ ფულს ან ვერ გამოიღებდა და ან ვერ გაიმეტებდა, რამდენიც სრულ პანსიონს უნდოდა. ავადმყოფებს თან მოქონდათ სარჩო. როცა გამოვლევოდათ, მერმე ოჯახიდან ამარაგებდნენ დამატებით.

ქონიაო, რომ ვთქვი, ლაზარეთში სხვებზე გვიან მოვიდა. ისეთი გამხდარი იყო — მხოლოდ ძვალი და ტყავი ქონდა შერჩენილი. მართალია, იმ დრო-

**პაპუა ამირეჯიბი**  
დათა თუთაყიძე

ში ხალხს უჭირდა, მაგრამ ისე ნამშვე-  
გასაცოდებელი კაცის ნახვა მაინც  
გაჭირდებოდა. დააწვინა მურმანმა, და-  
იკავა ჭონიამ მიჩენილი ადგილი. იმ  
დღეს ლუკმა არ ჩაუდგია პირში  
— არაფერი ებადა. მეორე დილას  
ხერხემლის ტკივილებისგან გაფითრე-  
ბულ ქუჩულორიას ღომის ჩოგანი ჩა-  
მოართვა, — მომეცი აქ, შენ არც შე-  
გიძლია და არც იცი მაგ საქმის არაფე-  
რიო. მოხარშა ღომი და ქერქი მას ერ-  
გო. კვიშილაძემ — დაერღომილმა  
ავადმყოფმა, — ასე, ოცდახუთი წლის  
კაცი იქნებოდა, თავისი ღომიდანაც  
უწილადა და ახალმა მზარეულმა, ვა-  
რამიას მიცემულ სულგუნთ ნაჭერთან  
ერთად, წუთში შეუკაპა ყველაფერი.  
ასე დაისაკუთრა ჭონიამ მზარეულის  
მოვალეობა. ქუჩულორიას წინააღმდე-  
გობა არ გაუწევია. იმდენად სწული  
იყო მაშინ, რომ ღომის ხარშვაც კი  
უჭირდა. ვარამიას ორივე ხელები,  
ილიიდან მტევნამდე, თაბაშირში ქონ-  
და. საქმლის კეთება კი არა, ჭამა არ  
შეეძლო თვითონ. მისი საწოლი კვი-  
შილაძის და ქუჩულორიას საწოლებს  
შორის იდგა, ხან ერთი აპყვედა თავი-  
სი ხელით და ხან მეორე.

რა ვკამოთ და როგორ ვიცხოვროთო,  
ჭონიამ თქვა და კვიშილაძე, რა თქმა  
უნდა, მიხვდა, რომ ლაპარაკი მისი  
ფქვილის ნარჩენებისკენ იყო მიმარ-  
თული, ჩანს, ამ კითხვაზე ნაფიქრი აღ-  
რეც ქონდა და საამშეთხვევო გადა-  
წყვეტილებაც წინასწარ მომზადებული,  
თორემ, ალბათ, ისე არ მოიქცეოდა,  
როგორც მოიქცა:

— აგერ კიღია ჩემი ფქვილი. ორ  
დღეს იკმარებს ყველასთვის, თუ და-  
ზოგვით ვიქენით! — კვიშილაძემ კე-  
დელზე ჩამოკიდებულ პარკს მიაშვირა  
ხელი. — ამ ორ დღეში მოგვაკითხავს  
წირისუფალი რომელიღაცას იქნება.

ჭონიამ პარკი ჩამოხსნა, ღუმლის-  
კენ წაიღო. კვიშილაძემ პარკს სვედი-  
ანი თვალი გააყოლა.

— კარგი კაცი ყოფილხარ, კვიში-

ლაძე, შენ. მიცემა თუა, მასე უნდა მი-  
ცე, პირდაპირ, დაუნანებლად უნდა მი-  
ცე მისაცემი, — თქვა ვარამიამ, —  
ხნის მერმე და თაბაშირში მომწყვდე-  
ული მკლავები კელლისკენ შემუბი-  
ვით გადააღავა.

— დაუნანებლადო, — კი, აბა! ამო-  
ხენეშა არ გაგიგონია მაგისი შენ და  
თვალები არ დაგინახავს, პარკს რომ  
გამოუყენა ფრინველზე მიშვებული  
ქორივით. ფიქრა მაგან, მარტო თუ  
ეჭამე ეს ერთი მუჭი ფქვილი და სხვებს  
არ მივეუკითხე, ორ-სამ დღეზე მეტს  
ხომ არ მიეყოფა მაინცო. მერმე ვინმეს  
მოაკითხავენ ოჯახიდან და აღარც ეგე-  
ნი მაჭმევენო მეო. მიტომ გაიშეცა,  
თვარა!.. ანგარიშია ყველაფერი, ძა-  
მიყო! — თქვა ჭონიამ და ჩოგანი, და-  
ატრიალა.

ქუჩულორიამ ბალიშის შემარჯვება  
დააპირა, დაავიწყდა, რომ განძრევა  
ხერხემალში ტკივილებს უმახვილებდა,  
და შეპყვირა.

— ჯერ არის და, არ იცი შენ, მასე  
ვიფიქრე თუ სხვაფრივ, — მიუგო  
კვიშილაძემ — მერეა და, ანგარიშიც  
რომ იყოს ჩემი საქციელი, არც ანგა-  
რიშად არის გლახა და არც საქციელად.  
სიმართლე თუ გინდა — გეტყვი აგერ:  
მაინცდამაინც არ მიხარია შენისთანა  
გლახაკისთვის ჩემი ლუკმის მიწილა-  
დება, მარა ვალი მადევს ადამიანური  
და ადამიანური უნდა ვქნა!

— ჭონია, შენისთანა კაცებია, სხვა  
კაცების სიცოცხლეზე შხამს რომ ღვრი-  
ან! — გამოელაპარაკა ვარამია. — კვი-  
შილაძეს გლახა საქმე არ გაუკეთებია  
იმიტ, ფქვილი რომ გაგვიყო, მარა თი-  
თო ისეთი კაცი არ გამოილევია ამქვეყ-  
ნად, რომ არ გააშაოს და არ წაპილ-  
წოს ყველაფერი კარგი. მასეთი მარტო  
ფიქრიც რომ მოგადგეს, იცოდე, ბორო-  
ტია ის ფიქრი და გააგდო უნდა. გაფიქ-  
რებას კი არა და, თქმასაც არ ერიდები  
შენ მაგისას.

— კაი, ახლა, ნუ წაიკიდებით პატა-  
რაზე, — ჩაერია ქუჩულორია. — ორ

დღეს გვეყოფა ეგ და, მოვიდეს იქნება ამ ორ დღეში კვიშილაძის ცოლი კიდევ. რა ქვია, კვიშილაძე, შენს ცოლს, თუ კაცი ხარ?

— ცოლი არაა ის ქალი კვიშილაძის, — აღნიშნა ჭონიამ სიამოვნებით. — ცუცა ქვია იმ ქალს და სხვისი ცოლია ის. კვიშილაძემ მითხრა ასე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქუჩულორიათვალეები ააპაჭუნა, ხან ჭონიას უყურებდა და ხან კვიშილაძეს. მართალა გითხრათ, მეც დამაინტერესა იმ ამბავმა და მივაყურე.

ჭონიამ ავადმყოფებს ქუჩულორია გამოართვა, ღომი გაანაწილა, სათითაოდ ჩამოურჩა. ყველი ნამცეცი აღარ ჭონდათ და ასე შეუდგნენ ჭამას.

კაი ხნის სიჩუმე ქუჩულორიათვალეები:

— არ ყოფილა ის ცუცა შენი ცოლი, ხომ? ვისი ცოლია, აბა?

კვიშილაძემ თითები გაილოკა და თქვა:

— სპირიდონა სიორიძის იყო. სპირიდონა სიორიძე გადაკარგულია საითღაც. ცოცხალი აღარაა, მგონია. ცუცას ვერ შევირთავ ცოლად, სანამდე ნამდვილად არ გავიგებ, მკვდარი რომაა. იქამდე არ შეიძლებაო, მღვდელმა. მერე — ციო.

— კაი, და, სპირიდონა სიორიძეა, თუ ვინც არის ის კაცი, რამ გადაკარგა, ნეტავი? — იკითხა ქუჩულორიათვალეები.

— ქალის სინსილა გაწყვა, გასაწყვეტია ახლანდელი ქალი ყველა! — ჩაუმატა ჭონიამ. — შექვამა, ალბათ, შავ ცუცამ, კვიშილაძის საყვარელმა, ის სიორიძე. ველარ გაუძლო, იქნება, და წაჰვიდა სადღაცას.

— საყვარელი არაა ცუცა ჩემი, — ცოლია, მარა ქმრად არ მიკარბებს: სანამდე დემერთის და ხალხის წინაშე სხვისი ცოლი ვარ, არ შეიძლებაო, — გაუსწორა კვიშილაძემ.

— სხვისი ცოლი თუა, შენი როგორ იქნება ის?! — თქვა ჭონიამ.

— მოყევი, თუ კაცი ხარ. კაი გა-

სართობი ამბავი ეტყობა შავ სპირიდონა სიორიძის ამბავს, — თხოვა ქუჩულორიათვალეები.

კვიშილაძემ პატარა ხანს იფიქრა და დათანხმდა:

— კაი, ბატონო. შევექამ ამას და მოგიყვებით.

ყველა მოსასმენად მოემზადა. ჭონიამ ქუჩულორიათვალეებს სასწრაფოდ მოაგროვა, გასარეცხად ქვებში ჩადო და ამბავის მოლოდინში ჯორჯოზე მოიკალათა.

ბოლოს კვიშილაძეც მორჩა ჭამას. ნალოკი თითები შეიმშრალა, ლოგინზე წამოჯდა, ზურგში ბალიში მოიხერხა. მერმე მსმენელებს თვალთ ჩამოუარა და თქვა:

— რა ვიცი, რა უნდა ვიამბოთ ახლა. დაადო თავი სპირიდონა სიორიძემ ამ სამი წლის წინ და გადაიკარგა. ესაა და ეს.

გრძელი ნაამბობის მომლოდინე ავადმყოფებში დაბნეულობამ იჩინა თავი. ხმა კაი ხანს ვერც ერთმა ვერ ამოიღო.

— ასე, პირდაპირ, დაადო თავი და წაჰვიდა? სხვა არაფერი? — დაარღვია სიჩუმე ქუჩულორიათვალეები.

კვიშილაძემ თავი დაიქნია.

— მიზეზი ჭონდა, იქნება, თვარა, მასე, — დაადო თავი და გადაიკარგა, — ვის გაუგონია, შე კაცი! — გამოეხმაურა ჭონიამ.

— ექნებოდა, უთუოდ, — დაუდასტურა კვიშილაძემ.

— კაი, და, არ უთქვამს ქე მაინც, სად მივდივარო? — იკითხა ვარამიამ.

— არაფერი არ უთქვამს, სულ არაფერი.

— შავ ისეთი კაცი ჩანს, ნამდვილად არ იტყოდა არაფერს! — განაცხადა ქუჩულორიათვალეები.

— რატომო, ვითომ?! — ჭონიამ გაიკვირა.

ქუჩულორიათვალეები დაფიქრდა, ქეჩო მოიქეპა:

— კაცი, რომ დაადებს თავს, წავა-

შავაშა ამირაჯიანი

დათა თუთაშვილი

გადაიკარგება და წასვლისას არ იტყვის, სად მივდივარო... ასეთი კაცი იტყვის რამეს წასვლისას? არ იტყვის!

— ე, უყურე ერთი ამას, რასაა რომ ლაპარაკობს! — აღშფოთდა ჭონია. — ახვლა კაძახს ქათმის ჭკუა გაქვს, უბედურო, შენ. დედა, რა თქვა ეს, გაიგონეთ?... იჯექი მანდ, არ გაილო კრინტი!.. აბა, არ გამოჩენილა მას მერე, ხომ?

— არ გამოჩენილა. გადაიკარგულია. ეგებ ცოცხალიც არაა, რა ვიცი მე.

— ბერიძის ქალმა, — მაგ შენი ცუცა რომ არის, — რაო? არ იცის, ვითომ მისი ქმრის, იმ სპირიდონა სიორიძის, არაფერი? — ეჭვი შეეპარა ჭონიას.

— ბერიძის ქალი არაა ცუცა, — დღონაძის ქალია, მარა წესია ასეთი და ქმრის გვარზე წერია. არ იცის არაფერი. მეტყობდა მე, რომ იცოდეს. ცუცამ კი არა და რამხელა სოფელია ყვეში — ჩვენი სოფელი, — არაკაცმა არ იცის სპირიდონა სიორიძის ასავალ-დასავალი, — მიუგო კვიშილაძემ.

სხვე სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით და მერმე, რომ მოდგნენ სპირიდონა სიორიძეზე ლაპარაკს, — ოთხ-ხუთ დღეს სხვა არ უთქვამთ სიტყვა. ყველაფერი გამოიკვლიეს, რაც იმ კაცს ეხებოდა. ფეხზე რას იცვამდა და საკმელი რომელი უყვარდა, ისიც კი დაუდგინეს, მაგრამ რატომ და რისთვის გადაიკარგა. ამ საკითხში ერთსულოვნებას ვერ მიაღწიეს ვერაფრით. ბოლოს ისე გამაზებრეს თავი თავისი სპირიდონა სიორიძით, რომ მისი გვარსახელის ხსენებისას გულზე მეყრებოდა. აკრძალვას ვაპირებდი ამ ლაპარაკისას ის იყო, მაგრამ დამასწრო ჭონიამ; ერთ დღეს გიჟივით წამოვარდა საწოლიდან, შეშა აიღო ხელში და დაიყვირა:

— ვითქვამთ კიდევ მაგ ძაღლის და მამაძაღლის სახელი... ამ შეშას რომ უყურებთ, თავი გავუხეთქო, იქნება იმას, ვინც იტყვის კიდევ!

ყველამ ჩაიკმინდა ხმა და ასე დამ-

თავრდა სპირიდონა სიორიძეზე რაკი, თვარა, გადავირეოდი, უფეხვეუდი.

ეს, როგორც ვითხარით, ოთხი თუ ხუთი დღის მერმე იყო, მაგრამ იქამდე აი, რა მოხდა. კვიშილაძის ფეხვილი მართლაც ორ დღეში გამოილია. მესამე დღეს ავადმყოფები ფანჯრებზე იყვნენ მიკრული და მიჩერებულნი, — ვის როგორც შეეძლო, მაგრამ არც ერთი შირისუფალი არ მოსულა. რომ დაღამდა, ჭონიამ აივანზე დამომარტოვა და წერილისთვის კონვერტი მთხოვა: მივწერ ოჯახში, მომავითონ-თვარა, შიმშილით ამომძვრება სულიო. შევედი ბიძაჩემის ოთახში, — ჩემს ბარგ-ბარხანას იქ ვინახავდი, — გამოვიტანე კონვერტი, ქაღალდი, საწერ-კალამი და მივეცი ჭონიას. მაშინვე დაჯდა საწერად.

— სიბნელეში ნუ წერ, თვალები გაგიფუჭდება, ჭონია, — უთხრა ქუჩულორიამ, ალბათ იმ ვარაუდით, რომ სიტყვა სიტყვას მოყვებოდა და იტყოდა სად და ვის წერდა წერილს.

— ჩვენ გაფუჭებას ჩემი თვალების გაფუჭება ჯობია, ბიძია. ბიძაშვილის შვილი მყავს, აგერ, სამტრედიასი და ჩამომიტანოს, იქნება, პატარა ყბის მოსაქნევი, თვარა, მომსვლელი არ ჩანს არავინ, — არ დააყოვნა ჭონიამ დამსწრეთა ინტერესის დაკმაყოფილება.

ძილის დროა საცაა. მე, ბიძაჩემი და ხოსრო ვზივართ, ლამფა გვინთია. ვეახშობთ. ჭონიას რომ კონვერტი მივეცი, ის კონვერტი დავინახე მაგიდაზე. თვალი გადავაგლე, — კვიშილაძის სატრფოს, — ცუცა სიორიძის მისამართი ეწერა ზედ. რა არის-მეთქი. ვკითხე.

— ჭონიამ მოიტანა კვიშილაძეს წერა-კითხვა არ ცოდნია, ჭონიას დაუწერია მისთვის. მთხოვა, ფოთში წაიღეთ, რომ წახვალთ და ჩაავადეთო, — თქვა ხოსრომ.

— საკმელს თხოულობს, ალბათ. დროზეა წასადები მაგ წერილი. წამ-



ლებიც მოსატანია იქიდან, — დასძინა მურმანმა.

ვივახშმეთ. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ბალატაში ჭონიამ ერთი თქვა და აქ, კონვერტზე სხვა მისამართი ეწერა ახლა, მაგრამ არ ვთქვი არაფერი. მე მჭირდებოდა ფოთში წასვლა. ჯერ იყო და, ვირთაგვები მყავდა მოსაყვანი ფოთიდან. მერმე ის, რომ წინა ზაფხულს გამოვზარდე ერთი კაციჟამია, ფარაონი სახელად. მაშინ მუშტარი არ მყავდა და ლაზარეთში გავუშვი, მე სულელმა. გავუშვი და მუშტარიც გამომიჩნდა, მაგრამ ვერ გავიმეტე ვასაყიდად, ნამეტანი კარგი კაციჟამია გამოდგა, მეტი ღირდა, ვიდრე მუშტარი მთავაზობდა. შემორჩა და შემორჩა IV ლაზარეთს, გააწყო ვირთაგვები, ვერსზე ვედარ დაიჭერდა კაცი ვერც ერთს. ამიტომ იყო ფოთის პაკაუზებში რომ დამჭირდა ცხოველების მონადირება — სათაგურის დადგმას ვგულისხმობ ამაში. ვიფიქრე, ბარემ ფარაონსაც წაიყვან და გავყიდი-მეთქი იქ.

— მე მივდივარ ფოთში დილით, — თქვი ხოსროს ვასაგონად.

— მაშინ წამლებიც წამოიღე იქედან და მე შეშას მოვიტან აქ, — გაუხარდა ხოსროს და ასეც შევთანხმდით.

წამოვიშალეთ, ჩავიდე გულისჯიბეში ჭონიას წერილი, გავედი ჩემსას და დავიძინე. დილით ფარაონს დავუწყე ძებნა; ვერ ვიპოვნე, მაშაძალი, სანადიროდ თუ იყო წასული საითმე. ჩავიქნიე ხელი, გავწიე ფოთისკენ. ახლო იყო ფოთი, ბიძაჩემის ლაზარეთის ადგილი ახლა ქალაქის განაპირად ითვლება უკვე. კაი მანძილით რომ გამოვციდი ლაზარეთს, ცნობისმოყვარეობამ შემაწუხა. ამოვიღე უბიდან ჭონიას წერილი, დიდხანს ვათვალიერე, მრცხვენოდა, გახსნას ვერ ვებდავდი. მერმე სულმოკლეობამ წამძლია მაინც.

კონვერტი საგულდაგულოდ იყო დაწებებული, მაგრამ დანაკრობი ადგი-

ლი წყლით დავასველე, წებო დაღება და დაუზიანებლად გაიხსნა წერილი, გავშალე ქაღალდი, წაეკითხე. კონიას ცუცა სიორიძეს ყვეშში კვიშილადის სახელით წერდა, შენი სპირიდონა სიორიძე გამოჩნდა და აგერ წევს ჩემთან ერთად ლაზარეთში. საკმელი შემომელა, ჩამოდი, ჩამომიტანე, ჩვენს სიყვარულს გაფიცებო, მაგრამ შენი მოსვლა ლაზარეთში ჩემთან ხომ არ შეიძლება, — სპირიდონა მიხვდება ჩვენს ამბავსო. ამიტომ, ამ და ამ დღეს, ჩემი მეგობარი კაცი ჭონია დაგიხვდება სადგურიდან ლაზარეთისკენ წამოსულს, ფოთს რომ გამოცდები თხმელები და ბუჩქნარი რომ არის, იქ და მას ჩააბარე, რასაც გწერ ის საკმელსასმელიო. ფულსაც თხოვდა, ათ მანეთს, ექიმისთვის მიწაო. ჭონიას რომ ნახავ, სხვა დანარჩენ ამბავს სპირიდონზეც და ჩემზეც, ის ვიამბობსო და ასე შემდეგ და შემდეგ.


შეფიქრიანიდი, როგორ მოვიტყე-მეთქი. ხან დახევა და გადაყრა ვიფიქრე. ხან — სიმაართეს მივაწერ ამ ქაღალდს ისე გავუგზავნი-მეთქი, ხან რა და ხან რა, მაგრამ კაი ვერაფერი გადავწყვიტე. ამასობაში ფოთში შევედი. ფოსტაც აგერ არის. მივაფურთხე ეშაქს, ამ ამბავის გამქლავნება გვიანი არც მერმე იქნება-მეთქი და კონვერტი საფოსტო ყუთში ჩავუშვი. რომ ჩავადე, მაშინ მეტად ვინანე ჩემი საქციელი. გავწვალდი კაცი, მთელ დღეს ამაზე ვფიქრობდი სულ.

გამოვიტანე აფთიაქიდან წამლები, პაკაუზში მივედი, ვირთაგვებით სავსე ჩემი სათაგური წამოვიღე და ლაზარეთისკენ გამოვწიე. მოვედი შინ, დავაბინავე ცხოველები. ამ დროს შებინდდა კიდეც. ვივახშმე და ადრე დავიძინე, დაქანტული ვიყავი.

დილით ძილ-ღვიძილში ვარ და ქუჩულორიას ხმა მესმის:

— წუხელის სიზმარი ვნახე-ისეთი,

ხანა აპირაჯიზი  
დათა თუთაშხია



დღეს რომ არ მოგვაკითხონ რომელიმეს არ შეიძლება არაფრით. უეჭველად მოგვაკითხავენ დღეს.

სიზმრის მოყოლა თხოვეს ქუჩულო-რიას. ერთი საათი მოანდომა ამას. იმდენი ილაპარაკა, მამაცხონებულმა, რომ ქოშინი აუტყდა.

მეოთხე დღე იყო მათი შიმშილის და მეც ასე ვფიქრობდი, რომ უნდა მოეკითხათ რომელიმესთვის, მაგრამ გავიდა ის დღეც და არავინ არ მოვიდა.

ამ საღამოს მოხდა სწორედ, რომელი წელი იყო, მეზარება ახლა ამის გამოთვლა და არც არის, მგონია, საჭირო. უკვე კი ხნის დაღამებულია; ასე, ათი საათი იქნება. ნარდს ვთამაშობთ მე და ბიძაჩემი. ხან თამაშს ადევნებს თვალს ხოსრო, ხან თვლემს. ცხენების ფლოქვის თქარათქური მოისმა შორიდან.

— საწოლები თუ მოამზადე, ხოსრო? — იკითხა ბიძაჩემმა.

ხოსრომ თავი დაიქნია, კიო.

— ვის ელოდებით ასე გვიან? — დაინტერესდა მე.

ცოტა შეიცადა ბიძაჩემმა და მერმე მითხრა:

— ავადმყოფებს. ერთი მეჯოგე იყო აქ დღისით და მეორეს მოსაყვანად წავიდა. ისინი მოდიან, ალბათ. სხვა ვინ იქნება.

— რა კირთ?

ბასტუნი გაუქირდა და არც აჩქარებულა მურმან თორია.

— დათვების დატორილები არიან, — თქვა ბოლოს.

რადაც დამალული ვიგრძენი და გავიფიქრე, — ვნახოთ, ერთი რა და როდემდე დაიმალება-მეთქი.

ფლოქვის ხმა თანდათან მოახლოვდა.

— მურმან-ბატონო! — დაიძახა ვილაცამ გარეთ.

ბიძაჩემმა მითხრა, ლამფა მოგვინათეო. ხოსროს ცხენების ჩამორთმევა და დაბინავება დაავალა.

ერთი ავადმყოფი თვითონ ჩამოვიდა

ცხენიდან. მეორეს ხოსრომ უშეცდო ჩამობტომაც და შინ შემოსვლა დაელოდა. დაელოდა და მიმედ დაშავებულად დადგა მავიდაზე ლამფა. ჯერ კოჭლს შევხედე, მერმე მეორეს; ფეხდამავებული არასოდეს არ მენახა. მეორე დათა თუთაშხია იყო, ვიცანი! მის გარეგნობაში, თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო გარდა იმისა, რომ საფეთქლებში შავი თმა აღარ შეჩინებდა. თვითონაც დამაკვირდა, მაგრამ ისე დაიჭირა თავი, რომ მისი დაინტერესება შეუმჩნეველი დამრჩენოდა. მე რატომ უნდა გამოემცნაურებოდი, ვითომ!

გასინჯვის და ქრილობების დამუშავების დრომ მოაწია. შევატყვე, ბიძაჩემი მურმანი ფეხს ითრევდა, საქმეს აჭიანურებდა და, ჩანდა, არ უნდოდა მოწმედ დავსწრებოდი. მაინცდამაინც არც მე მეხალისებოდა იქ ყოფნა. ჩემთვის ყველაფერი ცხადი იყო და დარჩენა მუშაობის მეტს არაფერს მომიტანდა.

ღამე მშვიდობისა ვთქვი, წამოსვლა დაეპირე. ამ დროს შემოგოგმანდა ჩემი ფარაონი, კურტუმზე დასკუბდა, წინა თათები გამოიშვირა და ქანაობას მოყვა. გაბრაზებული ვიყავი; დილით რომ ვერ ვიპოვნე, ოხერი, და გავუჯავრდი:

— წაეთრიე აქედან!

ფარაონმა უკმაყოფილოდ შემომხედდა და წავიდა კულგაბზეკილი.

— ასე გაკეთებული და მსუქანი გოჭიკ კი არ მინახავს მე! გაწვრთნილიც რომ ყოფილა?! — თქვა თუთაშხიას ამხანაგმა.

— კაციკამაია ეგ? — მკითხა თუთაშხიამ.

თავი დავიქნიე. თუთაშხიამ ოდნავ ჩაიციხა და აღარაფერი უთქვამს, ეს იყო მისი ერთადერთი ნიშანი ჩვენ ერთად ყოფნის მანძილზე, — ნიშანი იმისა, რომ მიხვდა ვინც ვიყავი. არც მე ამომიღია ხმა, წავედი ჩემს გზაზე.

ჩვენმა საგვარეულო ხელობამ დიდ



ხანია თავისი მნიშვნელობა დაკარგა და ამიტომ, რასაც გიამბობთ, საიდუმლოების გაცემად არ ჩამეტვლება.

კაციკამიების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება: შიმშილით და სიმძაღრით. საბოლოო ჯამში ორივე ერთნაირ კაციკამიას იძლევა, მაგრამ მე შიმშილის ხერხს ვამჯობინებდი, ნაკლები დრო სჭირია. აუცილებლად შეიძინე ან ცხრა ცალია საჭირო. დაჭერილი ცხოველები უნდა ცარიელ კასრში მოვათავსოთ. თუ კაციკამიას გამოყვანას შიმშილის ხერხით ვაპირებთ, კასრი ლითონის უნდა იყოს, თორემ ძალიან რომ მოშვიდებათ, ხსნას გაღრღნიან და გაიქცევიან. სიმძაღრის ხერხის დროს კი ჩვეულებრივი კასრის გამოყენებაც შეიძლება, — მაძლარი ცხოველები კედლებს არ ერჩიან. სიბნელეც აუცილებელია! სიბნელე თუ არ იქნა, კაციკამია ვერ გამოიზრდება. კასრში და მის ფსკერზე სიბნელეა. აბა რა იქნება, თუ არ ჩაანათე შიგ. თუ შიმშილის ხერხია — წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი. თუ სიმძაღრის არის — თავსაყრელი უნდა ქონდეთ ერთი რომელიმე საკვები — სიმინდი ან ხორბალი, თუ გნებავთ. ამას მოკლედ გელაპარაკებით, თვარა, მთელი პედაგოგიური სისტემაა ეს.

ღიახ, მივატოვე სტუმრები, არავის დაელოდებივარ, დავიძინე. არც გამიგონია ახალი ავადმყოფები როდის შემოიყვანა ხოსრომ.

დილით, როგორც ყოველთვის, დიდი პალატის ავადმყოფების ფუსფუსმა გამოძაღვიდა. დათა თუთაშხია ჩემსკენ ზურგმუქიყული იწვა და ვერ მივხვდი, ეძინა თუ ეღვიდა. მისი ამხანაგი ჭერში იყურებოდა, ფიქრობდა რაღაცას. გამოღვიძებული რომ დამინახა, — დილა მშვიდობისო. ცოტა ხნის მერმე ხოსრო შემოვიდა, პირსაბანში წყალი ჩაასხა და თუთაშხიას ამხანაგი უთხრა:

— ბესო-ბატონო, საკმელი რომ მო-

ინდომოთ, დაიძახეთ, ხოსრო-თქო და მოგართმევთ მაშინ.

კი გავიგონე, ბესო-ბატონო, რამე ვიცოდი, დათა თუთაშხიასათან თათად მოსული კაცი თავის ნამდვილ სახელს არ გაამხელდა. ხმეგი დადიოდა, თუთაშხიას ახალი ამხანაგი გაუჩენია, ვინმე მოსე ზამთარაძეო. მაშინვე ვიფიქრე, ის არის ალბათ-მეთქი და შემდგომში ასეც აღმოჩნდა.

— ოტია-ბატონო, გაიღვიძე ახლა და მოვწესრიგდეთ, სანამდე საკმელს მოგვიტანდნენ, — მიმართა ზამთარაძემ თუთაშხიას.

წვალებით, ვაი-ვაგლახით, ერთმანეთის წახმარებით ჩაიცივეს და დაიბანეს. მერმე ხოსროს დაუძახეს და ღორის ხორციში ჩაბრაკულ კარტოფილს და კვერცხს თითო არაყი დააყოლეს. გაათავეს ქამა. მოსე ზამთარაძე ისევ დაწვა. თუთაშხიამ ხურჯინიდან ვეფხის-ტყაოსანი ამოიღო, წინასწარ ჩანიშნულ ადგილზე გადაფურცლა და კითხვას შეუღდა.

— რომ ამბობდი, ამ ფარაონის შიშით სათოფეზე ვერ გაივლის ვერც ერთიო, სავსეა აქაურობა ვირთაგვებით, — უთხრა პატარა ხნის მერმე ზამთარაძემ თუთაშხიას. — აგერ, ჩემი საწოლის ქვეშ, თუ კედელშია აქ, არ ვიცი — გამთენიისას ან ბაზრობა ქონდათ და ან ქორწილი... — ზამთარაძემ სიჩუმით ისარგებლა, მიაყურა და დასძინა: — ფაჩუნობენ ახლაც! დაუღვეყური, თუ გნებავს, და გაიგონებ შენც.

ჩემი ახალი მდგმურების საწოლები ისე იდგა, რომ თავსასთუმალი კედლისკენ ქონდათ. კედელს იქით, აივანზე, ჩემი კასრი იყო, ვირთაგვები მყავდა შიგ.

თუთაშხიამ მიაყურა. ერთხანს იფიქრა. გაფაციცებული იყო.

— ღრუბლიანია დღესაც ცა, — წაილაპარაკა მან და ზეზე ადგა.

მხრის სახსარი მძიმედ ქონდა დაზი-

ვაჰუა ამირეჯიბი  
დათა თუთაშხია

ანებულო, მოძრაობა უჭირდა. ძლიერ დაიძრა ადგილიდან. დიდ პალატაში გავიდა, აიენისკენ აიღო გეზი. ღუმელსა და საწოლს შორის უნდა გაევიღო, ისე ქონდა ვზა. იქ ქონია იდგა, გასასვლელი ვიწრო რჩებოდა, მაგრამ გამვლელი მაინც თავისუფლად გაეტეოდა. თუთაშხიამ მხარი იბრუნა, რომ გავლისას ქონიას არ შეხებოდა.

— იქედან შემოუარე, ხომ ხედავ, ვიწროა აქით! — დაასწრო ქონიამ, სანამდე თუთაშხია გაივილიდა.

აბრაგი ნათქვამს უნებლიეთ დაემორჩილა, შებრუნდა, ღუმელს მეორე მხრიდან მოუარა.

— მასე! — თქვა ქონიამ.

თუთაშხია შეჩერდა. ქონიას თვალი შეავლო. ყურები ვცქვიტე. ახლა კი წააწყდა—მეთქი ქონია ისეთ კაცს, მის ყიამყარლობას რომ მოუვლიდა.

სიჩუმე იყო კაი ხანს.

ქონია თავისი ბეკლისფერი, თავზედი თვალებით უყურებდა დათა თუთაშხიას და თითქოს ეუბნებოდა, მე ვარ აქ და მე რომ მომწონს იმ წესებს დაემორჩილე, თვარა, ვინც გინდა იყო, შენზეც მოინახება ჯახით. წესი კი ლაზარეთში ისეთი ჩამოყალიბდა, რომ ქონიას თავხედობას ემორჩილებოდა ყველა ავადმყოფი.

დათა თუთაშხიას ისეთი სახე ქონდა, როგორიც ბავშვებს დაფაზე დაწერილ ახალი ამოცანის თვალთვლების დროს აქვთ ხოლმე. მერმე ოდნავ, სულ ოდნავ გაიღიმა. ეს უკვე იმ სიხარულს წააგავდა, როდესაც ადამიანი ფიქრებში არალტყას მიხვდება, რაღაცაში რომ გაერკვევა. მან თავიც დააქიცინა, — ეს მისი ფიქრების გაგრძელება იყო, ვიცი მე, და აივანზე გავიდა.

ლოგინიდან წამოვხტი, ჩაცმას შევუღებე. — მოსე ზამთარაქემ ხელი მომიტაცუნა და წაიხურჩულა:

ბონდის ვიხდი, ბატონო, დავინახე, რომელია ეგ.

ჩამოვეცალე. მან ქონიას თვალი შეავლო და ისევ ბალიშზე მიწვა. ქონია

ცეცხლს უჩიხიენებდა, ღუმელთან ხედიური იყო. კვიშილაძეს, ალბათ, ეგონა, ქონია ვერ გაიგონებსო და ქუჩაში წაიღო რიას გადაელაპარაკა:

— ბოშო, რანაირად ებღღვნა ამ უცნობ კაცს, დინახე?!  
ქუჩაში

ქუჩულორიამ ჯერ ქონიას გადახედა, დარწმუნდა, ამ წუთში ვერ მხედავსო, და მხოლოდ ამის მერმე გაუღიმა კვიშილაძეს, ქონიამ ამასობაში ღუმელის კარი მიხურა, ორატორივით ჩაახველა და დაიწყო:

— ახლა, ბატონო კვიშილაძე, იკითხოს კაცმა, რატომია რომ ლაპარაკობ და არ ფიქრობ არაფერს?! ოთხი დავრდომილი ვართ აგერ და რამდენი ღლებ ჩვენს პირს ლუკმა არ უნახავს. ფული ჩვენ არ გვაქვს. გვქონდეს, თუ გინდა, მარა წელს ქვევით კუტი რომ ხარ გაიწყდება ეგ და, ჩემს მეტი რომელია მურმან თორიას ღობეზე გადალოღებას რომ მოახერხებს,— ფოთამდე მისვლას, ხორაგის ყიდვას და მის მოტანას არ ვამბობ მე... — ქონიას, ჩანს, მქვერმეტყველებამ უმტყუნა და აზრი ველარ დაამთავრა.

— მართალია ეგ! — ისე დაუჭირა მხარი ქუჩულორიამ, რომ წააქეზა, კიდევ ილაპარაკეო.

— კაი, მარა, იმ კაცმა რა დააშავა. ნეტავი, და მისი ბრალი თუა, ჩვენ რომ სურსათი შემოგველია და მშვივრები რომ ვართ? — იკითხა ვარამიამ.

— ვიცი მე, რასაც ვლაპარაკობ, ვარამია-საცოდაო! — მოუჭრა ქონიამ. — ეს ორი კაცი წუხანდელი მოსულებია აქ. ცარიელი ხომ არ მოვიდოდნენ? იმის მაგიერ, რომ გამოვიდოდეს ერთი და ერთი და იტყოდეს: აგერ ვართ, ღვთის შვილებო, ვკამოთ ერთად, რაც გვახადია; ჩვენი რომ გამოილევა, მანამდე მოგაკითხონ, იქნება ჭირსუფლებმა და მამინ თქვენი ვკამოთო... ასე რომ თქვას ერთმა და ერთმა, მის მაგიერ რას შერებთან ეგენი? რას და, ჭამენ მოხრაკულებს ამ მშვიერი ხალხის გვერდით და

დადიან აქ... მაგათი სალამი რომ კაცს აძლობდეს!..

— რა ქნან, აბა, შე კაცო?! — ისევ იკითხა ღმილით ვარამიამ.

— ადამიანები თუა ეგენი და ჭკუა თუ აქვთ თავში ნატამალი, ისე უნდა ქნან სწორად, მე რომ ვლაპარაკობ, თვარა, ისე გავუხდი საქმეს... ღამლა-მობით თავზე საბნის წაფარება და ბალიშიდან გამოცოცხებული ხმელა ჭადის ხრამუნხრაშუნი გავიგონო, იქნება მე. მიქნია და მინახავს სხვაგან. მიტომ ვამბობ ასე.

— ისე შეგვაშინებ და გაგვაუბედუ-რებ, რომ ახლილად ვეღარ გავბედავთ და ჩუმ-ჩუმად დავიწყებთ ხმელა ჭადის ჭამას, ხომ? — სიცილით გამოეხმაურა ზამთარაძე.

— გამოჩნდება ეგ! — დაუდასტურა ჭონიამ.

— მაგარი ყოფილხარ, ნამეტანი, და, რომ გავრბოდეთ აქედან, ის ღროა, ალბათ, დედას ვფიცავარ! — მიუგო ზამთარაძემ.

ერთხანს სიჩუმე იყო. აივნისაკენ გავწიე და კარის გაღებას ვაპირებდი უკვე. ზამთარაძის ხმა რომ მოისმა ისევ:

— შე კაცო, რა იცი, ეგებ ჩვენც არაფერი გვაბადია და თუ გვაბადია, შენ რომ აპირებ, იმ გზით აქედან არაფრის წამლები რომ არ ხარ, რატომ არ ფიქრობ ამაზე?!

— რაღაცის წამლები ვარ, დაინახე იმას! ჭონია ვარ მე. ტყვილად და უბრალოდ არ ვაკეთებ არაფერს. თქვენ მოხრაკულები ჭამოთ და ჩვენ ვიყოთ ასე. ხომ? კი, აბა!

— კაცო, არ გვაქვს ხორაგი ჩვენ. ხოსროსთან ვართ მორიგებული, მან უნდა გვაჭამოს ფულად. რა ვქნათ, აწი? თქვენ მშვიდები რომ ყოფილხართ, ჩვენც ვიმშვიდოთ?.. — თქვა ზამთარაძემ.

— მეტი არაა ჩემი მტერი, შენ და შენისთანებმა მაგის გაკეთება ვერ შეძლოთ!.. მარა კაცი თუ კაცია, იპოვნის გამოსავალს... გაათავე ახლა! შენმა

ტირილმა და ყბედობამ გადაიტანა აქა ურობა.

— წერას ხომ არ აუტანიხარ, უკუ-  
ლაც ოხერი ხარ მანდ!

— წერას, თვარა, ფეხები არ მომაქამო ცხელ გულზე! ჯერ, რა შეგიძლია, შე გლახის ჭირო, შენ. მერე, რომ შეიძლო კიდევ, ჩემთვის ერთი კაი მუშტიც კმარა, გავქიმივ ფეხებს და შენს მაგიერ სახრჩოლებზე საქანაოდ არავინ რომ არ წავა, ამასაც დააყოლე ტვინი, თუ გაქვს მაგ თავში რამე!

ზამთარაძე დადუმდა. ცეცხლი გიზგიზებდა და სიჩუმეში მხოლოდ ღუმელის ქრიალი ისმოდა.

აივანზე გავედი. დათა თუთაშხია ეზოში და სახლის მახლობლად დაიარებოდა. იმპერიალისტურ ომში რომ ვიყავი, იმას, რასაც თუთაშხია აკეთებდა, რეკოგნოსციროვკა ერქვა.

ჩემს კასრში ჩავიხედე. ცხოველებს წყლის ჭურჭელი გადაებრუნებინათ. შევავსე და ჩავდგი ისევ. თუთაშხიამ აივანზე რომ დამინახა, ამოვიდა, ვირთაგვებს დაუწყო ყურება და მკითხა:

— მანდ... კაციჭამია უნდა გამოიზარდოს, ხომ?

— დიახ, ბატონო.

— შიათ უკვე?

— შიათ, მაგრამ ნამდვილი შიმშილი შორსაა ჯერ. კაი ხანი უნდა ნამდვილ შიმშილს.

სანამ საუზმისთვის მოვიცალე, ერთი საათი გავიდა. შევედი ხოსროსთან საქმელად. ბიძაჩემი არ დამხვედრია, ავადმყოფის სანახავად წაეყვანა ვიდაცას. პალატის ამბებზე და შიმშილზე მინდოდა ლაპარაკი მასთან. რომ გამოვედი იქიდან, დათა თუთაშხია მოაჩირზე იწოდა, მზეს ეფიცებოდა და კითხულობდა. დავბრუნდი ჩემს ოთახში, სამეცადინო მჭონდა. მივუჭექე მავილას.

ცოტა ხნის მერმე ზამთარაძემ ზურგზე ხელი მომიცაცუნა, თავისკენ მიმახედა.

პაპუა აშირაჯიბი  
დათა თუთაშხია

შევცქერი და ვხედავ, რომ რაღაცა თქმას აპირებს და ყოყმანობს, ვერ მეუბნება რატომღაც.

— რა გნებათ, ბატონო?

— რაა და... რა ვქნათ, აწი? —

წამჩურჩულა ზამთარაძემ.

მიგზვდი, რომ დანარჩენი სათქმელიც ჩურჩულით უნდა გვეთქვა, მაგრამ არ მესმოდა, რას გულისხმობდა და ვიყავი გაჩუმებული.

— როგორ გგონიათ თქვენ, თუ გაიგონა ოტიამ ჩემი და ამ მამაძალა ჭონიას ლაპარაკი?

— არ გაუგონია, ეზოში დადიოდა... სეირნობდა იქ.

ზამთარაძე დაფიქრდა და მითხრა:

— ახლა, დიდი ოხერი და ბრიყვი კაცი ჩანს მაგ ჭონიაა, თუ რა გვარია, მარა ისე, მართალს ლაპარაკობს, მაინც. ჩვენ აქ ვძღვებოდეთ და ეგენი მანდ მშვივრები იყვნენ — არ გამოდის ლამაზი...

— ღარიბი კაცია ბიძაჩემი მურმანი, — ეთქვი მე. — რასაც შოულობს, ავადმყოფებს და მათ წამლებს ახმარს ისევე. არ შეუძლია ამდენი ზალხის რჩენა. ხოსროსი რვა თვის ჯამაგირი მართებს უკვე. ვერ უხდის, არ აქვს სახსარი.

— მაგას არ მოგახსენებთ მე, როგორ გეკადრებათ, ბატონო. სხვაა აქ... სხვა დროს თუ ყოფილა აქ საქმე ასე და რა გიქნიათ მაშინ?

— არ მახსოვს, ასე რომ მომხდარიყოს.

გავჩუმდით ორივე.

— მე გეტყვით ერთ გამოსავალს — მიემართე ზამთარაძეს ცოტა ხნის მერმე, — მოელაპარაკეთ თქვენს ამხანაგს, ფული თუ გაქვთ. — დადეთ ნახევარნახევარი, უყიდეთ ერთი ბათიანი ფქვილი და ცოტაოდენი ყველი ავადმყოფებს. ბებრი არ დაგიჯდებათ ეს. ეგენიც მაძღრები იქნებიან და არც თქვენ დარჩებით უხერხულად. მანამდე მოაკითხავს ჭირისუფალი რომელიმეს. ასე აჯობებს, მგონია.

— მაგას ვფიქრობდი მეც, მარა ამ-

ხანაგთან გამხელა არ შეიძლება არაფრით არ დამრთავს ნებდას

— რატომ?

— მისი საქმეა ეგ.

— აბა, რას იზამს?

— რას იზამს და, შეიძლება თვითონაც არ მიეკაროს საქმელს, სანამდე მაგათ არ გამოუჩნდებათ საკვები. ასე იზამს ნამდვილად. მარა ამ ხალხის გასაქირში, არც თვითონ ჩაერევა და არც მე დამანებებს. ვიცი მე. დაფიცებული აქვს ასე. მისი საქმეა ეგ.

სხვა სათქმელი მე არ მქონდა და ხმა აღარც ზამთარაძეს ამოუღია კი ხანს.

დიდ პალატაში ხოსრო შემოვიდა, ავადმყოფებს წამლები მიადებინა და მილაგებ-მოლაგებას მიჰყო ხელი.

— არის ერთი კაცი ჩვენს სოფელში, ყარსის ომშია ნამყოფი, — მოისმა პალატიდან კვიშილაძის ხმა. — ხოდა, ცხენის ხორცის მწვადი მაქვს ნაქამიო, ამბობს. არ იცრუებს ის კაცი, ისეთი კაცია და მეც ასე ვფიქრობ, რომ რაა მერე, რა უჭირს ცხენის ხორცს, ვითომ? ბალახს, თივას, ქერს და შვრიას აქმევენ სამხედრო ცხენებს, სხვას ხომ არაფერს, რომ თქვას კაცმა.

— ცხენის ხორცის რა მოგახსენო, — გამოელაპარაკა ქუჩულორია, — მარა დროზე გამოუშვიგნავ ნანადირევს სუნი რომ დაეცემა და კაცს რომ ეგონება, გაფუჭებულია უკვეო, — არაა მართალი ის. კურღლელი მომიკლავს, ასე-ლია სუნი, მარა არ გადამივლია. გამოვიგნე, შე კაცო, გაატყავე, გარეცხე. კარგად და ისევე ის საქმელია, მაინც. სიმართლემ თუ გინდათ, უფრო გემრიელიცაა. რომ წამოაგებ, დაატრიალებ ცეცხლზე და რომ გამოუშვებს ცვარს, — უკეთესს რას ნახავს კაცი!

ხოსრომ ავადმყოფებს თვალი გადაავლო, თავი გაიქნ-გამოიქნია და წავიდა.

— დღეგრძელი ხარ, მაგას ვფიქრობდი სწორედ, — კვერი დაუკრა კვიშილაძემ. — ერთხელ, მთაში სხვისი მოკლული კაკაბი ეპოვნე. ასე, სამი დღის მოკლული იქნებოდა...



— ვერ გრძნობთ თქვენ, შიმშილი რომ ვალაპარაკებთ მაგას, — შეაწყვეტინა ვარამიამ. — არ შეიძლება შიმშილში საჭმელზე და მისთანებზე ლაპარაკი უარეს დღეში ჩაგავლებთ ევ. თავს ნუ გაიღიზიანებთ ტყვილად. ღმერთია მოწყალე. გამოჩნდება საშველი.

— საჭმელზე ლაპარაკი აღარ გავიგონო აქ! — ბრძანა ჭონიამ. ყველა გაჩუმდა.

— აუუუ! დაიღუპა ეს ხალხა, — თქვა ზამთარაძემ და ისევ ჩურჩულით მომმართა: — აგერ ფული, ჩემო ბატონო, პირდაპირ მათ რომ მივცე, არ ივარგებს; მადლობას ვერ დამალავენ, გაიგებს ოტია, სიდან და რა გზით გაუჩნდათ საჭმელი, და არ შეიძლება ასე. ხოსროს მიეცით ეს, იყიდოს ფთოში სანოვაგე და მურმანის სახელით მიცეს ამ უბედურებს. ა, გამომართეთ!

ორი საათიც არ იყო გასული, რომ ხოსრომ ბლომად სიმინდის ფქვილი და სამი ოცა სულგუნი შემოუტანა ავადმყოფებს და ბიძაჩემის სახელით მიართვა.

პალატა გაინაბა, მადლობის თქმა ვარამიამ მოიფიქრა მხოლოდ და ისიც მაშინ, როცა ხოსრომ კარი გააღო და გადიოდა. მერმე ისევ მიჩუმდა ყველაფერი.

თუთაშხია ისევ ვეფხისტყაოსანს ჩაჰკირკიტებდა, მაგრამ გულსყური ზამთარაძესავით იმ ამბავისკენ ჰქონდა. ბოლოს, სიჩუმე რომ დიდხანს გაგრძელდა, წიგნი გადადო და სავანგებოდ მიაყურა.

გაიარა კიდევ ცოტა ხანმა და მიჩუმებულ-მიკემნდილი პალატა უცბად ახმაურდა: ჭონიამ ქებას დაავლო ხელი, წყალი მოარბენინა, ცეცხლს შეუჩუჩხუნა, ტომარა გახსნა, ფქვილი პირისკენ გააქანა, დამწარებული ხომ არ არისო, გასინჯა... სხვები ბიძაჩემ მურმანის ქებას და თაყვანისცემას მოსდგნენ. კვიშლაძემ ამბავი წააოიწყო, აქ და აქ, ამ და ამ კაცმა, ასეთი და ასეთი სიკეთე ქნაო. ქუჩულორიამ — ტყუილია მაგ, ის კაცი მურმან თორისათ-

ნა კეთილი და ხელგაშლილი არაფერით არ იქნებოდაო. აწრიალდა და აფთრიაქდა პალატა. სანამღე ღომი მოეხრებებოდა და ჭამას შეუდგებოდნენ, ენა არც ერთს არ გაუჩერებია. იმ დღეს ჭონიამ კიდევ შედგა ქებაი და დააპურა ეს რამდენიმე დღის ნამშვევი ხალხი. შუალამე გადასული იყო, ქუჩულორიამ აზრი წამოჭრა, კიდევ ხომ არ მოეხარშოთო. დაუჭირეს მხარი, ატყდა ისევ ლაპარაკი და ღუმელის კარის ხრიგინი.

გვიანობამღე არ დამაძინა ხმაურმა, ძილი გამოფრთხა და როდის გამომღვიძა, ვერ ვიტყვი ახლა. ალბათ, დილის თერთმეტზე, ან უფრო გვიან. ერთი კია, ისევ ღომის სუნი ტრიალებდა, ისევ ხმაური იყო, დათა თუთაშხია არ ჩანდა. ზამთარაძემ გამიღიმა და მითხრა:

— დიდხანს გეძინათ დღეს. — მერმე ხმას დაუწია: — დილის აქეთ მეროდ მოხარშეს უკვე. სანამ თვალი არ გაძლება, კუჭი არ გაძლება იქამდე. შიმშილმა იცის ეს.

— სხვისია, ჭამენ, რა ენაღვლებათ, — მიუღე მე.

ხოსრომ თუთაშხიას და ზამთარაძეს საუზმე შემოუტანა. ზამთარაძე კარგ გუნებაზე იყო, მარდად წამოიწია, ჯამებში ჩაიხედა. ხოსრომ თავი აიენისკენ გაიქნია და თქვა:

— ბატონმა ოტიამ ბრძანა ასე. ღომი და სულგუნიო. სხვას ნუ მოგვიტან ნურაფერსო.

ზამთარაძემ ერთხანს მიყურა და ხოსროს კითხა:

— ხომ არ გაუგია რამე ოტიას... ფული რომ მოგეცით, ხომ არ გაუგია ეს?

— არ უკითხავს არაფერი, — მიუგო ხოსრომ.

— საიდან გაიგებდა, — დავძინე მე. ზამთარაძე დამშვიდდა, გულაღმა დაწვა და ამხანავის მოლოდინში ფიქრს

ვახუა ანინაჯიში  
დათა თუთაშხია

მიყვა. თუთაშხია მალე შემოვიდა, სა-  
უზმეს შეუდგნენ.

— მარხვას არ ინახავდი შენ, ოტია-  
ბატონო, და...

— რაც შეგვერგება და ადგილს რაც  
შეეფერება ის და იმდენი ვკამოთ ბე-  
სო-ჩემო, — ღიმილით მიუგო თუთაშ-  
ხიამ.

შემდგომი ხუთი დღის მანძილზე  
მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი  
აღარაფერი მომხდარა. ზამთარაძეს  
ფეხზე სიმსივნემ უკლო, გაბზარული  
ძვალი დაუამდა და უფრო თამამად და-  
იწყო ყვარჯნების ხმარება. დათა  
თუთაშხიასაც დაუცხრა ტკივილები,  
მკლავს თითქმის თავისუფლად ამოძ-  
რავებდა. ავადმყოფებმა ხოსროს მო-  
ტანილი საჭმელი ძირამდე დაიყვანეს.  
ზამთარაძე იძულებული იყო ისევ გა-  
ელო სახსარი და საკვები კვლავ გაჩნ-  
და. ცხენის ხორცისა და სუნდაკრული  
ნანადირევის ამბავს აღარავინ იხსე-  
ნებდა. ჰამდნენ, როცა მოისურვებ-  
დნენ. რამდენსაც მოეროდნენ და სა-  
ეჭოდ იყვნენ მიჩუმებულები. იშვია-  
თად ლაპარაკობდნენ, რალაც დაძაბუ-  
ლობა იგრძნობოდა.

ერთ დღიას ზამთარაძე თურქეთში  
მცხოვრებ ქართველი ტომების ამბავს  
მეკითხებოდა, ვსაუბრობდით. თუთაშ-  
ხია გარეთ იყო გასული. დიდ პალატა-  
ში ავადმყოფები საუზმეს აპირებდნენ.

— ჭონია აგერ, კვირაზე მეტია გი-  
ყურებ და... — მოისმა პალატიდან კვი-  
შილაძის ხმა. — გიყურებ და... ისე გა-  
ანაწილე მაგ ღომი და ყველიც, თუ კა-  
ცი ხარ, რომ ერთნაირად შეგვხვდეს  
ყველას!

ჭონიას ქუჩულორისთვის გაშვერი-  
ლი საინი ჰაერში გაუშვეს.

— ე, ეგეც იმისაა, — წამოურჩულა  
ზამთარაძემ, — ერთნაირ საჭმელს ჰა-  
მენ სულ, თვალი ვერ გაძდა და ისე ერ-  
ვენება, ვითომ მის საინზე ნაკლები  
იყოს ღომი.

— უყურეთ ერთი ამას! — წამოიძა-  
ხა ჭონიამ. — შენ ნაკლებს გიღებ და  
ჩემთვის მეტს, ხომ?!

— შენთვის მეტი რომ აიღო და ქუჩ-  
ქსაც რომ იტოვებ, მაგ არაფერი —  
ხარშავ და გერგება, მარა ქუჩულორის  
ჩემზე მეტს რომ უღებ და ვარამიას  
ჩემზე ნაკლებს, არ ვარგა მასე და მოი-  
შაღე მაგ! — უთხრა კვიშილაძემ.

— არ მიღებს შენზე ნაკლებს მე,  
არაა მართალი ეგ! — ხაზგასმით თქვა  
შესაძლო უთანხმოებით შეშინებულმა  
ვარამიამ.

— ჭონია არ იკადრებს მაგას, — დას-  
ძინა ქუჩულორიათ. — და სხვის საინ-  
ში ყურებას შენსაში იხედებოდე, აჯო-  
ბებს ის.

— არ მოგწონს ჩემი განაწილებული,  
ხომ? მაგერ ფქვილი, მაგერ ყველი,  
აგერ ცეცხლი და მოიხარშე შენთვის  
თვითონ. შენს არჩევს აღარ ვხარშავ  
მე! — განაცხადა ჭონიამ.

— ნუ წაიჩულებით, არ შეიძლება  
ასე, — თქვა ვარამიამ. — შიშოილი რომ  
იყოს, მაშინაც თავის შეკავება გვმარ-  
თებს და ამ თავსაყრელ სიმამლრეში  
ნუ დავკამთ ერთმანეთს. ჩემი არჩი-  
ვის ნახევარს დავჯერდები მე, არ მიწ-  
და მეტი, ძალით ვკამ, მაინც, და ის ნა-  
ხევარი თქვენ რომ შეგემატებათ, იკმა-  
რებს მაშინ.

— კვიშილაძისთვის არ ვხარშავ  
მე! — გაიმეორა ჭონიამ გადაჭრით.

— მოხარშეა არც მე შემიძლია და  
არც ქუჩულორისა და, აბა, მშვიერ-  
იყოს კვიშილაძე? — თქვა ვარამიამ.

— არ ვიცი მე!..

პალატის კარი დათა თუთაშხიამ  
შემოაღო, ლაპარაკი შეწყდა:

— გაძღნენ, ამოიყორეს მუცლები  
და დაესიენ ერთმანეთს, — წამოურჩუ-  
ლა ზამთარაძემ. — სიმამლრემ იცის ეგ!

თუთაშხია გაფაციკებული იყო.  
არც დაჯდა, არც საჭმელს შეუდგა,  
იტრილა ერთხანს და მერმე, ვითომ  
დიდ საიდუმლოს მელაპარაკებოდა,  
ხმადაბლა, დაძაბულად მითხრა:

— რალაც ამბავია იქ, კასრში.

— რა? — ვკითხე მშვიდად.

— ერთი ვირთავვა შუაში ზის და



კვდება, მგონია. სხეები მის გარშემო არიან შემომჯდარი, შესტეკრიან იმ ერთს... მის სიკვდილს ელიან, ალბათ.

ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. რომ დაიმშვევიან და დასუსტდებიან ცხოველები, როცა მათგან ყველაზე დაუძლურებული სიკვდილის პირზე მივა, მაშინ ეცემიან სხეები და შექამენ. აქ იმ ცხოველის დახსომებაა აუცილებელი, რომელიც პირველი მიიტანს იერიშს მომაკვდავზე. ამ ცხოველს დაცვა და საგანგებო მოვლა სჭირია, თორემ დაუძლურებულის შექმისას ერთმანეთში ჩხუბი მოსდით ვირთაგვებს და ნაკბენობა თუ მიიღო, იქნებ თვითონაც დაუძლურდეს და სხვისი შესაქმელი გახდეს. კაციჭამიას გამოყვანისას, ხანდახან ზდება ისე, რომ სულ ბოლო ცხოველიც კვდება — ნაკბენობა არ შეუხორცდება, გაუმიზვნდება წყლული და მოკვდება. ტყუილად დაკარგული შრომაა ასეთი შემთხვევა.

— ეგ უკვე შიმშილს ნიშნავს, ოტია-ბატონო, — ვთქვი მე და კარისკენ გავემართე.

თუთაშხია გამომყვა, მაგრამ კასრში საინტერესო უკვე აღარაფერი იყო გარდა იმისა, რომ შეიღის მაგიერ ექვსი ვირთაგვა დაგვხვდა. ერთ-ერთს შექმული ცხოველის კული მიესაკუთრებინა და უხალისოდ წიწკნიდა. დასახიჩრება და ნაკბენობა ვერც ერთ ცხოველს ვერ შევნიშნე. ეს იმას ნიშნავდა, რომ კანიბალიზმი იმავე დღეს აღარ განმეორდებოდა.

დათა თუთაშხია მოაჯირზე ჩამოჯდა, ზღვას ვაპყურებდა, დაფიქრებული იყო.

მოვითავე ჩემი საქმეები, მივუჭექე მაგიდას და ვარამიამ დაიწყო ლაპარაკი. სათქმელი კარგად მოფიქრებული და დალაგებული ქონდა:

— კაცმა რომ თქვას, ბატონი მურმანი ამ საქმელს რომ გვაძლევს, ხომ არ გვეუბნება ერთ ჭამაზე ამდენი ჭამეთო და მეტი არაო, რაა აქ სადავო და სალაპარაკო, არ მესმის მე. თუ

გვაკლდება ვინმეს, მოვხარშოთ მეტი და ის იქნება. კვიშილაძე-ბატონო, ასე მგონია, არ ხარ მართალი, ჭონიას ეუბნები, მე ნაკლებს მიღებ და სხვას მეტსო. საინებია სხვადასხვანიერი, თვალი ადვილად ტყუუდება, ამის ბრალია შენი სიტყვები. ჭონია-ბატონო, ზდება ხანდახან ისე, რომ ადამიანი შეცდება და გაკადრებს რალაცას. არ უნდა მოგივიდეს გული, თვარა, მან რომ თავისი შეცდომით ჩაიღინა, იმ შეცდომაზე უარესს ჩაგადენინებს წყენა და გაბრაზება. სწორედ ასე გამოგივა შენც, თუ დააქინდი შენსას. არაფერი არ მომხდარა ისეთი, წყენად და მაგიერის გადახდად რომ ღირდეს. დავიწყეთ, ახლა ის თქვენი წაქინკლავება. აგერ, ღვთის მადლით და ბატონი მურმანის მოვლა-პატრონობით, მოგჩეხებით ყველა წავალთ ჩვენ-ჩვენ ოჯახებში და ერთმანეთის ჯავრს ნუ წავიყოლებთ თან, არ ივარჯებს ჯავრის წაყოლება.

— მღვდელი ხომ არ ხარ, ვარამია შენ? — კითხა ჭონიამ.

ვარამიამ ისევ გადააღაგა თავისი თაბაშირები კედლისკენ, გადაბრუნდა და ცოტა ხნის მერმე ჩაილაპარაკა: — არ ვარ მე სასულიერო პირი.

— აბა, გაათავე მაშინ ლოცვა და ქადაგება. არაა შენი საქმე, რას ვიზამ მე!

ქუჩულორიამ ხმაძალა გაიცნა, მაგრამ ეს ისეთი გაცინება იყო, რომ ჭონიასაც და ვარამიასაც, ორივეს ერთდროულად, თავის მომხრედ შეეძლოთ მიეჩნიათ ქუჩულორია.

შუადღეზე ჭონიამ ქვაბი შედგა. ფქვილის მოკიდების დრო მოვიდა და იმდენი მოუკიდა, რამდენსაც წინა დღეებში ოთხი კაცისთვის ვარაუდობდა ხოლმე. ვიფიქრე, თავის მუქარაზე ხელი აიღო-მეთქი. ვერ გეტყვით რატომ: იმიტომ, რომ თავიდანვე ქონდა გადაწყვეტილი კვიშილაძისთვის არ ეწილა-

**ბაბუა ამირეჯიბი**  
დათა თუთაშხია

დებინა, თუ იმიტომ, რომ სწორედ ულუფებად გაყოფის წინ კვიშილაძემ იმ გარემოებისთვის უადგილო ლაპარაკი წამოიწყო, მაგრამ ჭონიამ გამზადებული საჭმელი მიიღო სამ ჯამში გაანაწილა და არა ოთხში.

კვიშილაძეს კი, აი, რა ჭონდა ნათქვამი:

— ვარამია-ბატონო, ჩახედული კაცი ჩანხარ შენ. რჯულში და სახარებაში რომ წერია, ვინმე თუ იხრჩობოდეს, ხელი გაუწოდე და ამოიყვანეო, — რანაირადაა მაგ საქმე, თუ იცი? რანაირადაა და, ვინც რჯული და სახარება გამოიგონა, ასე მაქვს ვაგონილი, ერთხელ თვითონ იხრჩობოდა, თურმე. ვის წინააღმდეგაც გამოიგონა ის რჯული და სახარება, იმან ჩამოიარა ამ დროს. შეეცოდა, კაცი რომ ნახა საიქიოს მიმავალი, გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და იმ ამოყვანილმა წიწილივით შექამა თავისი მსხნელი და გადამრჩენელი. რაც წერია რჯულში და სახარებაში, ის უნდა დაისწავლოს კაცმა და უკუღმა გააკეთოს. მერე: თუ ნახე სადმე, წყალწადებული რომ ამოსვლას ცდილობდეს, უნდა წაყარა ფეხი და დაიხრჩოს ჯობია, თვარა, ამოვა, მოითქვამს სულს, მოგიბრუნდება და შეგჭამს.

ვარამიას პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ დაინახა, კვიშილაძეს საჭმელი არ მიცესო, წამოიწია და უთხრა:

— აილე, კვიშილაძე-ბატონო, ჩემი საინი, ნახევარი გადაიღე შენთვის, მიირთვი ჭერ შენ და რომ გაათავო, მაქამე მერე მე.

ჭონიამ ულუფებში ჩაიციხა.

კვიშილაძემ არასგზით არ ქნა, — რომ შოკვედე, მაინც არ დაეჯარებ პირსო. ვარამიამ საკითხი გადაჭრით დასვა: თუ არ გამომართმევ, არც მე შეეჭვამო. კვიშილაძემ მაინც უარი განაცხადა.

ქუჩულორიამ თავისი ულუფა რომ შექამა, ვარამიას უთხრა:

— მოვრჩი მე. გადმობრუნდი ჩემსკენ და გაჭმევ ახლა.

ვარამიამ ჭამაზე ცივი უარი თქვა. დი დაე და რჩევა-დარიგება ატყდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვარამიას, არ ჭამა ვარამიამ. ერთიც კი, ქუჩულორიას ლაპარაკში პატარა სიყალბეც იგრძნობოდა. კიდეც უნდოდა ვარამიას დაბურება და არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ ულუფა უპატრონოდ დარჩენილიყო. ბოლოს ქუჩულორიამ ვარამიას ჯამს თითი დააშვირა და თქვა:

— თუ მართლა არ მიირთმევ, ბატონო ვარამია, ნუ გააცივებ მაინც. ავიღებ და მე შეეჭვამ მაშინ მაგ შენს ღმს.

— აღარაა ჩემი ეს, — მიუგო ვარამიამ წყნარად.

— თუ აღარაა შენი, აბა, არავისი არ ყოფილა... — ქუჩულორია გადაწვდა, აიღო და სასწრაფოდ შექამა, ალბათ, ეშინოდა, არ გადაიფიქროს პატრონმა და დაბრუნება არ მოითხოვოსო.

აეადმყოფების კინკლაობა ამით დამთავრდა. ზამთარაძემ დათა თუთაშხიას წაუჩუროჩულა:

— მაგ ღომი ვააფუქებს მაგათ. ნახავ, თუ არა!

— ასე იქნება, ალბათ. მუცლით სიმადღრემ იცის ეგ, მარა საშველი არის მაინც, — მიუგო თუთაშხიამ.

ზამთარაძემ ანიშნა, ბარემ თქვი, რასაც გულისხმობო.

— ან ის ცხრასახელიანი სეთური ჭირდება აქაურობას, რომ იმედი გაუჩინოს, იქნება, მაგენს... — თუთაშხიას სიცილი აუვარდა და გული რომ მოიჭერა, დასძინა: — ანაა და, მაგათ ღმს და ყველს საწებლად ტყვემალის უნდა წაუმატოს ვინმემ. მაშინ დაშომინდება პატარა ხნით. პატარა ხნით-მეთქი, ვამბობ.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ თუთაშხია ისეც თავის ამხანავს მიუბრუნდა:

— ბესო-ბატონო, კარგს იზამდი, საირმეზე მომხდარი ამბავი თუ არ გავვიმეორებოდა აქ. ლაზარეთი სხვა აღარ იცი, მგონია და რა ექნათ მერე?



რას გულისხმობდა დათა თუთაშხია, ჩემთვის გაუგებარი იყო, მაგრამ ზამთარაძე ბავშვივით გაწითლდა, — დათა თუთაშხიასთვის უკვე ნათელი იყო, თუ ვინ ამარაგებდა პალატას სანოვაგით.

— მშვიდები იყვნენ და რა მექნა, აბა, — წაილულულა ზამთარაძემ.  
— რომ გააძლე, მერე დაჰამეს ერთმანეთი, — მიუგო დათა თუთაშხიამ. — გეტლია, შე კაცო...

სალამოთი ჭონიამ მორიგი საჭმელი გაამზადა და ახლა აღარც ვარამიას უწილდა. მოხუცს ხმა არ დაუძრავს, მაგრამ ჭონიამ თვითონ აღსხნა მიზეზი:  
— ვარამია, არ ჰამ, მაინც, და მიტომ არ მოვხარზე შენთვის. რაც არ გინდა, ღმერთმა არ მოგცეს ის.

— უყურე ერთი ამას, ამ მათხოვარს და ღვთის გლახას! — აღშფოთდა კვიშილაძე. — მე რომ ამომიჩემე, — მე და შენ ვიცოდეთ მაგ ამბავი, შე ძაღლის შვილო ჭონია, მარა ამ საწყალ ვარამიას რას ერჩი. ნეტავი. იმისთვის თუ მოიძულე, მე რომ საჭმელი შემომთავაზა, ის მაინც რატომ დაგავიწყდა, თავისი ლუკმა რომ გაჰამა. მათხოვრად მოთრეულს სული მოგათქმევინეთ აქ და ახლა ოსმალოდ დაგვადექი და შიმშილით დაწყვეტას გვიპირებ, ხომ?!.

— კვიშილაძე-ბატონო, — სიტყვა ჩამოართვა ვარამიამ, — ერთი იცოდე: არაფერი პატივისცემა და კეთილი საქმე არაა, გაჭირვებულს შენი ლუკმა რომ გაუტეხო; კაცის მოვალეობაა ეგ. ეს თუ გეტყვი, აღარც დააყვედრებ მაშინ, ეს და ეს პატივი გეტყვი, და სინდისიც სუფთა გექნება. მასეთებს ნუ ილაპარაკებ, თვარა ჩაივლის ეს უსიამოვნება და რამდენჯერ ჭონიასთვის ნათქვამი სიტყვები მოგაგონდება, იმდენჯერ გაწითლდები და შეწუხდები.

— გაწითლებას ეს სისხლისმსმელი ყაჩაღი არ აპირებს, შე კაცო, და მე რა გამაწითლებს, ვითომ?

— ისეთს ნუ ვიზამთ, მერე რომ ვინანოთ. შევიკავოთ თავი. მოგვაკითხა-

ვენ ან შენ და ან მე დღეს თუ ხვალ, თქვა ვარამიამ.

— მიუყვით და ილაპარაკეთ, ჰე! — მშვიდად, განაღდებული საქმის პატრონივით თქვა ჭონიამ, და მაშინ მომავონდა, რომ ორი დღის მერე კვიშილაძის ცუცას უნდა შეხვედროდა წერილში მიწერილ ადგილზე.

პალატაში ხოსრო შემოვიდა, წამლების ყუთი შემოიტანა. ჭაჭლანი შეწყდა.

— ჭონია, არ იქცევი სწორად, — მიმართა ხოსრომ, როცა წამლების დარიგებას მორჩა და გასვლა დააპირა. — ბატონმა მურმანმა არ გაგიგოს ეგ. დაგითხოვს ლაზარეთიდან, იცოდე!

კვიშილაძემ იმწამსვე ჩაიფხუკუნა.  
— რა გაცინებს, ღორის შვილო, შენი! — დაუსისინა ჭონიამ.

ქუჩულორიამ შეშინებული თვალები მიაცეც-მოაცეცა, კენესა-კენესით ადგა და თქვა:

— რამ მაწყინა, ვიცოდე, ერთი. არასდროს არ მტკიებია მუცელი ასე.

— ზეზე დგომა შემძლოს და ღორის შვილი ვილაცაა, გაჩვენებდი იმას! — შეეპასუხა კვიშილაძე ჭონიას.

ქუჩულორიამ თავის გარიდება არჩია, კარი გააღო, აივანზე გაჩანჩალდა.

— ჰმ, ვითომ მუცელი ატკივდა, ამ მელაკუდას! — თქვა ზამთარაძემ, წამოიწია, ფანჯრიდან აივანზე გაიჭვრიტა, გაიცინა და ჩაიჩურჩულა: — აგერ დგას, კარზე უღვევს ყური.

— საიდან იცის ხოსრომ ეგ ამბავი? — იკითხა თუთაშხიამ ხმადაბლა და ვიგრძენი, რომ ზამთარაძეს საყვედურობდა.

— ჩემგან იცის, მე ვუთხარი, მაგრამ თავისითაც იყო მიხვედრილი ყველაფერს. ხოსრო ბრძენი კაცია, — მიუღგე თუთაშხიას. — ეს ხალხი ვინმემ თუ არ მოიყვანა ჭკუაზე, ალბათ, თვალბესაც დათხრიან ერთმანეთს, უბედურები.

**ზაზუა აშირაჯიზი**  
დათა თუთაშხია





გადასული იყო შუალამე, როცა ძლივს-ძლივობით ჩამქინა. დილითაც ადრე გამომეღვიძა. ერთი რაიმე გეგმა ან მკვიდრი გადაწყვეტილება არ მქონია, მაგრამ თავისთავად მოხდა ყველაფერი. ვისაუბრე, დავიჭირე ჩემი ფარაონი, ჩავისვი ჭიბეში და წავიყვანე ფოთში გასაყიდად.

ამ საქმეს რომ მოვრჩი, კაი მოშეიბული ვიყავი, ღუქანში შევედი, ვჭამე. მატარებლის მოსვლამდე, ასე, ორი საათი რჩებოდა. პაემნის ადგილას დროზე მისვლა იყო საჭირო, თვარა, ჭონია მიმასწრებდა და მისი იქ ყოფნა მოხერხებული ადგილის შერჩევას გამიძინებდა. წავედი და მალე იქ ვიყავი უკვე. შორს მოვიარე, კარგად დავზევრე, ფრთხილად მიეუახლოვდი ადგილს. ჭონია არ ჩანდა ჯერ. გზის პირას თხემლებში ბლომად შეშა ეყარა. იმ შეშებიდან დიდი ბუნავი ამოვამენე, ისეთი, გაჭიმულად წოლაც რომ შეიძლებოდა და, ვინმე თუ იყო დამალული შიგ, ადვილად ვერ მიხვდებოდა ვერაკაცი. ახლა მხოლოდ ის მქონდა საფიქრალი, რომ ჭონიას და კვიშილადის ცუცას შეხვედრა გასაგონარზე მომხდარიყო, თვარა, დანახვით — ვერსზე ჩანდა ყველაფერი.

დეკემბრის მიწურული თუ იანვრის დამდეგი იყო. ამ დროს ქვენა ქარი იცის. ქროდა, მაგრამ თბილოდა მაინც. მალე ბატონი ჭონიაც გამოჩნდა. ჩანს, მატარებლის მოსვლის დროც კარგად იცოდა და ამგვარ საქმეზეც არ იყო პირველად თავის სიცოცხლეში წამოსული — დინჯად, ინდოურრით გაფხორილი, წარმატებაში დარწმუნებული მობრძანდებოდა. ჯერ შეშები დაათვალიერა. მერმე გზის მოპირდაპირე მხარეზე გადავიდა, იქ ბუჩქნარი იყო და ქვაზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერმე, ალბათ, უკანალზე შესცივდა, ჩემსკენად მოვიდა ისევე, ერთი შეშა წაიღო და ქვეშ ამოიღო. კიდევ ცოტა ხნის მერმე თამბაქო გააბოლა. ნამწვავი რომ გადაავდო, ლიღინს მოჰყვა და ამ

დროს ფოთის სემაფორს მატარებელმაც მოაყვირა.

ჭონია ლაზარეთში რომ მოლასტუნდა, ბავშვი მეგონა პირველად, ისე პატარა და მილეული იყო. მერმე და მერმე ცოტა მოიკეთა, მაგრამ მაინც მეტისმეტად აკლდა ხორცი. ახლა შევცქეროდი ჩემი საფარიდან და ვფიქრობდი, ნეტავი რით ინახავდა ასეთი ქონდრისკაცი თავს-მეთქი. ბარბ და თოხი ჭონიას მესამე მოქნევაზე დაღლიდა, იმდენი ნასწავლიც არ ჩანდა, რომ რაიმე სამსახურით ეარსება: ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, ალბათ, სადმე დარაჯად იდგა, ან ღუქანში მსახურად მუშაობდა-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და „საბაჩი ვალსის“ სტვენა დიწყო. ვარიაციებით ასრულებდა. ააა, ოჯახშია, უთუოდ, ნამსახური! ოჯახში, თვარა, მაზრის უფროსს თავის ქალიშვილებთან გუვერნიორად ეყოლებოდა! საჯინიბოს ხვეტდა სადმე, ალბათ, მაგრამ ამასაც რომ ფიზიკური ძალა ჰქირდება?.. ერთი სიტყვით, ამაზე ფიქრს კარგად გადავაცოლე გული და გავერთე, სანამ ზურგიდან თუ საიდანაც უცნაური ფაჩუნი შემომესმა. მივიხედე, მაგრამ როგორ დაინახავს კაცი რაიმეს, როდესაც სანგრის მშენებლობისას ზურგიდან ვისიმე მოსვლა არ გამოთვალისწინებია და სათვალთვალეები არ დამიტოვებია. შეშებში, რაც ჭუჭურუტანები იყო, ყველაში გავიხედე. არავინ ჩანდა. ფაჩუნი კი, ამასობაში, ფეხის ხმად იქცა, — ნელა, ფრთხილად მიახლოვდებოდა ვიდაც. გავიფიქრე, ვაი თუ შეშის პატრონი მოვიდა, იქნებ გაზიდვას მიჰყოს ხელი, მეპაემნეებიც დამიფრთხოს, ამ შეშებში ჩამალული კაციც მიპოვნოს და მერმე რა ვქნა ან რა ვთქვა-მეთქი! ამ დროს ერთ ჭუჭურუტანაში ადამიანის ხელ-ფეხი დავინახე, ოთხზე იდგა ვიდაც. მაგრამ სახე და ტანი არ ჩანდა მისი. ავწრიალდი. ხან ერთ ჭუჭურუტა-

**ვახუა აშირაჯიზი**  
დათა თუთაშვილი



ნას ვეცი, ხან მეორეს და ზემოდან გადმოფარებულ შეშებს ავკარი თავი მაგრად. ბოლოს, ვიპოვე შესაფერისი ადგილი, გავიხედე და დათა თუთაშხია შემერჩა ხელში! ხანჯლებივით თვალები ქონდა თუთაშხიას, ადრეც მქონდა შემჩნეული ეს; ჩემი სამალავისკენ იყურებოდა პირდაპირ. ალბათ ჩემი წრიალი და ფაჩუნი რომ გაიგონა, შეშინდა და ახლა ხელში უზარმაზარი მალუხერი ეკავა. ვფიცავ შეილებს, სწორედ წარბებს შორის მეცემოდა ტყვია, შემთხვევით თითი რომ გამოეკრა ფეხისთვის, ან განზრახ რომ ესროლა.

— გამოდი მანდედან! — ჩურჩულით თქვა აბრაგმა, მაგრამ ის დაჩურჩულება ჩემთვის მეხზე უარესი იყო, გამოუცდელი კაცის ამბავი მოგეხსენებათ.

სამალავის უკანა კედელში შეშები გადაეწიე ფრთხილად და სახე დავანახე დათა თუთაშხიას. განაბული შევცქეროდით ერთმანეთს. მერმე თუთაშხიამ მალუხერი წელში გაიჩუო, გაიღიმა და მინიშნა, აქ რას აკეთებო. მეც, ჩემის მხრივ ვანიშნე. ჭონიას ვუთვალე თვალბ-მეთქი. სიცილი ვერ შეიკავა აბრაგმა, პირზე ხელი აიფარა. სამალავში შემოვიპატიქი, აქ უფრო მოხერხებულია-მეთქი. პატარა ხანს იფიქრა და შემოიმიერთდა.

— რა უნდა მოხდეს აქ? — ჩამჩურჩულა თუთაშხიამ.

მოეუყვები ყველაფერი. აიფარა პირზე ყაბალახი და ძალიან ბევრი და ძალიან გულჩანად იცინა. საერთოდ, ამ კაცს ერთი საოცარი თვისება ქონდა: ან ღრმად დაფიქრებული იყო და ან მხიარულობდა. ამ ორ სულიერ მდგომარეობას შორის საშუალო, რაც ხანს ლაზარეთში იყო, ერთხელაც არ შემიმჩნევია.

მოერჩით ჩურჩულს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, თუ რისთვის აედევნა ჭონიას ეს კაცი. პაემანის დაწყებამდე სულ ამაზე ვფიქრობდი. ადვილი შესაძლებელია, თუთაშხიას ალლოთი ქონდა პაემანის ამბავი ნაგრძ-

ნობი და ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა. არც ის არის გამორიცხული, რომ საღლაც წასვლის სამზადისში შეგმინე ჭონიას და იმის შესამოწმებლად გამოყვა, ხომ არ მიხვდა, ვინც ვართ მე და ზამთარაძე და პოლიციაში ხომ არ აპირებს მიბრძანებას და გამელავნებასო.

ამ ფიქრებში გართულს თუთაშხიამ გამკრა ნიდაყვი, ჭონიას შეხედეო, მანიშნა. ჭონია ისევ შეშაზე იჯდა, მაგრამ ახლა გაფაციცებით იყურებოდა ფოთისკენ. რამოდენიმეჯერ მოიჩრდილა თვალები. მერმე ადგა, ტანსაცმელი მიისწორ-მოისწორა, მოწესრიგდა. ბოლოს ისევ დაჯდა, თავი ჩაქინდრა და რალაც ფიქრებს გაყვა. მგონია, მოლოდინით გულგაწყალებული კაცის იერის მიღებას ცდილობდა, ვითომდა ეს რა მოსაწყენი ვალის მოხდამ მომიწიაო.

მალე ჩვენი თვალთვალის არეშიც გამონდა ის, რამაც ჭონიას ყურადღება დაიმსახურა. ერთი ვეებერთელა ქალი მოდიოდა. თავისი სიგრძე-სიგანის შესაფერი ხურჯინი მოჰქონდა, ხელში მძიმე კალათი ეჭირა. წყალზე მიმავალ სპილოსავით დინჯად, გამოზომილად და დაბეჯიდებით მოაბიჯებდა.

— ამხელა დედაკაცი თუ გინახავთ? — ეკითხე თუთაშხიას.

აბრაგმა გაიღიმა და თავი გაიქინია. დედაკაცი კი დიდი ხომალდით მოიწვედა, მალე გავვისწორდა კიდეც და შეჩერდა. ჭონიამ ზანტად აწია თავი, ქალს დადლილი თვალები შეავლო, მკვახედ კითხა:

— რას მომჩერებიხარ, ნეტავი? დედაკაცმა კალათი ძირს დადო, დონჩი შემოიყარა.

— შე კაცო, დედაშენს შენთვის სალამი არ უსწავლებია?! რას მომჩერებიხარო! მოგჩერებივარ, თვარა, ქვეყანაზე შენზე უკეთესს და ულამაზესს რას ნახავს ადამიანი! — მიუგო დედაკაცმა.

— წადი, ახლა, გაიარე, არ მომიყ-

ვანო მანდ! — ჭონია ადგა, ხალათი შეისწორა, გაიარ-გამოიარა.

დინჯად დააბიჯებდა, გაუწვრთნელი ახალწვეულივით უკულმა იქნევდა მკლავებს.

— დედა, რავა ჩასუნთქული დაიარება ე ბოვშვი! — გულწრფელად გაუკვირდა დედაკაცს და თქვა: — ვისი ხარ, ბიჭიკო, შენ? აქ ერთი კაცი უნდა დამლოდებოდა, ბუჩქნარი და თხმელე-ბი რომ არისო.

ჭონიამ სიარულს თავი დაანება, ქალს დააკვირდა, ვახზე გადმოვიდა და აღშფოთებით იკითხა:

— ცუცა დოდონაძე ხომ არ ხარ შენ, ბესია კვიციანი ქირისუფალი და სპირიდონა სიორიძის ცოლი?

— კი ვარ.

— კი ხარ და, რა სინდისია ეს, ამდენ ხანს რომ მალოდინებ აქ! მოვეკდი კაცი. უთენია დილას გამომაგდო იმ შენმა ბესიამ. დილის მატარებლით მოვაო. ჭონია ვარ მე. მომეცი, ახლა, რა ვაქვს გასატანებელი, არ მცალია!

კვიციანის ცუცამ ჭონია ათვალღერ-ჩათვალღერა, ტაში შემოკრა და გულიანად გაიცინა:

— კი, მარა, ქვეყნის სურსათ-სანოვაგე მომწერა იმ ჩემმა სულელმა, ძლივს მომაქვს ამხელა ქალს და შენ რაფრა უნდა ზიდო, ნეტავი, შე ჩხიკვო, შენი..

— გაათავე ლაპარაკი! ორ გზობად წავიღებ, რაც იქნება.

კვიციანის ცუცამ ერთი კიდევ ჩაიციინა, კალათი აიღო, წელში გაიმართა და ჭონიას კითხა:

— რაფრად არის იქ ჩემი კაცების საქმე? წამოდი, ჩამოვკვდეთ იგერ, შეშებთან და მიაბე დალაგებით.

დედაკაცმა თავისი ხელბარგი პირდაპირ ჩვენს ცხვირწინ დაალაგა. ჭონია ხურჩინს და კალათს მეორე მხრიდან მოუჭდა. სანამ ის კვიციანის და სიორიძის ავადმყოფობა-ყარგამყოფობაზე ტყუილებს ლაპარაკობდა, დედაკაცმა ხურჩინიდან მოხარშული დედალი,

ჭინტი ყველი, ბურჯაკის ხორცი და კვარტიანი ბოთლით არაყი ამოიღო. მერმე ორი კაი მოზრდილი ნათლმან ქაც გააჩინა, არაყი ჩამოსახა. მიუქახუნეს მეპაემნებმა, გადაკრეს და ჭამას შეუდგნენ.

სიორიძეზე ლაზარეთში რაც ითქვა, ჭონიას, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად ახსოვდა. სხვას, იქნებ, ათასნაირი რაიმე ჭონდეს გაგონილი ვინმეზე და მსმენელი კი ვერ დაარწმუნოს, რომ იმ ვინმეს პირადად იცნობდა. ჭონიას სიტყვების სიმართლეში კი ეშმაკიც ვერ შეიტანდა ეჭვს. ლამის მეც დავრწმუნდი, რომ სპირიდონა სიორიძეს და ჭონიას ახლო ნაცნობობა აკავშირებდა.

— მომშინია, თურმე. — თქვა დედაკაცმა. — სპირიდონა ოხერმა თუ იცის, ბესია ჩემს ქმრობას რომ აპირებს?

— როგორ გეკადრება! დაჭამენ ერთმანეთს!

— კი, დაჭამენ. სპირიდონას ჭალარა თუ გაუჩნდა, ნეტავი?

— სპირიდონას ხუთი წლის წინ არ ჭონდა ბეწვი თავზე და, ნეტავი, რა უნდა გაუჭალარავდეს ახლა?

— ხუთი წლის წინ რა ჭონდა და რა არ ჭონდა სპირიდონას, საიდან იცი შენ?

— საიდან და, აჯამეთის სადგურში ერთად ვმუშაობდით. სპირიდონა მესრეთ იყო, სანამდე ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადაუვარდებოდა. შპალის მუშად ვიყავი იქ. სპირიდონა რომ გააპანლურეს, მის მაგიერ მინდოდა დადგომა. არ ქნა ერთაოზ ნიკოლაძემ.

— მაგ კაცი რას აკეთებდა აჯამეთში?

— რას და, სპირიდონას ფეხზე თითებს ითვლიდა! რას გააკეთებდა, ნაჩალნიკ სტანციად იყო ერთაოზ ნიკოლაძე და დღესაც იქაა, მგონია. კაი ხანია არ ვყოფილვარ იქეთ, რა ვიცი, აღარცაა იქნებ.

**მანუა ამირეჯიანი**  
დათა თუთაშვილი

კვიშილაძის ცუცამ და ჭონიამ თითო არაყი კიდევ გადაკრეს.

— მაგ მართალია, სპირიდონას ექვს-ექვსი თითი აქვს ფეხებზე, მარა ერთი არ შვერა მე: ეს ქათმის სკინტილივით კაცი შპალს რანაირად ერეოდი, ნეტავი?

დედაკაცმა თვალეები მოქუტა და ჭონიას დააკვირდა.

— ავადმყოფობა და სენი ხეს გაახშობს, თუ შეუჩნდა. ასეთი არ ვიყავი მაშინ მე!

ქალმა ცოტა ხანს იფიქრა, თვითონ მესამე არაყი გადაკრა, ჭონიას არ მიცა, ნამეტანი მილეული ხარ, მოგერევა, ბარგს ვედარ მიიტან ლაზარეთშიო, და კითხა:

— რას ამბობს სპირიდონა სიორიძე, სად ვიყავი ამდენ ხანსო?

— არ ლაპარაკობს არაფერს. ბესიას სიტყვა ჩამოართვა, ცუცასთან არ გამთქვა, თუ მნახეო.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჭონია ყბა-გაუჩერებლად ჭამდა. დედაკაცი ფიქრობდა:

— ბესია თუ დამიბრუნდება მალე? რას ეუბნება ექიმი, როდის წახვალ შინო?

— ასე, ორ კვირაში აიდგამ ფეხს და შენით წახვალო.

— ბეჩა, რამდენი ჭამა შეგძლებია ამ ერთ ფიორა კაცს! — გაუკვირდა კვიშილაძის ცუცას. — კმარა, აწი. გადავიცილო, აგერ, ამ ტომარაში ჯერ ხურჭინის და წაიღე პირველი გზა, თვარა, სანამდე შენ იქ მიჩანჩალდები და დაბრუნდები, მატარებელი გამასწრებს ამასობაში.

— დედაკაცი ხურჭინის გადაცლას მორჩა, ერთი არაყიც დალია, ბოთლი ტომარაში ჩაუღო ჭონიას და ტვირთის მხარზე შეგდება უშველა.

— ჩქარა იარე, აბა ჰე!

ჭონიას ჩქარი სიარული საერთოდ არ შეეძლო. ამსიმძიმე ტვირთს ლაზარეთამდე როგორ მიიტანდა — გაუგებარი იყო, მაგრამ, ალბათ სიხარბემ და

საქმის წარმატებით დაგვირგვინებო წახალისა, რომ მაინც მიჩვენებდა და საკმაოდ მხნედაც.

— დაიტანება, ეს უბედური, მარა თუ მიიტანა იქამდე, ჩემს კაცებს საქმელი ექნებათ ერთ-ორ კვირას... ბესიას, თვარა, სპირიდონა-ოხერის სახელი გაწყდა და გადაშენდა! — თავისთვის ალაპარაკდა დედაკაცი. — არა, თუ გავონილა სადმე, ერთ დედაკაცს ორი ქმარი რომ ლაზარეთში ყავდეს ერთად, ერთი მეორეს გვერდით ლოჯინებში, ა?! — ცუცა კვიშილაძე ხარხარს მოყვა, მაგრამ იმ წამსვე პირზე ხელი აიფარა, მიიხედა-მოიხედა და აქვა: — ბეჩა, გიყი არ ვეგონო ვინმეს!.. ქმარი ქვია მაგას?! ჯერ იმიტომ შემირთო, ქცევა სიმინდის გათოხვნა რომ შემიძლია დილიდან საღამომდე. კიდევ იმიტომ, რომ ხორციანი დედაკაცი ვარ და სპირიდონას კი არა, ყველას გაუხარდება ჩემთან დაწოლა, კაი დედაკაცი ვარ მე, ყველა ასე მეუბნება და უნათოდ ვიცი ეს. ვაი თუ ბესიასაც მიტომ ვუნდივარ! რა იციან მაგათ ქალის სიყვარულის. თუ მოიფიქრა რომელიმე ერთი... ერთი... თუ გინდა, ერთი ფორიანი კამფეტის ყიდვა როდისმე ჩემთვის? მუშად ვუნდივარ მაგათ, ხარად და კამეჩად, თვარა... — ცუცას ცრემლები გადმოსკდა თვალეებიდან და მხევა ხელიანი-ხელიანი მოთქმას: — ქალის გაჩენის დღე დაიქცა, სულ ტანჯვაში და წვალევაში უნდა გაიყვანოს წუთისოფელი, უბედურმა. დედაკაციო! დედა — კი, თუ შვილები გეყოლა, მარა კაცად და ადამიანად ვინ მამაძალმა ჩავავლო, ნეტავი. მუშაობა — ქალს. ორსულობა, შვილების გაჩენა და მათი გაზრდა — ქალს. სატირალში ქალი ტირის, თვარა, კაცი? კაცი ზის და ღვინოს მიირთმევს, ოხერი. ქორწილში არის და სანამდე კაცები გამოთრობას ეღირსებიან, ქალი უნდა იჯდეს და იგენის საცოდაობას უყუროს. დედაა, რაფერი აბღლები არიან, რომ დაითვრებიან... არც



ისე უქნია ღმერთს. გამოთვრება კაცო და ქალმა უნდა ატაროს სახლამდე და შინ მისულს, თუ მოგვრია, გაგლახავს უსათუოდ. დაებადებულყავი კაცად, რა იქნებოდა, ვითომ. რა და, მოვიყვანდი ცოლს, გამიჩენდა შვილებს, იწვალებდა თვითონ და მე ქე ვიქნებოდი კარგად, არა, თვითონ რომ იწვალებდა, არ ვარგა ეს. აბა, მაშინ რა, თუ იცი? სულ არ შევირთავდი ცოლს! — დედაკაცმა ცრემლები ხილაბანდით შეიმშრალა, ხვლიბინს მორჩა და ოცნება ჩვეულებრივი ლაპარაკით განაგრძო: — არ შევირთავდი სულ. ქალების მეტი რაა ქვეყანაზე, ვიშოვნიდი ქალს, თუკი მობინდებოდა. წავიდოდი და შეიარაღებული კაცები რომ ყავთ, ჩავდგებოდი იმ სამსახურში მეც. ცხრა ფუთს რომ ვიწონი და ამხელა ონე რომ მაქვს, ტანად არ ვივარგებდი თუ თვალად! მოიცა, მოიცა, ჭიდაობას დავიწყებდი, ჭიდაობას! წამოვიღებდი და წამოვიღებდი კისრულით ამ ჭიდალუა კაცებს. მასე! სიმონიკა ვაჭარაძე რომ არის, მოჭიდავე, — სიმონიკაზე უკეთესი და ღონიერი რომელი იქნება, ქალაქებში ფულად რომ ჭიდაობენ, მათში? არავის! თუ არავინ და პელაგიას ქორწილში ღვინო რომ მომეკიდა და რომ გამაქეზეს, ხომ ვატარე სიმონიკა ვაჭარაძე ხელზე აყვანილი. საითაც მინდოდა, იქეთ გადავისვრიდი სიმინდის ტაროსავით. ახლა, ხერხსაც ხომ ვისწავლიდი! ვიარდი ამ ქვეყანაზე, ქალაქიდან ქალაქში და მოვიხვეჭიდი სახელს... ვაი, შენს თავს, უბედურს, მალაქია დოდონაძის ქალო! დედა შენ არ გყავს და მამა, შვილი და ქმარი. რა დაგრჩენია მეტი, ინატრე რაცხა სისულელეები და იყავი მასე! — ისევ აცრემლდა და აქვითინდა დედაკაცი, ისევ დაიწყო მოთქმა და ვაი-ვიში: — დაძმა მაინც გყავდეს. შე გამოწყვეტილო და პარტახო...

რალა ბევრი გავაგრძელო, იტირა ერთხანს კვიშილაძის ცუცამ და თვითონ რომ ვერ შეამჩნია, ისე გადავიდა, ჯერ სიმღერაზე, მერმე ღიღინზე დაიყ-

ვანა და ბოლოს ჩათვლიმა იმ ღიღინში. თხმელის შეშებში მიეძინა და შოშხმის ბულს და საცოდავს.

დათა თუთაშხია ისე იყო განაბული, ისეთნაირად ქონდა ჩაქინდრული თავი, რომ, მგონია დედაკაცზე აღრე მან ჩათვლიმა. არაფერი არ მოთქვამს მისთვის, სულერთია პაემანის ბოლომდე ცხვირს ვერ გავყოფდით საფარადან ვერც ერთი. გავიდა ხანი, თუთაშხიამ თავი აწია, მიაყურა და მანიშნა, ჭონია გვიახლოვდებაო. დედაკაცი, — ხვრინავდა-შეთქი, რომ ვთქვა, — ხვრინვა არ იყო ის, მაგრამ კაი გვარიანად ფშვინავდა. ჭონია თავზე წამოადგა, დარწმუნდა რომ ეძინა და დაცლილი ხურჯინი გაუჩხრიკა. ვერაფერი ნახა. კალათის ამოქექვას შეუდგა. ქალი შეინძრა. ჭონიამ ჩხრეკას თავი დაანება, ფეხზე ადგა და ხმამაღლა უთხრა:

— გაიღვიძე, ცუცა, მოვედი მე! დედაკაციმა თვალები გაახილა, წამოიწია, კალათის გადაცლას შეუდგა. ჭონია გვერდში მიუჯდა, ქალს თვალიერება დაუწყო, თითქოს პირველად ხედავდა, ისე შესცქეროდა.

— რამდენი წლის ხარ, ცუცა, შენ? — კითხა ჭონიამ.

— რამდენის და, ოცდათორმეტის. რატომ მეკითხები, მაინც?

— ოცდათორმეტის არ იქნები შენ. ოცდახუთის ან ოცდაექვსის იქნები. ძალიან ლამაზი და გემრიელი ქალი ხარ. ძალიან, რომ მეტი არ შეიძლება! ქალი შეკრთა, მაგრამ სულ ერთი წამით და ისევ სანოვავის გადალაგება განაგრძო.

— კი, მარა, ასე გაფურჩქნული, ყაყაჩოსავით აყვავებული და სადღეოდლო ქალი, უქმროდ როგორ ხარ და როგორ ძლებ, საკვირველია სწორედ.

— გავიხმეს მაგ თავი შენ! — ქათინაური იუხერხულა ცუცამ. მერმე გაშეშდა უცებ, დაფიქრდა პატარა ხნით და უთხრა: — მასეთებს რომ მიბედავ

**მანუა აშირვაჯიანი**  
დათა თუთაშხია



და მეკითხები შენი... როგორ ვძლებ და ვძლებ როგორღაც. რა ვქნა, აბა, და რა წყალში გადავევარდე, ნეტავი. ვარ ასე, ა, — გულწრფელად, მწარედ დააყოლა დედაკაცმა.

— ოხერი და ბრმა რომ იქნება კაცი, ის თქვი შენ, თვარა, შენისთანა ცოლის პატრონს, რა უნდოდა კიდევ, სპირიდონა სიორიძეს. კაცები ვიცი ისეთი მე. არაფერს არ დაინანებენ შენისთანა ქალის ქმრობისთვის, — ქათინაურებს უმატა ჭონიამ.

კვიშილაძის ცუცა ილიმებოდა. ჩანს, სიამოვნებდა ჭონიას სიტყვები. ისე სიამოვნებდა, რომ ბავშვივით იყო გაბადრული იმხელა დედაკაცი.

— სადაა ღმერთი და მისი სამართალი, თვარა, ადამიანისთვის აი ერთი სიტკბოების მეტი სხვა სულ უბედურება აქვს მოგონილი და მაგ ერთიც რომ მოგაკლო და წაგართვა — რაა ეს?

— უიღბლო ვარ, ჭონია, მე და უბედური ვარ, — მიუგო დედაკაცმა, — არ მარგუნა ღმერთმა ოჯახი და მისი სიტკბო.

— თვითონ იუბედურებ თავს და ვინაა დამნაშავე, შე საცოდარ... — თანაგრძნობით უსაყვედურა ჭონიამ. — კაი, და, რომ მოგავინდებდა ხოლმე ალერსი და ქმრის სიყვარული, რას შვრები მაშინ?

— რას ვშვრები და ვითმენ. რას ვინამ მეტს. დავიწყებ ფიქრს აქით ძროხაზე და ღორზე, იქეთ ქათმებზე და ყანაზე და მავიწყდება მაშინ ის საწუხარი... აღარ მელაპარაკო მასეთები, ვითხარი მე! — უეცრად გაწყრა დედაკაცი.

— ეეჰ! — ღრმად ამოიხვნეშა ჭონიამ. — ესაა ღვთის სამართალი?

ისე მოიწყინა ჭონიამ, ისე მოიღუშა და მოიბუზა, ვიფიქრე, ტირილს მოყვება-მეთქი ახლა, მაგრამ ამის მაგივრად ხმადაბლა, ალერსიანად, შემპარავად დაუწყო ქალს:

— უცოდველი დეკუელი ხარ შენ და უმანკო სამოთხის ფრინველი, ჩემო

ცუციკო, ჩემო. ვინ თქვა, ღმერთი არ არის ქვეყანაზეო! აბა, ვინ გეძინებდა შენა ერთმანეთთან და ერთმანეთთან თვის? აგერ არ ვარ მე? მოგიალერსებ ახლა, სიყვარულს გაჩუქებ ჩემსას და ისე გაჩუქებ, რომ არ დაგავიწყდეს, იქნება, არასოდეს. ნახავ, ასე თუ არ იქნა.

ჭონიამ დედაკაცის მკერდს შეავლო თვალი, მიეპარა, ხელის წაღლებაც დაუპირა. გამბედაობამ უღალატა, გადაიფიქრა. კვიშილაძის ცუცა თავის საქმით იყო გართული, მაგრამ ჩანდა, რომ ჭონიას ახალ სიტყვებს თუ საქციელს გაფაციცებით ელოდა. ამასობაში კალათი თითქმის დაიცალა. ჭონიამ განზრახვის გადადება, ეტყობა, მიზანშეუწონლად მიიჩნია და ქალს გულისპირში ხელი ხვლიკივით ჩაუცურა, იმ ვეებერთელა მკერდში ჩაუყურყუმელავა. დედაკაცი კალათს დაეთხოვა, მორაშიყეს მიუბრუნდა, გულდასმით დააცქერდა.

— მაგარი ვარ მე, ძალიანი მაგარი ვარ. მოდი ჩემთან. ჩემისთანა არ გყოლია, იქნება, არასდროს. ნახავ, თუ არა! — ჩაურთო ჭონიამ ტკბილ-ტკბილი სიტყვებისა და ქათინაურების ნაკადში.

დედაკაცმა გულიანად გაიციინა და სიცილითვე კითხა:

— რა გინდა, ჭონია, შენ, თქვი თუ კაცი ხარ.

ჭონია ტუჩებში ჩააფრინდა, კოცნა დაუპირა. დედაკაცმა ხელები საფეთქლებში მოკიდა, გაიშორა და უთხრა.

— რომ დავალო პირი, შევისუნთქო და ჰაერთან ერთად შეგეყოლო უცაბედად შენც, რას შვრები მერე?

კვიშილაძის ცუცამ, ალბათ, ეს სურათი წარმოიდგინა და იმდენად გამხიარულდა, რომ ახლა სიცილისგან გადმოსკდა ცრემლები. მერმე უცაბად, მოულოდნელად გაინაბა, დაიძაბა, შუბლო შეიკრა, მიადგა საცოდავ ჭონიას და ცემა დაუწყო. როგორ ცემდა! სასტიკად ცემდა და თან ეუბნებოდა:

— ჩემი კაცების მეგობარი ხარ შენ?



ჩემი კაცების — შენი მეგობრების ცოლთან საქმის დაჭერა მოინდომე, ხომ? ა შენ, ა კიდევ! მაგარი და ძალიანი მაგარი ხარ, ხომ? მასე ტრაბახობთ ყველა, თქვე მამლაცინწებო და საპყარებო, თქვენ! თვალის დახუჭვას ვერ მოასწრებს ადამიანი და გარბიხართ, — ველარ დაგეწევათ ეშმაკი! ა შენ, ა შენ, ა კიდევ, მაგრები და ძალიანი მაგრები რომ ხართ, იმისთვისაც!

ისეთ დღეში ჩააგდო ბიძაჩემ მურმანის ავადმყოფი კვიშილადის ცუცამ, რომ კინალამ მივტოვეთ მე და დათა თუთაშხიამ ჩვენი საფარი, იმ პირგამეხებული და ვაცეცხლებული დედაკაცის დასაოკებლად.

ჭონიას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. სახეზე ხელებს და მკლავებს იფარებდა მხოლოდ. მერმე ამის არაქათაც გამოელთა და მაშინ იყო ცხვირპირიც რომ დაუსია დედაკაცმა.

— აიღე, ახლა ეს ტომარა და გაჭრი აქედან! — დაუტატანა ცემით თავგაბეზრებულმა ქალმა თავის მსხვერპლს.

ჭონია რის ვაი-ვაგლახით ადგა. კვიშილადის ცუცამ ტომარა აიტაცა, მხარზე დაუგდო და ხელი წაქრა, — წადი, იარეო. ჭონია დაიძრა. ათიოდე ნაბიჯი არ ქონდა გავლილი, ქალმა უთხრა:

— დადე მაგ ტომარა და მოდი აქ!

ჭონიამ ბრძანება შეასრულა, მაგრამ ყოყმანით, შიშით მოდიოდა დედაკაცისკენ.

ქალმა კისერში ჩაიკიდა ხელი, გულსპირში კოტიტა თითები ჩაიყო, დაკეცილი ქალღმრთის ფულები ამოაცოცა იქიდან და ჭონიას ჩაუდო ჯიბეში ის ფულები. მერმე გზაზე დატოვებული ტომრისკენ მიატრიალა ჭონია, აწია, გაისროლა და ტომარასთან დააგდო.

— ადექი, ახლა, თვითონ აიკიდე მაგ ტომარა. თუმანია ეჭიმისთვის მისაცემი მანდ. სრულად ჩააბარე ბესიას ყველაფერი, შე მამაძაღლო, თვარა, მოვალ ერთი კვირის მერე მე და რაცხა ძალიანი მაგარი ხარ, მაშინ განახებ და დაგმატებ კიდევ!

დედაკაცმა გზა-გზა მიმლოღვ ჭონიას იქამდე უყურა, სანამ ის გორაკს გადაკდებოდა და თვალს მიეფარებდა.

— ნამეტანი მომივიდა. არ უნდა გამელახა ასე... გლახის ჭირი, ეგ! — ჩაილაპარაკა კვიშილადის ცუცამ.

ნელი ნაბიჯით ვბრუნდებოდით, ჩუმი ვიყავით. უკვე ლაზარეთს მივუახლოვდით და მხოლოდ მაშინ დაარღვია სიჩუმე თუთაშხიამ:

— რა ეშველება ამ საქმეს, ნეტავი?

— რომელ საქმეს? — ვკითხე, რადგან უცბად ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ჩემი თანამგზავრი თავის ფიქრებში იყო. სანამ გამოერკვა, კაი ანა ნაბიჯი გავიარეთ კიდევ. მოაგონდა მერმე, რომ მისგან პასუხს ველოდი და თქვა:

— ამ ყველაფერს, ერთად.

— მართლაცდა, როგორ მოვიქცე, რას მიჩრევთ თქვენ. ეგ ჭონია ბიძაჩემისთვის მისაცემ ფულსაც ჩაჯიბავს, ალბათ. ასე ვფიქრობ მე.

კიდევ დიდხანს იყო სიჩუმე. აივნის კიბეებზე ავდიოდით, თუთაშხიამ მაშინდა გამცა პასუხი:

— თავისით უნდა გაირკვეს და ჩადგეს, ემ საქმე კალაპოტში. თავისით მორიგდებიან და მოწესრიგდებიან ეგენიც და ის ფულიც.

აივანზე ავედით. ვირთაგვებს ჩაეხედე, ცვლილება შეენიშნე და თუთაშხიას ვუთხარი:

— კიროსი შეიჭმევა.

— საბოლოოდ ეგ დარჩებაო, ასე არ იყო ნათქვამი?

— რა მოხდა, თუ იცით. ეგ ცხოველი სხვებზე ვაცილებით ღონიერი და სალი იყო. მოერია სხვებს, ყველაზე დიდი წილი შეჭამა, ის ორი ცხოველი რომ გაგლოჯეს, იქიდან, და აწყინა ამან. ვერ მოინელებს, მოკვდება. ხომ ხედავთ, როგორაა მობუხული. დღესვე თუ არა, ხვალ უეჭველად გაგლეჯენ მაგას.

პალატაში ჭონია ტომრის დაცლით,

ვაზა აშირეჯიანი  
დათა თუთაშხია

სანოვაგის დაბინავებით იყო გართუ-  
ლი. შემოგვხედა. ვიგრძენი, რომ მის  
გონებაში ეჭვის სიმი დაიჭიმა. ან იქ-  
ნედ ეს ერთგვარი გაფაციცება იყო  
იმის გამო, თუ რას ვფიქრობდით ჩვენ  
იმ აუარება სანოვაგეზე, რომელიც მას  
ასე ერთბაშად და მოულოდნელად გა-  
უჩნდა მაშინ, როცა თვითონვე ქონდა  
ბიძაჩემისთვის ნათქვამი, ქვეყანაზე  
არავინ მყავს და ჩემი მიმხედვის მო-  
ლოდინი ნურავის ექნებაო.

ავდამყოფები რა თქმა უნდა, არავი-  
თარ მონაწილეობას არ იღებდნენ ქო-  
ნიას სამეურნეო საქმიანობაში, გასუნ-  
ტრული იყვნენ. ყოველ მათგანს ისე  
ეჭირა თავი, თითქოს, არც ქონია იყო  
იქ და არც მისი ხორავი, მაგრამ ჩან-  
და, რომ ყველას ერთი საფიქრალი ქონ-  
და: საიდან გაუჩნდა ამდენი სიმდიდრე  
ქონიას?

ფანჯრების რაფებზე ქილები, ქოთ-  
ნები, პარკები და სხვადასხვა ზომის  
ბოთლები ელადა. კედლებში აქა-იქ  
შერჭობილი ლურსმნებიც აეთვისებო-  
ნა ქონიას: იქ ფქვილის პარკი ეკიდა,  
აქ კანაფზე აცმული სულგუნები. ზოგ-  
ზე — ბოლში გამოყვანილი ბარკლე-  
ბისა და შაშხის ვეებერთელა ნაჭრები...  
ერთი სიტყვით, პალატა შეძლებული  
ოჯახის საკუქნაოს დამსგავსა და, ამას-  
თან ერთად, ციხის გოდოლს, რომელსაც  
საძირკველში ნაღმი და ლაღუმი ქონ-  
და შემარჯვებული.

ქონია, სარჩო რომ დააბინავა, ვახ-  
შამს შეუდგა. გაფიცებულ ხაჭაპურს  
შეეჭვა, მერმე არაყი გადაკრა და ქინძ-  
მმარი მიაშველა მოხარულ ლოქოს.  
ამას, რატომღაც, ცივი მჭადი, ნიორი  
და შაქარი დააყოლა. თითქოს, გაძღა:  
ვახშმის მონარჩენი დააბინავა, ჯამი გა-  
რეცხა, წამოწვა კიდევ, მაგრამ ცოტა  
ხანში ფელამუში მოინდომა და სავსე  
კათხას კაი ძალი მიაკლო. ისე ვააფთრე-  
ბული ჭამდა, ვითომ სულ ერთი საათის  
წინ არ ყოფილიყო, ცუცა დოღონაძის  
დედლის ძელებს თავზე რომ გეყაროდა  
მე და დათა თუთაშხისას.

ვარამია კედლისკენ იყო მიმბრუნ-  
ბული, მძინარეს გავდა. კვიშილადე კრი-  
ალოსანს აკაკუნებდა, ქონიასკენ ნუკ-  
ხელაც არ გაუხედა. ქუჩულორია მალ-  
ვით, ქურდულად და საგანგებო გულის-  
ყურით თვალს ადევნებდა ქონიას ვახ-  
შმობას, მის სასმელ-საჭმელს, ჭურ-  
ჭელს და როცა დარწმუნდა, რომ ქო-  
ნია არაფერს უწილადებდა, ღვარძლი-  
ანად იკითხა:

— კი მარა, საიდან მოიტანე, შე  
უბედურო, ამდენი საჭმელი, ნეტავი?  
ქონიას ყურიც კი არ უთხოვებია.

დათა თუთაშხია ჩვენს თავგადასა-  
ვალს და პაემანის შინაარსს დიდ-  
გრძნობით უჩურობდა მოსე ზამ-  
თარაძეს. ზამთარაძე სიცილით იხრჩო-  
ბოდა; ხანდახან მოწოლილ ხარხარს ვე-  
ლარ იკავებდა და მისი მჭექარე ხმა კედ-  
ლებს აზანზარებდა.

— ქუჩულორია, ჩაუწიე ლამფას, და-  
ვიძინოთ! — ერთობ გადაჭრით ბრძანა  
ქონიამ.

ამან ერთგვარი დაბნეულობა შემო-  
იტანა.

— შე კაცო, ქათმები ხომ არ ვართ,  
რომ დაბინდებდა, ქანდარაზე შევსხ-  
დეთ მაშინვე, — მიუგო ქუჩულორიამ  
ცოტა ხნის მერმე რბილად. — მოვხარ-  
შავთ ლომს, რაცხა ყველის ნაჭრები  
გადაგვრჩა, მივატანთ იმას და დაძინე-  
ბის და დაუძინებლობის მერე ვილაპა-  
რაკოთ.

— არ არის ჩემი საქმე ივანშემით თუ  
არ გივანშემით და დაგრჩათ თუ არ და-  
გრჩათ, ყველაა თუ კობტონი. ვთქვი  
მე, ჩაუწიეთ ლამფას და დავიძინოთ!  
ხმა აღარ გავიგონო არავისი. დაღლი-  
ლი და დაქანცული ვარ ნამეტანი!

პასუხი დიდხანს არ გაუბეღია არც  
ერთს. მხოლოდ ვარამიამ ჩაილაპარა-  
კა:

— მეტი რა ვითხრა, ადამიანი არ  
იყო შენი!

— ჩაუწიეთ, ჩაუწიეთ! არ ვარ თქვენ-  
თან ლაპარაკის ხასიათზე! — ქონიამ  
ავადმყოფებს გადახედა, მიხვდა, რომ



ასე ადვილად არავინ დაემორჩილებოდა, წამოდგა, თვითონ ჩაუწია და დაწვა. კვიშილაძეს ლოგინიდან წამოდგომა სხვის დაუხმარებლად არ შეეძლო, ლამფა მისგან შორს იყო, ეს მართალია, მაგრამ ასეთ ვითარებაში სიტყვიერი წინააღმდეგობა ხომ მაინც უნდა გაეწია? ხმა არ დაუძრავს. ვარამიას ადგომა შეეძლო, მაგრამ თაბაშირიანი ხელებით მაინც ვერაფერს გახდებოდა და, მეორე მხრივ, მისი ხასიათის კაცისგან, რაც თქვა, იმაზე მეტი ძნელი მოსალოდნელი იყო. არც ქუჩულორიას გაუმძღვანებია თავისი დამოკიდებულება შექმნილი ვითარების მიმართ. საქმეს ისე ეტყობოდა, რომ ლამფა ჩაწეული და საღამოს ღომი შეუქმელო უნდა დარჩენილიყო.

ასე გავიდა ათი თუ თხუთმეტი წუთი და ბუკის ხმა სულ სხვა მხრიდან გაისმა: ჭონია ჩვეულებრივზე უფრო ცქვიტად წამოხტა და აივანს მიაშურა, თუმცა აივანი რა შუაშია. — საითაც მას მიეჩქარებოდა, იქამდე კიდევ კაი მანძილი ჭონდა გასავლელი, თუ, რა თქმა უნდა, ხოსროს მტკიცე მითითებას არ დაარღვევდა.

გაიხურა კარი ჭონიამ და კვიშილაძემ სიცილი მიაყოლა. — რა გაცინებს, შე გამოთავყანებულო, შენ! — შეუტია ქუჩულორიამ.

კვიშილაძემ უნებლიეთ ხმა ჩაიწყვიტა:

— რავა?!  
— რავა, და... — ქუჩულორიამ თვალი ჩვენი კრეტსაბმელისაყენ გამოაპარა, კვიშილაძესთან მიიჭრა და სათქმელი ყურში ჩასჩურჩულა.

— რაიო?... ჰა?... — აღმოხდა კვიშილაძეს. — მომიტანე აქ!

ქუჩულორიამ ლამფას აუწია, ფელამუშის კათხა მოიტანა და კვიშილაძეს გაასინჯა.

— აუუუ! — იყვირა კვიშილაძემ. — აუუუ!

ვარამია გადმობრუნდა.  
— ჩემი ცუცას კათხა! აუუუ!

— ჭონია შეიკმება, ნამდვილია ეს! — თქვა ზამთარაძემ.

— მოერევიან, ვითომ? ნამეტანი ხედია, მამაძალი, — დაეჭედა თუთაშხია.

— მასეთი საქციელისას ჯარიან მეფეებს ჭამენ, — მიუგო ზამთარაძემ.

— ჩემი ცუცას კათხა! აუუუ! — ჯერჯერობით სხვას ვერაფერს ახერხებდა აღმოჩენით თავრეტდასხმული კვიშილაძე.

— კაცო, რაღა მაინცდამაინც შენი ცუცასია მაგ კათხა, გურია და აჭარა მთლად კათხების ქვეყანა და არც იმერეთშია ნაკლები, — თქვა ვარამიამ.

— სსსუ, გაჩერდი შენ მანდ, — დაუსისინა ქუჩულორიამ. — ცუცას კათხას კვიშილაძე კი არა და, ას კათხაში მე გამოვარჩევ თვალზეტუხა. ცუცასია მაგ, სახელურს ორივე მხარეზე ჯვრები აქვს. კვიშილაძე, გამოიხედე აქეთ! გაჩუმდი, ახლა, შენ, იწეკი მასე და გეჭიროს კათხა. ვნახოთ, რომ შემოვა, რას იტყვის, წუპაკი მამაძალი, ეგ!

პალატაში სიჩუმე ჩამოდგა. ჭონია იგვიანებდა.

— უყურე შენ! რას თლაფავდა და თლაფავდა, ოხერი, იმ სხვის საქმელს, ჰა! აბააა! — ქუხილივით გაისმა ქუჩულორიას აღშფოთება იმ დაძაბულ და კოკისპირულისთვის მიყუჩებულ ჰაერში.

ისევ დუმილი იყო. ქუჩულორიამზე მიშტერებული კვიშილაძე თავის მორიგი „აუუუუსთვის“ მოემზადა, მაგრამ ქუჩულორიამ ანიშნა, არ გაბედოო და ცუცას შეყვარებულს სათქმელი პირზე შეაშრა.

ჭონია დაბრუნდა.

— ვინ აუწია ლამფას! — ისე იკითხა მან, რომ ამ საქმის მქნელს სიკვდილი არ უნდა აცდენოდა.

კვიშილაძემ კათხის ხუფი გაატკაცუნა. ჭონიამ ხმაზე მიიხედა. წამით, მხოლოდ წამით შეცბა. მერმე კატასავით

**ვახუა ამირეჯიანი**  
დათა თუთაშხია

ისკუპა და კათხას ჩააფრინდა. კვიში-  
ლაძე კათხას მოეშვა, ცალი ხელი ჩავე-  
ლო ჭონიას, მეორეთი შეშის ნაჭერი  
იტაცა და გამეტებით ჩასცხო. ჭონია  
ძირს დაეცა... მაშინ ქუჩულორია უმაღ-  
ვე იქ გაჩნდა და, სანამ მე გასვლას და  
გაშველებას მოვისაზრებდი, საწოლებს  
შუა ჩაკუჭულ ჭონიას წიხლები ისე მარ-  
დად და მოხდენილად დაუშინა, ვითომ  
ხერხემლის არეში ტკივილები არც  
არასოდეს ჭონია. შეყვირებებზე და  
ბრაზუნზე ბიძაჩემი მურმანი და ხოს-  
რო თავისი ოთახიდან გამოცვივდნენ.  
მურმან თორიას ლაზარეთის მთელი მო-  
სახლეობა შემთხვევის ადგილზე იყო.  
— რა ხდება აქ? — დაიძახა ხოსრომ.  
ჭონიას ნიშადური აყნოსეს, მოასუ-  
ლიერეს.

— არაფერია, მურმან-ბატონო, ვი-  
ხუმრე რაცხა, — ჩაიკვნესა ჭონიამ და  
კვიშილაძეს უსაყვედურა: — ხუმრო-  
ბა არ იცი შეენ?

— ა, შეხედე ავას!.. — წამოიძახა  
კვიშილაძემ და უმაღლვე ხმა გაწყვიტა.  
ისევე სიჩუმე ჩამოვარდა. მურმანი  
კაი ხანს იდგა, ეგება ვინმემ გამაგები-  
ნოს, აქ რა ამბავი ტრიალებსო, მაგრამ  
ყველა თავისთვის იყო ხმაგაკმენდილი.

მეც შემომხედა მურმანმა. ვანიშნე,  
მერე გეტყვი-მეთქი.

— ჰკუთთ იყავით. ჩხუბი და უსია-  
მოვინება არ გავიგონო აქ! — თქვა ბი-  
ძაჩემმა და წავიდა.

ჩვენც ჩვენს ოთახში შევბრუნდით.  
ჭონია ძაღლივით მოკუნტულიყო საბ-  
ნის ქვეშ. ქუჩულორია ცუცა დოღონა-  
ძის მოტანილ სანოვავეს, წინასწარი  
მოხილვის შემდეგ, კანონიერი მფლო-  
ბელის სურვილისამებრ უცვლიდა აღ-  
გილს: მის სასთუმალთან და მისი საწო-  
ლის ქვეშ ალაგებდა ყველაფერს.

— შეიჭამა ჭონია, — აღნიშნა ზამ-  
თარაძემ.

ქუჩულორია სანოვავის გადალაგებას  
რომ მორჩა, ქვაბი შედგა, ვაზშშის სამ-  
ზადისს მიჰყო ხელი. სანამ ღომი გამ-  
ზადდებოდა, ჭონიამ კიდეც ორჯერ თუ

სამჯერ კენესითა და წყევლით მიამუ-  
რა აივანს. ეს კვიშილაძისა და ჭონიას  
რიას ღვარძლიან შენიშვნებს იწვევდა.  
ვარამია ჩუმად იწვა, ბორგავდა, ხანდა-  
ხან ამოიკვნესებდა ხოლმე, მომხდარმა  
ამბავმა მოსვენება დაუკარგა. კვიშილა-  
ძემ მეფური სუფრა გაშალა, თითო ჭი-  
ქა არაყიც ჩამოარჩავა. მიდიანად, ძლო-  
მაზე შეეჭკნენ. ნაეახშმევს კიდეც წაი-  
საუბრეს ცოტა და დაშოშმინდა ლა-  
ზარეთი.

ღილით იმან გამოძლივდა, რომ ზამ-  
თარაძემ ჭონიას გასძახა, შემოდოო.

ჭონიამ კრესტსაბმელი გადაწია,  
ზღურბლზე შემოდგა.

— მოდი ახლოს! — უთხრა ზამთარა-  
ძემ.

ჭონია დაემორჩილა.

— ცუცა დოღონაძემ კვიშილაძისთ-  
ვის გადასაცემად ექიმის ფული რომ  
მოგცა, რას უპირებ იმას? — კითხა  
აბრავამ.

ჭონია, ერთი პირობა, შემამლებული  
ქუჩივით გაიფხორა, ჩხუბი დააპირა,  
მაგრამ მერმე უცბად იხტიბარი გაუტ-  
ყდა, უბეში ხელი ჩაიყო, ცუცას მიცე-  
მული ფული ზამთარაძეს გაუწოდა და  
წაილულლულა:

— რა იცი შენ?

— მე რომ გამომიშვირე მაგ ფული,  
რაეა, მურმან თორია მე ვარ, თუ?

ჭონია შეყოყმანდა.

— რა ეჭნა, აბა?

— რა უნდა ქნა და უნდა პატრონს  
დაუბრუნო.

— ვინაა პატრონი, კვიშილაძე თუ  
პატრონი მურმანი? — ჩურჩულით იკით-  
ხა ჭონიამ.

— კვიშილაძეა. მან უნდა მიცეს  
მურმანს.

— გამლახავენ მესამედ. მომკლავენ  
მაგენი მე.

ზამთარაძე დადუმდა, ცოტა ხანს იფ-  
იქრა და ყოყმანით თქვა:

— არ უნდა გაიხადო საქმე გასალა-  
ხავად. მაგ ფული ექიმის კია, მარა  
კვიშილაძემ უნდა მიცეს მას.



— არც თქვენ უნდა ვაგებხალათ საქმე გასალახავად... იქ! — ამოსცრა ჭონიამ.

ზამთარაძემ თვალები დააჭყიტა.

— სად, ბოშო?

— იქ. საირმზე.

ვერაფერძ ვაგივე იმის მეტი, რომ ჭონია სადღაც ზამთარაძის გალახვას იყო შესწრებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზამთარაძე უარს მაინც იტყოდა, რას არის, რომ ბროდილობო. ამის მაგივრად იგი ჭონიას მიუტერებოდა და დაძაბული ფიქრობდა რაღაცაზე.

ჭონიამ ზამთარაძის დაბნეულობით ისარგებლა, გამოცოცხლდა და სხაპასუხით იცრუა:

— ცუცა ამ ფულს რომ მაძლევდა, ასე მითხრა, ექიმს შენ თვითონ მიეციო.

— აბა, მიუტანე და მიეცი, — ხელი ჩაიქნია ზამთარაძემ.

— ჭონია პირდაპირ ბიძაჩემ მურმანის ოთახს მიადგა, დააკაუნა და შევიდა.

— ოტასთან ნუ იტყვი, ჭონიას რომ ველაპარაკე, — მითხრა ზამთარაძემ.

სანამ საუზმეს და სხვა საქმეებს მოვრჩებოდი და პალატაში შევიდოდი, ქუჩულორისასაც მოეთავებინა დილის ღამის კეთება. როგორც მისი გამზარეულების შემდეგ იყო შემოდებული, სკამზე ოთხივე ჯამი დაალაგა და კვიშილადეს მიუჩოჩა. ჩოგნიანი ღამის ქვაბი ხელმისაწვდომზე დაუდგა, ყველის ნაჭრებიც მიუტანა. კვიშილადემ განაწილება დაიწყო, მაგრამ ჭონიას ჯამი ცარიელი დატოვა. მერმე საწოლის ქვეშ შეყო ხელი, პარკი გამოიღო, ღორის ბარკალს ჩამოათალა თითო ფიორა და ჯამებში ჩაღო.

— ტყემალი მივაყოლოთ, ეგერ დეეს, — თქვა მან. — აწი გამოზოგვით ვეყოთ თვარა, რა ვიცით, როგორ იქნება საქმე.

ქუჩულორიამ თავისი ჯამიც ვარამი ასკენ გადადგა. უგუნებოდ იყო, უფ-

რ უხვი საუზმის იმედი რომ გაუტრუვედა. ალბათ, იმიტომ.

— ერთად ვჭამოთ, — უთხრა, — ვარამიას. — ერთ ლუკმას შენ მოგმწედი და ერთს მე ჩავიდებ პირში, თვარა, სანამდე შენ ვაჭმევ ხოლმე, იქამდე ჩემი ღამი ცივდება. აღარ ვარგა მერე საქმელად ის.

— ჭონიას რატომ არ უზიარეთ? — იკითხა ვარამიამ.

— მუცელი ტყევა და არ ეჭმევა მაგას, — ჩიფხუყუნა ქუჩულორიამ.

— მაგ წუხელის იყო. დღეს აღარ ტყევა, მგონია, — შენიშნა ვარამიამ.

— საკმარისად მიირთვა ჭონიამ ჩემი საკმელი. რომ შეერგებოდა, იმაზე მეტი მიირთვა. ჩემია და მე ვიცი ვაჭმევ თუ არ ვაჭმევ! — განაცხადა კვიშილადემ.

— შენი აჭამე-თქვა არ ვამბობ მე, — მიუგო ვარამიამ. — ეს ღამი და ეს ყველიც ბატონ მურმანის მორთმეულია. ყველასთვის არის მორთმეული. შენთან და ღმერთთან დამნაშავე რომ არის ჭონია, ეგ სხვა ამბავია. ღამს და ყველს რაც შეეხება, ერგება და უნდა მიცეთ თავისი წილი. სამართლიანობა თუ გინდათ, — სამართალი ასეა.

— კაცო, შენ ხომ არ გაგიყებულხარ! რაის სამართალიო, რას არის, რომ მიჭარავ! — შეპყვირა კვიშილადემ.

— ხო, აბა! მხარი მიცა ქუჩულორიამ. — შენ მაინც რომ ემხრობი, მაგ ძაღლის შვილს, რაა, ნეტავი, ეს?!

— არავის და არასოდეს არ ვემხრობი მე, — მიუგო მშვიდად ვარამიამ. — რას იტყვის ბატონი მურმანი, რომ გაიგოს? სამართალს ვემხრობი მე. მიეციე ჭონიას ბატონ მურმანის მორთმეული საკმელიდან მისი წილი!

პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა უნდა, მაგ უბედურს, ნეტავი, — წაჭურჩულე ზამთარაძეს. — თავისი ხელებით ვერც ჭამას ახერხებს

შახაპა ახირაჯიზი  
დათა თუთაჯიზი

და ვერც სხვას აკეთებს რამეს. შემო-  
იმწყრალებს ყველას, პირში საკმლის  
ჩამდები არავინ ეყოლება. ჩივილით  
ვერ იჩივლებს მურმანთან, ისეთი კა-  
ცი ჩანს ეგ, და უნდა ამოძვრეს სულა  
შამშილით.

— კაი, აბა! — მოისაზრა ამასობაში  
კვიშილაძემ. — რა ქენი, ახლა, ქუჩუ-  
ლორია, თუ იცი შენ? რა და, გადაიღე  
ლორის ნაქერი ვარამიას ჯამიდან შენ  
ჯამში. მასე. ახლა მოდი აქ და დაუდგი  
ეს ჯამი ჭონიას, — კვიშილაძემ თა-  
ვისი ჯამიდანაც ამოიღო ხორცის ნა-  
ქერი. — ვარამია-ბატონო, არ ვქამ მე  
ბატონ მურმანის მორთმეულ ღმს და  
ყველს, მაქვს საკუთარი საკმელი და  
მადლობელი ვარ ბატონ მურმანის, მის  
ხარჯზე რომ გადავიარე სანამდე არ  
მქონდა სარჩო. ასე ხომ არის სწორი და  
სამართლიანი?!

— მასე?.. კი, არის! — დაუდასტურა  
ვარამიამ ყოჩაღად, მაგრამ ხასიათი  
და ნირი წამხდარი რომ ქონდა, ეს  
ცხადი იყო.

— მოიტანე აქ შენი ჯამი, ქუჩულო-  
რია. დაანებე თავი მაგ სამართლიან და  
პატიოსან კაცებს! — ხაზგასმით, თით-  
ქმის დამარცვლულად თქვა კვიშილა-  
ძემ.

ქუჩულორია ღმს და ყველის ნაქერს  
შეექცა, ხორცის ფიორა ნაქერი დააყო-  
ლა. კვიშილაძემ ცუცას მოტანილ სა-  
ნოვავეს შეუტია. ვარამია იჯდა, თავის  
ჯამს დასცქეროდა. ჭონია კედლისკენ  
მიბრუნებულიყო, განაბული იწვა, ალ-  
ბათ, შექმნილ ვითარებაში გარკვევას  
ცდილობდა. მერმე ერთბაშად წამოდ-  
გა, ვარამიას მიუჯდა და ლუკმა მიაწო-  
და.


თუთაშხია შემოვიდა.

— გაცივდა ყველაფერი, ოტია-ბა-  
ტონო, — მიაგება ზამთარაძემ.

ვარამიას ხმა გაისმა:

— შე საცოდაო, რანაირად ხარ ნა-  
ცივი და ნაბეგვი. რაა ეს!

— არც შენ მოხვედრია ნაკლები,

ვარამია ა, ჭამე და გაჩერდი, თუ  ხარ.

— ყველაზე მეტი და მტკიცესული  
ვარამიებს ხვდება, მე თუ მჭირნესსაქსაქსა  
ცი, — ჩაილაპარა თუთაშხიამ.

— მაინც შენ გამოდგე მართალი,  
ოტია-ბატონო, — თქვა მოსე ზამთარა-  
ძემ ცოტა ხნის მერმე.

დათა თუთაშხიამ თვალებით კითხა,  
რას გულისხმობო.

— ყველაფერი თავისით დალაგდა.  
ნათქვამია, წყალი ნავუბარში დგებო.  
ა, უყურეთ ახლა თქვენ: კვიშილაძე გემ-  
რიელებს მიერთმევს; მისია და მიერთ-  
მევს. ქუჩულორია მელა და მასეთები  
ლაქიობით არიან მაძღრები. ეგეც თა-  
ვის ადგილზეა ახლა. ჭონიას, მართალია,  
არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც ერ-  
გება, მარა მისი ხვედრი მაინც ახვედ-  
რა ღმერთმა. საცოდავი ვარამია მარ-  
თალი კაცია. სამართალმა პური უნდა  
ჭამოს, პური და სხვა არაფერი. არც  
ერგო რამე ღმის მეტი, უბედურს. თა-  
ვისით ჩადგა წყალი კალაპოტში. ასე  
უნდა მომხდარიყო და ასეც არის ეს.

— ასე რომ არის ეგ სხვაა, მაგრამ ასე  
თუ უნდა იყოს, ეს არის საკითხავი, —  
თქვა თუთაშხიამ. — რომ დაჭამეს ერთ-  
მანეთი და აღარც ერთი აღარაა აღა-  
მინი მაგათში?

— შენ, ოტია-ბატონო, ადამიანი რაც-  
ხა უკეთესი გგონია. ე, ეგ არის, რაც  
არის! — ზამთარაძემ ხელი დიდი პა-  
ლატისკენ გაიშვირა. — როგორიც  
არიან, ისე აწყობენ და აწყობენ  
თავის ცხოვრებას და სურვილებს ერთ-  
მანეთში. პირველად შენ თქვი ეს და  
ახლა მეც დავრწმუნდი, არასოდეს არ  
უნდა ჩაერიოს კაცი სხვის ბედობალ-  
ში.

— არასოდესო, — არ მითქვამს მე.  
იქამდე არ ჩავერევი, სანამ გავიგებდე,  
ჩარევით უფრო ეშველება წამხდარ  
საქმეს თუ ჩაურევლობით, — თუთაშ-  
ხიამ წიგნი წაიღო და აივანს მიაშურა.

ლაზარეთში მართლაც სიმშვიდემ და-  
ისადგურა. მეორე დღეს ბიძაჩემმა

კვიშილაძეს დღეში სამჯერ თითო საათის სიარული დაუნიშნა და ვარამიას თაბაშირები ახსნა.

გავიდა კიდევ სამი, ოთხი დღე. ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. ჭონია და ვარამია ერთად ჭამდნენ მოსე ზამთარაძის ღოს და ყველს და ისევ მურმან თორიას მორთმეული ეგონათ. ქუჩულორიაც იღებდა იქიდან თავის წილს და კვიშილაძე, თავის მხრივ, დილით თითო ციკქნა ხორცს აძლევდა დამატებით. მაგიერში, თვითონ კვიშილაძე ჭამდა, რაც შეეძლო და როგორც შეეძლო. მის მაყურებელს ისე მეჩვენებოდა, რომ ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე გაეთავებინა თავისი სურსათი. ზამთარაძე მთლად გამოკეთდა. პატარას კოჭლობდა, თვარა, სხვაფრივ სულ ჯანმრთელად იყო აბრაგი. დღეები გადიოდა, ხმას არ იღებდა არც ერთი ადამიანი, ვითომ აღთქმა ჭონდათ დადებული, კრინტს არ დაეძრავთო.

ერთ ღამეს, ასე, სამი საათი იქნებოდა, პალატაში კვიშილაძემ იყვირა:

— ქუჩულორია, ანთე ახლავე ღამე! ვინ მამაძალმა ჩააქრო, ვიცოდე ერთი! ანთე ღამფა ახლავე!

— რაია, რას ყვირი ამ შუადამისას, ნეტავი. რა დაგემართა, შე კაცო! — გამოეხმაურა ვარამია.

— ანთეთ ღამფა... ანთე, ქუჩულორია! — თავისას გაიძახოდა კვიშილაძე. — გაჩერდი, ჭონია, შე ბაცაცა მამაძალლო! ხომ ხედავ ვერ გამეჭყევი ვერსაით. რას იწევ, რომ იწევ ტყვილა!

პალატიდან ჯაჯგური, გაწევ-გამოწევა, ხენეშა ისმოდა და ღამფის ანთებას კი, ჩანს, არავინ აპირებდა.

მოსე ზამთარაძე წამოდგა, ჩვენი ღამფა ანთო, პალატაში გასვლა დააპირა.

— დადე მაგ და დაწეკი, თუ ქმა ხარ! — საკმაოდ ცივად უთხრა თუთაშხიამ ამხანაგს.

ზამთარაძე შეცბა, ალბათ ასეთ კი-

ლოს არ ელოდა, მაგრამ არც ღამფა დაუდგამს.

— დახოცავენ და შეჭამენ ერთმანეთს, შე კაცო... — ზამთარაძე თუთაშხიას თვალებს შეეყარა და სიტყვა გაუწყდა. — დავიკრიფთ გულხელი და ვიყოთ ასე, ხომ?

— კი, — სანამდე გავიგებდეთ, რა უშველის საქმეს.

— მაგას ვერ გავიგებთ ვერასდროს, — ტყვედ დანებებულოვით ჩაილაპარაკა ზამთარაძემ და ღამფა მაგიდაზე დადგა.

— გამოიტანეთ ღამფა, ხალხი არ ხართ?! არ გესმით, რა ხდება?! — იძახდა კვიშილაძე.

ავიდე ღამფა და დიდ პალატაში გავედი.

ვარამია საწოლზე წამოძვდარიყო, თვალებს აცეცებდა. ჭონია მხართქობზე იწვა, თავი ხელისგულზე ჭონდა ჩამოდებული, სეირს ელოდა. ქუჩულორია იატაკზე პირქვე ეგდო და მისი მარჯვენა მკლავი კვიშილაძეს ეკავა ხელით.

ბიძაჩემი მურმანი და ხოსრო იმ ღამეს ღაზარეთში არ ყოფილან, ავადმყოფთან წაიყვანეს საღამოხანს, თვარა, ხოსროს ვინ დაასწრებდა ყვირილზე გამოსვლას.

კვიშილაძემ თავის მსხვერპლს ხელი შეუშვა. ქუჩულორია ნელნელა ადგა, იქაურობას თვალი შემოავლო. მერმე ადგილს მოწყდა, აივანზე გავარდა და ღამის სიჩუმეში მისი ფოსტლების ტყაპატყუპი ფოთის გზიდან მოისმა.

— აუუუ! — აღმოხდა კვიშილაძეს. — გველი მყოლია გულში ჩახუტებული. გველი და უხსენებელი.

მოსე ზამთარაძემ ამაზე გაიცინა და თავის ლოგინს დაუბრუნდა.

— გაჩერდი, ჭონია, შე მამაძალლო. ხომ ხედავ, ვერ გამეჭყევი ვერსაით! — გამოაჯავრა კვიშილაძეს ჭონიამ, კედლისკენ იბრუნა პირი და ამაყად დას-

**ზაზუა ამირაჯიძე**  
დათა თუთაშხიძე

ძინა: — ჭონია მასეთი საქმეების გამკეთებელი რომ იყოს, ნახავდი მაშინ შენ!

გათენდა.

მე და დათა თუთაშხია ცხოველებს დავყურებდით აივანზე. კასრში ორი ვირთავავა იჯდა და უკვე ცხადი იყო, მეზომალდეებში რომელიც გაიყიდებოდა. თუთაშხიამ ლაზარეთისკენ მომავალი ახალგაზრდა კაცი ჩემზე უწინ დაინახა, უყურა ერთხანს. მერე კიბეებზე ჩავიდა, სტუმარს მიეგება. ილაპარაკეს ცოტა. წავიდა ახალგაზრდა კაცი. სადამოხანს აბრაგებმა ცხენები შეკაზმეს და გამოგვეშვიდობნენ. მას მერმე თვალთ არ მინახავს არც ერთი. ეს არის სულ, რაც მე დათა თუთაშხიაზე ვიცი.

ვარამიასთან მისი ძმა მოვიდა, აუარებელი სურსათ-სანოვავე მოუტანა, მაგრამ აღარ გაჩერდა ვარამია ლაზარეთში; მურმანს გაუსწორდა, ძმის მოტანილი საქმელი ჭონიას დაუტოვა და წავიდა.

შუადღის მერმე კვიშილაძემ ყავარჯნები აიღო, გარეთ გავიდა სასეირნოდ. ჭონიამ ვარამიას ნაჩუქარი სანოვავე ჩააღაგა, შეკრა, მხარზე წამოიგდო და ფოთისკენ გასწია. კვიშილაძემ თვალი გააყოლა. მერმე პალატაში შებრუნდა, თავისი ჭონება დაათვალიერა, წასულეებმა ხელს ხომ არაფერი გააყოლესო.

ქილებში, კათხებში, პარკებში, ტომრებში — ზოგში მიწა იყო ჩაყრილი, ზოგში — ღუმელიდან გამოხვეტილი ნაცარი, ზოგშიც ჭონიას შარდი აღმოჩნდა.

ასე მოხდა ეს და ასეთ ამბავში მომიხდა დათა თუთაშხიასთან ერთად ყოფნა.

გაგრძელება იქნება.





## ფერიდნელის სიმღერა

მრავალჯერ მომითვლია  
სიცოცხლე მისხლივ,  
მევალე ვარ და კვლავაც მემართება,  
შენთვის დულს ძარღვებში  
შენეულა სისხლი  
და შევარდნული შემართება.  
მიბრძანე,  
დროშის ტარებას შევძლებ,  
ამაყ ქედს არც როდის არ დავდრეკავ,  
ოღონდაც შენ მყავდე  
ქომაგად, შემწოდ,  
ქართული მიწა მქონდეს ასპარეზად!  
ბევრჯერ დაუტბორავს,  
მიწა სისხლის მორვეს,  
ბევრი აღმართები აგვივლია,  
სამშობლო იყოს, თორემ  
თავისდადება ადვილია!

## ქვეყანაზე გაიხს არაფერიცა

მზის სხივები  
ნაკადულებს აღხოზენ,  
მინდორ-ველებს  
სიომ მოუგერისა,  
მითვლემილი თესლი  
ბარტყობს ასოზე,  
ნიავეს მიაქვს  
საკმეველი ველისა.

გაზაფხული,  
ვით უბავშვო ოთახში,  
შემოიჭრა ყიჟინით და ხმაურით,  
მზე ღრუბლებში  
მიყუჟული მონახა,  
ხევებს დაჰყვა,  
ვერხვებს გაჰკრა მხარული.  
ტყე იღვიძებს  
მისი განკარგულებით,  
დადის ველზე  
უკვდავ სპათა სარდალი

ვისაც უნდა დაიმშვიდონ გულები  
კერბად ჰყავდეთ  
ყინვის ცივი ფერია,  
მარად მწვანე  
გაზაფხულის ბადალი,  
ქვეყანაზე მაინც არაფერია!



## გ ა მ თ ა რ ი მ ო ლ ი ს !

მოწყვეტია წელი ზამთარს,  
მიდის ბანცალ-ბანცალით,  
მიწა მწვანე ბალახს ართავს,  
თავთუხეებს სჩეკს მარცვალი.  
ქარი ნისლებს აწვალებს  
შემტრედებულ ზეცაზე,  
მზეში ხვევენ მთაჭალებს,  
თეთრ დოღბანდებს კმცავენ.  
ყველას თავი მოგვაწყინა  
წინაბერას ყურებამ,

მოგვეწყინა თოვა-ყინვა  
ასე გადაყრუება!  
გაზაფხული ხარხარებს,  
წვიმა ცვივა ხვარხვარად,  
საგულედან ამომისტა  
გული, როგორც ბახალა,  
ჩრდილებს ველარ მალავენ,  
ქარი ჩადგა თავნება,  
ჩემი წრფელი სალამი  
დაო, შენს მობრძანებას!

## ს ა ბ ა გ ა ფ ხ უ ლ ო

გავეშებული იანვარი,  
ქარი სამგლე და სატიალე,  
თოვლის ქარბუქი ონავარი  
დიაცის წყველასავით დაგეტრიალებს.  
განა უომრად გაჭრედებით,  
მთები ზვავეებით ინალმება  
ცოტაც, მემამბოხე ჩანჩქერები  
გადმოქუსდება ნიაღვრებად.  
განა გათავდა მოიფუტკნა,  
დაბლა მინდვრები,  
მალა მთები,  
დაიყვავილებს მთლი ფუტკრებს,  
მწვანე სიმღერად ავბღავლდები!  
გამომზიგულდი ცაზე დარად,  
გაზაფხულის მზევე,  
დიდღლიანო,  
აჭიაფრებულ ველზე, კვლავაც  
ორივემ ერთად ვიბდღვილოთ!



## ბ უ ლ ი

### I

განა, ყურით,  
 თითებით

ანდა ცივი ლითონით  
 შეიძლება გაგება ანდა გულის მოსმენა?  
 სჩანს, დღეს გულებს სჭირდებათ,  
 სჩანს გულები ითხოვენ,  
 სიერცეებს და სიმაღლეს,  
 სინათლეს და ოცნებას.

სჩანს, გულები ითხოვენ სითბოსა და სიყვარულს.  
 რაც სიცოცხლის თავმდებად დაგვიბედა განგებამ.  
 გულის ყველა ტკივილს და გულის ყველა სიხარულს  
 გულით უნდა მოსმენა, გულით უნდა გაგება.

### II

გული არის ხნული და ნიჭი კიდევ თესლია,  
 ქვეყნად ყველა სიკეთე სჩანს გულიდან იწყება.  
 ღზინი თუ სიყვარული, სიმღერა თუ ლექსია  
 არ ყოფილა უგულოდ, არც არასდროს იქნება.

დღეს რომ ასე გვაღელვებს წინაპართა სულია.  
 მაგრამ წუთისოფელმა ჩვენი ტვირთიც გვარგუნა.  
 ისევ ჩვენი ნიჭი და ისევ ჩვენი გულია  
 ხვალინდელი სამშობლოს დუღაბიც და აგურიც.

საქართველოს ცის ფერი დღემდე თუ არ გახუნდა.  
 თუ გვაქვს ძალა დახვედრის მტრებისა თუ მოყვრისა...  
 დიდი გული იბრძოდა დიდგორთან თუ მარხთან.  
 ისევ გულმა კეთილმა თქვა ბალადა მოყმისა.

თუ გვაქვს ასე მაღალი თალი სვეტიცხოველის,  
 ბუთანია, გელათი, იყალთო თუ ვარძია,  
 ყველა გული მართალი, ქვეყნად ნიჭი ყოველი  
 ჩვენი ციხე-კოშკი და საქართველოს განძია.

### III

აბა, დღევანდელიობას როგორ ვეტყვი სამდურავს,  
 განა დუშმანს ვახარებთ, განა მტრის გულს ვაცილებთ.  
 მაინც წუთისოფელი არის თურმე სადგური,  
 გამოვდივართ ბაქანზე და ერთმანეთს ვაცილებთ.

ყველას რიგი დადგება, ყველა წავალთ აქედან,  
 ბოლოს ყველა ვიქცევით ბუჩქებად და ბალახად,



ნეტავ ასი წლის შემდეგ ერთი წამოგვახედა!  
 ნეტავ ასი წლის შემდეგ საქართველო მანახა!

...ვხედავ, დედა ქართველისა ისევ ისე კიაფობს,  
 გადაშლილა თბილისი სამგორიდან — მცხეთამდე.  
 გამრავლებულ სამშობლოს ვუმზერ, ვითარც იაკობს  
 და მეტეხთან ისევ დგას ის ნაცნობი მხედარი.

დავდივარ და დავეძებ შიშითა და იმედით,  
 ჩემი დროის სახელებს,  
 ჩემი დროის პოეტებს.  
 ჩანს ბევრისთვის წყალობა წლებმა არ გაიმეტა,  
 ვისმენ ახალ სახელებს,  
 ვხედავ ახალ მოედნებს.

უცებ სახე ნაცნობი,  
 გაწეწილი ფაფარი  
 და კვარცხლბეკთან ბავშვები დგანან მისი წიგნებით.  
 საუკუნე გასულა.  
 ის კი ისევ აქ არის,  
 თავის დიდი გულით და თავის დიდი ფიქრებით.

ჰა, ნაცნობი სახელი,  
 კიდევ ერთი, ორი და...  
 არ ღივგო პატივი დანარჩენთა ღალადისს.  
 დაღლილ--დაქანცულები წლებთან მძიმე ომითა  
 შერჩენიან არქივებს და გაცრეცილ ქალადღებს.

გულო, სევდით ივსები, მაგრამ მაინც გახარებს  
 ეს ახალი ძეგლები, სახელები ახალი,  
 ვარსკვლავებთან ასული თეთრი სასახლეები —  
 საქართველოს დღეები ნათელი და მაღალი.

IV

გულო, როცა გაიგე, ახლა უფრო გაშინებს.  
 წუთისოფლის სიჭრელე —  
 შენი სიპატარავე.  
 მინც უნდა აშენო, მაინც უნდა აშენო,  
 მხოლოდ პატიოსნების და სიკეთის კარავი.

ბევრი კიდევ მოგისმენს! ბევრი კიდევ გაგიგებს!  
 აღბათ, ბევრი ერთგული გამოგყვება ბოლომდე,  
 გულო, შენი სიკეთე სანთლად ჩამოარიგე,  
 გულო, იყავ გამტანი, გულო, არ გაბოროტდე.

თუნდაც ბევრი წუხილი და ტკივილი გარგუნონ,  
 მაინც ასე მართალი მინდა იყო ბოლომდე.  
 გულო, ნუ დაღონდები,  
 გულო, ჩადექ საგულეს,  
 გულო, იყავ კეთილი —  
 გულო არ გაბოროტდე!





## მ დ მ ი ა

იქ, სადაც მზეა მომთენთავი, მცხუნვარე ვეზომ,  
 სად მამაჩემის ბრდღვიალებს ეზო,  
 მამლის ბიბილოს მოსდებია ცეცხლის ფაფარი,  
 ყივის მამალი —  
 საკვირველი ყრმობის ზღაპარი.  
 მუზლაპრეებო,  
 დღეს არ ძალმიძს მოსმენა თქვენი,  
 იქ შეცხადების,  
 იდილიის,  
 იმ თაფლის ენის.  
 მე დღეს სულ სხვა ვარ,  
 სხვანაირიც მინდა გაგება,  
 ჟამს მივიწყებულს ჩაველურსმნო უნდა ჭანგებად-  
 ძველო სიმღერავ,  
 დარჩენილო ოქროს მარცვალო,  
 სიკეთეს თესლის გაღვივება უნდა აცალო.  
 მაგრამ ვერ ვითმენ,  
 იგრაგნება ექო ტალღებად,  
 მსიხოვს სხეულიდან გაფრენას თუ კარის გაღებას.  
 ო, ხმაო, ხმაო!  
 გაჩენილო დიდიხნის წინათ,  
 შენ ბადებ ჩემში აღმაფრენას,  
 მზესა და წვიმას;  
 თოვლის ალაოს,  
 სიმწვანეს და მამულის ველებს;  
 შენ ბადებ ჩემში უფთგულეს და სათუთ-  
 მშველელს.

აი, სიმღერა საოცარი,  
 დიდი სიმღერა,  
 ჩემი მამულის ყანებიდან სისხლში მიღლავს.

## დიდი ბატონები

(კოლხური სარიტუალო სიმღერა).

ნანი დო ნანაია,  
 ფიფქი ცვივა, იფანტება,  
 ელი თეთრად იქარგება,  
 ია სიციხით ითანგება  
 და სიზმრებში იქარგება, —  
 ნანი დო ნანაია.

ჭრაქის შუქი აღმაცერი,  
ერთი ციცქნა,  
მთვარის ფერი,  
მთელი ღამე ჩუმად მღერის, —  
შენთვის მღერის,  
შენთვის იწვის  
და შხუილი ცისფერ დელის  
გაზაფხულზე ისევ გელის,  
გელის ყვავილს ცის და მიწის, —  
ნანი დო ნანაია.

მშვენიერი ბატონები  
მოფენილან თავის ნებით,  
გარდისფერი ჭვივის ფრთები  
და ქურჩის ოქრო-თმები  
შუაცეცხლის აღზე თბება,  
ზანაებათა ველზე კრთება, —  
ნანი დო ნანაია.  
ფიფქი ცვივა, იფანტება,  
ველი თუთრად იქარგება,  
ია სიცხით ითანგება  
და სიზმრებში იკარგება, —  
ჩემი ვარდი — ნანაია.

## ქვლავ გაგაფხული

შუქი გარდმოხდა მწვანე ფერის  
ბაგნოვობის სერებს  
და გაეკიდა წარუხოცველ  
მომავლის ფერებს.

ამოწყაროვდა, ამოინთხა  
ალმასის ჩქერი, —  
გულგასკდომამდე ნუშის ტოტზე  
ჩიტუნა მღერის.

მღერის და მღერის  
და პანგები პირველყოფილი —  
მიწის ლოცვაა,  
მისი სუნთქვა,  
მწვანედ ფოფინი.

ეს გაზაფხული  
შეიდფეროვან ფრთებს მალე გაშლის,  
აბრდღვიალებს ჩუქურთმებად  
ატმის სეს ბაღში.

ააციგებს მდინარეთა  
ზიმშიმა ჩქერებს, —  
ვინ ხელჰყოფს წამით  
ძალას მისას  
ვინ შეაჩერებს.

ათასნაირი უხილავი ჰანგიო და ფერით,  
წერს გაზაფხული სიყვარულის უცნაურ წერილს.



ახლა  
კოდალას მოთმინება  
მომცა ნეტავი,  
ვუკაკუნებდი  
ჩემთვის  
უკვე  
ჩარაზულ  
კარებს;

ბომ დაგრჩებოდა ერთხელ მაინც ჩაუკეტავი, —  
შევაგორებდი შენს ოთახში ფერსავსე მთვარეს.  
...ახლა კოდალას მოთმინება  
მომცა ნეტავი.



პირობა გიორგი

## სალამი თქვენს, ბატონო გოგენ!

პინგვინი უცნაური არსებაა, სალამი იცავს.

სკანდინავიური ზღაპრიდან

ლამაში ძილით ჩასძინებია კუნძულ ტაიტის. ძირს ჩამოხრილან მცენარენი, მიწას საყვარლად დასჩერებია. დასჩერებია როგორც დასცქერის შეყვარებული, უსათნოესი და ფაქიზი შეყვარებული, რბილი თვალებით, სარეცელზე მიძინებულ, ჯაფითა და ფიქრებით მოღლილ ჰაბუჯის სახეს.

სძინავს ტაიტის, ტაიტელებსაც მშვიდი ძილით დასძინებიათ. ძილ-ფხიზლობს მხოლოდ დიდი მხატვარი, ამ კუნძულზე შორეთიდან გადმოხვეწილი. მისჩერებია ღია თვალებით, ვერც ახამხამებს უკვე ის თვალებს, გაშტერებული მისჩერებია კედლებს ოთახის. ო, არა კედლებს, რაღაც საშინელ და შემზარავ მრავალ ჩვენებათ. მოჩვენება — იცის მხატვარმა, ზმანებაა ეს ყოველივე, მაგრამ იმდენად ცოცხალია ეს მოჩვენება, რომ აღარ იცის და ვედარ ხვდება, ცხადშია იგი თუ სიზმარში. ამ სატანჯველში გარდადის ღამე და როს ინათებს, ხატულა კუნძულს მიაშტერებს ხატვის წყურვილით ანთებული დიდი მხატვარი.

შევირხლებია დიდი ფოთლები, უზარმაზარ, ხისდაგვარ ყვავილს, ზედ უცნაური ცხოველები გამოხატულა.

ხანდახან ლომი გეგონება, ზოგჯერ კანჯარი, სხვა დროს კი სულ სხვა, ჯერ

უნახავი სულიერი მოგელანდება, ხეებზე დიდი ყვავილების უზარმაზარ ფართო ფოთლებზე გამოსახული. ლიანაც გვერდზე გადაწოლილა, ლამი ჰფენია გრილ მიწაზე და გადაშლილა დიდი კუნძული, ვით დიდი ტილო, ნაირფერი ფერით ნახატი.

დაღვრემილია, გადაღუნულა წელში და ფიქრობს მწარედ დიდი მხატვარი. ველარაფერი გაურკვევია. იქნება ღამის მოჩვენებების ძირმწარე ძალით გაქლენილია ეს ყვავილები, ხეები და თვით დედამიწაც, იქნება ფეხის გადაბიჯებაც, ყოველი ბიჯი სიკვდილს უჭადის. ეს ყვავილებიც, თუნდაც ღამაზნი და მშვენიერნი იქნება შხამით გამოტენილა.

გადაღუნულა, მოხრილა წელში. და ფიქრობს მწარედ დიდი მხატვარი. ველარაფერი გაურკვევია. სახე უელავს და თვალებში ერთმევა შუქი.

მაგრამ გაჩნდება ვიწრო ბილიკზე მსცოვანი თავი, მშვიდი სახე ტაიტელისა და სათნო და კეთილი სალამით, სალამი თქვენდა, ბატონო გოგენ. მიესალმება იგი დიდ მხატვარს და მყის გაჰქრება ღამის კოშმარი, და საზარელი მოჩვენებაც სიზმარეული.

ასე დახატა თავისი თავი დიდმა მხატვარმა პოლ გოგენმა და ამ ნახატით მიე-





სალმა თვისივე ნახატებს. მუქი სისხლისფრად გადაფერილ მომავლისას ნახატებს თვისას.

ო, მერამდენედ გამხნევებულა ამ მისალმების ძალით გამთბარი. და აი, ახლაც სისხამ დილით, ხატულა კუნძულს მიაშურებს ხატვის წყურვილით ანთებული, განახლებული დიდი მხატვარი. ფერი და ფერი, წითელი ფერი, მუქი ფერებიც გადაჰხატვია თავად თავალებზე.

დღემიწის სულ სხვა კუთხეში, გლობუსის კუთხეს, მწვანე ჯეჯილით ანანაუბულს, მოცეკვავე ქალის კონტა და ნაზი ფეხებით ჩამოქნილს კუთხეს გლობუსისას, მფლერი ჰიკჰიკით ვადაუვლის ერთი მერცხალი. მიესალმება ცოცხალი და მფლერი ჰიკჰიკით გახარებული მერცხალი ლალი, გაზაფხულის შობას და ფეთქვას. ეს მერცხალი ხომ სალამია მალლით მოძღვნილი და გაზაფხულიც ნელ-ნელა მართავს და შლის ფრთებსა ამ მერცხალივით. მერმე კი იგიც გაფრინდება, ფრთამსუბუქად და ლაღად დაუვლის და ააყვავებს ტყესა და ველებს, მთებსა და ბარს, გაჰკრავს ცოცხალ ფრთებს, ახალი სხივით ააელვარებს. მიესალმება ერთი მერცხალი გაზაფხულის შობას და ფეთქვას და გაზაფხულიც ჯეჯილივით ამბინდება.

ეჭვი, დიდი კონტინენტის ვრცელ უდაბნოში აღმომართულა ქანდაკება ინდიელისა კლდისგან ნათალი, ვითა სალამი აღამიანის უდაბნოსადმი.

მძიმედ უმზერენ ფარაონები ეგვიპტის მხარეს, ქვასავით მძიმე, ქვისგან ნაკეთი ფარაონები შესჩერებიათ ცოცხალი მზერით უსულო ქვიშას, პირამიდებიც დღითა და ღამით ესალმებიან პირქუშ უდაბნოს. და ეფინება დიდი სიცოცხლე უდაბნოს პირქუშს, რადგან ყოველი ქანდაკება, გამოჩაყვითი კაცისა მიერ, სალამია უქცდავების მიმართ ნასროლი.

და მისწრაფვის ერთმანეთისკენ ორი პინგვინი, ცივ ანტარქტიდის მიუსაფარ უვალ ზეგანზე, ეშურებიან ერთთურთის სალამს.

თეთრ ზეწარივით გადათერებულ მინდორზე კი შესჩერებია დუელიანტი ერთიმეორეს.

უსულო გვამი, გაყინული შეერთებია თოვლის სიცივეს. გადამანჭვია ლამაზი სახე. ხელში დაჭრილა მეტოქე მისი, სისხლი სდის ტბორად, ვერც კი გრძნობს ამას, ერთს გადახედავს მოქიშპეს თვისას, მოიხდის ქუდს და უკანასკნელად მიესალმება ამ ქუდის მოხდით მოსისხლე მტერს.

მკვდარი ოფიცრის სახეზე კი ნაოჭი ქრება. მიცვალებული პატიოსნდება.

დაღლილი და მძიმე ნაბიჯით უსიამოდ მიემართება დუელიანტი თავშიშველი თავის ეტლისკენ და დიდხანს, დიდხანს მისჩერებიათ სეკუნდანტები მის აშლილ ქოჩორს.

ზზინავს ყინული, ცივ ანტარქტიდის უვალ ზეგანზე. მისწრაფიან პინგვინები ერთთურთისაკენ, მისწრაფიან, რომ თავის ქნევით, ფრთების ბარტყუნით მიესალმონ ერთთურთს უცილოდ. ცხელი ქალაქი. ბაზრის კარები. დიდი ჭიშკარი ფართო ბაზრისა. ხალხი არ შედის ბაზრის კარებში. სულმოუთქმელად შერბიან შიგნით, სულმოუთქმელად მისწრაფვიან ბაზრის კარისკენ მეცნიერნიც. ჯერ ჰარმაგია ორთავე ფრიად. და შემხედვარეთ ამ ურიცხავი ხორაგისა წამს ახსენდებათ, რომ სისხლითა და ხორციით ნაშენი არიან თავად, ყურძნით გაძღომაც უნდათ უზომოდ და სისხლიანი ხორცის ბიფშტექსიც. მაგრამ აი, უსწორდნენ ერთთურთს და მიესალმნენ პატივისცემით, ფარფლიან ქუდზე ხელის მიდებით. ორთავემ იგრძნო ერთდროულად რომ ეს სალამი არ ეკუთვნის სისხლისა და ხორცის ტომარას, ესალმებიან ისინი ერთთურთს და ქრება სურვილიც ხორციელი.

სასხვათაშორისოდ ყიდულობენ ისინი სურსათს, მერე კი, მერე, მიაშურებს თითოეული თავის მავიდას, რათა ფაქიზად გამოიყვანოს რთული ფორმუ-

**ედიოზი გიორგაძე**  
სალამი თქვენდა, ბატონო გოგონ!

ლა. უღარიბეს სტუდენტებით გადამშფუთმა.

პაერში რევკას ხმა ყინვისა, მაგრამ ამაოდ. მიეშურება ერთმანეთისკენ ამ უსაშველო მოყინულ გზაზე ორი პინგვინი, ერთმანეთის მისასალმებლად.

ფერდს დიდი ქედის, შთაზე დაკიდულ ვიწრო ბილიკს წელგაგრებილი შესდგომია გლეხი ლატაქი. მიპყავს ურემი შეშისათვის. ზემოდან კი გლეხი ეშვება მისივე ბედის. ჩამოკონკილი ახალუხით და ქალამნებით. არც კი იცნობენ ერთმანეთს, მაგრამ დიდი, ნათელი წყისის თანახმად ესალმება ორივე ერთთურთს. ღონე ეძლევათ ამ მისალმებით წაბლა ხარებსაც, ნიშა ხარებსაც. და ერთხანს ღონივრად ეზიდებიან მომნუსხავ ჰაპანს.

ექიმსაც ფართოდ გაუბადრავს პირმრგვალი სახე. ჩამოვლახვა შემოსული და უიმედოდ გადადებულ ავადმყოფს იგი მიესალმება წრფელი ღიმილით. აქსოვს ამ ღიმიში — დილა ჩვეინა?! შენიცა ეს განთიადი და დილა ევლავ გაგიტენდება შენც ყოველივე ჩვეთაგანით, და ავადმყოფის მზერაც ცოცხლდება და ცისკროვნდება.

გაციოსკროვნებულ ღიმილით ხვდება, ლალატისათვის, ურცხვი, უხამსი ლალატისათვის გაცილებულ ცოლს შვილთან მოსული ადამიანი, ხვდება ღიმილით, რათა ისწავლოს მისმა შვილმა დედის, თუნდაც ასეთი დედის პატივისცემა. ჰემშარიტი სალმით — ღიმილით ხვდება იგი მტერსაც თავისას, მაგრამ დედას, კაცობრიობის შვილის დედას.

და მიისწრაფის ერთმანეთისკენ ორი პინგვინი, თავგადადებულ ნაბიჯებით მიესწრაფიან ამ საშინელ, ვერაგ ზეგანზე და ყრუდ გაისმის ყინულის პირზე მათი ფეხების ბაკაბუკის ხმა.

მოედინება ძველი ეტლი.

— სალამი თქვენდა, მძლავრო, კავკასიონის მთებო!

ლექსად მღერის დიდი პოეტი, ჩორთით მომავალ ძველებურ ეტლში ფეხად დამგარი.

და ცივნი მთანი, პირქუში მთანი ხვას

არ იღებენ. არც რას იტყოდნენ მკრადიული აკლადმებრით მღუმარების უტყევი საფარით გარშემოსილი ლოვანი მწვერვალები. მაგრამ ჩაივლის ეტლი თუ არა და თვალის ჩინს მიეფარება, შეინძრევიან გოლიათნი, ღმერთის ქანდაკნი და გულში თბილად იღიმებიან.

რა შეაჩერებს ერთმანეთისკენ შორეულს და ყინულოვანს და უვალ გზაზე, მისასალმებლად გაშურებულ ორ ეულ პინგვინს.

აგერა ცხელი, დიდი ქალაქი. ვიწრო კანტორა. მაგიდას უზის ქალიშვილი. ნაზი და ზრდილი. სამუშაო უძევს საძნელო. ასტიეობა მწარედ ყური. დილა და ნელ-ნელა ხალხით ივსება სახლი. სალამს ამბობენ და სძლევენ ქალწული, ტკივილს ყურისა და გამარჯობას ეუბნება მათ სალმის პასუხად და საკუთარი სალმით სხვისადმი, გამხნევებული, წელგამართული მიუბრუნდება იმ სამუშაოს, წინ რომ უძევს მეტად საძნელო.

ცოტადა დარჩა, ვერ მოლანდეს ჯერ ერთმანეთი ცივ ანტარქტიდის უთავბოლო, უვალ ზეგანზე მოსიარულე პინგვინებმა, მაგრამ იციან, რომ შეხვდება ერთურთს ორთავე.

გარდამოვისილა ხალხით ცირკი, ფართო და ვრცელი. Ave Caesar, Morituri te salutant! გაისმის ცირკში.

ესალმებიან ომახიანად გლადიატორნი მძვინვარე ტირანს. ტირანს ვერავენ ესალმება ასე უბრალოდ. მაგრამ იცის, იცის ტირანმა, ფასი არა აქვს ისე იმ ბრძოლას თუ სიამაყე არ ახლავს მებრძოლს, რთავს ამიტომაც ნებას ამისა, და სიკვდილისთვის განწირული გლადიატორთა გრძელი კოპორტა ომახიანად ესალმება მკაცრ იმპერატორს. Ave Caesar Morituri, te salutant! თითოეული მათგანი ამ ყამსა, ყამსა სიკვდილის, აღივსება ღირსების გრძნობით Caesar Ave, Morituri, te salutant! მოდიან მიღვრნი გლადიატორნი. ხმა ეფინება ცირკის კედლებს. მჭექარე ხმები ავსებს პარტერს, ამფითეატრსაც აზანზარებს

მქუხარე ხმები და გამხნევებული, ძალ-  
მორეული ამ მისალმებით წელგამარ-  
თული მიემართება ულმობელი, გარდუ-  
ვალი სიკვდილისაკენ თითოეული გლა-  
დიატორი. Ave Caesar, ქუხს ცირკში  
ისევ, არ იძახიან, თითქოს მღერაიან  
გლადიატორნი ამ მისალმებას.

ეი, მიისწრაფის ერთმანეთისკენ ორი  
პინგვინი, ცივ ანტარქტიდის ყინულო-  
ვან, უცხო ზეგანზე. იძინებს ისევ ლა-  
მაზი ძალით ნაზი ტაიტი. თხელი ფოთ-  
ლების საბანს იხურავს აქ თითოეული  
სულიერი, და ყვავილივით ლამაზ სიზმ-  
რებში გაილურსება. იძინებს ჭრელი.  
ფრთამსუბუქი ჭიამაიაც და დიდი სპი-  
ლოც ძილს მიეცემა, ღრმას ღამესავით.  
ტანჩამოქნილი ტაიტელიც რბილად გაწ-  
ვება გრილ ჭილობზე და ღრუბელივით  
ზმანებაში გაირინდება.

რა დააძინებს დიდ მხატვარ გოგენს.  
ამლამ ისევ მოვა კოშმარი და ცხოვე-

ლები საზარელნი და დამანკულნი მიე-  
სევიან დასახრჩობად დიდ მხატვარ გო-  
გენს. გაუძლებს ღამეს, მაგრამ დღესაც  
გაძლება უნდა. რას მოუტანს გამთე-  
ნიე ლურჯად ფერილი, გრილი ჰაერი ან  
ფერადი ხატულა კორდი, უცხო ყვავი-  
ლი, ცეცხლივით რომ ანთია ველზე, თუ  
არ მოესმის დილით მშვიდი, ზრდილო-  
ბიანი, მარტოდენ მისთვის, მის სიკეთის-  
თვის ნათქვამი სიტყვა ტაიტელისა —  
სალამი თქვენდა, ბატონო გოგენ! და  
მყის გაპქრება ღამის კოშმარი და საზა-  
რელი მოჩვენებაც სიზმარეული.

აჰა, მივიდა ერთმანეთთან ორი პინგ-  
ვინი, შავი თავ-პირით, თეთრი გულ-  
მკერდით. ესალმებიან ისინი ერთერთს  
თავის კანტურით, ფრთებსაც იქნევენ  
სალმის ნიშნად და ერთმანეთის სალ-  
მით გამთბარნი, უფრო თამამად ეშუ-  
რებიან საკუთარ გზაზე, ცივ ანტარქტი-  
დის ყინულოვან, მიუსაფარ, უცხოსა  
და უვალ ზეგანზე.



დროის ფერფლით და  
 წარმართული ცეცხლით და კვამლით  
 გამურულ რკინის გრძელ ნაჭაზე ჰკიდია ქვაბი  
 და თბილ კერასთან ხორხოცებენ ბიჭები ახლა,  
 მოხარშულ კვახის და შებრაწულ სიმინდის გამო.  
 ვიფხა ქვაბში შემოდგომა ბუღრაობს ისე,  
 თითქოსდა ერთი წუთის უკან  
 ნასუქალ კურატს  
 ცოცხალ კაცევით მადიანად შეექცა იგი...  
 და ხორხოცებენ, ხორხოცებენ ბიჭები უფრო  
 იმ ნაწნავიან გოგონას გამო,  
 რომელსაც დოქით,  
 პატარა და სოველი დოქით  
 დაუდულარი მაჭარი მოაქვს...

. . . . .  
 მთერალ დიონისეს თაფზე ადგას ვაზის გვირგვინი,  
 ჩუმა დ ილიმის  
 და მთელი დღე სვებენდნიერი  
 მოჯადოებულ ჯარგვალში მეფობს.

ტოტებს და ტოტებს გაჰკრა ქარმა ძლიერი ფრთები, --  
 რეკავს კაკალი დაკროლილი --  
 ტყის სარგველა,  
 თითქოს ათასი მოწკრიალე ეყვანი ება  
 ბუნებას ყელზე  
 და წეხსნა ერთბაშად ყველა.

მესმა მუხებში ჩაახვია ტალი და კვესი,  
 მერე კოპიტებს გაეკიდა,  
 გააულო მუსრი...  
 და შემოდგომის კიდევ ერთი შიშველი ფესვი  
 ხველ ნეშოებზე აფართქალდა  
 და... გაილურსა.





## ე ნ გ უ რ ზ ე

როგორც მერანზე გაჭენებულზე,  
დიდი ამბები ხდება ენგურზე,  
იმაზე მეტი, ვიდრე მომხდარა  
მტკვარზე,

რიონზე

და ლაჯანურზე.

რაც კი აქამდე მზე აღმომხდარა,  
შენი მარჯვენა ჯერ არ მომცდარა,  
ჯერ არ მოღლილა და ამ ცხელ გულზე  
მეც ენგურისკენ მივექანები.

ენგური — ზღვისკენ,

ოცნება — ცისკენ,

ცაში კი ჰფეთქენ მზის ვულკანებით.

მთელ საქართველოს აქედან ვუმზერ,  
როგორც უწმინდეს ნაკადში ნათელს,  
დღეს უფრო დიდი სიმღერა გემართებს  
ასაფერებლად მთათა ქონგურზე,  
იმაზე უკეთ, ვიდრე მღეროდნენ  
მტკვარზე,

რიონზე

და ლაჯანურზე.

## მგის დაბრუნება

მორს, არაბეთს და ინდოეთს შორის,  
ტყუპი მდინარის ნაპირთან სწორი  
ქედრების ფონზე ეძლევა ხილვებს,  
სადაც ჟამისგან ჩაფერფლილ ნინეც  
კვლავ ესიზმრება დიდი აშური,  
ის კი ყოველდამ აქ მოაშურებს  
და მოაქვს ჩვენთვის დიდების ტვირთი  
და მისი ფიქრი — სხივი და ჭვილთი --  
გვეცემა გულზე, თვალბში, თმებში  
და სწორედ ამ დროს მესხეთის მთებში  
აბრეშუმით შრიალებს მტკვარი,  
თენებასავით ეშვება მთვარე  
და სუნთქვასავით გრძნობს აქ ბუნება  
ოდესღაც გაჭრილ მზის დაბრუნებას.

ღამეა. კოლხი შუბს დაყრდნობია,  
ეს გარდასული არის სურათი,  
ის მთვარე იმ ძველ ცას მიდნობია,  
მთვარის ჩუქურთმა აღწევს გულამდი,  
რა სიმშვიდეა! იქ არაფერი  
აღარ იძვრის და აღარ ხმაურობს,  
გაყინულია არგოს აფრები,  
აღარ უბერავს პონტით ზღვაური,  
ვარსკვლავებამდე მაღალი ღამე  
თვლემს და მედეას კვარი უქრება,  
ოპ, კიდევე კარგი აქ მრავალ რამეს  
განმეორება არ ემუქრება.

## ნება მიბოძეთ, გაღაპრებო!

გამოჩნდა კაცი,  
როგორც ვეძებდით,  
თვითონ გამოჩნდა,  
როგორც ლეგენდა,  
ბრმად ვეძებდით თუ  
ხელის ცეცებით,  
თუ დიოგენი როგორც ეძებდა.  
ის ხალიბია,  
თუ ხალდელია,  
ხელში უჭირავს ცეცხლსაკვეთელი,  
შუბლზეც ნათელი გადაჭყენია  
ჩვენს მაღალ მამულს  
როგორც შეჭყერის.  
შემმართებელი და გამბედავი  
აბა, გამოჩნდა სარკინეთიდან,  
უკვე გამოსცდა კლდეთა კეტამებს,  
იმჯვარად მოდის,  
თითქო ზეციდან  
ვარსკვლავდასხმული რტო დაერხიოს,  
ამირანის ძეს როგორც სჩვევია,  
ნება მიბოძეთ, გადავეხვიო,  
ვისაც ჯერ არვინ გადახვევია.



## უტყვი მოწმე

თმა გაეშალა გოგოს, ყელზე ეხვეოდა, ეფერებოდა, ხელით იცილებდა, მიხტუნაობდა ბელტებით გადაშაქებულ ველზე.

ლურჯი ბინდი გუბდებოდა ჰაერში. შორს ქონგურებგადახსნილი, კედლებჩამონგრეული ციხე იდგა ამაყად.

ძლივს გაიკვალა გზა.

მწკრივად ჩაირიგებული გადაპრილი ჩალის ღერები ფეხებში ედებოდა. დროდადრო ჩაესმოდა რომელიღაც დამის ფრინველის მონოტონური, სევდიანი სტვენა.

გალავანს რომ მიადგა, თითქმის ბნელოდა.

რამდენი ხანია არ უნახავს ეს ნადარბაზევი, ხან ამყოლი არ გამოჩნდა, ხან თვითონ ვერ მოინდომა და...

ახლაც შემოახვევით წამოვიდა აქ.

ველარ გაჩერდა ნანას დაბადების დღეზე, ვერ აყვა საერთო მხიარულებას, სადღეგრძელოებიც ყალბი, გაცვეთილი ეჩვენა. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ თამაზმა აივანზე გაიხმო, საკოცნელად მიეტანა. „შენი საყვარელი მეფე დავითიც კოცნიდა დედისიმედს, კოცნა რა საქარახისიო“, ვითომ ზუმრობით უთხრა საქციელწამბდარმა ვაჟმა, მაგრამ დალის უძრავ, ცივ მზერას რომ წააწყდა, მაშინვე უშვა ხელი.

გოგო აღარც შებრუნებული წვეულე-ბაზე. აქეთ გამოუწია გულმა, ოცნება, სიმყუდროვე მოენატრა, ციხის ნანგრევების სიახლოვეს.

ბევრმა სცადა მისი გულის მონადირეობა. თამაზი პირველი არ ყოფილა და ალბათ არც უკანასკნელი არ იქნებოდა. ვერ იტანდა თავხედობის ოდნავ გამოვლენასაც კი, რასაც ზოგიერთი სითამამედ და ვაჟკაცობად თვლიდნენ.

ერთხელ იხიც უთხრეს: — „შენ ქალღურობას რაღაც აკლიაო“, მაგრამ გოგო მხიარულად აკისკისდა... „მერე რა მოხდა თუ ვერაფერს მომხიბლაო“.

უყვარდა განმარტოება, საკუთარ თავთან დარჩენა; ზოგჯერ ეშინოდა კიდევ, ჩემი თავი ზომაზე მეტად ხომ არ მიყვარსო... და მაშინ ლეგენდა აგონდებოდა, ლეგენდა ძველი, ელინური. ამოტივტივდებოდა გონებაში ნარცისის — მდინარის ღმერთ კეფასისა და ნიფთა ლავრიონას მშვენიერი, მაგრამ ცივი და ამაყი ვაჟის ტრაგედია.

ამბავი ძალიან მოსწონდა გოგოს. უხაროდა, რომ უზომოდ ამაყი ნარცისი სიყვარულის ქალღმერთმა, უმშვენიერესმა აფროდიტემ სასტიკად დასაჯა, თუმცა ებრალებოდა, თავის თავზე ავადმყოფურად შეყვარებული ვაჟი.

ამბობენ — იმ ადგილას, სადაც ნარცისმა თავი ჩახარა და თვალებში სი-

კედლი ჩაუსახლდა — ამოვიდა მშვენიერი, თეთრი, სურნელოვანი ყვავილი.

იგი ნარგიზია, განმარტოებული და ამჟამად, მაგრამ თავჩახრილი.

სადაც კი ნარგიზებს ნახავდა, დალი, მოკრეფის ნაცვლად, მიესიყვარულებოდა, მიეფერებოდა. გულს იჭრებდა მისი ცქერით და ეღიღებოდა სასჯელი, საკუთარი სილამაზით მოჯადოებულ მშვენიერ ქაბუქს რომ დაატყდა თავს.

ახლაც, ციხის ქონჯურებთან, ბნელში მოაგრნდა ნარცისი და თავს შეეკითხა:

— მართლა, ხომ არ მაკლია გრძნობა?

მაგრამ ეს იყო ერთი წამის შეეჭვება. უცებ გაახსენდა, რომ ბევრმა ვინმემ დაუკარგა რწმენა... ზოგმა მედიდურობით, ზოგმაც აბეზარობითა და უსულგულო საქციელით...

ჯერ ინსტიტუტი არ დაემთავრებინა. ვაბედული გოგო იყო; თუ რამეს იტვირთებდა, აუცილებლად შეასრულებდა. სიბზოხსა და სიკეთეს ყველას თანაბრად უნაწილებდა.

ერთხელ ლექციების გაცდენისათვის თანაჟურსელს რიცხავდნენ. ძალიან ეძნელებოდა, მაგრამ იმ ბიჭის ამბავი რომ იცოდა, შეგებრალა და რექტორთან სწორედ ახალი წლის წინა დღეს მივიდა.

დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი. სწავლაზე გულაცრუება ბიჭის დაობლებით ახსნა, პირობა მისცა, სემესტრის ბოლომდე გამოსწორდებოდა და რექტორი ამხანაგის ინსტიტუტში დატოვებაზე დაიყოლია.

კარებთან მისულმა დალიმ მადლობა ძლიესდა ჩაიჩურჩულა.

გამოცდების ჩაბარებაშიც თვითონ მიეხმარა იმ ბიჭს. ქაბუქმა სიკეთე არაფრად ჩაავდო, არც კი აგრძნობინა, რომ რაიმეთი ემადლიერებოდა დალის.

სახე მთვარე კარგად შემადლებულიყო, ციხის კედლებზე ჩრდილები

გაწელილიყვნენ. დალი კედელს აჯროდა. მონუსხული იდგა კარგა ხანს... აღარ იცოდა რა ექნა... მერცხეებს ხავსით დაფარულ ლოდზე შეხტა. ხარბად შეავლო თვალი დაშლილ, დაქცეულ თაღებს...

გვიან დაბრუნდა შინ.

ეზმანა. გელათში იყო, გრძელი, ოქრომკედლი ნაქარგი კაბა ეცვა, ალმასის თვლიანი ბეჭედი ეკეთა, ალმასები უელავდა თმებშიც.

ფრესკიდან ჩამოვიდა მეფე დავითი, დააფახულა თავთუხისფერი, გრძელი წამწამები და მზესავით ღიმილი შეაფრქვია გოგოს თავლისფერი თვალებიდან.

აკანკალებულმა ღიმილიც ვეღარ შესძლო, მის წინ იდგა ახალგაზრდა მეფე, მუზარადი არ ეხურა, არც სამეფო პორფირი ემოსა.

ხელი გაუწოდა დალის, ალმასებჩაბნულ თმებზე გადაუსვა მარჯვენა.

გოგო გათამამდა. მეფის სამოსის კალთას მისწვდა და უნდოდა ეკოცნა, ხელი დაავლო მეფე დავითმა, შეაჩერა. თავისი გულთა ღიმილით დაატყვევა.

დალი არც დამფრთხალა და არც გაქცეულა, მიენდო მეფის ხელს.

„იცი, მეფე ბატონო, ქალურობის, გრძნობის ნაკლებობას მსაყვედურობენ, მე კი არ ვყოფილვარ თურმე ნაკიერი“.

ვასნა ტუჩები, რომ ეს სიტყვები ეთქვა, მაგრამ მეფე ისეთი ღიმილით შესცქეროდა, იმდენი სიბზო სჭვოდა თვალებში, ვეღარ შეკადრა სათქმელი...

სამაგიეროდ მეფემ თქვა პირველი სიტყვა.

— ხალხი სიკეთეს ადვილად არ გიმახსოვრებს, პატარა ქალბატონო, შენც გული ნუ გაგიტყდება, ბევრი ცუდია და ბევრიც კარგი, ასე იყო დასაბამიდან, ასეა და ასე იქნება სულ.

მეფემ გამოიყვანა ტაძრიდან ქალი, ხასხასა, ჩვილი მოლი ეფინა და მინანობდნენ ველზე მეფე და ასული.



— ქვეყნად ბევრს ნახავ ბოროტებას, ამან არ შეგაკრთოს, არ გაიტეხო გული. ჩემზე მეტი ტკივილი და საზრუნავი ვისა ჰქონია, მაგრამ ყველაფერს მოვერიე...

დალის ფეხი აუცურდა, ძვირფასი თვლებით მოოპვილი ქოში წასძვრა. მეფემ ხელით დაიჭირა წაფორხილებული ქალი, მერე, დაიხარა, ქოში მიაწოდა გოგოს.

ცრემლები ჩამოეკიდა წამწამებზე, ტირილი მოუწნდა, მაგრამ მყის გაახსენდა, რომ ცრემლებს ვერ იტანდა მეფე დავითი.

— სიყვარულს გაუფრთხილდი, პატარა ქალბატონო, სიყვარული ყოველთვის არსებობდა და მარადიულად იუფლებს დედამიწაზე, ზოგს ადრე ესტუმრება იგი, ზოგსაც გვიან. ზოგი მეძავობას, ფუქსავატობას და უზნეობას ეძახის სიყვარულს. ის კი სულ სხვაა, მალალი, სხივოსანი, ჭეშმარიტი. თავისთავად მოვა და ჩავაფიქრებს, იქნებ დარდიც გაგიჩინოს, მაგრამ უნდა მოუარო.

დინჯად მეტყველებდა მეფე. გოგოს მალა ახედვა ვერ გაეხედა, დნებოდა და იღვენებოდა მისი თვალების შუქზე.

ტაძრის აღმოსავლეთით წაიყვანა,

ამომავალი, დიდი, ბღღვიალა მზე დაანახვა...

მზემ თვალები დაახუჭინა და ველად დაინახა, როგორ გასცილდა თავისი საყვარელი გმირი.

მზემ შეაწუხა... ფეხი მონაცვლა.

გოგომ გვერდის იცვალა, ტკივილი აეშალა და თვალები გაახილა... მშვიდი ღიმილი ეფინა სახეზე.

კმაყოფილი იერი ჰქონდა.

შეყვარებულებით უღიმოდა რაღაცას, არარსებულს. იგონებდა ზმანების ყოველ წვრილმანს და სიამის ყრუანტელი კვლავ ღამეულ ბურანში აბრუნებდა.

არ იცოდა, ჯერ არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მოვიდოდა რაღაც ჯერ განუცდელი, უტყუარი და მალალი, მოვიდოდა ის, რასაც ვინ იცის, რამდენი ხანია ეძებდა, ელოდა, ეგებ ნატრობდა კიდევ.

... ბღღვიალა, დიდი მზე მოდგომოდა სარკმელს.

მზეც ისევე იღიმებოდა, როგორც წუხელ, სიზმარში, მეფე დავითი და თავის გულდია, სანდო ღიმილში ხევედა თავდახრილ გოგოს.

თვალწინ ედგა ქონგურებმორღვეული ნაციხარი, ნადარბაზვევი, ნასახლარი გეგუთი — მისი ქალურობის და გარდასახვის უტყვი მოწმე.



სეკში ჭიღაია

# შ ვ ი ლ ე ბ ი

მეორე წიგნი

სალომე დადიანის ოჯახი

სალომე დადიანსა და აშვილ მიურატს სამი შვილი ჰყავდათ: ნაპოლეონი (ნაპო), ლუკიანე და ანტუანეტა (ბებე). ამათგან ორს — ნაპოლეონსა და ლუკიანეს საფრანგეთის ქვეშევრდომობა ჰქონდათ მიღებული და ფრანგული ეროვნული არმიის ოფიცრები იყვნენ. ანტუანეტას კი განგებ დაუტოვა სალომემ საქართველოს ქვეშევრდომობა, რომ დედისგან ნაბომეში მამულისა და სახლ-კარის წილში არავინ შედაეებოდა. საფრანგეთის ქვეშევრდომებს — ნაპოსა და ლუკიანეს გული მუდამ საქართველოსაკენ მიუწევდათ და არც გაუწვევდითათ როდისმე კავშირი დედუღეთთან. მათ საქართველოში არა მარტო უცხოვრიათ და უშრომიათ, უომიათ კიდევ მეფის რუსეთის არმიასში, თურქების თუ იაპონელების წინააღმდეგ.

მიურატები საქართველოს წინაშე თავს ვალდებულად რაცხდნენ და ყოველ მომენტს ეძებდნენ სამსახურით გადაეხადათ ვალი დედუღეთისა. სალომე დადიანი კი რუსეთის იმპერატორისაგან ისევ იღებდა ეკატერინე ჰეკავაძის ქალიშვილისთვის ბოძებულ სუფსიდას.

ქართველი საზოგადოებრიობაც მათს ყოველ საქმესა და ნაკვალევს თვალყურს ადევნებდა. ქართულ პრესაშიც ხმაურობდა მათი სახელი. პეტერბურგსა და პარიზში მიურატების მოგზაურობა, მათი საომარი ეპიზოდები თუ საქველმოქმედო საქმენი უშაღვე აისახებოდა ხოლმე რუსულსა და ქართულ პრესაში. მათი ოჯახის უაღრესად ინტიმური მხარეც კი არ რჩებოდა ჩვენს პრესას გაუშუქებელი.

აი, ლუკიანემ საფრანგეთში იქორწილა. გა-

ზეთმა „ქვალმა“ არ დააყოვნა და დაწერილებით აუწყა ქართველ მკითხველებს: „ქორწინების აღწერა პრინცი ლუკიანე მიურატისა პეტროლინია რუანისთან“.

ამ ორს რიცხვს ივნისისას იქმნა გადახდილი ქორწილი პრინც ლუკიანე მიურატისა პეტროლინი და პეტროლინია როანის ასულთან. ქორწინება ესე აერთებს ორ ოჯახს, რომელთაც საფრანგეთის რჩეულ გვართა შორის უჭირავსთ პირველი ადგილი.

ერთი შთამომავლობა რუანთა დღეს ხდება პრინცესა მიურატისა.

პრინც იოაკიმ მიურატმა — კავალერიის გენერალმა და ბიძამან პრინც ლუკიანისამ დატოვეს სამსახური მას შემდეგ, რაც გამოიცა ბრძანება საფრანგეთის პრინციების შესახებ. პეტროლინი როანი უფრო ბედნიერი და როგორც დემუტატი მორბიაციისა ოცდაორი წელიწადი მსახურებს საფრანგეთის საკეთილდღეოდ.

მაგრამ ჯარში კიდევ არიან სხვა მიურატები: პრინც ლიუდოვიკი — ნაპოლეონ მიურატი, ძმა არის პრინც ლუკიანე მიურატისა. ეს არის ძრიელ მოსაწონი მხედარი, რომელმაც, დიდი ხანი არ არის, რაც მიიღო აფიცრობა მადაგასკარში, სადაც იმან გამოიჩინა შესანიშნავი მამაცობა და გადარჩა სიკვდილს, რომელიც ელოდა მას რამდენისამე დღის განმავლობაში;

1 ლუკიანე მიურატი არის შვილიშვილი სამეგრელოს უკანასკნელის მთავრის დავით დადიანისა. ჩვენი მკითხველებისათვის ამ ქორწინების აღწერა საინტერესოა.



პრინც ნაპოლეონ მიურატს კარგი მამაციური და გამბედავი შეხედულება აქვს, როგორც ჰქონიათ მის წინაპართ. ეს არის ერთობ მშლავრი, გასაკვირველი მოყვანილობისა, სამხედროთ კარგა გავრთნილი, სწრაფი, მიმზიდველი. ეს ახალგაზრდა მხედარი ამ დროებით იმყოფება ალასონში, სადაც ბიძამისი პრინც ლიუდოვიკ მიურატტი ასრულებს თავის სამხედრო სამსახურს.

პრინც ლუკიანე, რომელიც დაქორწინდა ამ დღეს, უფროსია პრინც ნაპოლეონ მიურატზე. ეს დაიბადა 1870 წელს ომიანობის დროს, მამასადავამ ეს არის დღეს 27 წლისა. ვადათვა რა სამხედრო სამსახური, მან აღრიდანვე გამოიჩინა განსვავებული მიდრეკილება ლიტერატურაზე და არტისტობაზე; ეგვი არ არის; რომ პრინც ლუკიანე მიურატტი უმეტესად თვის, დღეს შემდეგ ვაატარებს კავკასიაში თავის ახალგაზრდა მეუღლე — პრინცესიტორთ.

პრინც ლუკიანე მიურატტი არის შვილი გარდაცვალებუბის პრინც აშოლ მიურატისა და პრინცესა სალომე დადიან-სამეგრელოსა. მის უმცირესი ნაწილი სიყმაწვილისა გულტარებია თავის მშობლების მამულში, — სამეგრელოში. ვის არ ახსოვს პრინცი აშოლ მიურატტი ქედმაღალი, მხედარი ძველი ხელმწიფობის დროისა, რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნებულა აფრიკიდან, რათა შეერთო სამეგრელოს მთავრის ასული. პრინც აშოლს ერია ამერიკელის სისხლი. დედა მისი იყო ამერიკელი, პრინცესა ლუკიანე კაროლინა ფრაზერის ასული.

პრინც აშოლ მიურატტი ომიანობის დროს მსახუროდა ფელდ-მარშალი მაკმაჰონის შტაბში; მიუღია მონაწილეობა ბრძოლის ველზე რიგისხოფეროში და იმპერატორი გაუყვანია სედანში. ნაპოლეონ მე-III-ს არ ჰყავდა მასზე უფროთუღესი არც ამზანავი, არც მსახური. შემდეგ ომიანობისა პრინც აშოლ მიურატტი მითავსდა ელისეს მინდერტში, შემდეგ ხევნარში და მისი სასახლე, როგორც მისივე საზაფხულო სახლი ბრიუნოში, გახდა შუა ალავით ახალგაზრდა ბონაპარტულ პარტიისთვის. განხვავებული სამხედრო წოდებაში პრინცი, არც ნაკლებ მტკიცე ხსიათისა გამოდგა პოლიტიკაში და დიპლომატიაში. მან შეითვისა და გარემოიეროვა ყველა პირები უპირველესი დასისა. მის სასტუმროში, რომელიც გახდა პირველ პოლიტიკურ სასტუმროთ პარიკში, შეხვედბოლით ხოლმე; გრანიე კასანიას, და მის შვილ პავლე კასანიას, გრაფ მონის, ლენერალ ფლერის, კლიმენტ დიუფერნუს. მარკიზ ლავალეტს. პერციკ რივოლს, პინარდს, უ. ჟოლიბუს, უ. ბეიეს და სხვებს. ერთი სიტყვით ყველას, რომელთაც ჰქონდათ იმედი ბონაპარტის სახელმწიფო ოჯახის აღდგენისა.

ნაპოლეონ მე-III-ს სიკვდილმა და სამეფო პრინცის გარდაცვალებამ ამ პარტიას საბოლოოდ მოუსპო იმედი. ხოლო პრინც აშოლ მიურატმა

ტმა დატოვა პარიკი და პრინცესიტორთ დაბრუნდა სამეგრელოში, სადაც გაერთო ფუჰტუნსკი მეურნეო მუშაობაში. დიდი ხანი არ არსებებდა ის გარდაცვალა სამეგრელოში, სადაც მეცადინეობდა გავერცელებინა კავკასიის ხალხთა შორის სიბეჭითე მუშაობაში და მით მოემყო ბუნებრივი სიყვარული და ხსოვნა. მან დატოვა ერთი ძვირფასი წერტილი ფელდ-მარშლის მაკმაჰონისა იმპერატორთან, — წერტილი, რომელსაც მოწიწებით ინახავს მისი უმალღესობა პრინცესა აშოლ მიურატისა; თურმე ამ წერტილში არის დაწყებული ახსნილი გარემოებანი სედანის ლაშქრობისა. პრინცესა აშოლ მიურატისა სალომე დადიანის ასული კარგათ ასრულებს თავის კჳრის მიერ დაწყებულ საქმეს. დღეს კი განსაკუთრებით შეუძლია მისმა გულმა იხაროს, იგი ხედავს თავის შვილს დაქორწინებულს.

ჩვენ ვთქვით, რომ პრინც ლუკიანეს ჰყავს ძმა პრინც ნაპოლეონ მიურატტი. მას ჰყავს კიდევ და, პრინცესა ანტუნეტა, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, რომელიც დაიბადა ზედმიწევნით — სამეგრელოში. პრინცესა ანტუნეტა ჰყავს თავის ძმას ლუკიანეს მით, რომ იმასაც განუსაზღვრელი სურვილი აქვს სწავლისა.

მეუფროსე მიურატთა ოჯახისა, ნაპოლეონ მე-III-ს ბრძანებით იწოდება საკაროლო უმალღესობით, სხვანი კი უმალღესობით, ხოლო თითოეულს მათგანს აქვს სამოქალაქო წოდება იმპერატორის სასახლისა; პრინც ნაპოლეონს და პრინცესა მატილდას აქვთ მხოლოდ ღირსება იმპერატორის გვარისა.

რაც შეეხება სახლის მეუფროსე პრინც იოაკიმ მიურატს — ბიძას პრინც ლუკიანე მიურატისას, ის დარჩა უაღრეს პირათ პარიკის საზოგადოებაში. ცხოვრება პრინც იოაკიმ მიურატისა იყო ძალანა ბრწყინვალე. პრინცთა წინააღმდეგ გაცემულ ბრძანებას უნდა იძულებულყოფი იგი მოშორებულიყო ქარებს, თუმც მას იცნობენ ქარში ისეთ მამაკათ, რომ როცა პრუსიის კოროლმა შენიშნა ის, კავალერიის შეტაკებაში, უნებლიეთ წამოიძახა: „ახ რა მამაკი ხალხიაო!“

გრავი იოაკიმ მიურატტი იყო დიდ ხანს დეპუტატთა კაორსეში. მან შეისწავლა ზედმიწევნით ცხოვრება მიურატისა ისპანიში და მისი გამოკვლევა ცალკე წიგნათ არის დაბეჭდილი. ნაპოლეონის დროს მიურატზე უბრწყინვალესი ქარის მეუფროსე არავინ იყო; მისმა სიმამაცემ მიიზიდა დაი იმ ბონაპარტე ნაპოლეონ პირველისა, რომელმაც დაურიდებლად ვადაიარა მრავალი ბრძოლის ველეში, ვითარცა გმირმა გრძნეულებისამ, ხელში მათრახით, გენერალმა, ძლევაშოსილმა მეფემ და სიმემ იმპერატორისამ, გამოსცადა ყოველი ბედნიერება

**სარკი პილანი**  
შვილები

და უმეტესობა ამა სოფლისა. მისი დიდებუ-  
ლების სიყვილი სამწუხაროთ მოველინა ყვე-  
ლას.

ყველა უმაღლესი პირები პარიის საზოგა-  
დობისა და დიპლომატები დაესწრნენ ორს  
იენის სენტ-ფრანსუა ქსავიეს ეკლესიაში, სა-  
დაც მოხდა ქორწილი ლუციანე მიურატისა. მო-  
წინაურ ვანის ეპისკოპოსმა დალოცა ახალ  
დაქორწინებულნი და წარმოთქვა შესაფერისი  
სიტყვა. ეკლესია იყო მშვენიერათ მორთული  
ყვავილებით და მწვანე ბალახებით.

სხვათა შორის ახალ დაქორწინებულებს მი-  
ულოცეს ჰერცოგმა ბასანომ წარმომადგენელ-  
მა პრინცი ვიქტორ ნაოლეოვისამ, პრინცესა  
მატილდამ, მრავალმა ელჩებმა და ელჩის ქა-  
ლებმა, მინისტრებმა, ჰერცოგინებმა და ჰერ-  
ცოგებმა.

მშვენიერ სასტუმრო სასახლისა ინვალიდის  
ბუღალტრმა წარმომადგენდა აღმტაცებელ სანა-  
ხავს. შუაგულ დარბაზში ურცხვი ყვავილე-  
ებით და მწვანე ბალახებით იყო აესებული სა-  
ქორწილო კალათა. ძვირფასი საჩუქრები იყო  
აქვე გამოფენილი, რომელნიც მიერთმით დი-  
დალად სტუმრებს მეფე-დედოფლისათვის. მთ-  
ვალათათ:

ყოფილი იმპერატრიცა ევეგენიასაგან: — პე-  
პელა აღმასით, ზურმუხტით, ლალით და მარგა-  
ლით შემკობილი; ჰერცოგი შარტრისაგან: —  
ჩაის ჭურჭელი სევრის ფაიფურისა, პრინცესა  
ჰერცოგინია ოსტრისაგან — ვარდისფერი ქოლ-  
გა აღმასებით შემკობილი ტარით; პრინცესა  
აშილ მიურატისაგან: — გულსანვეი აღმა-  
სით და ზურმუხტით, მსხალი ზურმუხტის, ფარ-  
ღლი აღმასისა და მარგალიტისა, საყვლო და  
მუფთა სამურისა, კაბა ზაფერისა, წიგნი, სუ-  
რათი, სამაჭური — საათით აღმასებით შემკო-  
ბილი, თმის დასამაგრებელი აღმასისა და ტა-  
ნისამოსი თავის მოწყობილებით; პრინცესა ან-  
ტუანეტა მიურატისაგან: — ძვირფასი ფერადი  
ქვა მეფე მიურატისა ირგველი აღმასით და  
ლალით შემკობილი; პრინცი და პრინცესა მი-  
მიურატისაგან — ხილის ჭურჭელი სუმბუ-  
ლისა, პრინცი ნაოლეონ მიურატისაგან —  
შტო შავი მარგალიტით და აღმასით შემ-  
კობილი, პრინცი და პრინცესა იოაკიმ  
მიურატისაგან — ვერცხლის ჭურჭელი; ჰერ-  
ცოგი და ჰერცოგინია მელისაგან — ჩაი  
სუმბულისა; ლიუდოვიკ მიურატისაგან — რუ-  
ხის თასი სუმბულისა და მინაქრით; პრინცი  
ევეგენი მიურატისაგან — მარათ ფრთებისა; ჰერ-  
ცოგინია როანისაგან — გრძელი ფარღული  
აღმასისა, კაბა თავის მოწყობილობით, შალი-  
წამოსასხამი კაშვირისა სახსოვრად გარდაცვა-  
ლებულის ჰერცოგ როანისა და საპრინციპალი  
მაგიდა თავის მოწყობილობით; გრაფი და გრა-  
ფინია რუქესაგან — აღმასის ვარსკვლავი;  
გრაფინია დიუფორტისაგან — კედლის საათი  
ლიუდოვიკ XVI დროისა; ფოხელი და ქუან

როან შაბოსაგან და ფრანცისკა როან მარია-  
გან — სადლის ჭურჭელი და ვერცხლისა სა-  
სანთლები; გრაფ ფ. შაბოსაგან, რაფაელ  
მაგიდა ლიუდოვიკ XVI დროისა; გრაფინია  
გრაფინია ლიუდოვიკ XVI დროისა; ჰერცოგინია  
ბოფორტ სპონტინისაგან — პატარა კოლონი ბროლის და  
ოქროსაგან; ჰერცოგი მონტმონრანისაგან —  
თეთრი ქოლგა ფარშავანგის თავით, ხონია ყავის  
ჭურჭლისა სუმბულისა; ჰერცოგინია გრაფონ-  
ტისაგან — თეთრი ქოლგა ფარშავანგის თავით,  
ჰერცოგი და ჰერცოგინია მონტემარტისაგან —  
საწერელი სუმბულისა; ბარონ და ბარონესა  
სანტ-ჟოზეფისაგან — მუხის ლანჯარი შემკობი-  
ლი ძვირფასი თვლებით, ქალბატონ გეგენოტი-  
საგან — ეკრანი, ნაქარგი ყვავილებითა; უ. უ.  
ისტინელისაგან — ინგლისური საწერი პრიბო-  
რი; გრაფი და გრაფინია ბერცისაგან — მაგი-  
და ძველი ხელმწიფობის დროის; ქალბატონ  
ვისლენ რიველისაგან — ლანჯარი ვერცხლისა;  
უ. უ. ბურჟერელისაგან — სახე კაცისა; ქალ-  
ბატონ ანნა, მარია და ეორჟეტა ბურჟერელისა-  
გან — კალმისტარი; ქალბატონ მარია შანტალ  
ბოფორტისაგან — ჯამი სევრის ფაიფურისა;  
ბარონ იოან ვანდენ ბერგ ემსტედლისაგან ფოლ-  
ლანდის თასი ვერცხლისა; უ. მოორისაგან  
კედლის საათი საქანებლით; ბარონ მანვარტონ-  
ისაგან — დანა ქალღლის საჭრელი ოქროს  
მწვანე მინაქრით; ქალბატონ ბრევირისაგან —  
კალმისტარი გვირგვინით; მის ქალისაგან —  
ძველებური საათი ვერცხლისა; გრაფინია ბრი-  
ესაგან — ჩაის ჭურჭელი სუმბულისა; უ. იგ-  
ნატი ვილარ ვილაშლისაგან — მაგიდა საათი  
ძველი ხელმწიფობის დროისა; პრინცესა  
ლინისაგან — ქინძისთავი შოლაპისათვის მარ-  
გალიტისა; მარკიზ და მარკიზა ლასტურისაგან —  
ვერცხლის სასანთლები, უ. ლიუდოვიკ ლას-  
ტურისაგან — ვერცხლის საწერელი, უ. ვიტალი  
ლასტურისაგან — პორტრეტი მტრედის ფერი,  
გვირგვინით; უ. რენტი ტრავაისაგან — ბის-  
კვიტის ჭურჭელი; გრაფინია კასტელისაგან —  
ვერცხლის ჯამი; უ. შალობოსაგან — ვერცხ-  
ლის ლამა ძველი ხელმწიფობის დროისა; ქა-  
ლბატონ კასტელისაგან — კოლოფი საქსონელი  
ფაიფურისა; ქალბატონ ელენ რივერისაგან —  
ლანჯარი ვერცხლისა; გრაფინია პლიომარტინი-  
საგან — ჭიქა წყალსათვის ბროლისა სუმბუ-  
ლით; ქალბატონ ბონტევილისაგან სუნნელე-  
ბის შუშა ბროლისა და ოქროსი, გრაფინია გერ-  
მინისაგან — სურნელების შუშა ბროლისა და  
ოქროსი; გრაფ და გრაფინია კამბერგერისა-  
გან — ორკეცი ჭიქა წყლისათვის ძველი ხელ-  
მწიფობის დროისა; ჰერცოგი ტალიერანდი და  
ზავანისაგან კედლის საათი შემკობილი ძვირ-  
ფასი თვლებით. ვიკონტი და ვიკონტესა მონ-  
ტრეილისაგან სასალათე სუმბულით; ქალბა-  
ტონ ბრისაგან მედალი წმ. სტისტოფორისა  
ოქროსი; გრაფ ტალიერანდა ჰერცოგინისაგან



სამაჟური საფირისა; გრად ლიუდოვიკო ტი-  
ერენისაგან სამოვარი ოქროსი; ქალბატონ  
მაგდალინა მონტროლისაგან ქოლგის ქალი თა-  
ვის მოწყობილობით ოქროსი; გრად და გრაფი-  
ნია ფილამ როან შაბათიდან ხელის სასაბთლე  
ოქროსი, შემკობილი ვარდის ფურცლებით;  
გრად და გრაფინია ზებრან როან შაბათი-  
დან — ექვსი ვერცხლის სასასმო ლიქიორისთ-  
ვის; მარკიზ და მარკიზა ჰორთაგან — ქოლგა  
ცისფერი იხვის ნისკარტით; უ. ვერენგატისაგან  
— მედალონი ნაწილიანი; ბარონ და ბარონეს-  
სა ალფონს როტიმლითაგან — საათი საქაბოთ  
ენით და სასაბთლე სუმბულით; უ. კარლე ფე-  
რიუსისაგან ძველებური კოლოფი ოქროსი; და  
სხვა მრავალთა საფრანგეთის წარჩინებულთ გე-  
რების, პრინციების, ჰერცოგების, გრაფების და  
ბარონებისაგან მიძღვნილს საჩუქრებს ვეღარ  
აქწერთ უადგილობის გამო“.

ჰერცოგ როანის ქალიშვილი მარია ულამა-  
ზესი ქალი იყო. თქმობამდის ჩამოშვებულ  
ოქროსფერი თმა და ცისფერი თვალბი უნა-  
ზეს იერს ანიჭებდა. ამ უკვიან და ოდნავ და-  
ნისლულ ცისფერ თვალბში კი უსაზღვრო სევ-  
დას ამოიკითხავედით. ამ სევდამ მას შემდეგ  
დაიბუდა მის თვალბში, როცა ლუკიანემ უმი-  
ზუნოდ გული აიყარა მასზე.

გიორგი თუ არა უძღვრებოდა და ულამაზესი  
ჰერცოგის ასული მარია, ერთბაშად აენთო გუ-  
ლი მისი სიყვარულით ლუკიანეს. ქალს დაუფა-  
რავად გაუშხალა ლუკიანემ თავისი გრძნობები,  
რომანტიკულად წარმოადგენილ კავკასიის მოტ-  
რფილად ჰერცოგინია მიენოდ ვაეს. ბოლოს სი-  
ყვარულმა თავისი ვაიჭანა და იმ დღეს პარიზის  
სენტ-ფრანსუა ქსავიეს ეკლესიაში იქორწინეს  
მარიამ და ლუკიანემ. მთელი წელი პარიზში  
გაატარეს ახლადაქორწინებულებმა. ჰერცოგ-  
მა გულით შეიყვარა პირდაპირი და რაინდული  
ბუნების სიმე და წინადადება მისცა ზედსიძედ  
შესულიყო. თავნება და პატივმოყვარე ლუკი-  
ანემ იუკადრისა ჰერცოგის წინადადება და იმა-  
ვე დღეს გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ცოლითვე  
წამოსულიყო სამეგრელოში. მარია და მისი  
მშობლები, მთელი კვირა ევედრებოდნენ, მაგ-  
რამ ვერ გადაათქმევენეს ლუკიანეს სამეგრე-  
ლოში წამოსვლა. მერე მარია უსიტყვოდ დაჰყ-  
ვა ქმრის ნებას და იმ შემოდგომას სალომე  
დადიანმა დიდი ზარ-ზეიმით მიიღო ჰქალღმრთელი  
და შესაფერისი ქორწილით გადაუხალა უმც-  
როს ვაჟიშვილს. იმ წელს ლუკიანესა და მარი-  
ამს ბიჭი ეყოლა. ვაეს სახელად აშილი დაარქ-  
ვეს. ვაჟიანობამ დიდად გააბარა ოჯახი. ყველა-  
ზე უფრო მარია ხარობდა.

ვაიარა დრომ, ამასობაში ლუკიანეს — ომს,  
ნადირბას და ქეიფს მიჩვეულ ოფიცერს —  
მომხერდა ცოლიცა და ოჯახიც და პეტერბურგს  
მიაშურა. პეტერბურგში თავისი უფროსი ძმა ნა-  
პო ეველდობოდა. დრო ვადიოდა და ლუკიანე არ  
ჩანდა. მოწყინა ჰერცოგის ულამაზესი ას-

ულია. ერთხანს ბავშვისთვის ზრუნვამ გაარ-  
თო, მაგრამ ეს ბედნიერებაც დიდხანს არ გაგრ-  
ძელდა — ბავშვი 4 წლისა გახდა და ახლა დე-  
დისაგან იმდენ საზრუნავს აღარ მოიფრებოდა,  
რადგან სასახლეში ერთი კი არა, ორი ძიძა  
ჰყავდა მიჩენილი ვასაზრდელად. მარია მარტოვე  
და მოწყენილი იდგებოდა. მან ფრანგულის გა-  
რდა სახვა ენა არ იცოდა და ეს უფრო უძენ-  
ლებდა საქმეს. მართალია, სალომე დადიანი,  
ბებე და რამდენიმე ფრანგი მოსამსახურე  
დარღს უჭარებდნენ, მაგრამ, ქმრის გამო უმი-  
ზუნოდ მითოვებულს გული მიიწე უყენებოდა.

სამი წელი უყავდა ამ ყოფაში ერთგულმა  
ცოლმა ლუკიანეს. მაგრამ იგი კვლავ არ ჩანდა.  
ამბავი მოჰქონდათ პეტერბურგში უნახავთო,  
მეორენი ამბობდნენ თბილისში არტიტულ სა-  
ზოგადოებაში ჩაწერილა და მსახიობობოდა, მე-  
სამენი ამბიკიებდნენ ქუთაისში სავაჭროები  
გაუხსნიაო. სასახლეში ყველას ეცოდებოდა ეს  
ულამაზესი ქალი, მზრუნველი კი არავინ გა-  
მოუჩნდა.

ასეთ ყოფაში მარია თავის სევდას სასახლის  
ტყესა და იქვე ჩამომდინარე პატარა მდინარეს  
წაჩხურას ანდობდა. დილიდან საღამომდე თმა-  
ჩამოშლილი და მგლოვიარე აქ ატარებდა უღიმ-  
ღამო დღეებს. აქედან სასახლეში სადილად მი-  
მავალ მარიას ერთ დღეს მეწისქვილე შეეფეთა.  
მეწისქვილე უშიშარი კაცი იყო, მაგრამ სოფელ-  
ში გაზრდილს ტყის დედოფლის არსებობაც სჯე-  
როდა და მისი შიშაცა ჰქონდა და რიდიც. მე-  
წისქვილეს მარია არასოდეს ენახა და როცა  
შეხედა ამ მალა, თმანამოშლილ, ოქროსთიან  
ასულს, უცნაური გრძნობა და შიში დაეთვალა.  
იქვე დიდ მუხას ამოეფარა და ამ უცნაურ არ-  
სებას იქიდან დაუწყო ჰვრეტა და თვალღერება.  
ქალმა შეინიშნა მოხუცი, რომელიც იმალებო-  
და და ისე აკვირდებოდა, ზელი დაუქნია,  
აქეთ გამოიღო. ახლა უფრო შეკრთა მოხუცი,  
გაეგონა ტყის დედოფალი ხელის ქნევით იტყუ-  
ებს წყალში კაცებს და, ტინს რომ მოიკლავს,  
მერე აღჩაბსო. ეს მოაგონდა მოხუცს და უფ-  
რო დაინახა უკან, გაქცევა დააპირა, მაგრამ შე-  
რცხვა გაბედულ მოხუცს. ქალმა მეწისქვილეს  
ყოყმანი რომ შეატყო, გაუღიმა და კვლავ ხელი  
დაუქნია. იყვირა მეწისქვილემ, ტყის დედოფა-  
ლი, ტყის დედოფალიო...

მოხუცის ყვირილზე სასახლის მსახურნი მო-  
ცვიდნენ, გასაქცევედ გამოაღებულა, ქუდმოგ-  
ლეჯილი მოხუცი დაამოშინეს და აუხსნეს ვინც  
იყო ეს ქალი. შერცხვა მოხუცს, მარიამი კი  
გულიანად იციანოდა. ეს ხუთი წელია მის ბავს  
ლიმილი არ მოჰქვნიდა. ეხლა კი აღგზნებული და  
გაბარებული დამბრუნდა შინ. მაგრამ ეს დღე  
იყო და ელი, ამის შემდეგ არ გაუხარია მარიას  
გულს, ისევ ტყეს მიანდო თავისი ბედი.

**სარბი შილიანი  
შვილიანი**

...მარიას შიგ უღრან ტყეში, წაჩხურას პირას, ცისფერი ფარდავი გაეშალა და ზედ დაწოლილიყო. თავი ხვერდგადაკრულ მუთაქაზე ედო, გაოგნებული ცას შესცქეროდა. წაჩხურა კი რაკრავით მოედინებოდა. ცის ლივები და მდინარის რაკრავი ოცნების ბურუსში ხვევდა მარიას. ქალი გაუძნარეულად იწვა და ისევ ფიჭის წაელო. მერე ასწლოვანი ხეების კენწეროებს შეხედა. ოდნავ არხევდა ქვიზიბის მთიდან წამოსული ნიავი ფიჭვის კენწეროსა და ავლისხეების ფოთლებს. მარჯვნივ გაიხედა. ვიწრო და ლაკლავიანი საცაღვნიხი ბილიკი გასდევდა წაჩხურას. წაჩხურა მარჯვდ მთიკვლევადა გზას ტყით დაბურული ჩერობის ჩრდილში, ბილიკის გასწვრივ. მილიკი მდინარის კვალობაზე დაკლავნილიყო.

ოქ, სადღე ახლა მარია იწვა, წაჩხურას გზა გაეცაქებინა და მცირე მოედანი შეექმნა. აქ შეგუბებული მდინარე პატარა ტბას ჰვავდა. ცასავით ლივლებდა ოდნავ შეყოვნებული წაჩხურა, ოდნავ, — ლურჯად კი არა, მწვანე თეთრად ლაპლაპებდა. მარიამ უკან მოიხედა და სასახლეს შეხედა. სამზარეულოს საკვამურიდან ნაცრისფერი კვამლი ამოდიოდა, ზევით შიიკვლევდა გზას, მაგრამ მთიდან მონახები ქაბრი უშლიდა კვამლს ცისკენ სწრაფვას. ქარს არ უნდოდა გადასარკული მოლივლივ ცა საკვამურის ტუპუს შეებლავა.

წაჩხურა საქართველოში ყველაზე მოკლე მდინარეა, ყველაზე მოკლე და ყველაზე ცივი. სათავეს იქვე ქვიზიბის მთებში იღებს და სულ ექვსიველი ვერსის მანძილზე მიწავერდობს, აუზდგერეველი და ამაყი. შემდეგ იქვე ტეხურს უერთდება და მისი ხსენებაც იქვე თავდება. და შინაც განთქმულია მთელს ამ მხარეში წაჩხურა. ბავშვის სულივით წმინდა, წმინდა და კამკამა, ცივი და უყარებელი, მარტო ლურჯად დაწინწყლულ კალმახებს ანებებრებს თავის ზვირთებში.

წაჩხურას და მის ნაბირას გაწინებულ უღრან ტყეთა მეგობარი, სამეგრელოს პატარაძალი მარია იწვა და ფიჭობდა. იგონებს, როდესაც პირველად შემოიღდა ფეხი ამ ტყეში ისე, როგორც ზუგდიდის ბაღსა და ჰეადუაში. მაშინ უზომოდ ეტრფოდა ყოველ ბუჩქს, ყოველ ბალახს, ფეგრებოდა, ხელს უსვამდა, ეალერსებოდა, ელაპარაკებოდა მათთვის გაუგებარი ფრანგული ენით... ახლა არც ეს ცა იზიდავს, არც წაჩხურას რაკრავი ესმის, არც ფრინველთა ფლურტული, არც მუდამ ნისლით დაბურული ქვიზიბის მთათა საიდუმლოება იტაცებს. ყველაფერს გულამრგზილი უყურებს, რადგან გრანობს, რომ იმას არ უყვარს, ვის გამოც ვადმოიხეწა ამ უცხო ქვეყანაში.

აქ ისევ ყველაფერი ძველებურად ყვავის და ხარობს. მარიას გული კი კენესის და როცა გული კენესის, მაშინ ხომ გარშემო ვერას ხედავს თვალი! უამრავ ფერთა დაღადისი აცნე-

სებულ გულს ვეღარ ამშვიდებს, ვეღარ ახარებს. იწვა ახლა ასე გულცივი გრძობაშეღობილი. მარია. ერთ დროს აქ ნადირი იწვიდა, ხან მგელი ელანდებოდა და ხან დათვი. ახლა კი ეს შიშიც ვაქტობია და მისთვის სულერთთა მგელი შექამს თუ დათვი დღეგლვს ფაფუკად ნალოლიავებ ხსეულს. წინათ კი სხვა იყო. აღფრთოვანებით და ოცნებით მოეშურებოდა ამ მხარეს. გამიჭნურებული და ბედით კმაყოფილი მაშინ მთაც მშვენიერი იყო და ბარც, ტყეც ლამაზი იყო და მდინარეებიც. მაგრამ ავტო ხუთი წელიც არ გასულა და გაცივდა, გაცივდა ეს სიყვარულისგან გაფარვარებული გული, შეურაცხყოფილი და შევიწინებული. დარლობს, დარლობს მარია და ფიჭობს, მინც რა ძალა იყო ის სიყვარული, რომელმაც პარიზიც დამატოვებინა და ჩემი მშობლებიცო, მე ხომ ამ სიყვარულს ვანაცვალ მამინ ყველაფერიო. არა! რა გულდაყურებით, რა რაინდულად სდებდა თავს მაშინ ჩემთვის ლუკიანე, რა ზღაპრად მიხატავდა საქართველოში ჩამოვივდი და მართლაც ზღაპარი დამხვდა. საქართველო ზღაპარია, სიზმრად რომ ელანდება ყდველ უცხოელს. ახლა ზუსტად არ ავინდება, როდის იყო ეს, ისე კი ყველაფერი ახსნობდა. პარიზში მის ქალიშვილები, სკოლის მეგობრებიც ეწვივნენ. ისინი შურით შეპყრებდნენ ახლად ჭვარდაწერილს და როცა ლუკიანე გატაცებით უყვებოდა საქართველოს ამბებს, სტუმრებს ოხვრა აღმოხდათ. ახლაც არ იციან მარია, ეს ოხვრა შურისა იყო თუ განუფრთხობა. მერე, მართლაც ჩამობრძანდნენ ცოლ-ქმარი საქართველოში. ოი, რა რიგად მოიხიბლა მაშინ, ფოთში დახვედრითაც, ჰეადუაში ქორწილითაც, ზუგდიდის ბაღითაც, სალიხის ტყითა და მთითაც, დათვე წადირობითაც და, კიდევ რომელი ერთი მოიგონოს! ზღაპარი იყო, ზღაპარი! ისე ხელშეასახებდა მოაგონდა ყველაფერი, რომ უცბად თვალი მიმოავლო მიდამოს, ისევე ამ ზღაპარში ვარ თუ არა... ვიი, რომ ახლა არაფერი ახარებდა მის სულს!

იწვა ტყის დიდოფობი, ოქროსფერი თმა მწვანე უზზინავდა. მზისა და ქარისაგან ხელებ და მკლავებ შერუქულს ძარღვი უთრთოდა. მუდგარულ სახეზე თეთრი ცვირისახოცი ეფარა. ფიქვნარებიდან გამომძვარალი მზის სხივები თვალებში უწყობინებდა. მძიმედ სუნთქავდა, დილიდან აქ არის, ახლა საშინლად მოშივდა, მაგრამ ადგომა უხარება და გარინდებული წევს და ფიჭობს. ქვეყნის ფიჭობები მას არ აწუხებდა. არც ოჯახის მოვლა, ახლა არც შევილისთვის ზრუნავდა, ერთადერთი საფიჭობელი მისი ლუკიანე იყო და ახლაც ამავე ფიჭობდა. სხვა ფიჭობი მას არ აწუხებდა ცხოვრებაში უზრუნველს. აქ ამ უღრან ტყეში მის მყუდროებას არაფერ არღვევდა და შიიტომ უყვარდა მარტო დარჩენა. მარია ახლა არავის ეკარებოდა სასახლეში. ის ყველასა და ყველაფერს გაურბოდა.



მარტო ამ ტყეში პოულობდა ერთგვარ შევხას. სამხილი, მწარე ფიჭვები დაუფლებოდა მარაისს. სწორედ ამ დროს ბებე გამოჩნდა, ხელში ვენახის სასხლაიე ეჭირა, მამაკაცის სამუშაო კოსტუმში, ტყავის ქურთუკი და ჩექმა ეცევა. ბებე ისეც არ იყო ნაზი და ამ ტანისამოსით ტლიანქ მამაკაცს დამსგავსებოდა.

— რაო, მარია, ისეც ლუკიანზე ფიჭვობ? — ასეთ შეკითხვას არ მოელოდა მარია და მთლად დაიბნა, მაგრამ ერთბაშად გონს მოეგო და კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— შენ, შენ რაზე ფიჭვობ — ვენახზე და მუშებზე? — მიხვდა, რომ ნათქვამი ცუდად გამოუვიდა და ახლა უფრო დაუყვავა თავზე წამომდგარ მულს:

— არა! მე ის მინდოდა შეკითხვა, აი, მაგალითად, შენ რატომ არ თხოულები?

ბებე რძლის გვერდით მოკალათდა. თითქოს სხვათაშორის უპასუხა:

— იმიტომ რომ არავინ შემიყვარდა!

მთლად გათამამებულმა მარია ეს პასუხი სერიოზულად მიიღო და სამაგიერო პასუხი არ დააყოვნა. — ჰო, არ შეგიყვარდა? მე რომ შემიყვარდა, ვითომ რა მოვიგე? თითქმის ტირილით თქვა ეს სიტყვები. ბებე კეთილი იყო, თან პირდაპირი, მოუტირებელი, რასაც ფიჭვობდა. იმას ამზობდა. ახლა კი ნამდვილად შეეცოდა რძალი და დაეყვავებოდა გაუბნა საუბარი.

— როგორ თუ რა მოვიგე? ქალისთვის შეიღია აუცილებელი, უფრო შეიღი, ვიდრე ქმარი. შენ იმითა ხარ ბედნიერი, რომ შეიღი გყავს. ჩვენი ამოლი ვეყავი გვეზრდება, ქალს ამაზე მეტი ჭილღო ამა რა უნდა. მე რომ შეიღი მყავდეს, ალბათ არასოდეს ვიდარდებდი იმ შეიღის მამა ჩემთან იქნებოდა თუ ცხრა მთას იქით. სიტყვა არ დაამთავრებინა მარია:

— ცდები, სასტიკად ცდები, აი რას ნიშნავს, რომ არ განვიცდია ის, რაც მე განვიცადე. შეიღი შეიღია, მაგრამ ქმარი, ქმარი? ქმარი უფრო აუცილებელია. სწორედ რომ ვითხრათ, ქალი სიყვარულისა და ალერსისათვის დაბადებულია. ქალს მოფერება უნდა, ალერსი უნდა. თუ ეს ალერსი და მოფერება მოაკლდა, უმალ უბოროტეს არსებულ იქცევა. ნამდვილ სიყვარულს რა სჯობს, ვისაც სიყვარული მოაკლდება, ის უბრალო ჩვერია. ამა, სად გავიწილა, მზეს რომ სითბო დააკლდეს, ღრუბელს წვიმა? ბუღბუღს რა დააღუშებს სიყვდილის წარდა! ნამდვილ სიყვარულს თვით ჭადოჭობაც ვეღარ ჩააქრობს.

მარია მთლად ენად გაიკრია.

— როდესაც ნამდვილი სიყვარულია, ქმრის სული შენი სულის ნაწილი ხდება, იმისი სხეულის სითბო შენს სხეულში ვადმოიღვრება და შენს სხეულს გაათბობს: ასე ამდირებენ ნამდვილი სიყვარულით შეერთებული ცოლ-ქმარნი ჟრითითს. დიახ, დიახ, ორა არსების, ორი სულსა და სხეულის ერთ არსებად ქცევა ხდე-

ბა. მერე ისინი ცალ-ცალკე კი არ ცხოვრობენ, არამედ ერთ არსებად ამიტომაც ერთმანეთს რადაც აზროვნებენ და ფიჭვობენ, ერთმანეთს ზნე და ხასიათი უმუშავდებოთ. რომელიც წიგნში წაიკითხე, თურმე ისეც ხდება, რომ ერთი კეთილი მეორეს (თუ იგი ბოროტი იყო) კეთილად აქცევს — აქ ღობილორეული ბებე შეეშველა უბოროდ აღზნებულ რძალს — ჰო, ამ შემთხვევისა გამო ქართული ანდაზა ამბობს: — ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო.

ფრანგულად უთარგმნა ეს ანდაზა ბებემ მარიას. მარიას გაუხარდა, რომ ნათქვამს უმტკიცებდა ეს ანდაზა და დაუმარტა:

— კარგად უთქვამთ თქვენებს, კარგად. მგონია ფრანგულდაც არის ამის მაგვარი რამ.

მაგრამ ახლა ამის მოგონებისათვის აღარ ეცალა უბოროდ გახარებულს და განავრო:

— დიახ, დიახ, ასეა, ნამდვილი სიყვარულით შეკავშირებული ცოლ-ქმარი ამდირებენ ურთიერთს სულითაც და ხორცილთაც. დიახ, ისინი ერთ სარეცელში სულსაც უნაწილებენ და ხორცსაც ერთმანეთს. მე ეს ახლა შევიცნა, ახლა გავიგე. ჩემი ქმარი, ჩემგან რომ წავა, მთელ კვირას ჩემს ლოგინს მისი სულის სითბოც რჩება და მისი სხეულის სუნიც ასდის. შენ გგონია უცნაურს ვამბობ? არა, ჩემს ქმარს თავისებური სუნი აქვს სხეულისა. მას ათსაზი გამოვარჩევ და ასე გგონია ჩემს სხეულსაც ასეთივე სუნი აქვს, თითქოს მისგან გადამედო მე ეს სურნელება მისი სხეულისა. შენ ისე იღიმები, თითქოს არ გვეროდეს. არა, მე ნამდვილს ვეუბნები.

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი, სამწუხაროდ, ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ იმ ბედნიერებას, რომელსაც შენ ასე ზღაპრულად ხატავ, მე სრულიად გამოკლებული ვარ, ჩემთვის უცხოა ის ხილი, რასაც შენ ქმრისაგან მოითხოვ

— ჰოდა, სწორედ ეს არის საქმე. — არ დააცალა მარია. — დიახ, დიახ, სიყვარულის ნაყოფი ერთხელ თუ იგემე, მერე უიშისოდ ცხოვრება ძნელად წარმოსადგენია. ქალს ქმარი სჭირდება, ღმერთს ასე დაუწესებია და ჩვენ რად უნდა ვევერჩხოთ ღვთის განაჩენს? მე თუ მკითხავ, ეს უწესო ქალიები სულ ქმრებისაგან არიან გაუბედურებულნი, უყურადღებო და უგულვო ქმრებისგან.

— არა. მე ეს აღარ მჯერა. აქ ქმარი არაფერ შუაშია. ქალი ბუნებით იბადება ასეთივე და ისეთივე... ისე კი, მე ყოველგვარი ქმარი მძალს, ქმარი ბატონკაცად დაბადებულია, მის ღინიანობას უსიტყვოდ უნდა ემონო, მე მინდა თავისუფალი ვიყო, ახლა ჩემი თავის ბატონი თვითონ

**სმრბი შილანია  
შვილები**



ვარ, სხვა ბატონი და უფროსი მე არ მჭირდება. აი შენ, დიდებულ გვარიშვილსა და ღვთისგან ყველაფერად შემოკობილს, ფეხიკ არ გადავიდამს ქმრის დაუქითხავად. ზიხარ ამ ტყეში და ელოდები, როდის ჩამობრძანდება ერთი ქმარი, რომ ერთი-ორი სააღვრის სიტყვა გითხრას. არა, ასე სამთხოვროდ შე ხელს არაგის გავეშვერდი, ერთ დღესაც არ დაველოდებოდრი. მეჯავრებიან ის ქალები, ქმრებს კუღში რომ დასდევნ და ათასნაირად ელაქუცებინან, ურცხვად ეგვრებიან, ოღონდ მათ გული მოივან. არა, არ მინდა მე ასეთი ქმარი, ქმარი, ჩემი აზრით, მარტო იმიტომ არის საჭირო, რომ შეილი გაგინდეს. ეგებ როდისმე ისე მოეწყოს საქმე, რომ ცოლქმრობის ურთიერთობა ამით დამთავრდეს. აბა, რაში მჭირდება სხვა მხრივ მე ქმარი, ვისზე ნაკლებ გავუძლებები ჩემს მამულეთ-დედულეთს. ორი ბატონი კი ერთ ოჯახში სწორედ რომ ზედმეტია. მე ყოფა ჰქუა, რომ მე თვით განავაგო ჩემი საქმეები.

— არა, არ გესმის შენ, უფრო სწორად, ცუდად გესმის ცოლქმრობა. ცოლი და ქმარი ორ ბატონად კი არა, ერთ არსებად უნდა იქცენოდ, ერთ სხეულად, ერთ სიყვარულად, ამანზე მეტი ბედნიერება არც არის და არც იქნება ცოლქმრობაში. სიყვარული ის შუქია, რომელიც ამ ბნელ სამყაროს დიდი ნათელიანი ანათებს, ჩვენს სევდიან დღეებს ის ახალისებს. უსიყვარულოდ ბნელდება ყველაფერი შენს გარშემო. არაფერ ისურვებდა ასეთ ცხოვრებას. არა მგონია შენც არ გეგვეს მისი ნეტარა! ისე გატაცებით ლაპარაკობდა მარია, რომ თვით ბებეს — ამ უცნაურ ქალის გულში საღვთო მიმალულმა გრძნობამ გაიღვიძა. ის ისეთი პირდაპირი ქალი იყო, რომ გამოტყდა კიდევ.

— მეც მიფიქრია ამ თემაზე. დიხა, სიყვარული ავადმყოფობას ჰკავს. ავადმყოფობას მკურნალობა უნდა. არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ მეც ვიყავი ამ სენით სნეული... ბავშვი ვიყავი, პირველი აღერსი რომ ვიგემე. სიზმრად მახსოვს ყოველივე ეს. სულ ადრე დაეკარგე ჩემი საოცნებო არსება. მერე სულ მესიზმრებოდა. ზმირად მთელი ღამეები არ მეძინა, ვიღაცას ვეძებდი, ვეძებდი, ჩემად. სხვებისაგან მალულად, ეგებელი და ვემახდი... მერე... ჩემი სული დაეცარიდა, სიზმრები და მოჩვენებებიც გაქრა. დადვივარ ასე ბედისაგან უარყოფილი და არაფერ მაინტერესებს მას შემდეგ, რაც იმ პირველი სიყვარულის ალი გაქრა. მე ვერსად ვპოვე იმის ტოლი და მსგავსი, ვინც პირველად მიუვარდა და ჩაიჭინე ხელი, აღბათ ღმერთმა წილად მარტოდ, ცალად ყოფნა მარტოვანი, ამიტომაც, ყველა მამაკაცზე გაჯავრებული ვარ და გამოორტებული, თითქოს ყველანი დანაშაუენი იყვნენ ჩემს წინაშე, მე ჩემად ვტირი და მოვთქვამ ჩემს ბედზე. ჩემს მეგობრებს კი

ისე ვაჩვენებ თავს, თითქოს არაფერი მინდა შენსად. დღეს ამ ქვეყნად, თითქოს ისეთი უღრუჭული ყო, როგორც ამ ხალხს ვეჩვენებენ, თითქოს ლაღ შენ გითხარი ეს აღსარება და თითქოს გულზე დაწოლილი ლოდი მოვიცილევ. — თქვა ბებემ და ცხარე ცრემლით ატირდა.

გაუყვარდა მარიას, აქამდე ეგონა ეს ქალიშვილი სურლიად უღარდელი და უზრუნველი, თავისი ბედის კმაყოფილი იყო და ახლა კი ეს რა ესმის მის ყურებს! მივარდა ატირებულ მუღს და კონა დაუწყევ.

— ჩემო ბებე, ჩემო ვეთილო, შენ, შენ ამბობ ამას? თურმე შენ ჩემზე უფრო უბედური ყოფილხარ. როგორ მალავდი მერე ამ ჭირს აქამდის? მე კი... ვი, რომ მე არ დამიშალავს, მაგრამ ჯამით შევბა მინც ვერ მივანიჭე ჩემს თავს უბედურა. — თვითონაც ატირდა უმშვენიერესი მარია

დიდხანს ამშვიდებდნენ ერთმანეთს სალხინოს სასახლის უღრან ტყეში სიყვარულით გაწებლებულნი. მათში ერთი გაუთხოვარი იყო, მეორე — გათხოვილი, ორივე კი — ბედისი კომედურავი. ტრუჩები უტაცებდათ, სიტყვები ყელში ეჩხირებოდათ, ცრემლები აღჩნობდათ. ისინი ახლა ვერაფერს ამჩნევდნენ: ვერც ცემდის აწვილდ ალვის ხეებს, ვერც მოშრიალე ჰადრება და საახალწლო ჩიჩილაკებით მორთულ ძეწნებს. ამ უღრან ტყეში, მითხვანა და ლეგენდების სამყაროში ჩაძირულებს, თითქოს გონება და გრძნობა დახშობდათ, სმენა და ხედვა დაჰკარგოდათ. მათი გულახილი გრძნობების შემსუბუქებელი მხოლოდ ცრემლები იყო.

მარია ერთხანს ბებესთან მეგობრობით გაერთო, მერე კი, სულ მალე სამეურნეო საქმეებით ვართულმა ბებემაც დაივიწყა. ყველაფერს მოწყვეტილ მარიას, მხოლოდ საკუთარ გრძნობის ამარა დარჩენილს, ძალიან უჭირდა სიძარტოვე. მერე და მერე უფრო ჩამოსცილდა ყველას და ყველაფერს, მთლად განცალკევდა, განმარტოვდა, უსახღვრო სევდით აღივსო სული. მარტობა და სისოწარკვეთილს ზდიდა. ასე ედინა თურმე აღმაინებლისაგან მოწყვეტას, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, გამოირკვა. ესეც იმის წყალობით, რომ ბოლო დროს საფრანგეთში გაცნობილი ერთი ვაჟი ეღანდებოდა, რომელიც მაშინ მასხარად აივლო, როცა ამ ვაჟმა მოკრძალებით თავი დაუქრა. ბედის დაცივდაც სწორედ ამას ჰქვია! — ახლა ენატრება ეს ვაჟი.

იწვა პირაღმა ეს დაქალებული 30 წლის ფრანგი ქალი, რომლის სულიც უჩხობდა კანონიერ ქმარს. ის კი არსად ჩანდა. ქალი ოხრავდა. სხვა საღარდებელი და საფიქრებელი არ ჰქონდა რა ფუფუნებაში აღზრდილს. სუფრა რა არის, სუფრაც არასოდეს ვაუშლია. პირად გრძნობებზე მეტი საფიქრალი არც აქამდე ჰქონია და არც ახლა ჰქონდა. სამწუხაროდ,



წიგნის კითხვაც არ უყვარდა, თორემ იმდენი ფრანგული რომანები იყო მიურატების სასახლეში, რომ იქნებ მათი კითხვით მაინც გაეჭარებინა სეველა. ასე მარტლად შთენილი ვასწავდა ტუისენი და მთელ დღეს იქ ატარებდა, ვიდრე შინშილი არ შეაწუხებდა. ფიქრობდა, დაუსრულებლივ ფიქრობდა და ამან მეტისმეტად მგრძობობიარე გახადა. სტუმრები მოდიოდნენ (მუდმივი სტუმრიანობა იყო მიურატების სასახლეში), არც მათ ეკარებოდა ამ ბოლო დროს. მთლად ჩაიკეტა გულის ქარი. ამას ახლა პალეონიციები და შინიცი დაემატა. შინი ყველა ბუჩქიდან, ყველა ხიდან, ყოველ მოსახვევოდან იმჩირებოდა მის სულში.

რა არის ჩემი ცხოვრება? ჯერ 30 წელიც არ შემსრულებია და დაქვია ჩემი გაუშლელი სიყვარულიცა და ჩემი ყმაწვილქალობაც. რათა, რისთვის? რა დამიშავებია? მთლად უსინდისო ყოფილა ეს ლუკიანე. თუ სიყვარული არ შექმლა, რად მეფიცებოდა, რად დგებოდა ჩემს ცოდვაში, რად მომიყლა ყმაწვილ ქალს ასე მალე გული! ეს გული ხომ მას ეკეთვნოდა მთლიანად, განუყოფლად. ჩემს გულში ხომ, გარდა ლუკიანესი, არაფერს სიყვარულს არ დაუღვია ბინა. მე ის უნაგვაროდ მიყვარდა, ის ყოველ ჩემ ქალშვილობის ოცნება და ფიქრი. ასე მგონია მოსაკ გულით ვუყვარდი. ახლა რა გამოვიდა? სულ სამი წელი არ გასულა და გაცივდა ის გავარაგებული გული, რომელსაც უსიტყვოდ დაემკონე. ჩემ გულში ისევ უმანკოდ და ხელშეუხებლად არის შენახული სიყვარული, მას კი მოვებზრდი, ჩემი დანახვაც არ უნდა. აქედან გადაიკარგა. ვერაფერი გამოვიდა, ან შეუყვარება რა იყო, ის უფრონი ფიცი და პირობა, რომლითაც ერთგულებას მიმტკიცებდა, ან რას ჰგავს დღევანდელი მისი საქციელი. ვერა, ვერაფერი ამიხსნია მისი ასეთი გადასხვავებებს! ან იქნებ არ ვარჩევარ მე, როგორც ქალი? იქნებ მდინარე წახეტარზე უფრო ცივი აღმოჩნდა ჩემი გული და ვერ ვათბობ მის სულს? იქნებ მაზინჯი ვარ?

მარია უცბად ადგა და სარკეში ჩაიხედა. მის თვალთაგან ცრემლებმა იწვიმა. ლოყებზეც ცრემლები ეუარა, თვალბეცი ცრემლებით ჰქონდა სავსე და მაინც დაღინებოდა აცქერდებოდა სარკეს. მთლად ანგელოზის ჰგავდა! როცა ტირილით იქერა გული, თქვა, არა, მაზინჯი ან უნდა ვიყო, ამის ვამო რომ შევძლებოდიო. ან თუ უშნო ვარ, მაშინ სად ჰქონდა თვალები, საცოლელ რომ ამირჩია, მაშინაც ხომ ასეთი ვიყავიო. ახლა სურათი აიღო, იგი პარიზს იყო გადაღებული ამ ათიოლე წლის წინათ. აიღო, სახეზე მიიღო და ისევ სარკის წინ გაჩერდა. ამ სურათს თავის სახეს ადარებდა

არა, არ უნდა ვიყო გამოცვლილი — ფიქრობდა მარია — მაშ რა არის მიზეზი? მე, ფრანგი, იქნებ ვერ შევეთვისე მის ოჯახს, მის დე-

დალუტის? დიდებულს? მაგრამ ისიც ხომ ფრანგია, ჩემი მოდგმისა, წარჩინებული გვარის შვილი იქნებ დედა აქ დამანაშავე, დედის მკვლელობა მაგრამ სალომესაც ხომ უზომოდ ვუყვარვარ და შეილსაც ტუქსავს გულცივობის გამო.

ვერა და ვერ ვაარკვია მიზეზი. თავი რუ ვხეუოდა, წუხდა, ბოდავდა. ისევ დაუბრუნდა საკუთარ თავთან დიალოგს:

ეგებ სხვა შეუყვარდა? ამას წინათ ჩვენმა მზარეულმა ფრანგმა მითხრა: ამბობენ ლუკიანეს ვილაც მსახიობი შეუყვარებიაო. ეგებ ის მსახიობი ჩემზე ლამაზიც არის და ჩემზე ქალურიც? იქნებ ცივი ვარ, ცივი და უღრბი და ჩემი სარკეული ცივი აღმოჩნდა?

და ატირდა. დიდხანს ტირიდა, ტირიდა, ტირიდა თავის თავს, დაკარგულ სიყვარულს, ღმერთს ევედრებოდა, კაცს ემდებოდა, მაგრამ გზა ხსნისა არსად ჩანდა. წუხდა და ბორგავდო ფრანგის ქალი.

ამ დროს ოთახში სალომე შემოვიდა გაღიმებული. ახლო მივიდა რძალთან. ხელი გადაამხვია და იქვე, ტახტზე გვერდით მოისვა, ფრანგულად გაუბა საუბარი:

— არა, ჩემო მარია, შენ ტირილი, მოთქმა და ბედის სამღერავი არ გმართებს. ლუკიანე ეთილი ქმარია, პატროსანი კაცი. მე ვიცი, მყვარ ჩემი გაზრდილი შეილისა. ის ვერსად წავივა, ისევ აქ მოვა, ჩვენთან.

ეს უთხრა და თვალბეზრით შეხედა მარიას. ფრანგის ქალს ცრემლები უციმციმებდა. პირინცესას შეეცოდა, მაგრამ არ აგრძობობინა, ისევ იმავე კილოთი ვანაგრძობ სიტყვა:

— ისიც იცოდე, ჩემო მარია, რომ ცოლ-ქმრობა დიდი ტვირთია. დიდი მოვალეობა. რაკი შეებით ამ უღელში, უნდა ზიღოთ კიდევ, რაკინდ მძიმედ უნდა იყოს ეს უღელი. — ისევ შეხედა რძალს, — მარიას ცრემლები მოერია, ატირდა, ტირილით უბასუხა:

— მე ხომ პირნათლად ვეწევი ცოლ-ქმრობის უღელს...

— არა, როდი გეუბნები უცლად ეწევი-მეთქი. მაგრამ არ მომწონს ეს შენი გადაქარბებული ეჭვიანობა, არც ეს ცრემლები მომწონს. ვის ვაუთვონია ოჯახში ამდენი მოთქმა და ტირილი! — და მწყურალად შეანათა თვალი.

ახლა კი მოიწმინდა ცრემლი მარიამ და გაუჭრით მიუგო:

— აბა, რა გვნა, ქალბატონო, აგერ წელიწადი გავიდა და სულ ორჯერაც არ გამოჩენილა...

— მერე რა, რომ არ გამოჩენილა! — მკვახედ მიუგო სალომემ, ქმარი იმისა კი არ არის, რომ ყოველ საღამოს სარკეულში მოვიწვეს... საქმეა, სამუშაო... ალბათ სადმე შერჩა, მოვა არსად წავივა ის შენი ქმარი..

სარბი მილიაი  
შვილიაბი



ასეთ მკვახე ლაპარაკს არ მოელოდა მარია დედამთილისაგან, მაგრამ სიტყვის შებრუნება ვერ შეხებდა და ისევ ატირდა. ახლა კი ნამდვილად შეეცოდა დედამთილს, ხელი მოხვია რძალს და დაეყვავებინა უთხრა:

— მოვა, მოვა ის ჩვენი ლუკიანე, მენდე, და მიჯერე, რომ მოვა. მე ხომ მიაბნია შენთვის, რაც ვადაშნა თავს. მეც ვეპყვიანობდი, შენსა-ვით ვლევდი. აწილი ხომ ხან აღვირბა მომბ-და, ხან კიდევ სად. მე კი, მარტოდ მიტოვებულ-ლი, ხან საფრანგეთს ვიყავი, ხან სამეგრელო-ში. მეგრე რა, ვიტანდი, ვითმენდი! ასეთია ცოლ-ქმრობა, ჩემო რძალო!

— თქვენ სხვა იყავით, ქალბატონო, აბა თქვენს მღვდმარობას როგორ ადრით ჩემსას! თქვენ იცოდით, რომ ქმარი დავიბრუნდებო-დით. მე კი არ ვიცი; როდის მოვა. ან მოვა კი საერთოდ? ან თუ მოვიდა, ვენდომები თუ არა? ასე შგონია, მოგებზრდი, აღარ ვუყვარვარ.

და ისევ ატირდა მარია.

— არა, ტყუილად ფიქრობ ასე, ჩემო რძა-ლო. — აქ შეჩერდა, სიტყვა ვერ მონახა რძლის დასაშვინებლად. რძალიც მიხვდა, რომ, რასაც აქამდის ამბობდა დედამთილი, იმასაც საბუთიანობა ავლდა. ახლა უფრო დარწმუნდა მარია, რომ პრინცესას მოვალეობის გრძობა უფრო ალაპარაკებდა, ვიდრე გულშემატკივრო-ლა მეგობრობისა.

— იცით თუ არა თქვენ, რომ დედ-მამა და-ეტოვე, სამშობლო დაეტოვე და აქ გამოყვევი თქვენს შვილს? ეგებ ისიც მკითხოთ, ეს რად ჰქენიო.

სალომეს ხმა არ ამოუღია. რძალმა თვითონ უპასუხა:

— თქვენ ქალი ბრძანდებით და მიხედვებით, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული. ჩემს სუ-ლში სიყვარულმა შემოაშუქა და ამ შუქს ანაოყვევი გონების დაუკითხავად, არაეითარი ანგარიში და ანგარება არ მქონია. ეგებ ისიც მი-თხრა, რად შეიყვარეთ ასე გავიყვებითო?

ისევ დუმდა სალომე.

— განა ეს ჩემზე იყო დამოკიდებული? ვის შეუძლია უთხრას ადამიანს, რატომ კვდებიო? სიყვარულიც ისევე დაუკითხავად მეწყვია, როგორც სიყვდილი ეწყვევა ხოლმე ადამიანს. წრფელი სიყვარული ისეთივე მძლავრი და უძ-ლეველია, როგორც სიყვდილი. სიყვარულის შეჩერება ის არ შეიძლება როგორც სიყვდი-ლისა. მე მაშინ დედაც, მამაც, სამშობლოც, ყვე-ლა ერთად, ამ სიყვარულში წარმოვიდგინე. სი-ყვარული სტიქია ყოფილა, რომელიც დაწე-რილ კანონებს და ადამიანურ ლოგიკას არ ემო-ჩიილება. სიყვარულის ბორკილი დავაგვიჩე ჩემს ყოველ ფიქრსა და ოცნებას. თვით სიყვარული კი ბორკილებს არ ემორჩილება თურმე, ჩვენს ცოლ-ქმრობის კავშირი სიყვარულით შეეკარბო, ეს სიყვარული ჩემს სულში ჩაუქმრობლად ვიზ-

გიზებს. მე კი ამ სიყვარულმა დამისამარა და ოცნება. ციხე ციხე აღმოჩნდა თქვენი: შვილი და ბოროტად გამოიქცა. მე გულით შევიყ-ვარე თქვენი შვილი, თქვენი ოჯახი. სამაგიერო სითბო კი ვერ მივიღე. თქვენ ყველანი დამნა-შავენი ხართ ჩემს გაუბედურებაში. მამ უგუ-ლოდ აღვიზრდიათ თქვენი შვილი, მისთვის სამშობლო წაგირთმევიათ. თქვენ საფრანგეთი წაართვით ფრანგ კაცს და ახლა ის არც ფრან-გო და არც ქართველი. ის უგულოა, ასე უგუ-ლო სიყვარულშიც.

ახლა კი ვეღარ მოითმინა უზომოდ ამაყმა სალომემ და მკაცრად შეესიტყვა.

— კი არ წაგართვი სამშობლო ჩემს შეი-ლებსა და ჩემს ქმარს, პირიქით, მზად ვიყავი ჩემი ქართველობა შათი ფრანგობისათვის შემე-წირა და ალბათ ეს იყო ჩემი შედღომა. მაგრამ ისე მოხდა, რომ თვით ფრანგებმა წაართვეს ჩემს ქმარს და შეილებს საფრანგეთი, დედსამ-შობლო. ნაპოლეონის დინასტიის ამოძირკვა დაისახეს მიზნად თქვენმა ფრანგებმა, ალბათ ეს მამაშენსაც კარგად მოეხსენება და ჩემი ქმარისა და შეილებიც ამ ყანადგებს შეეწინააღ-მდეგე. ისევე დედაჩემი, თორემ, ჩემი ქმარ-შვილიც სულ ცარიელზე დარჩებოდნენ. ახლა რაცა აქვთ ჩემს შეილებს, სულ დედაჩემის წყალობაა. მე შეი-ლებს სწორედ ჩემი დედულების სიყვარული ჩავეუნტრე. ჩემს შეილებსაც ეგონათ საფრანგე-თი მიანიჭებდათ ბედნიერებას და ერთხანს ისევე მოინახულეს სამშობლო, მაგრამ ისე ციხედ გა-მოსიტყმურეს ისინი იქიდან, რომ ახლა იქით მი-ხვდებიან არა სურთ. არც მამაშენის ხელში იქ-ნებოდა ჩემი შვილი ბედნიერი და კარგად მოიქ-ცა, რომ ისევე აქვთ გამოსწია.

— ისე კი, მართალია გითხრათ, ორი სამშობ-ლოს მამებარი კაცი დაღუპულია, ყოველ არსე-ბას ერთი სამშობლო აქვს. მით უმეტეს, ადა-მიანს. მე და თქვენ ერთი სამშობლო გვაქვს. ეს საქართველოა და გრჩევთ გულით შეიყვარ-რეთ იგი, თუ გინდათ ბედნიერებას ეხიაროთ.

— არა, მე ბედნიერებას ვერასოდეს ვეზიარ-ებდი. მე მქონდა იგი, დავკარგე და ალბათ ვე-რასოდეს დავიბრუნებ.

— მე ყველაფერი უხვად მომცა ბუნებამ, რა-თა ბედნიერი ვყოფილიყავი: სიმდიდრე, გვა-რიშვილობა, სილამაზე, სიკეთე, წრფელი გრძობა სიყვარულისა. და ეს ყველაფერი თქვენს შვილს, ლუკიანეს შეეწირა. — რა მი-ვიღე სამაგიეროდ? ყალბი, მოჩვენებითი ცოლ-ქმრობა, ლალატი, უსინდისო ლალატი, ეცხ-მემე გათლვა წრფელი სიყვარულისა.

— თქვენ თქვენს შვილს ალბათ იმის შეგ-ნება ჩაუწერგეთ, რომ ცოლის მოვალეობა მორ-ჩილება, უსიტყვო მონობა — ეს აზრობი წე-სი ჩაუნერგეთ თქვენს ვაჟბატონს და ამიტომ არის, ასე რომ მექცევა, ასე ქვარს რომ მაც-ვა. თქვენ კი მომდევნით და შეუბნებით, გირ-

ჩვეთ შეიყვარით ეს სამშობლო. მე მზად ვიყავი გულით. წრფელი გრძობით შევვუბნდი იმ ქვეყანას, რომელსაც ლუკიანე თავისას ეძახდა, მაგრამ ერთხელაც არ ცდილა ეს სამშობლო შემეყვარებოდა, ერთი კეთილი სიტყვაც კი არ უთქვამს ამ საგანზე მას ჩემთვის. არაფერი ვინერვებით თქვენ ჩემთვის საღვინოსა, ზუგდიდსა და ქვალუაშის გარდა, რომ მომწონებოდა, შემეყვარებოდა ეს ქვეყანა მე, უცხო ქვეყნის შვილს. ეს მეორე სამშობლო მან ვერ შემიყვარა, რადგან თვითონაც არ იცის კარგად, რომელი სამშობლოს შვილია. დიახ, ის, ვინც ორ სამშობლოს ებოტინება, ვერცერთს ვერ შეიყვარებს გულით... ეს გაორება მისი არსებისა სიყვარულზეც ვაგრძელებდა. ეტყობა მას არ შეუძლია ერთი სალოცავი ჰყავდეს, ერთი სამშობლო ჰქონდეს, ის უყვარდეს, ვინც ნამდვილი სიყვარულით შეიყვარა. დიახ, თქვენი შვილის გულში ორი კაცი ზის: ავი და კეთილი, ბოროტი და მლიქნელი ამიტომაც სიყვარულისგან ანთებულ ნაპერწკალი მოგვიგინებ ცეცხლად ვერ ვაქციე ამ უსამშობლოდ დარჩენილ კაცს გულში. ვაი, რომ, ალბათ ჩემს ერთად ერთ იმედს, ჩემს ამოლსაც ეს ბედი მოეღოს, რაც თქვენს შვილებს. აი, ამიტომ უნდა გაიქცე აქედან ჩემი შვილიანად, რომ შვილს მანიც დაეუბრუნოს სამშობლოს ნამდვილი სიყვარული, დავრწმუნდი, რომ ვისაც სამშობლოს სიყვარული არ შეუძლია, ვერც სხვა სიყვარულს შესძლებს.

იმ კვირას, მართლაც გამოჩნდა ლუკიანე. ეტლით მოადგა სალხინოს სასახლის კარს. მძაკელებთან ერთად მოვრალი შინ შევიდა და ისევ განაგრძო მოლოვნა. მარია სტუმრებთან არ გამოსულა, ლუკიანესაც არ მოუკითხავს ცოლი.

როდესაც გვიან, ღამით, მძაკელები წავიდნენ, ფრთხილად შევიდა საწოლ ოთახში, ტანთ გაიხალდა და გვერდით მიუწვა მარიას. მარია ამას არ მოელოდა, უეცრად პრინცესას ნათქვამი მოაგონდა. ჩვენი ლუკიანე არსად წავიგეოვო და თვალკრემლიანმა და აქვითინებულმა მაგრად მოპხვია ხელი. მთელი ის ღამე ფრანგულად ეტყობოდა. ეალერსებოდა ქმარს. ლუკიანე ათასში ერთხელ თუ გასცემდა ხმას, ეძინებოდა. მერე დაძინდა, მარია ფრთხილად იდგა და გვერდით საწოლზე გადაიწვა.

მთელი ღამე ძილი არ მიჰკარებია მის თვლებს. ისევ ეგვი დრღინდა და აწვავდებდა მის სულს. ფიქრებით დატანჯულს გათენებისას ჩაეძინა. მეორე დღეს დილით ისევ ცოლთან გაემგზავრა ლუკიანე, ისე, რომ კულთან სიტყვაც არ დაუძრავს წასვლის თაობაზე. ისევ მოიწვინა მარიამ. გავიდა სამი თვე და ისევ გამოჩნდა ლუკიანე. ისევ იგივე განმეორდა. ასე გაგრძელდა ეს მთელ შვიდ წელს. მოთმინებულაგარეულმა მარიამ ლუკიანეს პირდაპირ უთხრა:

— მე ასე არ შემიძლია, დავტანჯე, ამდენ წამს მებას ვეღარ ავიტან.

— თუ არ შეგიძლია და ვინ გაძალღებს,

ჩვეულებრივი უკმეზობით უნასუხა ახლა კი გადაიარა მარია:

— რაი ასეა, მე წავაღ!

— საღ?

— ისევ მშობლებს დავუბრუნდები.

— შენი ნებაა, სადაც გინდა, იქ წაბრძანდი ასეთ პასუხს კი არ მოელოდა მარია. ცრემლები მოაწვა, უნდოდა რაღაც უკმეზი ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, სიტყვები ყელში გაეჩხირა. ლოგინზე დავარდა და აწვითინდა. ლუკიანემ ყურადღება არ მიაქცია და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან.

ამის შემდეგ მთლად დარწმუნდა მარია, რომ არ უყვარდა ქმარს, და ბოლოს, როდესაც ტერილითა და ვიშით ვერაფერს ვახდა, ხოლო ლუკიანე კი ისევ არ ჩანდა. გამოეშველბა მარია მიურატების სასახლეს და თავისი ვაჟიშვილით პარიზს მიმშურა...

უფრო უცნაურად წარიბოთა ბედი სალომეს უფროსი ვაჟიშვილისა, ნაპოსი. ლუკიანეს ძე მაინც დარჩა. ნაპო უკეთოდ გადაეგო. იგი უფრო თავისუფალი მოქმედების კაცი იყო. მამულის მოვლა-პატრონობას გული რომ ვერ დაუდო, პეტერბურგს მიმშურა. ფრანგი ოფიცერი. განათლებული და წარმოსადგევი ნაპო სასახლის კარზე ერთბაშად სასურველი სტუმარი ვახდა. სეფე ქალები თავს ევლებოდნენ უცოლო კაცს. ნაპოს თავი ქალებშიც ამაყად ეკურა და არავის ანებებებდა ქათიანებრებით. თავისი თავის უზომო მორტიფილე ვაჟს ქათიანურები უხმობდ სძულდა. მეჭლისისა და შეჭრებულობის იშვიათი სტუმარი იყო და თუ სადმე გამოჩნდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბანჭო ეთამაშა.

და აი ასეთი კაციც კი ერთბაშად მოიხიბლა დიდი მთავრის ქალიშვილის ელენეს ნახვით. ისინი პირველად სასახლის ბაღზე შეხვდნენ ერთმანეთს. ნაპომ თვალი მოჰკრა თუ არა ამ ელევანტურად ჩაცმულ ქალიშვილს. უნაღვე მისი გაცნობა ვანიზრახა. და მეგობრის დახმარებით იმავე საღამოს კიდევაც მიაწვია საწაფელს. იმ ქალსაც უზომოდ შეუყვარდა ეს ნახევრად ფრანგი და ნახევრად ქართველი რიონდული ბუნების ადამიანი. ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-ქმრობაც შემთიეცს ერთმანეთს. სწორედ იმ დღეებში რუსეთ-იაპონიის ომიც დაიწყო. აირია სასახლის კარი, ფრონტს მიმშურა ყველა ოფიცერი.

## სერბი ზილიანა

შვილები

ნაპოლეონი გაპყვა. მერე მძიმედ დაჭრილ მღვწე გადღურჩა სიყვდილს.

რუსეთ-იაპონიის ომში ნაომარი და ნაჭრილობევი სალომეს უფროსი ვაჟიშვილი ნაპოლეონი ახლა შინ დაბრუნებული ჰქადაღაშის სასახლეში ზის და ფიქრობს. კაცმა რომ თქვას, რა უნდოდა, რა აომებდა საფრანგეთის ქვეშევრდომს მეფის რუსეთის ჯარში? არც საფრანგეთი იყო დინტერესებული ამ ომში მეფის რუსეთის გამარჯვებით და, მით უმეტეს, მეფის რუსეთისაგან დამონებულ დედუღელს — საქართველოს სულ არ აინტერესებდა რუსეთის გამარჯვება. რუსეთის პროგრესული ძალები ხომ მეფის რუსეთის დამარცხების მომხრეებდნენ გამოდიოდნენ მიტინგებზე და კრებებზე. მაშ, ვის ინტერესებს იცავდა ამ ომში ნაპო? ფიქრობდა და ეძებდა ამ კითხვის პასუხს დაჭრილი ძვანგი ოფიცერი.

ნაპო ძველებური ყაიდის, რაინდული და რომანტიკული ბუნების კაცი იყო. ბევრი რამ ჰქონდა მას უცნაური, ძველებური და ავადმყოფური. რაინდული თავდადებითა და რომანტიკული თავდავიწყებით შეუყვარდა ნაპოს დღიე მთავრის მშვენიერი ასული ელენე. ცხლა შინ დაბრუნებული ზის და ფიქრობს. იგონებს თავის მწველ სიყვარულს და ამ მოგონებით ცოცხლობს.

მუდამ ყალყზე დამდგარ შავ თმებზე ნაპომ ხელი გადაისვა. ურჩი თმა მის სიკეთეს ამტკიცებდა. თვალწინ დაუდგა ქერთამიანი, თეთრვარდისფერი სახის ქალი, თითქოს ხელიც შეახო და იყვირა:

— ჩემო ელენე, ელენე! არა, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

იგონებს ნაპო აწ წაშლილი რომანის ეპიზოდებს და ჯიუტად ეუბრება ფაქტებს. ისე ჩარჩენია გონებაში ამ ქალის სიყვარული, რომ მას შემდეგაც კი, რაც სხვაზე გათხოვდა, ისევ ეძახის ის ქალი ჰამეტს. უყვირდა ამ უხომოდ ამაყ ვაჟს თავისი ხასიათის ასე გამოცვლა. პეტერბურგში შეურაცხყოფილმა ნაპომ არც კი გამოიკითხა მიზეზი ღალატისა. ახლა კი ვნებანთა დღევისგან ისევ გახელებული, მზად არის ისევ გაიპაროს ჰქადაღაშიდან და კვლავ ბეტერბურგში მიაშუროს. ელენეს ეახლოს. ეს ორი ღამე ნაპოს ძილი არ მივარებია, წუხს და ვერ გაუგია ეს წუხილი ნაიარვეის ტყვილის შედეგია თუ სხვა რამ აწუხებს.

— უცნაურია: კაცი ვერ წარმოიდგენდა, ის ქალი თუ მე მიღალატებდა და განა მიღალატა? არა, ეს არ მოხდებოდა. — არწმუნებდა თავის თავს ნაპო, და ისევ მძაფრად განიცდიდა ღვთაებრივ სიყვარულს. შემოდგომამ, ფოთოლთყვენამ, ხილთა და ბალახთა სურნელებამ გაუქმად რამ მოგონება.

— ელენე, ოპ, ელენე — ისევ მწარედ აღმოხდა ნაპოს.

სილამაზის წინაშე ყველა ბორბუტმა და უკეთურება ჰქრება... ასე განიცდიდა ელენეს ღვთაებრივი სილამაზის ძალას ნაპომ. მწველი ელენეს თვალები ერთ ქალად ღირსეულად მისწინა წინი, ცისფერი, ნაზი და ეჭუქა, მუდამ შუქიანი და გაიცისკრებებული, მომღიმარი და მშვიდი. და ისევ უკუნისის დაყოფილი გული ნაპოს ტუჩებში — ნორჩი, ქორავ, პაწაწინა და მსხვილი, ამოზუტცილი, ოდნავ ბუსუსებოანი, სანდომიანი და გამაღიზიანებელი ტუჩები... ნამდვილი სილამაზე ყვავილია, სურნელოვანი ყვავილი, მათობელა, გამაბრუებელი. ნაპოს მოვლად გაუმახვილდა სმენა და დაეძაბა მთელი სხეული, თითქოს თვალწინ უზის და ეალერსება, ხელით ეხება მშვენიერ არსებას. ახლა უფრო გრძნობს მის სიხალოვეს, ვიდრე მაშინ, როდესაც გვერდით მოისვენა და თავისად გველებობდა. ახლა კი... ახლა სხვა ეალერსება ამ მშვენიერ არსებას! ამის წარმოდგენა გონებას უმღვრევს მიუბრატს.

— მიმდგრად მორცხვად ამოღალანებულ იას ჰვავდა, ლურჯ იას. ნაპოს ბევრჯერ ჰყვარებია ქალი, პარიზსა თუ ბეტერბურგს, თბილისსა თუ ქუთაისს, ბევრჯერ დასწავებია სიყვარულის ნეტქარს, მაგრამ იმ ქალებიდან აღარც ერთი არ ახსოვს, ელენეს მოგონება კი გონებას უმღვრევს. აი, რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული! მიინც რამდენჯერ შეხვდა ელენეს? არ ახსოვს, მაგრამ ის კი კარგად ახსოვს, რომ ცოტა ილაპარაკეს, მაგრამ ლაპარაკი საქართველოში არც იყო. რა წამს ალაპარაკებოდნენ, იმ წამსვე გრძნობდნენ, რომ ენას არ ძალუქს მათი გრძნობების გამოთქმა. და ისევ დუმდნენ, დუმდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. სიყვარულს რად უნდა მტკიცება, თუ ის ნამდვილი სიყვარულია. ნამდვილი სიყვარული მოვარდნილ მწვერებს ჰვავს. სიტყვა ხელს უშლის სიყვარულით დატკობას. მე უსიტყვოვადც მესმოდა ელენეს გულის ფეთქვა, მის ბავთა ჩურჩული.

და იგონებს ნაპო: — ამოიწიე ჩემთან, კალთაში ჩამიდე თავი უთხრა სატარფომ. — ნაპო ახლო მიუქდა, თავი ჩამოუწია და მაგრად აკოცა.

— არა, ასე არა, თავი ჩამიდევი კალთაში, — თავად მიუღრიკა თავი და ძალით დაადებინა კალთაზე, ნაპო გაიტრუნა, ქალმა თავზე ნახად გადაუსვა ხელი, მერე შეუბლზე, მერე ისევ თმაში შეუყო ხელი. მერე ნახად ლოყაზე მოუთათუნა თითები. გახელდა მიუბრატო. ახლა თავად მოუღრიკა თავი ქალს და ზედ ტუჩებზე აკოცა.

— არა, ასე არა, ასე უხეშად არა. — იმეორებდა ქალი. ისევ დაუხევაია, ისევ მოეფერა ვაჟს...

იგონებს ახლა ყოველივე ამას ნაპო და გონება ერევა. მოზღვავებულ გრძნობას ვერ იკავებს, ბორბავს, ვერ ისვენებს. მერე ისევ ტახტ-



ზე წამოწვა, პირველ დღეებში და ნიკაპი მაგ-  
რად მოკუთვნილ შემტებზე დააყრდნო.

რა აომებდა ნაბოს? პატრიოტიზმი? არა ასე-  
თი გრძნობა ფრანგ ქვეშევრდომს არ ექნებო-  
და... ნაბოს ქართველების სისხლიც ერია. არც  
ქართველებს სწყალობდა რუსეთის მეფე. წართ-  
მეული ხამთავრის გამო დედოფალ ეკატერინეს  
წყევლა-კრულვა ახლაც ყურში ესმის მის შვი-  
ლიშვილს. მაშ რა აომებდა მიურატს? ეგებ ბუ-  
ნებით იყო ხმლით სახელის მოპოვების მოტრ-  
ფიალზე? ესეც იყო, ოღონდ აქ უმთავრესი სხვა  
ფასილათ: მიურატს უზომოდ უყვარდა დიდი  
მთავრის შვილი ელენე. ომის გმირისა და წამე-  
ბელის სახელი, თავის გამოჩენა სატრფოს მა-  
მულისათვის — აი რა აომებდა თურმე. დიდე-  
ბით, ორდენებით დაუბრუნდებოდა თავის ელე-  
ნეს. და ისიც ორმაგად შეიყვარებდა ომის  
გმირს.

— ელენე იყო და არის ჩემი სალოცავი ხა-  
ტი. და ჩემი მოვალეობა იყო და არის მისთვის  
თავი დაედო, რომ სატრფომ დაღმბით გულში  
ჩამოკრას. — ასე ფიქრობდა მიურატი.

— რა ძლიერი რამ ყოფილა ეს სიყვარული—  
სტიქიაზე, ადიდებულ მდინარეზე, ომზე ძლი-  
ერი! ადრე არასოდეს განმიცდია ამის მაგვარი  
რამ, ახლა, მხოლოდ ელენეს შემდეგ ვიგრძენი,  
რომ, სიყვარული თუ არ შევიძლია, ვერც იომებ,  
ვერც იცხოვრებ, ვერც იზრდებ...

ოჰ, ელენე, ელენე! მაგ ბაგეთა ღვთაებრივი  
სიბოძო, ჩემს სულში ვადმოღვრალი, არასდროს  
გაცივდება. ასულთა შორის უღამანესო, შენი  
ბაგიადნე შევეცი სიყვარულის ნექტარი, რომლით  
მთვრალიც ისევ შენ ვიჭურულები და გვიმღ-  
ერები, ისევ შენ გეძახი და შენ გეძებ. ეგებ ეს  
ოქროს სისხმარი იყო, ერთი ვაჟიღვება. ერთი  
მოლანდება? ვერა, ვერ დავიჭერებ! მე ეხლა  
მივხვდები, რომ უშენოდ ჩემი სული დაჰქნება,  
სიამავე ჩემი გაქრება...

და უტბად თქვა.

— არა, უნდა წაიღე პეტერბურგს. უნდა  
დავიბრუნო, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად  
დამოჭდეს.

ახლა ისევ ვადმობრუნდა პირალმა, იწვა, ჭერს  
მისჩერებოდა, ფიქრობდა და მოგონებით უზო-  
მოდ ტბებოდა. უფრო გულს უმდგურევდა ეს  
მოგონება, სულს უშფოთებდა, ვიდრე ამშვი-  
ლებდა და მკინე ტბილი იყო იგი. ვერ ისე-  
ნებდა, ჭერს დაენებოთ აქქერლებოდა და ისევ  
იძივრებდა:

— ბუტიაობას თავი უნდა დაენებო, საყუთარ  
გრძნობათა ჩახშობა გამოუსწორებელი შეცდო-  
მაა. არა, მე ის კაცი არა ვარ, სხვას რომ და-  
ვეუთო ჩემი სიყვარული.

თვალი დახუჭა და ყური დაუგდო შინაგან  
ხმას. შაშვი გალობდა ეზოში, ადგა. აივანზე  
გავიდა. ხედავს, სისახლის წინ ცაცხვზე ზის და  
უსტყვენს შაშვი. ფრთოსანმა დალანდა კაცი,  
აქბაქახა და გაფრინდა.

— ასე გაფრინდა ჩემი მაგალიტოვი. არა  
უნდა დავიბრუნო, უნდა დავიბრუნო. — მტე-  
რეც თქვა მიურატმა. ოთახში შევიდა, იცო-  
ტანტზე წამოწვა პირალმა, ისევ მოგონებებს  
შეესია.

— ვერა, უშენსიყვარულოდ ვერ ვიცხოვრებ  
ამ ქვეყანაზე, ჩემო ელენე. მე ისევ შენი  
ტრეობა თუ დამიბრუნებს ბედნიერ დღეებს.  
მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ შენით ვცხოვრობ-  
დი, ვიბრძოდი, ვომობდი. ან რა მქონდა მე სა-  
ომარი? ვის მამულს ვიცავდი? ან რა მაძი-  
ლებდა სისხლი მელვარა? შენი სიყვარული  
მალეღვებდა, შენი სიყვარული მფარავდა და  
მიცავდა ომში. ესა თქვა და ახლა ომის სურა-  
თები მოაოხრდა. სიყვარულით გახლებულმა  
ნება ოთხოვა იპონიის წინააღმდეგ ომში მი-  
გზავნეთ. ნიკოლოზ II სიამოვნებით გაი-  
პრინცი წინადადება და ფრანგ ოფიცერს და-  
ლესტრის რაზმი ჩააბარეს. ეს რაზმი სულ 100  
კაციისაგან შედგებოდა. ისინი მეტწილად მთიე-  
ლები იყვნენ: ლეკები, ჩერქეზები, ოსები...  
რუსეთის ქარს იპონიასთან ომში ბედმა ამ გა-  
ულიმა, დამარცხდა, ყველაზე მეტად ამ ომ-  
ში თავი პრინც ნაპოლეონ მიურატის რაზმმა  
გამოიჩინა. და იგონებს ახლა მიურატი ომის ამ  
ეპიზოდს:

— იპონელებმა რომელიღაც პატარა მღრ-  
ნარესთან შემოგვიტყეს. შევაჩერეთ მათი შე-  
მოტევა. ვათენებისას შეტევაზე გადავედით.  
მდინარე გადავლახეთ და უკუ ვაქციეთ მტერი.  
გაქცეულ მტერს არტილერიის გრუხუნს და  
ტყვიამფრქვევების კაჟანი ცხენდაცხენ დავა-  
დენენით. იპონელებმა ღრმა ზურგში შეგვი-  
ტყუეს და ერთბაშად ალყამემორტყმული აღ-  
მოგონდით. ჩვენ რაზმსა და მოწინავე იპო-  
ნელების რაზმს შორის ცხარე ბრძოლა გაიმარ-  
თა. მე გვერდით მასდღნენ ჩემი განუყოფელი  
მეომრები — ჩერქეზები და ლეკები. მათში  
ყველაზე უფრო ყოჩაღი ის ჩემი ლეკი ნუხი  
იყო, რომელიც ჩემზე მოწინეულ ყველა ხმაღს  
თავის ხმაღს ახვედრებდა და თვლისჩინივით  
მიფრთხილებოდა. მაგრამ ამაოდ... ვაიზუხუნა  
საიდანღაც მტრის ტყვიამ და ცხენიდან ძირს  
ჩამოვვარდი. ტყვიამ შიგ ყელში გამიარა და  
სისხლის ღვარად ვიქციე. მომვარდა ჩემი ნუ-  
ხი, ცხენზე ამიტყა და ასე 40 კილომეტრი  
მატყა. მერე ჩემმა ბიჭებმა ბრძოლით გარ-  
ღვიეს ალყა და საველე ჰოსპიტალში მომიყვა-  
ნეს. ჰოსპიტალში ცხენიდან ჩამომიღეს და ის  
დოლბანდი თუ პერანგის ნაქერი, რომლითაც  
ლეკმა სისხლისდენა შემიჩერა, გამოიღეს. ნაქ-  
რილობევი გაასუფთავეს და ხელახლა შემიხვი-  
ეს. ჩემ მსლებელთაგან ერთი მკვლავით იყო

სარბი მილანია  
შვილები

დაპრილი, მეორეს ყუბა ჰქონდა ჩამოთლილი, ამ  
ორ დაპრილსაც უშველეს... მესამე დღეს რო-  
მელილაც ქალაქის ჰოსპიტალში მიმიყვანეს.  
ერთი თვე ვიწვიე. მერე პეტერბურგს გადმო-  
მიყვანეს. იმავე დღეს მინახულა ელენემ. თალ-  
ხი კაბა ეცვა. მთლად გაფითრებული და აცახ-  
ცახებული შემოვიდა პალატაში, ჩემი ლოგანის  
წინ დაიჩოქა და ბუტბუტით ლოცვა წარმოთქვა.  
მერე ჩამეყრა და აქეთიანიდა. მოვიხედე და გაქ-  
რა კიდევ. ვერაფრით ამეხსნა მისი მოქმედება.  
ამ დროს ჩემი მეგობარი მესტუმრა. იმან ამიხს-  
ნა ყოველივე. დიდმა მთავარმა იცოდა, რომ მე  
მისი ქალიშვილი უზომოდ მიყვარდა. მთავარს  
თურმე გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ქალიშ-  
ვილი ფინელ ბარონისათვის მიეთხოვებინა და  
საბაბს ეძებდა და აი, სასახლეში გაიგეს, რომ მე  
ფრონტზე დავიჭერი, მერე იმ ფინელი თავადის  
კაცებს ხმა გაეფრცელებინათ, თითქოს მე ჰოს-  
პიტალში მოემკვდარიყავი. ამის გამო ელენეს  
გადაუწყვეტია შიშები ჩაეცვა, მაგრამ მაშას ამის  
უფლება არ მიეცია. სამი თვეც არ გასულა ამ  
ამბის შემდეგ და ძალით გაუთხოვებიათ ელენე

იმ ფინელ ბარონზე. ეს რომ გავიგე, სადრაც  
გულის ძარღვი ჩამწყდა, მაგრამ არ შევიძინე,  
ჰოსპიტლიდან გამომწერეს თუ არა, გადაწყვეტი-  
ტე მომენახულებინა ელენე, მაგრამ უსიძოვრე  
ამაყი ვიყავი, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნო-  
ბდი და არ ვისურვე მისი ნახვა.

რუსეთი მძიმედ იშუშებდა იაპონიასთან და-  
მარცხების კრილოზას და ის იყო პეტერბურგის  
ქარხნებში გაფიცებებიც დაიწყო, რომ მე სა-  
ქართველოს მოვაშურე.

«ვერ მოვიქეცი ისე, როგორც ნამდვილ მიჯ-  
ნურს შეშენის. თავმოყვარეობა სიყვარულზე  
მალა დავაყენე და შევცდი... არა, ისევ უნდა  
დავბრუნდე პეტერბურგს — უნდა დავიბრუნო  
ჩემი დაკარგული სიყვარული». ასე ფიქრობდა  
მიურატი, მაგრამ საქმეს ის აყოვნებდა, რომ  
ქვეყანა არეული იყო, მთელი რუსეთის იმპე-  
რიას რევოლუციის ალი მოსდებოდა და არც  
მიურატების სასახლეში იყო სიმშვიდე. ახლა ეს  
აყოვნებდა ნამოს, ისე კი გადაწყვეტილი ჰქონ-  
და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ისევ წასუ-  
ლიყო პეტერბურგს...

გაგრძელება იქნება





## ჩვენებური, ძველებური ამბავი

იყო სოფელი პურის ყანითა, ზვრითა, ბაღითა, ნახირ-ფარითა, თავლა-ბოს-ლითა, ბეღელ-მარნითა, ნადირ-ფრინველით, სახლით, ბანითა, მტერ-მოყვარითა, ლექსებითა და სიმღერებითა. სოფელი იგი ცხრა ძმას ებარა. ვინ ჩააბარა? ღმერთმა მალაღმა! ერმა და ბერმა, დიდმა, პატარამ, ყრმამ და მცხოვანმა, ქალმა და კაცმა, აღზევებულმა და უპოვარმა.

ველ-მინდვრებსა და სახნავ-საძოვარს ძმამი უფროსი თავს დაჰხაროდა: ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა... მოთიბულ ბალახს მარჯვედ ზენიავდა, პურს ენებად ჰკრავდა უღობებითა და კალოს ირმებს აღეწვინებდა. უფროსს სახელად ერქვა გიორგი. ხოლო, მომდევნო ძმას — ზაქარია.

მზისგულ ადგილებს ზაქრო უვლიდა — ზვარს პატრონობდა, ვენახს ბარავდა, ვაზს ცას უხსნიდა, სხლავდა, კვალავდა. რთველობის ქამს კი... მარცვალი რაა?.. ჩიტი მარცვალსაც ვერ მოპარავდა. და, როს ჭირნახულს აბინავებდა, გოდორს გოდორზე აყირავებდა!

მესამე ძმა თედო მებაღე იყო, ბაღი თავს ერჩია, ცივ ნიავს არ აკარებდა, სასეტყვე ღრუბლებს სულ ზარბაზნებით უგერიებდა, გვალვების დროს მიწას ნამს არ აკლებდა, რწყავდა, ხეხილს ძირებს უღობობდა. კორომად მდგარ ხეებს ცალკე ელოლიავებოდა, ლეღელად მდგართ — ცალკე, ბაღასა და ბაღ-ბოსტანს — ცალკე!.. მტილი მისი სამოთხეს ტოლს არ უგდებდა — ვარდი თუ სოსანი მარწყვი თუ ხენდრო, ბაღი თუ ალუბალი... კიტრი, მწვანელი, ბოსტნეული, ხილი?.. რა ხილი! — ალიბუხარი, შავქლიავი, ოტურბი, ნუში, ვაშლი და მსხალი, ლეღვი, კომში, თუთა თუ თხილი, ჭერამი, ფშატი, ატამი და ალუჩის ბუში; ღონანაშო, წყავი და... ვინ მოსთელის კიდევ რამდენი?.. ბოლოკი, მხალი, ნესვი, გოგრა, საზამთრო გრილი! ნიავი ნელი, წყარო წმინდა, მოლი და ჩრდილი... და იადონი, გინდ ბულბული სასმენად ძვირი!

თედოს წალკოტს გარშემო ასკილისა და ბროწეულის ღობე ჰქონდა შე-მოვლებული.

ფარსა და ნახირს მეოთხე ძმა ვაჟია მწყემსავდა. იქაური მგლები ომის ნატერაში იყვნენ, ვაჟიას თვალი წამით მიინც მიელულა, რომ ერთი და ზედოლა თუ არა, ერთი კოჭლი ციკანი, ან უდღეური კრავი ტაცნათ, თორემ ხორცის გემო, ჰა და ჰა, დაავიწყდებოდათ კიდევ ძროხისა არ იყოს, იმათაც ბალახის ძოვა უნდა დაეწყათ. ვაჟიას მადლით სოფლებს რძე და ყველი უღვევი ჰქონდათ; საჩოხე, საკაბე და სათეჟ-ნაბადე მატყლი ხომ—აუწყავი და აუწონავი; ტყავი—ფენა-ფენა, საქურქე, საქალამენ... ხორცისა კიდევ ცალკე ითქმის: სახაშლამე თუ საბულლამე, სამწვადე თუ საბასტურმე. მწყემსების ნადგომ-ნაცეცხლარზე, საცა გინდა მიწა ამოგელო, ჩობან-ყაურმა უსათუოდ დაგიხვდებოდა.

მეხუთე ძმა შალვა კალატოზი იყო, სოფლის მშენებელი. ოქროს ხელები ჰქონდა, საქოხე მასალიდან სრა-სასახლეს გამოგიყვანდა, საკოშკე ქვას ისე იოლად თლიდა, თოვლინ ნამყოფი ერბი გეგონებოდათ. მისი ნახელავი ავთვალს არ დაენახებოდა. ადრე გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს მარიობისთვემდე უსათუოდ წირვას გამოუყვანდა, მარიობისთვის ბოლოს, გინდა ენკენისთვის დასაწყისში, იმ მხარის ეკლესიებს და ციხე-კოშკებს ჩამოივლიდა, თუ რამეს, დრო-ჟამისაგან წახდენილს ან ბოროტის ხელით ნაავკაცარს წააწყდებოდა. აღარ დააყოვნებდა, საქმეს სასწრაფოდ თავს დაადგამდა და ზამთარს, დიხაბც რომ პირიანად დაუხვდებოდა.

მეექვსე ძმა გელა მონადირე გახლდათ, ამბობდნენ ნადირთმფარველისთვის ძმობა აქვს ნათქვამიო და ალბათ არც ტყუოდნენ, რადგან გაწილებული და ხელმოკარული იგი არავის უნახავს. საცა ნიავი წვალეებით გადიოდა, იქ გელა ნიავებით დაფრინავდა, საცა თოვლის ფიფქს ფეხის მოკიდება უქირდა, იქ გელა კარავს დგამდა და სამწვადე მაყალს იმზადებდა! ვაფრენილ ჯიხვს რქაზე სანთელს უნთებდა! დათვის ბუნაგში ისე თამამად შედიოდა, საბრალო ნადირი სულ იმის ფიქრში იყო: ღმერთო, გამახსენე, ეს კაცი აქ როდის დავიპატიეო?! ახლა რა მებაღური იყო! ან ჩიტებს რა კაკანათს უგებდა!.. მაგრამ ერთი რამ მუდამ წესად ჰქონდა მონადირეს—მხოლოდ იმ ნადირს ხოცავდა, რომელიც ნადირთმფარველისგან ნებადართული იყო. ამიტომ იმ მხარეში, გინდა ნადირი, გინდა თევზი და გინდა ფრინველი, უკვდავების წყაროსავით არც იკლებდა და არც იმატებდა.

მეშვიდე ძმას სოფლები ალექსი-მკურნალს ეძახდნენ. უებარი აქიმი და დასტაქარი იყო. ვადამსხვრეულ ძვალს ისე იოლად ამთელებდა, უროც რომ გერტყათ, იმ ადგილას მეორედ ველარ გადატეხავდით. მისი შემზადებული მალამო მომაკვდავს, რა გინდა სენით ყოფილიყო შეპყრობილი, უსათუოდ მზის-პირისკენ მოაბრუნებდა. მაგრამ თუ ავადმყოფი ღვთისგან იყო გადადებული და საიქიოს იქით სხვა გზა არ უჩანდა, მაშინ ალექსი სასთუმალს მიუჯდებოდა, ისეთ რამეს შეაგონებდა, რომ სიკვდილის შიშს გულიდან ძირფესვიანად ამოუგდებდა.

მერვე ძმა პავლია სამართალს განაგებდა. მტყუან კაცს გასაქანს არ აღეგებ, მართალს გვერდით ედგა, მფარველობდა, სიტყვის გარდა საქმესაც შეაწყვედა ხოლმე და არავითარ შემთხვევაში გულნაკლულს არ დაგიტოვებდათ. უბრალო კაცის დასჯა მიუტყევებელ ცოვად მიიჩნდა. ყოველგვარ სარჩიელს დიდი გულისყურით იძიებდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, ვიდრე ჭეშმარიტებას გვირგვინს არ დაადგამდა არ მოისვენებდა. ამიტომ, ქურდობას, ძალადობას და ყაჩაღობას იმ მხარეში გასავალი სრულებით აღარ ჰქონდა.

ერთი სიტყვით ძმები თავს არ იზოგავდნენ, დღე-ღამეს შრომაში ასწორებდნენ და სოფელიც დიდად მადლიერი ჰყავდათ.





ახლა, მეცხრე ძმისაც მინდა მოგახსენოთ.

მეცხრე ძმას სახელად შეთეს ეძახდნენ და სამწუთო ანუ განსაგებელი რომ არა ჰქონდა რა, ხან ერთ ძმას ამოუდგებოდა გვერდში და ხან მეორესთან თავისუფალ დროს კი ფიქრსა და ოცნებაში ატარებდა, ლექსებს და სიმღერებს თხზავდა. მის ნათქვამ სიტყვას სულ სხვანაირი მადლი ჰქონდა, გამგონი არ ელეოდა, თანასოფლელების გულსა და გონებაში წმიდა მარცვალივით ითესებოდა, ხარობდა, იფურჩქნებოდა და ბაგიდან ბაგეზე საღვთო წერილივით გადადიოდა. ახლა, ვალობა როგორი იცოდა? ისეთი საამური ხმა ჰქონდა, მშვიერ კაცს თაფლის კვერს დააფიწყებდა. ცეკვით ხომ ცეკვავდა და ცეკვავდა — დედამიწას ფეხს არ აკარებდა, ნემსის წვერზე დავლურს უვლიდა!.. თუ ვინმე ჰკითხავდა, ასე ტკბილად რა ძალითა მღერით? სიყვარულის ძალითაო უპასუხებდა. ლექსებს რა ძალით-ღა თხზაო? სიყვარულის ძალითაო — უპასუხებდა, მაგრამ თუ ვინმე გაკადნიერდებოდა და იმასაც ჩაეძინებოდა — ეგრე ძლიერ ვინ შეგიყვარებიაო? მაშინ მეღვინე თავს ჩაქინდრავდა, იქაურობას გაეცლებოდა, სადმე ყრუ ადგილს ჩამოჯდებოდა და მწარედ, მწარედ ატირდებოდა. არვინ იცოდა არასა ჰგლოვობდა, რისთვის იწოდა, ვისთვის ბნლდებოდა, რა აწუხებდა, გულს რა უკლავდა, ქვეყნად არავის ეუბნებოდა.

თურმე, შეთეს იმ სოფლის დედოფალი ცისყამარი უყვარდა. ცისყამარს სოფლის ბოლოს, პიტალო კლდეზე რომ კოშკი იდგა, იმ კოშკის წვერში ჰქონდა თავის დიდებული საკან-სარკმელი და თხუთმეტი დღის მთვარესავით, ღრუბლებს ზემოდან, მხოლოდ ღამ-ღამობით იხედებოდა. ყამარ-დედოფლის სილამაზისა და სიმდიდრის ამბავი მთელს დუნიაზე იყო განთქმული და რა თქმა უნდა, მთხოვნელიც მრავალი ჰყავდა, მაგრამ დედოფლის გულს უცხო მხაროდან მიბრძანებული უფლისწულების ტრფობა სრულებით არ ეკარებოდა! მას მხოლოდ თავის ქვეყანა, თავის ხალხი და თავის ღმერთი ეხატებოდა! ამიტომ სოფელიც მუდამ ყამარ-დედოფლის ლოცვაში იყო და მარტო იმ მზეს ფიცულობდა, რომელიც მშვენიერ ყამარს შუქს არ აკლებდა.

დედოფლის სამფლობელოს, გვერდით, კალმახებით მოქარგული, კარგა მოზრდილი მდინარე ჩაუდიოდა, რომლის გადაღმა, წყლისპირას, ერთი ისეთი ალვის ხე იზრდებოდა, რომ ვერა მოისარი მის კენწეროს ისარს ვერ შეაწვდენდა. თუ ვინმე იმ ალვის ხის წვერზე ავიდოდა, მთელს დედამიწის ზურგს ხელისგულივით დაინახავდა. დასანახი კი, ღვთის მადლით, ძალიან ბევრი იყო. მაგრამ საბრალო შეთეს გულს ყამარის გარდა სხვა სახილველი არა სურდა რა. შეღამებისთანავე აცოცდებოდა იმ ალვისხეზე და თვალცრემლიანი გათენებამდე უგალობდა ყამარ-დედოფალს.

კალმახებიანი მდინარის იქეთ, თვალუწვდენელ მინდორს გადაღმა, ერთი ურჯულო ხელმწიფე ცხოვრობდა, რომელსაც მეტსახელად შურ-ხელმწიფესაც ეძახდნენ. რადგან სხვის ბედნიერებაზე ოხერისა და წუხილის მეტი, მას სხვა სადარდებელი სრულებით არა ჰქონდა რა და სულ იმის ნატვრაში იყო, როგორმე დაღბნენილი კაცის ნექტარში, თავისი შხამი გაერია. შურ-ხელმწიფის სამფლობელოში ხმლის, შუბის და მშვილდისრის გარდა, რაზანია სხვა აღარაფერი კეთდებოდა, რადგან იქაური ხალხი თავს მხოლოდ ძარცვა-გლეჯით და ყაჩაღობით ირჩენდა.

შურ-ხელმწიფეს ერთი ფრიად დაახლოებული ნაზირ-ვეზირი ჰყავდა, რომლის რჩევასაც იგი ძალიან აფასებდა და მისი თათბირის გარეშე ნაბიჯი რომ ნაბიჯია, იმასაც არ გადადგამდა. აბა, ისეთი რა უნდა წამოცდენოდა ნაზირ-ვეზირს, რომ ხელმწიფეს მისთვის ყური არ ეთხოვებინა და მისი ნათქვამი გულისკოვხზე საჭრეთლით არ ამოეკვეთა. ნაზირ-ვეზირმაც კარგად იცოდა ეს ამ-

ბავი და ცდილობდა ისეთი რამე შეეგონებინა ხელმწიფისთვის, რომ თვითონაც დიდი სარგებელი ენახა და ისედაც პირამდე სავსე თავის სალარო, კრეფი, უფრო აევსო და აემალლებინა.

ეახლა ერთხელ ნაზირ-ვეზირი შურ-ხელმწიფეს და ჰკადრა: „დიდებულო მეფეო, მაღალი ღმერთი, რომელია ცათა შინა, ადრე თუ გვიან უშენობას ველარ მოითმენს და უსათუოდ თავისთან მიგიხმობს, ამიტომ სიკეთე ჰყავ და ქვეყნად ერთი მემკვიდრე მაინც დააგდე, ვინძლო, ეს მუდრევი წუთისოფელი ჩაიბაროს და პატრონის ხელი არ მოაკლოსო“.

„მემკვიდრე რომ არ მყავსო?“ — შეწუხდა შურ-ხელმწიფე.

„გაიჩინე და გეყოლებო“. — უთხრა ნაზირ-ვეზირმა.

„როგორ უნდა გავიჩინოო?!“

„ცოლი უნდა შეირთო და გავიჩინდებო“.

„ჩემი ღირსი ვინ შევირთოო?“

„ცისყამარ-დედოფალიო.“

„ცისყამარი ვილა ბრძანდებოო?“

აქ, ნაზირ-ვეზირმა უამბო ვინც იყო ცისყამარ-დედოფალი. ხელმწიფეს ჰკუთხა დაუჯდა ვეზირის ნარჩევი, აიღო ჩალამ-ყალამი, დაბრძანდა ნალაფევი თვალმარგალიტით მოჰქედილ თავის ტახტზე და ყამარ-დედოფლისათვის მისართმევი უსტარი სასწრაფოდ შეადგინა. მერე წამოდგა, დაბეჭდილი გრაგნილი ნაზირ-ვეზირს უბოძა და უთხრა:

„მიართვი ესე უსტარი ქალსა მეფესა ყამარსა, უბრძანე, მისგან ცოლობა მსურს ამა ქვეყნის მთავარსა. ცხენს შეჯდეს, ჩქარად მეახლოს, ირჩევდეს რაზსა ფრთამალსა, არ მოერიდოს უგზოსა, არც მთასა, არცა ტრამალსა! ერთ დღესაც ნუ მონადომებს სამი დღე-ღამის სავალსა, თუ შედგეს, შეაგვიანდეს, ნულა მოძებნის სამალსა, ქვას ვავტეხ, მიწას ვავხეთქავ, ცეცხლს მივცემ ძელსა-ყაეარსა, ძალით შევაწყვეტ საკინძეს, ძალით შევეუხსნი ქამარსაო“.

შეკახმა მაშინ ცხენი ნაზირ-ვეზირმა, შეჯდა ზედ და გამოსწია ყამარ-დედოფლის სამფლობელოსკენ. კალმახებიან მდინარეს რომ მოადგა, გაიძრო ტანსაცმელი, ცხენი ალვის ხეს მიბაძა, იარალი, უსტარი და გუდა-ნაბადი ჩალმაზე ქამრით დაიმაგრა, ღმერთი ახსენა და შევიდა მდინარეში. რამდენი კალმახიც კულს შეუღიტინებდა შურ-ხელმწიფის ნაზირ-ვეზირს, იმდენი ხითხითი აუჯვარდებოდა. ამ სიცილ-კისკისში კინაღამ დაიღრჩო ის საწყალი, მაგრამ, ბოლოს, როგორც იქნა გადასცურა კიდევ მდინარე და გავიდა სამშვიდობოს.

წყლიდან რომ ამოვიდა, ჩაიცვა ტანსაცმელი, იარალი აისხა, გადაიპრიხა უღვაში და ასე გალამაზებული ეახლა დედოფალს. ცისყამარმა ჩამოართვა უსტარი შურ-ხელმწიფის ღესპანს და დაბრძანდა წასაკითხად.

„ამა უსტარის დამწერი ვარ მბრძანებელი მხარისა, — ათი ზღვის, ასი მდინარის, ათასი მთის და ბარისა. მაქვს ოქრო-ვერცხლი უღვევი, ფერი მზისა და მთვარისა, თვალ-მარგალიტი, გიშერი, — ვითარც ვარსკვლავნი ღამისა. ცხენი, ჯორი და აქლემი — ძნელ გასაწყდენი თვალისა... დიბა, ფარჩა და ატლასი — ას დღეს სარბენი ქარისაო...“ — დაიწყო კითხვა ყამარ-დედოფალმა და იმ ადგილს რომ მიაღწია, სადაც შურ-ხელმწიფე ცოლობას სთხოვდა, ძალიან შეწუხდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და მოახლეს უბრძანა: სტუმარი ღეთისაა, კარგად გაუმასპინძლი და მოასვენეო!

გაჰყვა შურ-ხელმწიფის ვეზირი მოახლე ქალს და მიუჯდა სუფრას. ჯერე არაყი გადაჰკრა, გემო გაიხსნა პირისა. ზედ დააყოლა მწვანელი, ნამი რომ აჩნდა დილისა. ხოხობს, კაკაბს და ტყისქათამს ძალა აჩვენა კბილისა; სამ-სამი მწვადიც მიირთვა ჩიხვის, შელისა და ირმისა, თან ტახის ხორციც გაწიფნა ხათ-

რით წითელი ღვინისა, აღარც კალმახი დაინდო, ჯავრი იყარა იმისა, მერე ხი-  
ლეულს მიუჯდა, მაღლი იხილა ტბილისა... ჩასთვლიმა, თავი ჩაქინდრა, ფრთხილად  
წაიფარა ძილისა.

სანამ შურ-ხელმწიფის ნაზირ-ვეზირი გემრიელად ხვრინავდა, იხმო ცის-  
ყამარმა ცხრა ძმა სათათბიროდ და უსტარიც წინდაწინ წააკითხა. შურ-ხელ-  
მწიფის თავხედობამ ძმები ერთბაშად გაახელა, ცხელ გულზე ისიც კი იფიქრეს,  
ზოდი, ნაზირ-ვეზირს თავი წავეკეთოთ და შიკრიკის ხელით გაუგზავნოთ შურ-  
ხელმწიფესო. მაგრამ მერე სისხლის ღვრას მოერიდნენ და მხოლოდ ეს-ლა  
უთხრეს დედოფალს: „შენ შურ-ხელმწიფეს უარი შეუთვალე და დანარჩენი  
ჩვენზე იყოსო“. ყამარქალს ძალიან ეამა ძმების ნარჩევები, აღარც ბევრი უქოქ-  
მანია, აილო თავისი ოქროს კალამი, ჩააწო გიშრის ტბაშნ და შურ-ხელმწიფეს  
ასეთი პასუხი შეუთვალა:

„მივიღე შენი უსტარი, ვითარცა ბოდვა ხელისა, გადავიკითხე, ბრიყვად  
ვცან მთხოველი ჩემის ხელისა. ვარდი ვით ეტრფოს კაქკაქსა; როცა ბულ-  
ბული ელისა? ეს არის ჩემი პასუხი, ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“.

შურ-ხელმწიფე მოუთმენლად ელოდა ნაზირ-ვეზირის დაბრუნებას, ეგონა.  
ჩემს ელჩს ცისყამარ-დედოფალიც თან ჩამოჰყვებოდა; მაგრამ რომ აღარ მი-  
ართვეს, სასტიკად განრისხდა და პასუხად მორთმეული ყამარქალის უსტარი  
ნაზირ-ვეზირს თავზე გადაახია.

„შენი ჰკუთი კაქკაქი ვინ უნდა იყოსო?“

ნაზირ-ვეზირი რაღას იზამდა? უპასუხოდ ხომ არ დასტოვებდა ხელმწი-  
ფის ნათქვამს.

„შემინდე მეფეო, და... მაგ უსტარის მიხედვით, თუ არ ვცდები, კაქკაქი  
შენ უნდა ბრძანდებოდეთ“.

„მე თუ კაქკაქი ვარ, მაგასაც ვიკითხო! — თქვა შურ-ხელმწიფემ, წამო-  
ვარდა, იძრო ხმალი თვისი მთვარისპირული და ნაზირ-ვეზირის ჩალმიანი თავი  
ხალიჩაზე მუთაქასავით გადააგორა.“

ამ დროს იყივლა კიდევ კარის მამალმა და წითლად შეიღება მარბხ-ვარ-  
სკვლავი. ადგა ხელმწიფე და მოიხმო თავის ლაშქარი — უანგარიშო, უთვალავი,  
უშთი, უშქარი. ფარი და ხმალი, სატევარი, შუბი, ისარი, ზუჩი, ზარადი, მუ-  
ზარადი, ჩაფხუტ-ჩაჩქანი, ბექთარ-აბჯარი, ხოსროვანი, ჯაჭვი, ჯავშანი; ხან ზეი-  
დალი, ხან ქარაფქა, ხან სამანქანი..

ძმებს ადრევე ჰქონდათ გავონილი შურ-ხელმწიფის ღრჯუ და ურჯუცი ხა-  
სიათის ამბავი, წითლად შეფერილი მარბხ-ვარსკვლავიც რომ დაინახეს, ავის  
ნიშანიო — თქვეს და დასხდნენ სათათბიროდ. ბევრი იბუქეს, ბევრი ითათბი-  
რეს და ბოლოს სეფე სიტყვა სამართლის გამგე ძმას პავლიას მიანდეს. წა-  
მოდგა მაშინ პავლია მართლისმოუბარი და სიტყვა:

„გმირსა ყოველსა წინასწარ ჰმართებს დახვედრა მტერისა, უტეხობა და  
მხნეობა, მალვა შიშისა ფერისა. თუ არ მისჭირდა არ უღირს ომში ჩაყვანა  
ერისა, დაწიოკება სოფლისა, დიაცის, ყრმის და ბერისა. სჯობს ახლის ხერხის  
ხმარება, ხმარას ხერხისა ძველისა. კაცი მართალი მქმნელია საქმისა რა გინდ  
ძნელისა!.. მო, მტერს წყალგაღმა შევებათ, საღ სასრული სჩანს ველისა, წინ  
მიგვიძოდეს ნათელი ვერ საწეველი ბნელისაო!“

ძმებს ჰკუთაში დაუჯდათ პავლიას ნარჩევი, შელამებამდის სოფელს თავი  
გაარიდეს, ხოლო კარგად რომ ჩამოხნულდა, გამართეს ბორანი, გავიდნენ მდი-  
ნარეზე და შეუდგნენ საქმეს. უფროსმა ძმამ გიორგიმ საუფლო ახურიდან  
ცხრა უღელი საუკეთესო ქედა ხარი და იმდენივე ნაპატიები ლომა კამეჩი

გამოირეკა, შეაბა ერქვანში და ცხრა დღის სახნავი ყამირი ალიონამდე წმინდად გადააბრუნა.

ვიდრე უფროსი ძმა გუთანს ელვოდა, მეზვერე ზაქარიამ ერთი ზამბახისა და ამოიღო, შიგ მდინარის კარგა მოზრდილი ტოტი გადმოავლო, წყალი ნახნავს მიუშვა და იქაურობა სულ ერთიანად დააღბო და დააქოება, რომ შურ-ხელმწიფის ლაშქარი ქონჯყოში კისრამდე თუ არა, მკერდამდე მინც ჩაფლულიყო და მარჯვედ ნატყორცნი ისრებისთვის თავი ადვილად ვეღარ დაეღწია.

ამასობაში შალვა კალატოზმა რაც მდინარის პირას რიყის ქვები ეყარა ყველა ერთად მოაგროვა, ლოდი ლოდს შეადულა და მინდვრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე ქეთვირის ისეთი ზღუდე-გალავანი აავო, რომ ვერა მხედრობა ქოქანიის ანუ ქანქანის გარეშე იმ ზღუდეს ვერ შეაღწევდა.

მწყემსმა ვაჟიამ ხორცითა და ერბო კარაქით აავსო გოდოლ-სანგარი, რძეცა და ყველიც ბლომად მოიტანა, რომ მეციხოვნეთ შიმშილის დარდი სრულებით აღარ ჰქონოდათ და ომში გაწყვეტილი ილაჯი ღონიერი ლუკმით ადვილად გაენასკვათ.

მეზვერე თედომაც თავისი ქმნა, შუქგაუვალი მუხნარი შემოიარა, ყველა ხეს თითო-ოროლა საისრე ტოტი ჩამოსხება და ვიდრე გელა მონადირე თორმეტ-თორმეტი წლის ხარ-ჯიხვებს სამშვილდე რქებს მოაყლიდა, იმდენი შტო ჩამოჰყარა, რომ იმის ისრებად დამთლელს ჯანი თუ არა, ხანჯალი მინც გაუცვდებოდა.

და... დასხდნენ ძმები კეთებად აჯისა მშვილდებისაო, მშვილდნი დასთალეს ახალნი ჯიხვში ნარჩვევის რქისაო, დასწნეს და მაგრად ჩაუდვეს საბამნი ქალის თმისაო, ისართ უღებეს ყიანი, დახვეწეს მუხის ხისაო, ზრო გაუქეთეს ფოლადის და ფრთები შევარდნისაო<sup>1</sup>.

აღარც უმცროსმა ძმამ შეთემ უღალატა თავის ზნესა და ჩვეულებას. ვერ ხომ ერთ ძმას ამოუდგა გვერდში, მერე მეორესაც ხელი შეაშველა და სიმღერაც ისეთი შემოსძახა, რომ ძმების გულში დანთებული სიმხნევისა და სიმამაცის ხანძარი ერთი ასად ვაღღევა და გააჩახჩახა.

ვიდრე ძმები თავს არ იზოგავდნენ და ავად მოციმციმე მარხ-ვარსკვლავს სამსხვერპლოს უმზადებდნენ, ადგა ალექსი — მკურნალი, მონიავგრა ნამი ცისაი, ლამი წყლისაი, ნავლი ცეცხლისაი და მარლიო დედამიწისაი, შეურია ერთმანეთში, შეზილა, შეაზავა და ისეთი მილამო შეამზადა, რომ თვით ყოვლის შემძლე ჰეკატესაც შეშურდებოდა. რომელი მეომარიც იმ მალამოთ სხეულს დაიხელდა, ვერა ისარი, ვერცა შუბი და ვერცა-რა ხმალი იმას ვეღარას დააკლებდა. განიბანეს ძმებმა სხეული მდინარეში, იცხეს მალამო იგი სასწაულებრივი და დადგნენ ლოცვად. მაშინ კვლავ წარმოდგა წინ პავლია მართლის-მოუბარი და ბრძანა:

„ჰე, ძმანო ჩემნო, მხედარნო ღვთისა და მამულისაო, თუ ჩვენ სჯულისთვის ვიბრძოლებთ, ზღვაც დაიღვეა მტრისაო, მოჰარბდეს, ვერას დაგვაკლებს მხედრობა სატანისაო. მაშ, მოდიო, უფალს აღუთქვათ, რომ ერთგულნი ვართ მისაო, მტერს მტკიცე გულით შევებათ, იმედი გვქონდეს ღვთისაო. სულიც ბრძოლაში დავლიოთ, თავებს ნუ დავხრით ძირსაო, წყალს მივეცეთ ბაგირბორანი, გზა მოვჭრათ მდინარისაო!“

ძმები სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც პავლია მართლისმოუბარმა დაარბია — გადასტრეს ბაგირი და ბორანი წყალს გაატანეს. ამ დროს ინათა კიდევ, მაგრამ ვაი ამ ნათებას — ცის კიდე შავად იყო დაფერილი! ალბათ საწყ-

<sup>1</sup> ეს ლექსი ხალხურია.





ვიმარი ღრუბელი თუ მოდგაო, იფიქრეს ძმებმა, მაგრამ კარგად რომ დაუქვარდნენ, ღრუბელი კი არა, თურმე შურ-ხელმწიფის ლაშქარი მოზღვავებულიყო და ის აბნელებდა ცის დასავალს. ნიავს ჯერ შორიდან მოჰქონდა ჯორბუქვებისა და აქლემთა ზარაზინების ელარუნი, მერე ცხენთა ჰიხინის ხმაამა მოატანა და არც მტერმა დაახანა — ჩაპბერა ქოსსა, ბუქსა და ნალარასა, დასცხობდაფსა და დაფდაფსა, ბობლანსა და დამბულასა, შემოჰკრა წინწილასა და ისეთი ყიყინა დასცა, რომ ამომავალი მზე კინალამ უკან არ ჩააბრუნა. დაიძრა მაშინ შურ-ხელმწიფის ლაშქარი, მოსკდა ზევეივით, მაგრამ ჩვეულებრივი მინდრის ნაცვლად გაუვალ ჭაობსა და ჰონჭყოს რომ გადაეყარა, თავი ველარ შეიმაგრად და ზედ გადააწყდა კაცი კაცს, ჯორი-ვირს, აქლემს — ცხენია; ძუას შეეწნა ფაფარი, მოსართავს — საფეხელია; შეერთდა აღვირ-უზნანი, თეჭა-აბჯარიც, სველია, ფარ-ხმალი — ლავიწ-ყერილმანი, თავ-ფეხი, — გავა-ყელია. ძმებმაც შემართეს მშვილდები, მარჯვედ გაშალეს ხელია, ჯერ სირჩა სტყორცნეს ფრთა-მობრტყე, პირფართე მაგრამ მწველია, მერე ჰიბორჩნიც მოზიდეს, სიკვდილის შორად მფენია, იხმარეს ღჯა და სეფქაიც — ავად წიოდა ველია... იმდენი ხოცეს მომხედური თვლითაც ძნელ დასათვლეელია, კაცნი კი არა ტაიჭნიც ველარ გავიდნენ მთელია... და შეერია სისხლი კაცისა და ხვასტაგისა, შეელეჟა გავასა და ლეშსა, სამოსსა და მოსართავსა; შეეწება თიხასა, შედედდა, შედგა და ამა-სობაში შელამდა კიდევ. შელამებულზე მინდრის ბოლოში ერთი უშველებელი, წითელი მთვარე ამოგორდა და ყინვათქედლიდან წამოსულმა ციკმა ნიავმა, ჯერ ხომ მთლად შეჭირხლა და შეაჭრელა სიკვდილის ხელით ნამუშაყარი, მერე ერთიანად გაჰყინა და ისეთიარად გააქვაჟა, რომ ბრძოლის ველი სოფიას კენჭით მოხატულ მშვენიერ სართოს დაამსგავსა.

აბა, შურ-ხელმწიფეს ადამიანის სიცოცხლე რაში ენაღვლებოდა? ცხენ-კაცის ლეშით შემაგრებული და ყინვით შეჭირხლულ-შელესილი მინდორი რომ დაინახა, ზოგი ჰირი მარგებელიაო — თქვა და სპას ისევ ციხის იერიში უბრძანა. თვითონ კი თავის დიდებულ კარავში შევიდა და ხალიჩაზე ფეხმორთხმულმა, თითების გასათბობად ფლაჟში ჰიშმიშის ძებნა დაიწყო. დაიძრა მაშინ სპა ხელმწიფისა ხელმოგორედ. მაგრამ ძმებმა არც ახლა დაახანეს, კვლავ მარჯვედ გამართეს მშვილდისრები და ვიდრე მტერი მათ სანგარს მოადგებოდა, კიდევ ბევრს დაუბნელეს მზეცა და მთვარეც. მოჯარდა ბოლოს შურ-ხელმწიფის ლაშქარი, შემოერტყა ციხის გალავანს, შემოუყენა ქანქანები, შემოუწყო ლოდ-სატყორცნები და სანამ კიბებესაც შემოადგამდა, მოამზადეს ძმებმა მდულარე კუბრი, გავარვარებული ქვაბები ჰონგურებზე შემოაწყვეს და მტერს ისეთი დღე აყარეს, რომ ჯოჯონეთის საყირე სანატრელი გაუხადეს. კუბრი რომ შემოელიათ, კიბეებს ჰოკები დაახვედრეს და მეწინავენი დედამიწას სულ თავდაყირა ახეთქეს.

ცხრა დღე იბრძოლეს, ცხრა — ღამეს, მეხს მეხს სდევდა ჩქარ-ჩქარი, მკლავს მკლავი დახვდა, გულს-გული, ხმალს-ხმალი, ჩიჩქანს-ჩაჩქანი. ცა შედრკა, მიწა შეირყა, მთებმა დაჰყარეს ნაშალი, ყორანს ჩამოჰყვა ყორანი, ფრთა ფრთას შემოჰკრა შავ-შავი — უხარის: ერთთურთს შეჰყარია ცხრა ძმა და მეფის ლაშქარი! ხორცი დასცივიათ, ჩონჩხებს-ღა შერჩებათ ქამარ-ავშარი. მეცხრე დილაკ რომ გათენდა, ელვამ დაცვითა აბჯარი, მშვილდს აღარ შერჩა ისარი. მკლავს აღარ შერჩა ხანჯარი... მაშინ იხელთა დრო მტერმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეკვეთა ციხეს. ძმები აბა რაღას იზამდნენ, როცა აღარც ისარი შერჩნოდათ, აღარც შუბი და აღარც ხმალი? თან უკან დასახევი გზაც რომ მოჰრილი ჰქონდათ, მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნას ჰონგურებიდან გადაცვენა და თავების დახოცვა არჩიეს. მაგრამ მეფე რომ ველარსად ნახეს, შეყოვნდნენ.

თურმე შეთე ამ დროს გვერდზე გამდგარიყო, ალვის ხეს მისჩერებოდა და მღეროდა ჯერ კიდევ აღუვარდვარებდა. ძმებს პირველად ძალიან შეებრალოთ თი უმცროსი ძმა, მაგრამ მერე გული მოუვიდათ და ჰკითხეს:

„რა მოგვლია, რა დედაკაცივითა მოსთქვამო?“

„ალვის ხე მებრალემა და იმად მოვთქვამო.“

„ალვის ხეს შენი შესაბრალეული რა სჭირსო?“ — გაუკვირდათ ძმებს.

„მშვილდები აიღეთ, წამომყევით და რაც სჭირს იმასაც ნახათო.“ —

მიუგო შეთემ:

„ნეტავ, ცარიელა მშვილდები რა თავში სახლელად გვინდაო?!“ მხრები აიჩჩინეს ძმებმა, მაგრამ რას კარგავდნენ, ადგნენ და გააყვნენ უმცროს ძმას. ალვის ხეს რომ მიუახლოვდნენ, შეთემ თავისი მშვილდი მხარზე გადაიკიდა, ძმებს ხეზე ასვლაში უშველა და ბოლოს ერთ კორძს თვითონაც მოეკიდა, თან ჯიბიდან სასალამურე დანა ამოიღო და რომელ ტოტსაც მოინაცვლებდა, ზნდ ძირში სჭრიდა. მოჭრილებს ისრებათ ამაზღებდა და ძმებს ურიგებდა. ასე ასხება მთელი ალვის ხე და ბოლოს კენწეროში რომ მოექცნენ სთქვა:

„აბა, ძმებო, ეხლა ქამრები მოვიხსნათ, ხეს მაგრად მივეკრათ, რომ ხელები მთლიანად გავითავისუფლოთ და ვიდრე სიცოცხლეს სამუდამოდ გამოვეთხოვებოდეთ, მტერს ერთი შავი დღე კიდევ გაუთენთოთ.“

ამის თქმა და ასრულება ერთი იყო, მოიხსნეს ძმებმა ქამრები, მიეკრნენ ხეს და ახლა იქიდან დაუშინეს მტრის ჯარს ისრები.

ამ დროს შეაბოტა კიდევ შურ-ხელმწიფემ ცარიელი ციხის კარებში და შიგ ძე სულიერი რომ ვერ მოიძია, გოცდა.

„რა ოჩანი ვირივით უკან-უკან დგებარ და თვალებს აცეცებ, თუ ვაეკაცი ხარ და ღონე გერჩის, აქეთ წამოდი, ხომ ხედავ შენს ხალხს რა შავი დღეც ადგასო!“ — მოესმა უცებ მაღლიდან. ხელმწიფემ აიხედა და რას ხედავს, ძმები ხეზე ასულან, ტოტები აუკაფავთ, ისრებად დაუთლიათ და ახლა იქიდან ავლებენ მუსრს მის ისედაც განახევრებულ ლაშქარს. ამ ამბის შემხედვარე შურ-ხელმწიფეს ქვედა ყბა მუცელზე ჩამოუვარდა, თვალები საფეთქლებზე აუვიდა და ყურებიც ისე დაუგრძელდა, რომ შორიდან ნამდვილი სახედარი გეგონებოდათ.

მუსრეს და მუსრეს ძმებმა მტრის ლაშქარი. მაგრამ ნაშუადღევს ახლად დათლილი ისრებიც შემოეღლიათ და დარჩნენ ღვთის ანაბარა ცასა და დედამიწას შორის ქამრებით გამოკიდულნი. გაიხარა მაშინ შურ-ხელმწიფემ, იხმო თავის საუკეთესო მოისარნი და ბრძანა:

„ახლავე წადით და ცხრავე ძმა ხის წვერს მიაკალით, რომ ყვე-ყორნებს ძირს ჩამოფრენა აღარ დასჭირდეთ და ჩემი სადიდებელი ნაღიმი შიგ ზეცაში გადაიხადონო!“

ბრძანა და მიეჯარნენ ხის ძირს მოისარნი, მოზიდეს მშვილდნი და ცად იმდენი ისარი ალაღვინეს, რამდენიც თავი ებათ. ისრების ფრთებმა წამით მზე დააბნელეს, მაგრამ ალვის ხე ისე მაღალი იყო, რომ სამიზნეს ვეღარ მი-აღწიეს, ისხარივით დედამიწისკენ დაეშენენ და მოისართა ნახევარი რკოსავით მიწას დააფინეს. ამასობაში დაღამდა კიდევ და ცის გუმბათი ვარსკვლავებით მოიჭექა.

ნაშუადღამევს, ხის წვერში ქამრებით მოკრულსა და ცხრა დღე-ღამის ფიცხელი ომით ილაჯაწყვეტილ ძმებს მკვდრებივით რომ ეძინათ, შეთეს სიზმარში უცნაური ყვირილი ჩაესმა. შეთე შეირხა. თვალი გაახილა და მიმოიხედა. დილა-ბინდში მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავილა ბეუტავდა, იქაურობას თავზე მდინარის მრომი ანუ სქელი ნისლი წამოსდგომოდა, ხოლო, გარინდულ სიერ-



ეჭვი, გაღმა მხრიდან გამოდმამდე, ერთი ოქროს ძაფი ჩამობმულიყო. შეთემ თვალი გამოაყოლა იმ ძაფს და რას ხედავს: თავს არწივის მართვე დაჰყაშყაშებს, ცალ ბრჭყალში ნაწნავის ბოლო უჭირავს, მეორეში ოქროსავე ძაფით ქარჯი დარაია. ერთიცა და მეორეც იმ წამსვე ჩამოართვა შეთემ მართვეს. ნაწნავი მაჯაზე დაიხვია, რომ ხელიდან არ გასხტომოდა, დარაია ვაშლა და ხედ ამოქარგული სიტყვებიც რომ დაინახა, გაოცდა.

„ერთგულო ჩემო, იმას ვიქ, ცა რასაც ჩამავონებსა. მიაბი ესე ნაწნავი ე, მაგ ალვისა ბოლოსა, ჩასძახე ბრიყვსა მეფესა, გონისა არა მქონესა, ხე მოსქრას, ხერხი იხმაროს მჯობი ყოვლისა ღონისა“.

შეთემ, პირველად, წაიკითხულიდან ვერა გაიგო რა, მაგრამ ხელახლა რომ წაიკითხა, ყველაფერს მიხვდა და სწორედ ისე მოიქცა, როგორც ცისყამარმა შემოუთვალა, დედოფლის ნაწნავის ბოლო ხის კენწეროს შემოეხვია, ქამრით მაგრად მიანსკვა და დაბლა ჩამოინაცვლა, რათა შურ-ხელმწიფეს კარგად გაეგონა მისი ნათქვამი.

„ე, მანდ შურ-ხელმწიფე რომელი ბრძანდებო?“

„მე ვარ და რა გინდაო?“ — თავი გამოჰყო კარვიდან შურ-ხელმწიფემ.

„აქეთ შოიწი, რაღაც მინდა ვითხრა, თორემ ხომ იცი, ჩემი ძმები გაიღვიძებენ და ვაი ჩემი ბრალიო“.

„ციხე რომ შიგნიდან უნდა გატეხილიყო ვიცოდი, მაგრამ ასე გვიან რომ გატყდებოდა, არ მეგონაო“. — ჩაილაპარაკა შურ-ხელმწიფემ.

„სიცოცხლეს თუ შემინარჩუნებ, ერთ ანდაზას მოგახსენებ და საწადელიც ადვილად ავისრულდებოა“. — უთხრა შეთემ.

„ისეთი რა ანდაზა უნდა იყოსო?!“ — გაუკვირდა ხელმწიფეს.

„ღიღი არაფერიო“. — თქვა შეთემ და ანდაზის სათქმელად უფრო დაბლა ჩამოინაცვლა.

„თქვი, რაღას აყოვნებო!“ — აევსო ხელმწიფეს მოთმინების ფილა.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოვიგონებსაო!“ — უთხრა მაშინ შეთემ.

„ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, ამ ხნის კაცი ვარ და ეგ უბრალო ანდაზა როგორ ვერ მოვიგონე ან ეგ ხე აქამდე როგორ არ მოვხერხეო, თუმცა, აბა საიდან მოვიგონებდი, როცა ხერხი თან არ წამომიღიაო?“

„მაშინ ცული მაინც გექნებოა! — შეეხვეწა შეთე.

„ცულების მეტი რა მაქვსო“. — გაეხარდა შურ-ხელმწიფეს.

ამ დროს ინათა კიდევ და შეუდგა შურ-ხელმწიფე ხის ქრას. ნაჯახს ისე გულდაგულ იქნევდა, რომ ხიდან მომსკდარი ნაფოტი შუა მდინარეში ცვივოდა. ხის წაქცევას ცოტა-ლა აკლდა, რომ მოსწია ცისყამარმა თავის ოქროს ნაწნავი და ალვის ხეს სწორედ ისე გადააქცია, როგორც მას ნებავდა. მოსკდა უზარმაზარი ალვა და ბოლო რომ მდინარის გამოღმა დარჩა, წვერმა მდინარის გაღმა მოაღინა ლაწანი. წამოცივიდნენ მაშინ ძმები და თავი რომ სამშვიდობოს დაიგულევს, სინარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა  
 ალვის ხის ჩამონათალი,  
 შეთემ მეფეს მოახსენა  
 ყამარის შემონათვალი-ო...

შემოსძახა შეთემ და სიმღერაში ძმებიც აიყოლა. შურ-ხელმწიფეს სიბრახისგან დუფი მოერია, „ეს რა ოინი მიყვესო!“ — იღრიალა გაცოფებულმა და თავის ლაშქრიანად მდინარეზე ხილად გადებულ ალვის ხეს ეცა. ეცა და ის-ის იყო გაღმა ვასელამდისაც აღარაფერი აკლდა, რომ ალვა ჩატყდა და შურ-ხელმწიფე თავის ლაშქრიან-ამილიან წყალს გაატანა.

გაშალეს მაშინ ძმებმა თვალუწვდენელი სუფრა, მიიწვიეს მთელი სოფელი და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, ცისყამარ დედოფალიც, დასვეს სუფრის თავში და ისეთი ნადიმი გადაიხადეს, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდა. ლხინმა ციხის ძმებმა დაწვრილებით უამბეს სოფელს რაც გადახდათ. ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არა, მაგრამ შიშით კი ყველას ძალიან შეეშინდა და დიდი ბჭობის მერე გადაწყვიტეს, ცისყამარ დედოფალი მთისიქითური ხელმწიფის ოქროსთმიანი ვაჟისათვის მიეთხოვებინათ, რათა მძლავრი მფარველი ჰყოლოდათ და მტერს იოლად ველარ გაებედნა მათ სოფელში ჩამოხედვა.

ეს ამბავი რომ შეიტყო, შეთეს გული მოუკვდა, აიკრა გუდა ნაბადი და სამუდამოდ გადაიხვეწა.

ხალხში ხმა დაირხა, შეთემ სამხრეთის მთებში რომ ორმოცი ძმა ცხოვრობს, იმათი დაი შეირთო ცოლად და არის ბედნიერადო. მაგრამ რამდენად სწორი იყო ეს ამბავი, დანამდვილებით არავინ იცოდა. ხოლო შეთეს დანატოვარ დიდებულ ლექსებს ხალხი არ ივიწყებდა, თაობიდან თაობას გადასცემდა და ჭირშიც და ლხინშიც სულ თან ატარებდა.





ბუბული ზომონიძე

რა უხაროდა გომონას?

ქობიდან ბავშვები არასოდეს ხელცარიელი არ გამოდიოდნენ. მეტყვევ ვის რით ასაჩუქრებდა და ვის რით: ზოგს რკოს კაცუნა ეჭირა ხელში, ზოგს გირჩისაგან გაკეთებული ზღარბი, ზოგსაც — ხის ფესვების მელიები და ციყვები...

...ის კი ყოველთვის ხელცარიელი ბრუნდებოდა. არაფერი არ მოჰქონდა. მოდიოდა და თვალები უბრწყინავდა — შიგ უღრუბლო ცა და გაბინდული ზეგები ულიციციებდა. ნიავე დაწინწკლულ კაბას ურბევდა, ჩამომლილ თმებზე ეთამაშებოდა. თმები ლოყაზე, კისერზე ულიტინებდა. ფეხს ისე ადგამდა, ფოლებიშარბიშურიც კი არ ისმოდა. ხელები გაეშალა, თითქოს ზეცაში უნდა აფრინდესო.

იმ მეტყვევის ქობიდან მოდიოდა და თვალები უბრწყინავდა. სხვა ბავშვებსაც უბრწყინავდა თვალები, მაგრამ მათ საჩუქრები მოჰქონდათ. გოგონას კი არაფერი, არაფერი არ ეჭირა ხელში.

— რა უხარია, ნეტა? — ჩაილაპარაკებდა ხოლმე ტყის სანთელა. ტყის კორტანა, ზოგჯერ კორიკანას რომ ეძახიან, თავს წამოსწევდა, გოგონას დაკვირვებით შეხედავდა:

— რა ვიცო, — იტყოდა და ისევ ჩამოეკონწილეებოდა ტყის ცერცველას.

ერთხელ, გოგონა მეტყვევის ქობიდან მოდიოდა, უცბად, კაბის კალთა „ლორის ქადას“ გამოედო, გოგონა დაიხარა, რომ კაბა აეხსნა — ბუჩქის ღეროზე ჰქანჭველა მიტოცავდა, ყვავილებიდან ნექტარი უნდოდა შეესვა.

გოგონას გაეგონა — „ლორის ქადა“ თავის ნექტარს არავის აძლევსო, მაგრამ, ეს როგორ ხდებოდა, არ იცოდა. ჰქანჭველა კი მიტოცავდა და მიტოცავდა... გოგონა უყურებდა, აი, უკვე მიუახლოვდა ყვავილს. მაგრამ ეს რა მოხბა? ჰქანჭველა შედგა. წინა ფეხები თავისაკენ მიიხიდა, მერე ისევ გადადგა ორიო-

დე ფრთხილი ნაბიჯი, ისევ შედგა და აჩქარებით დაიწყო „პირის ბანა“. ხან ერთ ფეხს მიიტანდა პირთან, ხან — მეორეს. მაგრამ ვერ იქნა, წებოვან სითხეს თავი ვერ დააღწია, უჩინარ ძაფებად რომ აპყლოდა ფეხებს. ჰქანჭველა დაილალა, დარეტიანდა, შიშმა შეიპყრო. მერე თავგანწირული ნახტომით მიწაზე დაეარდა. გოგონას შეეცოდა შვედარი ჰქანჭველა, გული მოუვიდა ყვავილებიდან ბუჩქზე, სხვისთვის ნექტარი რომ არ გაიმეტა.

— „ლორის ქადა“, რა კარგად შეურქმევიათ ამ ბუჩქისათვის! — ჩაილაპარაკა გოგონამ და უკან, მეტყვევის ქობისაკენ მიბრუნდა. თვალები აღარ უბრწყინავდა...

— რატომ მიბრუნდა? — გაიკვირვა ტყის სანთელამ.

— რა ვიცო, — გაეპასუხა უცვეთელა.

— შე გავიგებო! — წაიგრძელა კისერი კორიკანამ. ცერცველას ტანიდან ჩამოსრიალდა იქვე მდგარ თრიმლზე გადავლოდა და ფანჯარაზე ჩამოკონწილდა.

გოგონა მეტყვევის წინ იჭდა, ხელები მუხლებზე დაედო და მეტყვევს გაბინდებული მისჩერებოდა. მეტყვევ საჩუქრებს აკეთებდა: რკოს კაცუნებს, წელწერილა ჰქანჭველებს, გირჩებისაგან — ფისუნიებს, ბურძგლა ზღარბებს, კულფუმფულა ციყვებს...

გოგონას თვალები უბრწყინავდა და ილიმებოდა.

კორიკანა კი თავდაყირა ეკიდა ფანჯარაზე, ფიქრობდა და ფიქრობდა... ვერ მიმხვდარიყო, რა ახარებდა გოგონას, ის ზომ ისევ ისე, ხელცარიელი წავიდა მეტყვევის ქობიდან — არაფერი არ წაუღია. მიდიოდა და თვალები უბრწყინავდა, ხელები ოდნე გაეშალა, თითქოს ზეცაში უნდა აფრინდესო...

— აბა, რას მიხედებოდა, ის ზომ კორიკანა იყო.



### [თუ კაცი გონიერი]

ეს მერამდენედ მოვდივარ, თქმაც კი ძნელია. მაგრამ რამდენჯერაც უნდა ეწვიო ამ დალოცვილ მხარეს, მუდამ მიმზიდველი და თვალწარმატებელია. თვალს ავლებ მის შემოგარენს და გაგონდება დიდებული სურათი, რომელსაც რაც უფრო დიდხანს უმზერ, მით უფრო ტკბები.

კახეთს ბევრზე ბევრი სანახები აქვს, მათ შორის სიღნაღს არაფერი შეედრება, მისმა ახალმა ოთხსართულიანმა სასტუმრო „ციცკარმა“ ხომ კიდევ უფრო შორი გახადა ადამიანის თვალისაწვდენი.

შვენიერებისა და უერთა სიუხვის ორბიტაზე მარტო რაიონული ცენტრი კი არა, აქ შეშავალი თითქმის ყველა სოფელი გაუყვანია დედა ბუნების უხილავ მარჯვენასა და გამრჯელი კაცის თავდადებულ შრომას. აი, თუნდაც ვაჭირი ავიღოთ, რომლის მრავალ სიკეთესთან ერთად, არ შეიძლება არ გაიხსენოთ ძველი ქიზიყიც. ქიზიყელი კაცი ხომ არც არავის ემოწეოდა და არც არავისზე ბატონობდა. თვალწინ დაგიდგებათ მამაცი გოგონა ტასო ვაჭირელიც, რომელმაც გზად მომავალ მეფე ერეკლეს ლეღვი ესროლა, სპარსულად რატომ გაცვია. ვაჭირის თბილი მიწა ბევრ გამოწინილ ადამიანს ეყვანა, ამისათვის ამ საუკუნის ისტორიაც კმარა. ამ სოფლიდან იყვნენ რევოლუციონერები — ვანო, ზაქარო და მიხა ჩორდინიშვილები, პირველად ვაჭირის ცისქვეშ დაიბრუნა და აქედან მოუფინა მთელ საქართველოს სანდრო ინაშვილის მომხიბლავი სიმღერა, აქ ეზიარა ქართული სიტყვის მადლს ახალი საქართველოს წინსვლით ერთმანსხმული პოეტი ილო მისაშვილი, აქ აიღვა ფენი ნიჭიერმა ყურნალისტმა ვალერიან ბატიაშვილმა; ხელოვნებაზე მამოავდებ სიტყვას და ვანა შეიძლება გვერდო აუარო ბრწყინვალე მსახიობს, ვისო გოძიშვილს? ვაჭირმა არც ქართულ შეცნიერებას

დააკლო თავისი ამაგი, პროფესორები — ალექსანდრე გზირიშვილი და ელენე ნანობაშვილი ხომ ვაჭირელები არიან... ახალი ვაჭირი კვლავაც ბევრ სახელოვან ადამიანს გამოუზრდის სამშობლოს, ამის თავმდება მისი დღევანდელი დღე, რომლის წინსვლას აგერ უკვე მეთხუთმეტე წელი თავკაცობს დიდი ცხოვრების დღეში გამოვლილი გიორგი გოგობაშვილი.

ახოვანი ვაჭრაცაა, ჯმუხი, მისი გარუჯული სახე და დაყოფილი ხელები ერთი ნახვითვე გაგრძნობინებენ, რომ კაბინეტის მოყვარული კაცი არ არის. გიორგი დიდიდან საღამომდე იქ ტრიალებს, სადაც უშუალოდ საქმე იღებს სათავეს, ან როგორც ვაჭირელები იტყვიან, მისი სამუშაო კაბინეტი 9161 ჰექტარზეა გადაშლილი. დიდა ათასკომლიანი სოფლის თავკაცის სამოქმედო ასპარეზი, დიდა და მისი ცხოვრების გზაც შორიდან მოდის.

გიორგი გოგობაშვილი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიის ნაკვეთის გამგებ დანიშნეს ვაჭირში. ერთი წლის შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ომიც დაიწყო. ცოტა ხანს მსახურობდა ოცეულის მეთაურად, მერე ჩრდილოეთ კავკასიის დამცველთა რეგებში ჩაღვა.

კბილებამდის შეიარაღებული მტერი დაუნდობლად მოიწეოდა წინ, ცეცხლითა და მახვილით სპობდა სოფლებსა და ქალაქებს, ნაკარტუტად აქცევდა სახალხო დოვლათ-ბარაქას. სპობდა, მაგრამ მაინც ვერ იმორჩილებდა საბჭოთა ადამიანების უღრეკ სულს, რომელთაც სწამდათ მხოლოდ ერთი: რაც უნდა მომხდარიყო, გაიმარჯვებდა თავისუფლებისათვის თავდადებულთა საქმე. ამ სულისკვეთებით იბ-



რომლა გიორგი გოგოლაშვილი მოზღვრის მი-  
სადგომებთან. განსაკუთრებით ვართულდა  
მდგომარეობა სტანია ეშვესკაიას მდიანობე-  
ში. დათვლაც კი აღარ შეიძლებოდა, მეტამდე-  
ნედ გადიოდა ხელჩართულ ბრძოლაში გიორ-  
გი. კრილობებიდან სისხლი სდიოდა, მაინც  
იბრძოდა. ბოლოს მეჩვიდმეტე კრილობამ წა-  
აქცია მოსახლი ვეჟაკი. უკანასკნელად ვი-  
თხელ კიდევ წამოიწია, ავტომატის ჩახმხს  
გამოჰყრა ხელი და გონდაკარგული დაემხო  
მიწას, რომლის მეტრდიც კანეთის მიწასავით  
თბილი იყო.

— თვალს რომ გავახილევ, — იგონებს გიორგი,  
— თქვენი მტერს, რაც მე მაშინ ვინატრე.  
კრილობებიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ ამას  
ეინ ჩიოდა, გულს მიკლავდა ფაქრი, რომ ვი-  
ყოფებოდი ტყვეთა ბანაკში. თავის მოკვლა  
დავაპირე, მაგრამ ისე ვიყავი დაუძლურებული,  
ხელის განძრევა არ შემიძლო. კრილობებზე  
მატლი დამეჭვა. ბოლოს ისევ ჩემს ბედში  
მყოფმა ადამიანებმა მომიარეს და გამაზნევს:  
გამავრდი, ძმავ, ამ მდგომარეობაში სიკვდილი  
რა ვეჟაკობაა. იმდენი უნდა ეცადო, აქედან  
თავი დააღწიო და მტერს დაატყუო რისხვად.  
შენი სიკვდილით პიტერის ვერ დაამწუხრებ,  
სიკოცელით კი მტერს შავებს ჩააყვევო“.

ამ სიტყვებმა გული მომიბრუნა, იმედის სხი-  
ვი ჩამესახა სულში, კვლავ სიკოცელის ტრფი-  
ალად ვიქციე. დღედაღამ არ მასვენებდა ფაქ-  
რი იმაზე, თუ როდის დავაღწევდი თავს სიკ-  
ვდილის ბანაკს. ერთხელ ვერმანელებმა პარი-  
ზარდ წამოგვეყარეს, დავგახარისხეს. ვინაც  
ფეხით სიარული შეეძლო ცალკე ვიყავი  
ვინც უიმედოდ გამოიყურებოდა, სასიკვდილო  
კამერაში უტრეს თავი. მეც აქ მოვხვდი, მაგ-  
რამ ბედმა არ გამწირა. ახლაც თვალწინ მიდ-  
ვას ერთმა რუსმა პატარა ბავშვივით რომ ამ-  
ყვანა ხელში და იმ ტყვეებში შემვრია, წა-  
საყვანად რომ ამზადებდნენ, — ამ ადგილას  
გიორგის სიტყვა გაუწყდა, ყელის ძარღვები  
დაებერა, სახე აუწითლდა, ბოლოს, როგორც  
იყო, მდღევარებებს სძლია და სინანულით  
თქვა, არ ვიცი იმ რუსი კაცის სახელი და გვა-  
რი, რომელმაც სიკვდილი გადამარხინა — თუ  
ცოცხალია დიდხანს იცოცხლოს, ან კი რო-  
გორ შეიძლება ისეთი მადლიანი კაცი ახლა  
ცოცხალი არ იყოსო.

გიორგევსკიდან უკრაინის ქალაქ სმელოს  
ტყვეთა ბანაკში გადაუყვანიათ, მერე ბობრინ-  
სკში უტრეს თურმე თავი.

„აქაც ჯოჯობეთი იყო. დღისით ქვანახშირზე  
მუშაობით ქანცი გვქონდა გაწყვეტილი, და-  
მით ერთ პატარა ოთახში სამოცამდე ტყვეს  
შეგვრეკავდნენ და ასე დილაშდის ვიტანებო-  
დით. ვაქცევა დავაპირე, გამიგეს, ბელორუსი-  
აში გადაიყვანეს, ბანაკს ვარშემო ეკალავე-

თული ჰქონდა შემოვლენული, შიგ დენი გა-  
დიოდა. ამხანაგების დახმარებით მოვეჭრე  
წამების ბანაკიდან გაქცევა. მაგრამ აქაქი  
მა მიმტყუნა, კვლავ დამიპირეს, ვილნიუსის  
ციხეში გამომიკეტეს. იქ ჯერ დახვრეტა დამი-  
პირეს, მერე არ ვიცი, რა მოხდა, ვინაც სიკ-  
ვდილი ჰქონდა მისცილი, ყველას ერთად მოე-  
ვიაყრეს თავი და დასავლეთისკენ გაგვიყვანეს  
ხვას. ჯერ ბელგიაში ჩავიყვანეს, სამი დღისა  
შემდეგ ჩვენი წამების მატარებელი იტალიის-  
კენ დაიძრა, ჩვედით ქალაქ პიზაში... ბედმა  
გამილიმა, მოულოდნელად ჩემთან ერთი იტა-  
ლიელი მუშა მოვიდა, უბიდან წითელი მანდა-  
ტი დამანახა. ამით მაგრძნობანს, რომ კომუ-  
ნისტი იყო და მისი ნდობა შეიძლებოდა, რომ  
მას შეეძლო ჩვენი გაყვანა ბანაკიდან. ეს აშმა-  
ვი ამხანაგებს გავანდე. მეორე დღეს, როგორც  
იტალიელმა გვითხრა, რამდენიმე ტყვემ მოე-  
ხერხეთ სამუშაოდან გაპარვა და მდინარე არ-  
ნოს ქალღმარე შეეფარებოდა თავი. აქ ჩვენმა იტა-  
ლიელმა შეგობარმა მოგვავიოთა, გლეხის ტანი-  
სამოსი ჩავაცვია, ხელში ბარი და თოხი დაე-  
ვაჭერინა და ასე გავვარდია იტაურობას. იტა-  
ლიელ პარტიზანებთან მიგვიყვანა. როგორც  
იქნა აფერსულდა გულისწადილი.

გიორგი გოგოლაშვილს ოცეული ჩააბარეს,  
რომელშიც სხვა ერთა შვილებთან ერთად ექ-  
ვისი ქართული ვეჟაკი იბრუნდა, ესენი იყ-  
ვნენ: გიორგი ოზაშვილი, ნიკოლოზ კოლხი-  
დაშვილი, ვანო საძაღლიშვილი, ვასო ხმაღაძე,  
აკაკი კაკარიძე და ქვლეშაშვილი.

ოცეულმა პირველი დავაღწა მიიღო: უნდა  
განედგურებინათ ფაშისტთა კომუნდატურა,  
რომელიც მოსახლეობას სასტიკად ავიწროებ-  
და პარტიზანებთან კავშირის გამო.

წასვლის წინ გიორგი გოგოლაშვილმა თანა-  
მებრძოლებს მიმართა:

— ძმებო, იტალიელმა პარტიზანებმა დიდი  
ნდობა გამოგვიცხადეს. დღეს უნდა დავამტყუ-  
ნოთ, რომ სამჭოთა ადამიანი ფაშისტის წინა-  
აღმდეგ ყველგან ისე იბრძვის, როგორც სა-  
კუთარი მიწა-წყალზე. მაშ, დადით ფიცი, რომ  
სანამ პირში სული გვიდვას, ღირსეულად და-  
ვიცავთ ამ დიდ ღირებებს!

— ვფიცავთ! — გაიმეორა ოცეულმა და ისე  
დაატყდა თავს ფაშისტთა ბუნავს, იქიდან  
ამბის წამლებიუც აღარავინ გადაარჩენილი.  
ოცეულს ახლა უფრო რთული დავაღდა მი-  
ეცა: მას მუდმივად ხელი უნდა შეეშალა  
მტრის კავშირგაბმულობისათვის, ამასთან ერ-  
თად, მოსახლეობა უნდა დაცევა ფაშისტების  
ძარცვა-გლეჯისაგან. ამასობაში ფაშისტის და-  
ხიბის ქამრე დაღვა. უკანასკნელად ქართულ-

**ზხახანა გორბანული**  
თუ კაცი გონიერია

მა პარტიზანებმა ქალაქ პიზაში მუხლი მოიყარეს იტალიის მიწა-წყალზე დაეცემულ საბჭოთა მებრძოლების საფლავების წინაშე და გამოეშურნენ სამშობლოსაკენ.

საქართველოში გიორგი გოგოლაშვილი ჩამოვიდა 1945 წლის დასაწყისში, ომის ცეცხლი კვლავ მძვინვარებდა, ოღონდ საბჭოთა ტერიტორიაზე კი არა, მტრის ბუნავში. როგორც კი გიორგი გაეშადა კვლავ ფრონტზე წასასვლელად, ომიც დამთავრდა.

სად არ ვიყავი, რა ტანჯვის არ გავუძელი, მაგრამ ყველაფერს გადააქარბა, იმ მუღღვარების წუთში, როცა ხუთი წლის შემდეგ მშობლიურ სოფელში მოვედი, საკუთარ ეზოში შევედი, ცოლ-შვილი კი შინ არ დამხვდა. რატომღაც ვიფიქრე ალბათ ამოწყდნენ-მეთქი და შეშლილივით გავექეცი. იმ უბნისაკენ, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ.

დედა ეზოში თინვითან პურის ცომს ზელავდა. როგორც კი მოჰკრა თვალი გიორგის, ისევ ცოშანი ხელებით გამოექანა და შეიღს შემოკვდო უკლებზე. სახლის კიბის იქით მდგარი ათი წლის ვალიკო და რვა წლის თინკო გუმანით მიხვდნენ, რომ მთულოდნელად მოსული კაცი მათი მამა იყო, სიხარულისაგან ისე გამოქანდნენ და ისე ეცნენ მამას, თითქოს მეტად ვეღარ იხილავენო. მოეფერა, მოესიყვარულა ამდენი ხნის უნახავ პირშოებს... წუთები წუთებს მისდევდა. უკვირდა გიორგის შეუღლე რომ არსად ჩანდა, ბოლოს გაწყდა მოთმინების ძაღვი:

— დედი, თამარი სადღაა? — დედამ ხმა ვერ დაძრა, თვალები დახარა და აქვითინდა.

— დედი! — კიდევ გაიმეორა გიორგიმ, — აღარ მომიკადა? გათხოვდა? მერე და ბავშუები? ესენი როგორღა მიატოვა?

უხეხავლ მდგომარეობაში იყო დედა, არ უნდოდა ეს სიხარულის წუთები გაემწარებინა შეიღისთვის. ბოლოს რომ აღარ მოეშვა შერს გამოუტყდა.

— ორმოცდარბი გარდაიცვალა, შვილო, — უთხრა და შვილიშვილებს მკლავები შემოაკვლო.

ცრემლები წამოსცივიდა გიორგის. მკერდზე მუშტი დაირტყა და ლანძღვა-გინება შეუთვალა იმას, ვინც ომის საშინელება თავს მოახვია საბჭოთა ადამიანებს.

გახარებული ოჯახი ვაქიშვილის მშვიდობით დაბრუნებას აღსანიშნავი ღზინის თადარიგს შეუღდა.

— მამაჩემო, ეგ ყველაფერი იმ ჩემ გამოკეტილ სახლში გადაიტანე, ხალხიც იქ დამიბატე!

ესიამოვნა მამას ომგადახდილი შვილის სიტყვა.

დილაშდის ღზინობდა მთელი სოფელი, ახა-

რებდა ხალხს გამოკეტილი სახლის კვლავ გაიღო.

მეორე დღესვე შეაღო გიორგი გოგოლაშვილმა პარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტის კარი. გაიხარა მდივანმა, ჯერ კარგი დასვენება უსურვა, მერე კი მშვიდობიანი შრომის გზა დაულოცა ომგადახდილ ვაჟაკს.

— არა, დასვენებით ვერ დავისვენებ, საქმეს უნდა შევუღდე, — კატეგორიულად განუცხადა გიორგიმ.

მდივანმა კიდევ გაუმეორა. დაისვენეო, მაგრამ რომ შეატყო ამის თქმა ახლა წყლის ნაყვა იყო, მაშინვე შესცვალა საუბრის თემა და პირდაპირ უთხრა: ის რაც გიორგის დანახვის ღროს გაიფიქრა:

— აგრონომი ახლა ჰაერით გვეკირდება, მერე ისიც შენისთანა კაცი. ჯიშთა გამოცდის პუნქტის გამგის ადგილი გვაქვს ვაქირში და კაცი არ გვაყავს, რომ დავნიშნოთ, წახვალ?

— წაყალ!

ჩაიბარა პუნქტი გიორგიმ. საქმეს თავიდანვე აუღო ალღო და სამაგალითოდაც წარმართა. მოკლე ხანში უნარიანი ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა ვაქირელებს შორის.

— სწორედ ეგეთი კაცი სჭირდება ჩვენს კოლმეურნეობასო, აღაპარაკდა ხალხი.

სოფელში ეს საკითხი მაღე თავისთავად მომწიფდა, ხმამ გიორგი გოგოლაშვილის ყურადღისაც მიადწია, არ ეკაშნიკა. მართლაც და, რატომ უნდა მოეწადინებინა გადასვლა, როცა პუნქტში მშუშობა კოლმეურნეობაზე ნაკლები არ იყო. არა, თავმჯდომარეობაზე არ უფიქრია გიორგის, მაგრამ, როცა ფაქტის წინაშე დააყენეს და სოფელმა ერთხმად წამოაყენა მისი კანდიდატურა, უარი ვეღარ განაცხადა...

როცა კოლმეურნეობის საანგარიშო კრება დამთავრდა და ყველა წაიკიდ-წამოვიდა გზაზე მიმავალ გიორგი გოგოლაშვილს სოფლის ორბიებსთან გიო ყოჩიაშვილი შემოეგება:

— მართალია, მიმიე საქმე დავეკისრა, მაგრამ იცოვდი, ხალხის დასახელებულ კაცს ხალხი არ უღალატებს. ერთი აქაც ისე დააყენე საქმე, როგორც პუნქტში ააწყე და მერე თუგინდ გიო პაპა მიწას ამოფაროს. გული მტკივა, ყველამ ჩვენ როგორ უნდა გაგვისწროს. აბა შენ იცი, შვილო, — ეს უკანასკნელი სიტყვა გიომ გაიმეორა, მერე ეარსკვლავებით მოქედლოცა იმედინად ახედა და სახლისაკენ მიმავალ ზილიყს გაუყვა.

დაწვა მაგრამ ძილი არ მიეკარა გიორგის, როცა ამ ათიღელ წლის წინათ საკიშე პუნქტის გამგედ დანიშნეს, ამდენი არ უფიქრია.



არც ასე აღდგებულა. მართალია, არც იქ იყო ადვილი. მაგრამ რატომღაც იქ უფრო იოლად ეჩვენებოდა მუშაობა. იოლად ეჩვენებოდა იმიტომ, რომ საცემო პუნქტში საქმე წინასწარ იყო დაგეგმილ-დაფინანსებული, საჭირო იყო მხოლოდ მისი უნარიანი წარმართვა. აქ, კოლმეურნობაში, კი სხვა მდგომარეობა იყო. ყველაფერი მას თვითონ უნდა შეექმნა და მოეპოვებინა. ათას კომლიან სოფელში ათასნაირი ხასიათის კაცი ცხოვრობდა, ამ ადამიანებს ცალ-ცალკე უნდოდა შესწავლაც და მხარშიც ამოღობა, ნუგეშიც და საქმისადმი ერთგულების გამტკიცებაც.

კაცი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა კოლმეურნობაში და კაპიკის სარგებელს ვერ ხედავდა, შრომის ახალი ზღუდეების გადასლახავად, არც ისე იოლად გაუყვებოდა ვინმეს. ახლა გიორგის პირველი ნაბიჯი საბედისწეროც იყო და სასიკოცხოცოც. ამ საბედისწერო ნაბიჯმა ომის დღეები გაახსენა, როცა დაშინების ურდოებს მეგრით გზას უღობავდა, გონებაში გათელე იმ საშინელება წუთმაიც, როცა ჩვილმეტ ადვოლას დაჭრილმა თვალი გაახილა და ტყვეთა ბანაკში იგრძნო თავი. ამ ტანჯვაშიაც არასოდეს დაუკარგავს გამარჯვების რწმენას; ამ რწმენას, უპირველეს ყოვლისა, მასათვის უბრალო ადამიანები უნერგავდნენ. სწორედ მათ გაიყვანეს გიორგი სიყვდილის ბანაკიდან, იტალიელ პარტიზანებს დაამოზილეს. კეთილი ადამიანებისადმი ნდობა და სიყვარული ჯერ აღერევეტ ჰქონდა, მაგრამ სამამულო ომის ქარცეცხლმა კიდევ უფრო განუმტკიცა ადამიანისადმი ის დიდი რწმენა, გაანებდნენ თანხობა განცხადებებშია კრებისათვის.

განთიადის პირველ სხივს გიორგი გოგოლაშვილი ფეხზე დახვდა. მაშინვე კოლმეურნობის კანტორისაკენ გაეშურა. ყარაულის გარდა იქ არავინ იყო, ეწყინა. კანტორის თანამშრომლებსაგან იმდენად არა, რამდენადაც ბრიგადირებზე მოუვიდა გული. მართლაც და, ბრიგადირი რომ შუადღეზე გამოვა და მერე დაიწყებს დავალებების განაწილებას, იმ ბრიგადამში რალა უნდა გაეთდეს! ცხადია, ის დღე ნახებრად დაკარგულია. გიორგიმ ეს ამბავი უბის წიგნაკში ჩაინიშნა. ცოტა ხანს იწრიალა და ისევ გატრიალდა უკან. ყოფილ თავმჯდომარეს რევან ნანობაშვილს ეწვია ოჯახში.

რევანს, ცოტა არ იყო, გაუვივრდა კიდევ გიორგი გოგოლაშვილის მოსვლა. გაუელვა-სოფლის თავეცობაში შეშევილა. ახლა ნეტავ რალა უნდაო. მაგრამ სადღაც მინც ესიამოვნა. თუ რამეში დაუკირდები, უარს როგორ ვეტყვით, გაითქრა.

— რევან, თუ არ დამზარდები, წამო ერთად შემოვივროთ სოფლის მიწები, ვნახოთ, სად რა გაქვს, ან რას ფიტრობდით.

— მე კი წამოგყვები, მაგრამ ჩემს სიტყვას რალა ფასი აქვს, — წყენით უპასუხა რევანმა ახალ თავმჯდომარეს.

გიორგიმ არაფერი უთხრა, ხუმრობად ჩასთვალა მისი ნათქვამი:

— ერთიორიც სხვა წაიყვანაო, შენ ვინც მიგანჩია ღირსად, — გიორგის ამ სიტყვებმა უცებ შეცვალა რევანის, კარგ ხასიათზე დააყენა. გიორგიმ მაშინვე გაუგო ეს და აღარ დააყენა:

— მოდი, შენს ჩრეულ ბიჭებს ჩაუვართო, ისინიც წაიყვანათ.

ამან კიდევ უფრო ფრთები შეასხა რევან ნანობაშვილს, დიდი სიამოვნებით.

ჯერ ამბროსი მამაიაშვილს და შალვა დავითაშვილს ჩაუარეს, მერე ისევ ვარდიაშვილს და შალვა მოსაშვილს, ილია დავითაშვილს არ ეცალა, მაგრამ უარი ვეღარ ჰკადრა, უსიტყვოდ გაჰყვა ისიც.

კოლმეურნობის ზვრებთან რომ მივიდნენ და ვიღრე ალახნიკენ აიღებდნენ გეზს, თერთრად მოელვარე ბორცვს მოპკრეს თვალი, რა არის ესო, იკითხა ახალმა — თავმჯდომარემ, ძველმა მიუგო, არ ვიციო, ახლოს მივიდნენ, გაქექ-გამოქექეს, მინერალური სასუქი აღმოჩნდა. რევან ნანობაშვილი გაწითლდა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

ამბროსი მამაიაშვილმა ვეღარ დამალა და გულისწყრომით თქვა:

— შე მამაკონებულო, მოტანაში რატომღა ხარჯავდით შრომას.

შალვა მოსაშვილმა დაუმატა: — აი, თურმე სად მარხია ძაღლის თავი, ეს არ გვაპტივებს! გიორგი გოგოლაშვილმა კვლავ უბის წიგნაკი მიმობარევა და რაც აქ ნახა, შიგ ჩაინიშნა.

გაუყვენ გზას. ალახნამდე ჩაივდნენ, თხელმუხრიანის ადგილები დაათვალიერეს. ქვის ღორღითა და ბუჩქნარით იყო ერთიანად დაფარული.

— რომ გაიწმინდოს, მგონი გამოდგება სავენახვე? — იკითხა გიორგიმ.

— მაგას რა ეშმაკი გაწმინდავს, ვერა ხედავ, რა დღეშია — მოუტრა ყოფილმა თავმჯდომარემ.

გიორგიმ თხელმუხრიანი თვალთ გაზომა, მერე დაბლა დიხარა, ხელით გასწი-გამოსწია ქვა-ღორღი, მიწა გამოჩნდა:

— ცოლდა ამ მიწის მოცდენა.

— მართლაც, რომ ცოლდა! — დემოწმა ამბროსი მამაიაშვილი და რევან ნანობაშვილს მიანერდა. რევანმა ხმა არ დაძრა, დამნაშავესავით დაბლა დახარა თვალები.

**პახბანავ გორგანელი**  
თუ პაკი ბონიძისა

ახალმა თავმჯდომარემ ვარაუდით თქვა: 80 პექტარამდე გამოვა, ურიგო არ იქნებაო.

ფერები დათვალაირეს. არც იქ იყო სახარბიულო მდგომარეობა, საქონლის სადგომებში ნახარას ჰვავდა. ფერმებთან მისასვლელ გზებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ისე იყო ათხრილ-დათხრილი, ეშმაკი კისერს მოიკვებდა.

მზე უკვე კარვად იყო ამოსული, როცა გიორგი ვაგოლაშვილი კანტორაში დაბრუნდა, არ მოეწონა ბრიგადირების იქ ყოფნა. საქმიანი კაცი ამ დროს შრომით უნდა იყოს მოღილი, თქვენ კი ჯერ არ შესდგომიხართ საქმესაო.

ნიშანში მოხვდათ ბრიგადირებს. პირველი ბრიგადის მეთაურმა თავის გამართლება სცადა, მაგრამ მეორე ბრიგადირის დაბევერილ მზერას რომ წააწყდა, ენა ჩაუვარდა. მართლაც, თავს, აბა, რითი გაიმართლებდა!

— ხვალ ადრინაოდ თხელმუხრიანში ჩავალთ, უნდა ვაწვინდეთ, — გამოუცხადა ბრიგადირებს. პირველი ბრიგადის ბრიგადირმა სცადა თავმჯდომარესთან შეეკამათებინა, მაგრამ მეოთხე ბრიგადის თავკაცმა კვლავ ისე მიანათა თვლები, რომ გაჩუმება არჩია.

მეორე დღეს შეუღდნენ თხელმუხრიანის ვაწმინდას. მართალია, ბრიგადირებმა მეორე დღესაც დააგვიანეს გამოსვლა, მაგრამ გიორგიმ არაფერი უთხრა, მხოლოდ უსიტყვოდ აგრძნობინა, სხვა დროს ამას აღარ მოვითმენთო.

თავმჯდომარემ ახლა გზებზე მიიტანა იერიში, ფერმები მოიყვანა წესრიგზე, მანქანატრაქტორები გაარეორმენტეს, ცოცხანად და გაზაფხულმაც შემოალო კარი; ახლა იყო საჭირო ნამდვილი შეტევა, თვითონ ეძახდა მიწა მზუნღლსა და მთესველს. ეძახდა და ვაჭირის თავკაციც მზად იყო, მაგრამ კოჭმანობდა: ბრიგადირების შეცვლა ჰქონდა ფიქრად, რადგან საქმე არწმუნებდა, რომ კოლმეურნეობაში კადრები ვერ იყო ისე შერჩეული, როგორც ამას საქმე მოითხოვდა. უცხად შეეცლით კიდევ არ უნდოდა ლაპარაკის საბაბი მიეცა ზოგიერთისათვის. არადა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. გამგეობის კომბა მოიწვია. რომ ამ ეგონა, სწორედ ისე წარიმართა სჯა-ბასაო, თავმჯდომარის წინადადებას თითქმის გამგეობის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

პირველ ბრიგადას ოთარ ვარდიშვილი ჩაუყენეს სათავეში, მეორეს — შალვა მოსაშვილი, მესამეს — ვასილ გზარიაშვილი, მეოთხეს — იოსებ ბუთლიაშვილი, მეხუთეს — ილია დავითაშვილი, მეექვსეს — შოთა ხატიაშვილი, მეშვიდეს — მიხეილ სიუმაშვილი, მერვეს — შალვა დავითაშვილი, მეცხრეს და მეათეს მიხეილ ხატიაშვილი და ბიჭიკო ნანობაშვილი.

ათივე ერთმანეთზე უყეთესი ბიჭები იყვნენ, არც ცოდნა აკლდათ, არც გამოცდილება, კოლმეურნეობაშიც კარგი სახელით დასრულდნენ.

გაჩაღდა შრომა. ზოგს რომ ეგონა, მოსავლის გადიდებას გზის გაყვანა ვერ უშველსო, ახლა დარწმუნდნენ რა საშუალო ყოფილა ეს საქმე. პირველად ლარში გამოყვანილი გზით რომ შეიტანეს ზვრებში სასუქები, სოფლის სიყვარულში ვათებრებულმა გიო ყოჩიაშვილმა ვენახის შესასვლელთან გააჩერა თავის კბილა მიხა ნანობაშვილი და უღვამის სწორებით უთხრა:

— ოღრო-ჩოღრო გზის გამო, გახსოვს, დატვირთულ მანქანას ნახევარი სასუქიც ვერ მიქონდა ადგილამდეს? მაშ, ისიც გაიხსენე, ამ საქმეს როგორ უიმედოდ უყურებდი, ეხლა რაღას იტყვი?

გაჩერდა მიხა პაპა, რაღა უნდა ეთქვა, ტყუილა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— ყოველ ახალ წამოწყებას ექვიც თან სდევს, — გამოეპასუხა იგი და თან თვლით ანიშნა, წამო ფერმებში გადავიდეთო. წაიფინენ, იქ რომ გული გაიხარეს ახლა მიწებებს ეწვივნენ, ესამოვნათ თანასოფლელთა ნამოღვაწარი.

პირველ წელსვე დაეტყო სოფელს მზრუნველი ხელი, შემოსავლის ზრდამ ათასწიერი საზრუნავი გაუჩინა ვაჭირებებს. მართლაც, ამ დიდებული ბალ-ვენახების, ამ დოვლაობარაქიანი მიწებების პატრონებს მიწურ ბინებში ცხოვრება, აღარ შეუძვეროდათ, არც ის ენატიემოდით კინფილემების სანახავად მეზობელ სოფელში რომ დადიოდნენ... გიორგიმ დროზე აუღო ამ საქმესაც ალღო. ახალი მშენებლობისათვის აგური იყო საჭირო, შორიდან ეზოდათ აბა რა ხეირი იყო, კოლმეურნეობისათვის ძვირიც დაედებოდა. მუშახელის გაყვინასაც გამოიწყვედა. ითათბირეს, გამოინახა სახსრები, აშენდა აგურის ქარხანა, რომელმაც წელიწადში ნახევარ მილიონამდე ცალი აგური გამოუშვა. აშენდა სკოლა, ხუთასადგილიანი კლუბი, ძველი კანტორა შეიკეთა ახლით, კოლმეურნეთა სახლები კომ პირდაპირ სოკოებზეთ ამოდიოდნენ.

სოფლის ასე უცებ ფეხზე დადგომა და მისი გამშვენიერება მართლაც რომ აკვირვებდა მიხა ნანობაშვილს, ოღონდ ამ გაკვირვებას ხმაშალა ვერ ამქვანებდა. სდუმდა მიხა, მაგრამ გული მისი მღეროდა სოფლის წინსვლით. ბოლოს ამ ღუმლისაც დაედო ზღვარი. ეს იყო იმ დღით, როცა პირველად ვაჭირში აბანო ამუშავდა და გიოს მალვით მიხამ გემოზე იბანავა, თუმცა გამოსვლისას მაინც ვერ ასცდა გიოს მწარე ენას. როგორც კი გამოვიდა წინ არ შეეჩება გიო ყოჩიაშვილი! შეეჩება და მა-

შინვე დაუწყო თავისებურად: მცოდნოდა მანდ თუ იყავი მძღულარე წყალს გამოუშვებდი და შიგ გაგფუფქავდიო.

— ეს აბანო მარტო შენთვის კი არ აუშენებოთ. — მოუჭრა მიხამ.

— რატომ მაშინ ეგერ არ ლაპარაკობდი, როცა პირველად საძირკველი ჩაეყარა. ვახსოვს, კარისკარად რომ ვაიძახოდი, ლმერთმა იმდენხანს მაკოცხლა სანამ ვეძირში აბანო აშენდებო. აბანოც, აშენდა, იბანავე კიდეც, სოფელმა თავის სიტყვა შესრულა, შენ კი...

მიხამ გაიცინა, ხელი მალა ასწია, თითი მოკავეა. ერთხანს ასე იყო ვაჩერებულა. როგორც კი ვიომ წასვლა დააპირა, მიხამ შეაჩერა: — რა იყო, შე კაცო, რომ ყველაფერზე პირში ბურთსა მჩრი, რაც იყო იყო... წინათ ჩემს ეშვებს მიზუნიც ჰქონდა, გაჭრა მიზეზი — ეშვიც გაჭრა. ისედაც გულზე ცეცხლი შეკიდება, რომ სიბერის გამო ვერ ვლდებულვო სოფლის ავ-კარგში ჩემებურად მონაწილეობას, შენ კი ამ ცეცხლს უფრო მიღვივებ...

კიდეც რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გზაზე გიორგი გოგოლაშვილი გამოჩნდა და მიხამაც აღარ ვაგარძელა სიტყვა, ჭული მოიხადა, სოფლის თავკაცს გულით მიესალმა.

გაუღიმა გიორგიმ ას წელს მიტანებულ მიხამს, ხელი ჩამოართვა, გამოელაპარაკა, როგორი იყო წყალი, ხომ არ ემღურაო.

მიხამ ენიშნა, რატომ უთხრა ასე თავმჯდომარემ, თვითონაც გაიღიმა და მიმავალ გიორგის კმაყოფილების გამოსახატავად გაშლილი ცერი უჩვენა.

ვიომ ისევ გაუბა ლაპარაკი მიხამს.

— ეენახი გგმონდა სამოცდაათი ჰექტარი, ეხლა გვაქვს ორასი, ფრინველი ორასორმოცდაათის ნაცვლად, ცხრა ათასამდე გვეყავს, მსხვილდება საქონელი სამჯერ მეტი ვახლა, უკეთესი მდგომარეობაა მარცვლეულის მხრივ... კოლმურნეობა ზარალიანი იყო, მომგებიანი შეიქმნა. გუშინ ჩემმა შვილიშვილმა მითხრა, თავმჯდომარემ თქვა, ეენახი მომავალი წლისთვის სამას ჰექტარამდე უნდა გავზარდოთო,

წყალსაქაჩი უნდა ავაშენოთო, ახალი სკოლა შენობის აგებაც განუზრახავთო...

როგორც კი ორსართულიან სახლს ჩვენი ციცი დაეწყო, საუბარში გზადმიმავალი ანაგელის რიგაეც ჩერდა:

— რას კამათობ, რაც გაეკეთდა და რასაც მიაღწიეთ ამას დაეა აღარ უნდა. არც ის არის სადავო, რომ თქვენი თავჯდომარე ჩვენი სოფლიდან არის.

— მიხამ გაიცინა და სიცილში გადაუტანა ანაგელს:

— ანაგელია, მაგრამ ვაჭირებებმა დასდეს ფასი.

— რაც არ უნდა თქვათ, ვაჭირი ანაგის მაინც ვერ აჯობებს, — განგებ დაიტრახა ანაგელმა.

ვიო ყოჩიაშვილმა ჯერ ჩახველა, ვარსკვლავებით მოჰედლიც კას ახედა, მერე ამ ვარსკვლავებს ჩამოაყუდა და ვაჭირის ბღღვრიალა ელნათურებზე შეაჩერა მზერა. ასფალტიან გზას ერთორჯერ დაუაკუნა ხელჯონი და იმედინად წამოიძახა:

— რასაც ვაჭირებები წიწკას ვაყვიდით, იმით ვიყვიდით მარტო თქვენს ანაგას.

მიხამ ნაწილობაშიც ხმას აუწია:

— რა გაჩხუბებთ, თქვე მამაცხონებულემო, ვაჭირიც და ანაგაც ორივე კარის მეზობლებია. ერთმანეთის კარგი უნდა გვახარებდეს, ანდაზაც ხომ ამას ამბობს: მეზობელს კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო. ესეც გადაწყდა, მოდი ეხლა დანარჩენი ჩემთან ვთქვათ, მარანში მამაპაპური ჭვევრის გარშემო.

გზას შეჰყუდა საუკუნის ტოლი სამი ბერძუხა პაპა, მილიონდენ და „შვილი ძმანი გურჯანელის“ ჰანგზე ტყილად მილულუნებდნენ:

სოფელი ღონიერია

თუ კაცი გონიერია...

მართალია, ეს სიტყვები ზოგადად იყო ნათქვამი. მაგრამ ახლა ეს მოხუცები „ღონიერ სოფელში“ ვაჭირს ვულისხმობდნენ და „გონიერ კაცში“ კიდეც კოლმურნეობის თავკაცს გიორგი გოგოლაშვილს.



# საქართველო ერთი მკლე ქაზეშირი ქვერი

ნორაი შვენიძე, ღვრიშხან სინსაქი

## ინტერნაციონალიზმი პრეპარატიანი სავტოთა სახელწიფოს საუქველია

მიმდინარე წელს საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმიტ აღნიშნავს სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუქუნოვან იუბილეს, საერთო-სახალხო ზეიმიტან ერთად ეს არის ყველა ხალხის ეროვნული დღესასწაულიც, რადგან „ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში სსრ კავშირის შექმნას — როგორც სამართლიანად აღნიშნავდა სკვპ ცვ გენერალური მდივანი ანს. ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე — თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს“<sup>1</sup>.

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე ეროვნული საკითხის გადაჭრის უბაღლო ნიმუშს, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე, ყველა ხალხებისა და ქვეყნების განვითარების ბედზე.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხთა თანსწორობისა და მეგობრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად წარმოშობილი საბჭოთა სახელმწიფო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირშოა. მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის დამშობამ შექმნეს პირობები ჩვენს ქვეყანაში კლასობრივ ჩავერასთან ერთად ეროვნული ჩავერის მოსპობისა, ხალხთა შორის ნამდვილი

ინტერნაციონალური ურთიერთობათა დამყარებისათვის, რომელიც შემდეგში ქშობასა და მეგობრობაში გადაიზარდა და გამოხატულება პოვა საბჭოთა ხალხის, როგორც აღამინათა ახალი ისტორიული ერთობის წარმოშობაში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელება რთულ სიმწლეებთან იყო დაკავშირებული. საბჭოთა ხელისუფლებამ თვითმყარობელობისა და დროებითი მთავრობისაგან ეროვნულ ურთიერთობათა მძიმე მეგვიდრეობა მიიღო. ათეული წლების მანძილზე ცარიზმისდროინდელი დიდშყრობელური შოვინიზმის ბატონობის პირობებში რუსეთის იმპერიაში მოსახლე ხალხებს შორის ფეხს იკიდებდა ეროვნული შეული და უნდობლობა, ანტიპათია რუსი ხალხის მიმართ, ეროვნული შეზღუდულობა და განეკრებებისაკენ მისწრაფება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამ მძიმე მეგვიდრეობისათვის ხელის ჩაქიდებას და თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოყენებას შეეცადა რუსეთისა და განაპირა მხარეების კონტრრევოლუციური, ნაციონალისტური ბურჟუაზია. განაპირა მხარეებში სოკოებოვით იქმნებოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები, რომლებიც ცდილობდნენ ერთიანი რუსეთის დაშლის გზით სიკვდილის პირამდე მიეყვანათ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

ასე შეიქმნა უკრაინის რადა, ბელორუსიის რადა, ამიერკავკასიის კომისარიატი, ბახჩისარის „ნაციონალური მთავრობა“ ყირიშში, მოლდავიეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“,

1. სკვპ XXIV ყრილობის მასალები, თბ. 1971, გვ. 93.



ბაშკირეთის „ნაციონალური მთავრობა“, „თათართა სახელმწიფო“, „კოკანდის ავტონომიური მთავრობა“ თურქესტანში, ბალტიისპირეთის ბურჟუაზიული მთავრობები და სხვ. მდიდარი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტებისაგან სახელდახელო შეოქმნილებული ეს მთავრობები თავიანთი ნაციონალური ინტერესებისა და ცეცის ნიშნით ძალღონეს არ იშურებდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყოველივე ეს მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის წინაშე აყენებდა უაღრესად რთულ ამოცანას — ბოლომდე ემხილა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ოინები და შეეკავშინებოდა მასები კონტრარევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რევოლუციის მონაპოვრის გადასარჩენად.

ამ ამოცანის შესრულებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოვრებაში განხორციელებამ, ჩაგრული ერების ნამდვილი ვათავისუფლების კურსმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე აიღო. საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ 1917 წლის 25 ოქტომბერს, რევოლუციის პირველივე დღეებშივე გამოაცხადებდა მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფდა რუსეთის ყველა ხალხებისადმი ნამდვილ თავისუფლებასა და თვითგამორკვევას.

ეს არ იყო ლტონი განცხადება, რომელიც არა ერთხელ სმენიათ რუსეთის დაბეჩავებულ ხალხებს. ეს იყო რევოლუციური რუსეთის ნება, რომელსაც მალე, 1917 წ. 2 ნოემბერს მოჰყვა „რუსეთის ხალხების უფლებათა დეკლარაცია“. დეკლარაციაში საქვეყნოდ აღიარა რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენიტეტი, მათი უფლება თვითგამორკვევისა — თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. დეკლარაცია აქმედდა ყოველგვარ პრივილეგიას და შეზღუდვას, ყველა ეროვნულ უმცირესობას და ეთნოგრაფიულ ჯგუფს ეძლეოდა თავისუფალი განვითარების უფლება.

დეკლარაციაში ნათლად პოვლობდა გამოხატულებას ოქტომბრის რევოლუციის განმათავისუფლებელი იდეები, რომელიც საფუძვლად ედებოდა ხალხთა შორის მეგობრობასა და ნდობას.

რუსეთის ხალხთა დაახლოებისა და საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივად გაერთიანებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობას. მან დიდი მუშაობა გასწია პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის. უზრუნველყო საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატება.

კომუნისტური პარტია და ვ. ი. ლენინი სა-

განგებო ყურადღებას აქცევდნენ თავისუფალ ერთა სახელმწიფოებრივად გაერთიანების ფორმის საკითხს, რომელსაც ფართო შესაძლებლობანი უნდა შეექმნა ერთა და ეროვნებათა ჩრგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ეროვნული ინტერესების სწორად შეხამებისა და განვითარებისათვის.

პარტიამ გაერთიანების ასეთ ფორმად წამოაყენა საბჭოთა ფედერაცია, რომელიც ემყარებოდა ინტერნაციონალიზმის, ნებაყოფლობის, ტერიტორიული პატივისცემისა და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს. საბჭოთა ფედერაცია სახელმწიფოებრივი გაერთიანების ისეთ ტიპს წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც ცალკეული რესპუბლიკების, ისე მთელი ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობას, პასუხობდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ხალხების ინტერესებს.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებას 1918 წლის ივლისში. რუსურ კონსტიტუცია, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეემუშავდა, კანონმდებლობით ამატიცებდა ხალხთა თანასწორობისა და თავისუფლების.

ეროვნულ საკითხში ლენინურ პროგრამულ დებულებებს შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა პარტიის VIII ყრილობა 1919 წლის მარტში. ყრილობამ შეაქაშა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილება და დასახა მტიციე კურსი ხალხთა სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისა.

მრავალეროვანი სოციალისტური მშენებლობის საქმეში კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რუსეთის ხალხთა შორის ადრინდელი უნდობლობისა და შტრობის, შუღლის შედეგების დაძლევის, მუშათა და გლეხთა ინტერნაციონალურ აღზრდას.

პარტია და მთავრობა სისტემატურად იხილავდნენ ეროვნული პოლიტიკის საკითხებს, სახადუნენ ფაქტური უთანასწორობისა და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ღონისძიებებს, საკადრის პასუხს აძლევდნენ დიდმკარობელურ შოკინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვლინების ფაქტებს, რომლებიც არც თუ ისე იშვიათი იყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველ წლებში.

პარტია ფართოდ განმარტავდა, რომ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის

**ნოდარ ზუბლიძე, ღურამიზხან ცინცაძე**  
ინტერნაციონალიზმი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველი

საფუძველი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ინტერნაციონალიზმის პრინციპი, რადგან იგი გამოხატავდა ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა კლასობრივ ინტერესებს, რუსეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ინტერნაციონალური შეკავშირების საფუძველზე შესძლეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ცარიზმსა და საერთაშორისო იმპერიალიზმზე ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ამავე საფუძველზე შეიძლება რევოლუციის მონაპოვრის დაცვა და სოციალისტური მშენებლობის წარმატების უზრუნველყოფა, ყოველგვარი ნაციონალიზმის დაძლევა.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ჰქონდა არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი, არამედ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც. «Этo мировой вопрос, без преувеличения мировой... Это скажется на Индии, на Востоке, тут шутить нельзя, тут надо быть 1000 раз остoрожным!».

მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ, განსაკუთრებით რუსმა ხალხმა, რომელიც წარმოადგენდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მონაწილე მებრძოლ რაზმს, სოციალისტური მშენებლობის ავანგარდს. პარტიის ხელმძღვანელობით მან იმთავითვე უაჩიო ყოველგვარი პრივილეგია და უყოყმანოდ დადგა ეროვნული თანასწორობისა და მეგობრობის პოზიციებზე. რუსმა პროლეტარიატმა, თვითონაც მძიმე მდგომარეობაში მყოფმა, რევოლუციის მომდევნო წლებში უანგარო დახმარება გაუწია განაპირა მხარეების ხალხებს მათს სამეურნეო-პოლიტიკურ და კულტურულ მშენებლობაში, რითაც საყოველთაო ნდობა, პატივისცემა და მხარდაჭერა მოიპოვა.

თავის მხრივ განაპირა მხარეების მუშები და გლეხები მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდნენ როგორც რუსეთის მუშებსა და გლეხებს, ისე სხვა ეროვნებათა მშრომელებს მათს წინაშე მდგარი დიდი ამოცანების განხორციელებაში თავის ბრძოლაში.

მრავალეროვანი რუსეთის მუშათა და გლეხთა მასებმა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას ღებულბდნენ როგორც თავიანთ სისხლხორციულ საქმეს. ისინი გულსყუებით ეკიდებოდნენ კომუნისტური პარტიის ყოველ სიტყვას ეროვნულ საკითხში; ერთფულად მიჰყვებოდნენ ლენინის მიერ ნაჩვენებ ვაზს, გამოსთქვამდნენ მზადყოფნას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეშენებათ ახალი ცხოვრება. ეს ნათლად გამოვლინდა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის წლებში, როცა საბჭოთა ქვეყანას სამხედრო

და სამეურნეო-პოლიტიკური სიძნელეთა შიგნით ღრუბლები ჩამოაწევა. მაშინ რუს მუშებთან-გაჯარისკაცებთან ერთად რევოლუციურ-გაღმართურ ჩენად თავგანწირულად იბრძოდნენ უკრაინელები და ბელორუსები, ქართველები და აზერბაიჯანელები, უზბეკები და სომხები, ყველა ეროვნებისა და ერის წარმომადგენლები.

თავის მხრივ რუსი მუშათა კლასი დახმარებას უწევდა მოძმე არარუს მუშებსა და გლეხებს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრარევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასე მტკიცდებოდა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირი — საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი და დასაყრდენი, პოლიტარული ინტერნაციონალიზმის ნათელი გამოხატულება.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში ერთსადაიმავე დროს მიმდინარებდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ჩაგრულ ხალხთა განმთავისუფლებული მოძრაობა და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივად გაერთიანების პროცესი, რომელიც დამთავრდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით, რაც პარტიის ეროვნული ლენინური პოლიტიკის ტრიუმფს წარმოადგენს.

საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელმა მოძრაობამ სამი ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი ჩვენი ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდს ემთხვევა (1918-1921 წ. წ.). რაც კომუნალთა ლოგია აიძულებდა საბჭოთა რესპუბლიკებს რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად გაერთიანებულიყვნენ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად.

გამაერთიანებელი მოძრაობის მეორე ეტაპი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროს გენეკუთვნება. 1921 წ. დამოუღესა და 1922 წლის დსაწყისში საბჭოთა რესპუბლიკები საერთაშორისო იმპერიალიზმმა მრგვალ მაგიდასთან მიიწერა პავისა და გენუის საერთაშორისო კონფერენციებზე, რათა აშკრად დიპლომატიური გზით აეჭლებათ კაპიტალისტური უცხოელი კაპიტალისტები იმედოვნებდნენ, რომ შინაგან საქმეებში ინტერვენციის გზით განცდილი მარცხი დიპლომატიური დაწოლით და ეკონომიური იძულებით აენაზღაურებიათ. ისინი მოითხოვდნენ, რომ საბჭოთა რუსეთს, რესპუბლიკებს ეცნოთ მეფის მთავრობის ვალდებულება, დაებრუნებიათ კონფისკაციამწილი ქონება უცხოელი კაპიტალისტებისათვის, აღედგინათ კაპიტალისტური საკუთრება. უცხოელები იმედოვნებდნენ, რომ ქვეყნის შიგნით სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობა აიძულებდა საბჭოთა რესპუბლიკებს დამორჩილებოდნენ კაპიტა-

1 В. И. Ленин, ПСС, т. 53, стр. 190.



ლის დიქტატს და დაამოძახე წასულიყვენ იმპერიალიზმის „ყოველისშემლეობის“ წინაშე.

პარტიამ სწორად შეაფასა შექმნილი ვითარების მთელი სერიოზულობა. საჭირო იყო საერთაშორისო კონფერენციებზე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლობათა სრული ერთსულოვნება. ასეთ ვითარებაში 9 საბჭოთა რესპუბლიკამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით შექმნა ერთიანი დიპლომატიური ფრონტი. უკრაინის, ბელორუსის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა, ბუხარისა და ხორეზმის სახალხო რესპუბლიკებმა, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკამ თავიანთი რწმუნებები მთლიანად გადასცეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა მას ეს რესპუბლიკები წარმოედგინა ჰააგისა და გენევის საერთაშორისო კონფერენციებზე და დაეცვა მათი უფლებები და ინტერესები.

ერთიანი დიპლომატიური ფრონტის შექმნა, რომელსაც ბრწყინვალე შედეგი მოჰყვა იმპერიალისტური დიპლომატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების გზაზე.

მაგრამ 1921 წელს სხვა ხასიათის სიძნელეებამაც იჩინეს თავი — სამეურნეო ხასიათის სიძნელეებმა, რაც დაკავშირებული იყო მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლასთან. მოშლილი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დაწყების ამოცანა მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო შესაძლებლობათა გაერთიანებას, მათი ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას. ეს იყო მესამე ეტაპი.

ამ სამმა ძირითადმა მომენტმა დაარწმუნეს საბჭოთა რესპუბლიკების მუშები და გლეხები, რომ მათი დიდი იდეალები მხოლოდ ინტერნაციონალურ საფუძველზე აღმოცილებულ ნებაყოფლობით გაერთიანებულ სახელმწიფოში შეიძლებოდა განხორციელებულიყო ყველა ზალხების ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის გზით.

მშრომელთა მოძრაობა ერთიან ძმურ სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანებისათვის ნამდვილად მასობრივი მოძრაობა იყო. მასში ერთნაირად ღებულობდნენ მონაწილეობას რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, უზბეკები და ყაზახები და სხვ. ხალხები. ამაზე შეტყულებენ მრავალრიცხოვანი წერილები, დეპუტები, მუშათა და გლეხთა კრებების, მიტინგების რეზოლუციები, რომლებიც გამჟღავნებულა გაერთიანების სულისკვეთებით.

თვალსაზრისი როლი შეასრულა რუსეთის ზალხთა ეროვნული განთავისუფლებისა და დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების გაერ-

თიანების საქმეში მუშურ-გლეხურმა წითელმა არმიამ, განმთავისუფლებელმა ინტერნაციონალურმა არმიამ — ჩსფსრ კონსტიტუციის ძალით საბჭოთა რუსეთის დაცვის, საბატიო ლეზა ეძლეოდა ყველა მშრომელს მიუხედავად ეროვნული კუთვნილებისა.

თავისი გმირული შემართებით წითელმა არმიამ დიდი სიყვარული და ნდობა მოიპოვა ყველა ხალხებში. განაზიარა მხარეთა მშრომელთა მას ყველგან ხედებოდნენ როგორც განმთავისუფლებელს და კმაყოფილებით ავსებდნენ მათ რიგებს.

წითელი არმიის ნაწილები არა მარტო ეხმარებოდნენ ეროვნულ უმცირესობათა მუშებსა და გლეხებს შემამულურ-ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან განთავისუფლებაში, არამედ უშუალო მონაწილეობა ღებულობდნენ ადგილობრივ რევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაციაში, აქტიურად ებმებოდნენ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში, თანმიმდევრულად ატარებდნენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რითაც უზრუნველყოფდნენ ყველა ეროვნებათა მშრომელების ნდობასა და მხარდაჭერას.

სამეურნეო კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებისა, არამოლდოვ ცენტრში სოციალისტურნარიანობა რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის წლებში, მშვიდობიანი მშენებლობის დროს ასევე დიდმნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სხვადასხვა ეროვნების მუშათა და გლეხთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. სამოქალაქო ომის წლებში სისხლით განმტკიცებული ხალხთა მეგობრობა თავისუფალ ერთა შედგომა სამეურნეო-პოლიტიკური, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ მშენებლობაში წარმატების საიმედო საწინდარი იყო.

წითელმა არმიამ დიდი როლი შეასრულა მენშევიკების ბატონობის უღლისაგან საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების საქმეში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს მშრომელებში კიდევ უფრო გაძლიერდა ლტოლვა საბჭოთა რუსეთთან და სხვა სოციალისტურ რესპუბლიკებთან ერთად საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის. მათ კარგად ესმოდა, რომ ერთა ძმურ კავშირში შეიძლო საქართველოს უზრუნველყოფა დამოუკიდებლობა და სოციალიზმის მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის შექმნის გზაზე ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა საბჭოთა რესპუბლიკების შორის სამოკავშირო ხელშეკრულებათა დადება. ასეთი ხელშეკრულებანი იყო დადებული რუსეთისა და უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის, ასევე აზერბაიჯანსა და რუსეთის, აგრე-

**ენოდარ შველიძე, დუმიზან ცინცაძე**  
 ინტერნაციონალიზმი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია

თვე სხვა რესპუბლიკებს შორის. 1921 წლის 21 მაისს სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდო რუსეთსა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

სამოკავშირეო ხელშეკრულებათა ფორმამ დიდი როლი შეასრულა ერთა და ეროვნებათა დაკავშირების საქმეში. მაგრამ იგი მიიღ შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და ვერ პასუხობდა მთელ იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ეროვნული საკითხის გადაჭრის ლენინური პროგრამა ითვალისწინებდა. მაგრამ პირველ ხანებში ეს ფორმა აუცილებელი იყო და ხალხები მას ფართოდ მიმართავდნენ.

1921 წლის დეკემბერში სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე ამიერკავკასიის წარმომადგენლებმა განცხადებით ერთხელ კიდევ დაადასტურეს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა სურვილი სახელმწიფოებრივი კავშირი დაემყარებინათ რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან.

მრავალეროვნო საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის გზაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელიც ვ. ი. ლენინის მითითებათა განხორციელება იყო. წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების „მკვიდრო კავშირი“ შექმნის ბურჟუაზიის დრას არნახული და ბურჟუაზულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს<sup>1</sup>. ლენინი ყურადღებას მიაქცევდა ამიერკავკასიაში მოსახლეობის ეროვნულ სიჭრელეს, რომელიც არაერთხელ უცდიათ კონტრევოლუციურ ძალებს ერთა შორის შეღლისა და მტრობის ვასაღივებლად გამოყენებისათვის.

განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნული წინააღმდეგობანი ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბატონობის დროს; ნაცვლად სოლიდარობისა და ნდობისა, რომელიც სუფევდა ამიერკავკასიაში მოსახლე ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ და სხვა ეროვნების მუშებს შორის. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში მენშევიკ-დამნაჯ-მუსავატელთა ბატონობის შედეგად სულ უფრო იზრდებოდა ნაციონალიზმი, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობისათვის.

მართალია კონტრევოლუციური პარტიების ბატონობა ამიერკავკასიაში დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მან მიიწე მოასწრო საქმით შეერყია ამიერკავკასიის ეროვნებათა მშრომელებს შორის ინტერნაციონალური ურთიერთობანი, მოეშაშა მუშათა და გლეხთა ერთი ნაწილი ნაციონალიზმის შხამით. ეს მომენტები, ცხადია, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოა-

დგენდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების გზაზე. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მისმა წევრებმა ლენინურ მითითებათა განუხრებლად გატარება, ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის უნდობლობისა და ნაციონალიზმის სავალალო შედეგების დაძლევა და უზრუნველყვეს ინტერნაციონალიზმის გამაგრება.

ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა და დაასაბუთა საბჭოთა ერებისა და ეროვნებათა სახელმწიფოებრივად გაერთიანების ახალი ფორმა — რესპუბლიკების კავშირი. „შეუძლებელია შევიწინარწინოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომელნიც ვარშემოტყმულნი არიან სამხედრო შტრივ შეუღარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით. თუ უშეძიდროეს კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის... აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მკვიდრო ეკონომიური კავშირი, ურომლისოდაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის მიერ დანერგული საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა“.

ვ. ი. ლენინმა მაკრად დაჰკვმო რესპუბლიკათა მოწყობის ავტონომიზაციის პრინციპი, როგორც მიუღებელი.

კომუნისტურმა პარტიამ განადიოზული მუშაობა ჩაატარა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ერთიან სახელმწიფო კავშირად გაერთიანებისათვის. ეს მუშაობა 1922 წლის 30 დეკემბერს დაგვირგვინდა საბჭოების ყრილობის მოწვევით, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საბოლოოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი. ყრილობამ შეაქაშა რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგები: ამ საკითხის დეტალური განხილვის შემდეგ ყრილობის დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ. ყრილობამ დაამტკიცა დეკლარაცია და ხელშეკრულება, რომლის ძალით რესპუბლიკები ერთიანდებოდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად.

დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეროვნული საკითხის გადაჭრის შეუძლებლობაზე; ნათქვამი იყო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიძლება ხალხთა ნამდვილი ეროვნული განთავისუფლება, რომ საბჭოთა წყობილებას, მისი ინტერნაციონალურ კლასობრივ ბუნებას თავისთავად მიჰყავს მშრომელი მსახივრე ერთ სოციალისტურ ოჯახად გაერთიანებისაკენ.

ხელშეკრულებაში სსრ კავშირის შექმნის შე-

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31 გვ. 167.



სახებ აღნიშნულია, რომ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა, ბელარუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით თანაწროობისა და ნებაყოფლობით საფუძველზე ქმნიან ერთიან საკავშირო სახელმწიფოს, ამასთან ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას სრული უფლება რჩებაოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლისა.

საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირის შემდგომი ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების გზაზე დიდწილად წინადადება მომენტს წარმოადგენდა სსრ კავშირის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1924 წელს. კონსტიტუცია ასახავდა საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობით გაერთიანების ფაქტს, მათ თანაწროუფლებიანობას და ეროვნული განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფას. კონსტიტუციაში თანმიმდევრულად ასახა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან კავშირად გაერთიანების ლენინური იდეები, რომლებიც ჩამოყალიბებულია წერილში „საქიბისათვის ეროვნებათა შესახებ თუ ავტონომიზაციის“ თაობაზე“ და პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებანი ეროვნულ საქითზე.

სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია წარმოადგენდა საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის კანონმდებლობრივ საფუძველს, რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის და თავისთავადობის აღიარებას, მათ შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საიმედო გარანტიას.

სსრ კავშირის შექმნა წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ზეიმს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დადასტურებას, საბჭოთა კავშირმა მთელ კაცობრიობას უჩვენა პრაქტიკულად ეროვნული საქითის გადაწყვეტის ნამდვილი გზა და შესაძლებლობანი. კომუნისტურმა პარტიამ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოებრივად გაერთიანებას მიადგინა იმით, რომ ყოველმხრივ უჭერდა მხარს ეროვნულ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივ განვითარებისა და თანაწროობის უზრუნველყოფას, ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა კლასობრივ-ეროვნულ ინტერესების დაცვას.

1922 წელს საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე სსრ კავშირის შემადგენლობაში ოთხი საბჭოთა რესპუბლიკა გაერთიანდა. მაგრამ ამით არ დამთავრებულა საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება. კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა ყველა ხალხებს ხელ-

საყრელ პირობებს უქმნიდა სახელმწიფოებრივი, სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის, დამოუკიდებელ რესპუბლიკებად მათი მოწყობისა და შემდგენლობაში კათა კავშირის შემადგენლობაში მათი გაერთიანებისათვის. ამ მხრივ საველისხმო მავალითაა შუაზიის ხალხების სახელმწიფოებრივი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში. შუაზიის მკვიდრი უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები და ყირგიზები, რომლებსაც მეფის ხელისუფლების დროს სახელმწიფოებრივი სუვენერობის არაერთი ელემენტი არ გაიანდათ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, 1924 წელს, ჯერ გაიმიჯნენ ტერიტორიულ-ეროვნულად და მოწყუყნენ ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ეროვნებად, შემდეგ კი დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებად განითარდნენ და ნებაყოფლობით გაერთიანდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. 1925 წელს მისში სსრ კავშირის შემადგენლობაში მიღებულ იქნენ უზბეკეთისა და თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1929 წელს კი — ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

კომუნისტური პარტია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებისას გამოდის იქედან, რომ ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი თვითმიზანი არ არის, არამედ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კლასობრივ-ეროვნული ინტერესების განხორციელების საშუალებაა. ყოველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების მიზანშეწონილობა კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად განიხილება. ამის თვალსაზირო მავალითაა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის ისტორია. ფედერაციის შექმნის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა კონტრრევოლუციური ნაციონალისტურ პარტიების მიერ დაწარგვილი ეროვნული შტრობისა და უნდობლობის ნაშთების ლიკვიდაცია, ეროვნული საქითის გადაჭრა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მუშაობის შედეგად ეს ამოცანა სოციალიზმის საფუძველების შენეხელობის დამთავრების დროისათვის გადაჭრულ იქნა. ფედერაციამ თავისი ისტორიული მისია შესასრულა და 1936 წელს გაუქმდა. ამავე წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკებად შევიდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

მაგრამ სოციალისტურ რესპუბლიკებად ეროვნული მოწყობისადმი ხელისშეწყობაში როდი გა-

**ნოდარ შველიძე, ღურამიზან ცინცაძე**  
ინტერნაციონალური მრავალპარტიანი  
საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია

მოხატებოდა მარტო კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნე და ხალხურობა. თეთველ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოველ ეროვნებასა და ეროვნებათა ჯგუფებს სრული შესაძლებლობანი ეძლეოდა. პირობები ექმნებოდათ ნებაყოფლობის გზით სურვილისამებრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ოკრუგებისა და ნაციონალური ჯგუფების სახით. რომლებიც სისტემატურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განვითარებას განიცდიან. ასე, მაგალითად, შუაზაზამი ყირგიზები ჯერ ავტონომიურ ოლქად მოეწევენ — 1924 წელს, შემდეგ ავტონომიურ რესპუბლიკად — 1926 წელს, ხოლო 1936 წელს მოკავშირე რესპუბლიკად გაერთიანდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ასევე 1924 წელს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიქმნა მთლადეთვის ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 1940 წლისათვის და მოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად განვითარდა და მიღებულ იქნა სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამავე წელს სსრ კავშირის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ახლადშემოერთებული ოლქები, ლატვიის და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება 1936 წელს საბჭოების მერვე საკავშირო ყრილობაზე. იგი ცნობილია გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციად და წარმოადგენს ყველა დროისა და ყველა ხალხის საუკეთესო შეილებიან ოცნებათა საკანონმდებლო განხორციელებას, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ზედმს, ხალხთა მეგობრობის დიად ქარტიას.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მიღებულ იქნა საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ, რომელიც ხუთნახევარი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. განხილვაში მონაწილეობა მიიღო 50 მილიონზე მეტმა კაცმა. ისტორიას არ ახოვს მეორე ასეთი მაგალითი ხალხის მონაწილეობისა კონსტიტუციის შემუშავებაში.

კონსტიტუციაში კანონმდებლობათა განმტკიცებული საბჭოთა ხალხის დიადი რევოლუციური მონაბოვარნი, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი, რაც საბჭოთა სოციალიზმის განვითარებაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება ფიქსირებულია კონსტიტუციის განყოფილებაში სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი და სოციალიზმის წყობის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ სსრ კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, რომელიც შექმნილია თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანების საფუძ-

ველზე. მოკავშირე რესპუბლიკების რაცხვი 11-მდე გაიზარდა, ამასთან ამ რესპუბლიკების შემადგენლობით კავშირში შედიოდა 22 ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და 9 ავტონომიური ოლქი. კონსტიტუციაში გარკვევითაა ნათქვამი ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის უფლებაზე კავშირიდან გასვლის შესახებ, მათ ტერიტორიულ ხელშეუხებლობაზე მათი თანხმობის გარეშე და სხვ.

კომუნისტურ პარტიას ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას შეუძლებელი ბრძოლა უხდებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთების ყოველგვარი გამოვლენების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა იოლი არ ყოფილა. ცარიზმისა და წარმართული კონტრარევოლუციური პარტიების ბატონობის დროინდელ ნაციონალიზმს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამწუხარო შედეგები ჰქონდა დატოვებული მშრომელთა ერთ ნაწილში. მათი დამღვევა ერთობადაც შეიძლებოდა.

პარტია მასებს განუმარტავდა, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიის იდეოლოგიაა ეროვნულ საკითხში. იგი სრულიად შეუთავსებელია მუშათა კლასის პროლეტარულ ინტერესებთან, ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერნაციონალიზმს, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიასთან შეურთებელი ბრძოლის გარეშე, ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების დაძლევის გარეშე შეუძლებელი იყო მშრომელთა აღზრდა ინტერნაციონალიზმის სულიკვეთებით, ხალხთა მეგობრობის დამყარება და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემდგომი განმტკიცება.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი არის „მუშების გამომთავანებელი, გამასულელებელი, გამოშველი, რათა ისინი ბურჟუაზიის ხელქვეით ატაროს...“

ვისაც სურს პროლეტარიატს ემსახუროს, იგი უნდა აერთიანებდეს ყველა ერის მუშებს და განუხრებლად ებრძოდეს როგორც „თავის“, ისე უცხო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს<sup>1</sup>. ლენინი ასწავლიდა პარტიას, რომ ყველა, ვინც ნაციონალიზმის პოზიციებზე ეშვება, აუცილებლად ემსახურება ეროვნებათა ურთიერთთავისშეისაქმნებს, შილს და ავნინებს მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, არღვევს ყველა ერისა და ეროვნების მუშათა ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპს.

კომუნისტური პარტია სწორად მიყვებოდა ლენინის მიერ ნათქვამ გზას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ძირშივე სპობდა მის ყოველგვარ გამოვლინებას, როგორც მუშათა კლასის რიგებში, ისე თვით პარტიაში. თუ რა პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინის პარტია ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და ეროვნული საკითხის თან-

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 11.



მიმდევრულ განხორციელებას კარგად ჩანს პარტიის მეთავე ყრილობის გადაწყვეტილებიდან ეროვნულ საკითხზე. დასახა რა წინათ ჩანს მორჩენილი ერებისა და ეროვნებების ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა, ყრილობამ მიუთითა ეროვნულ საკითხში ორი გადახარის — დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის არსებობის შესახებ, რომლებიც ერთნაირად წარმოადგენდნენ საფრთხეს პარტიისა და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ყრილობამ მოუწოდა გადაწყვეტილ ბრძოლისაკენ მათთან, განსაკუთრებით კი დიდმპყრობელური შოვინიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან იმეამად, რადგან იგი ემუქრებოდა ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ საბჭოთა ხალხების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების საქმეს.

ასევე გამაზვილა პარტიის ყურადღება დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე პარტიის მეთორმეტე ყრილობამ. ამავე დროს ყრილობამ ხაზი გაუსვა ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ გადაწყვეტილ ბრძოლის აუცილებლობაზე.

პარტიამ ბოლომდე გამოამყარა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის კლასობრივი ფესვები, დაახასიათა იგი როგორც ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რომელიც ხელს უშლიდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას, საბჭოთა ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

დიდმპყრობელური შოვინიზმის მთელი საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი წარმოადგენდა ევლიოკრუსების ყოფილ პრივილეგირებული მდგომარეობის ასახვას, მისი დკანონების ცდას, ხელს უშლიდა ეროვნული, პარტიული, სამეურნეო და კულტურული კადრებზე ზრდას, აღიზიანებდა ადგილობრივ ნაციონალიზმს, საფრთხეს უქმნიდა პარტიის კავშირს რესპუბლიკათა მშრომელ მასებთან.

ადგილობრივი ნაციონალიზმისათვის კი დამახასიათებელი იყო ეროვნულ თავისებურებათა გაზვიადება, პრივილეგირებული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და კლასობრივი ამოცანების დავიწყება, უგულვებელყოფა ადგილობრივი-ეროვნული ინტერესების საერთო-სახალხო, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შერწყმისა. პარტია გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ადგილობრივი ნაციონალიზმი, თუ იგი ნებაზე იქნებოდა მოყვებული, შეიძლებოდა გადაზრდილიყო შოვინიზმში ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. ყრილობამ მკაცრად დაგვიმ ქართულ ნაციონალ-უკლონისტთა ადგილობრივი ნაციონალიზმი.

პარტიის მეთორმეტე ყრილობამ ბოლომდე ამხილა საკავშირო სახელმწიფოს მშენებლობის

პრინციპებისა და ამოცანების ანტილინენოზო გავება, დაგვიო იგი და კიდევ ერთხელ დადასტურა, რომ სსრ კავშირი წარმოადგენს თავის სუფალ და თანასწორუფლებიან ერთა კავშირს, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ხალხის განვითარებას სოციალისტურ საფუძველზე, ეროვნებათა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის სამეურნეო და კულტურული განვითარების სფეროში.

ასევე მწვავედ დაისვა ეროვნულ საკითხში პარტიის ზაზიდან გადახარების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები პარტიის მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე ყრილობებზე: ი. ბ. სტალინმა პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე, სკკ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგრიშო მოხსენებაში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის გადაწეობები აღამაინათა შეგნებაში ყველაზე უფრო მეტად ეროვნულ საკითხში პოულობენ თავშესაფარს და კვლავაც ორი გადახარის სახით იჩენენ თავს.

ყრილობამ მიუთითა, რომ ორივე ამ გადახარის იდეური საფუძველი ერთია — მარქსიზმ-ლენინიზმის პრივილეგირებული ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან გადახვევა. კითხვაზე, რომელი გადახარა წარმოადგენდა მეტ საფრთხეს კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკისათვის, ყრილობამ უპასუხა — მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ის გადახარა, რომლის წინააღმდეგაც შენაღლეს ბრძოლა და ამის შესაძლებლობა მისცეს სახელმწიფოებრივ საფრთხედ გადაზრდილიყო. ამიტომ პარტიის წინაშე დაისვა ამოცანა — ეწარმოებია შეურთიებელი ბრძოლა, როგორც დიდმპყრობელური, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ისტორია ნათელი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ კომუნისტური პარტია წარმატებით სძლევა ყველა სიძნელეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, ამტკიცებდა ყველა ეროვნების მუშათა და გლეხთა კავშირს, ხალხთა შორის მეგობრობას, ზრდიდა საბჭოთა აღამაინებს ინტერნაციონალიზმის სულსისყვეთებით.

ჩვენ უყვე აღვნიშნეთ, რომ განსაკუთრებით დიდი იყო ეს სიძნელური რეკლუციის პირველ წლებში, როცა ყველა ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტები, კონტრრევოლუციონერები ცდილობდნენ მშრომელთა უღარესად სათუთ ეროვნულ გრძნობებზე და გამოყენებინათ ისინი თავიანთი კლასობრივი მიზნების მისაღწევად. ამ მიზნით ისინი მოურიდებლად სჭიდებდნენ ხელს კომუნისტური პარტიის მთავარ ღონუხს ეროვნულ საკითხში — ერთა თეთვაამორკვევის

**ნოდარ ზვალისი, დუმიზიზან ცინცაპი**  
 ინტერნაციონალიზმი მრავალბრძოლანი  
 საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია

უფლებას თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფაში.

პარტიის მიერ არაერთგვის დადასტურებულ კურსი ყველა ხალხების უფლებრივი თანასწორობისა ლიტონ სიტყვად იცხობდა თუ არ განხორციელებოდა წინათ ჩამორჩენილი ერებისა და ეროვნებათა სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია.

ფაქტური უთანასწორობის ლიკვიდაცია ხანგრძლივ დროსა და შეუპოვარ ბრძოლას საჭიროებდა. წარსულის მძიმე მემკვიდრეობის დაძლიებისა და სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის შესაქმნელად და განსავითარებლად წინათ ჩამორჩენილი ხალხები საჭიროებდნენ დაზარებულ რუსი და სხვა განვითარებული ქრეზისაგან, რაც მხოლოდ ამ ხალხების ინტერნაციონალისმის საფუძველზე ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული თანაშრომლობის პირობებში იყო შესაძლებელი.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნულ მხარეებში, რესპუბლიკებში მრეწველობის განვითარებას, ეს ნიშნავდა ეკონომიურთან ერთად პოლიტიკური ამოცანების გადაჭრასაც, რამდენადაც ეკონომიკის განვითარების კვალდაკვლა იქმნებოდა ეროვნული მუშათა კლასი—პროლეტარიატის დიქტატურის სოციალური ბაზა. ამ მიზნით საინფორმაციო უფროდღება ექცეოდა ვანაპირა მხარეებში ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას ადგილობრივი ნედლეულის გადასამუშავებლად, იქმნებოდა წარმოების ახალი დარგები, ხშირ შემთხვევაში არა მარტო მოწყობილობანი, არამედ ფაბრიკა-ქარხნებიც კი გადაჭრინდით ცენტრიდან ვანაპირა მხარეებში. ეს იყო ინტერნაციონალისმის უბადლო ნიშნუი, რომელიც განამტკიცებდა ვანაპირა მხარეებში, მუშათა და გლეხთა ნდობასა და მეგობრობას მოქმე საბჭოთა ხალხებთან.

საბჭოთა ხუთწლეულების მანძილზე საესეებით შეიკვალა საწარმოო ძალთა განლაგება ჩვენს ქვეყანაში, მრეწველობა დაუახლოვდა ნედლეულის ბაზებს. წარმოიშვა ახალი სამრეწველო რაიონები, რომლებმაც საესეებით შეკვალა წინათ რუსეთის კაპიტალიზმისაგან კოლონიური ექსპლოატაციისათვის განწირული ხალხების ეკონომიური გეოგრაფია.

საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელებაში მოქმე ერებისა და ეროვნებათა ურთიერთდახმარებასა და ამოკიდებლობათა გაზიარებას. პარტია ფართოდ აცნობდა ყველა ხალხებს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს, ნერგავდა მოწინავეთა გამოცდილებას, აწყობდა ურთიერთდახმარებებს ორგანიზაციის. პარტია განუმარტავდა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს, რომ მათი მომავალი, თავისუფ-

ლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, კლესილდობის ამაღლება, კულტურის განვითარება დამოკიდებულია სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე მიღწეული წარმატებისაგან, სახლავარების ქვეყნებისაგან ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე. განვითარებული სოციალისტური ეკონომიკის შექმნა წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და სიმტკიცის წყაროს.

საკომეურნეო მშენებლობის წლებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ფასდაუდებელ დახმარებას უწევდნენ გლეხობას ეროვნულ მხარეებში, აქ დიდი როლი ენიჭებოდა იგზავნებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სპეციალისტთა კადრები, გამოცდილი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებიც სათავეში უდგებოდნენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლას.

მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში მუშათა კლასისა და მშრომელთა გლეხობის წარმატების ერთ-ერთ თვალსაჩინო საშუალებას წარმოადგენდა სოციალისტური შევიბრება, რომელიც ფართოდ ვაიშალა მთელს ქვეყანაში, ყველა რესპუბლიკაში და რესპუბლიკებს შორის. სოციალისტური შევიბრება, რომლის საფუძველს ინტერნაციონალისმის პრინციპი, ურთიერთდახმარება და მეგობრობა შეადგენდა, მიზნად ისახავდა პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული სამეურნეო-პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას. სოციალისტური შევიბრება ვადაიქცა სოციალისმის მშენებელი ხალხის შემოქმედებით ენთუზიაზმის გამოვლინების, ურთიერთდახმარებისა და გამოცდილების გაზიარების საუკეთესო ფორმად.

ისტორიას არ ახსოვს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში ხალხთა მძერი დახმარებისა და თანაშრომლობის ისეთი ფორმები და მამტაბები, როგორც თავისუფალი ხალხებისაგან სოციალისტურმა კავშირმა წარმოშვა ჩვენში. ადრე ჩამორჩენილი ხალხებისადმი ყოველმხრივი დახმარება მოწინავე ერების დონემდე მათი ამაღლებისათვის ვადაიქცა საზოგადოებრივი განვითარების განზომიერებად, რომლითაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია უკლასო საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია ხუთწლიანი ვეგემების განხორციელების მთელი ისტორია, სადაც ნათლად ვამოსტკვივის ზრუნვა ყველა ხალხების ეკონომიური განვითარების ფაქტური თანასწორობის უზრუნველყოფისა და დაცვისათვის.

საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს სიმტკიცისა და ძლიერების წყაროა ინტერნაციონალისმის წარმატებანი კულტურულ მშენებლობაში. კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველ-





ყო წინათ ჩამორჩენილი ხალხების კულტურული დონის ამაღლება განეითარებულთა დონემდე; შეიქმნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველს ეყრდნობა და მთლიანად გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. პარტია გადაჭრით გმობს ეროვნულ თავისებურებათა შეუფასებლობის ყოველგვარ გამოვლინებას, კულტურის ეროვნული ფორმის ანგარიშგაუქმებლობასა და უგულვებელყოფის ყოველგვარ ცდას. ამასთან არც ეროვნულ თავისებურებათა გაზვიადება და დასაშვებია. პარტიის ეროვნული პოლიტიკა ითვალისწინებს ყველა ხალხების კულტურის ურთიერთგამდიდრებას, მათ იდეურ ერთიანობას, ეროვნულ კულტურათა აყვავებასა და დაახლოებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენელობის დიდებული მონაპოვარია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მეგობრობა და პატრიოტიზმი. წარმოების სოციალისტური წესი, სოციალისტური იდეოლოგია და კულტურა აერთიანებენ ყველა ხალხებს, ქმნიან საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მუშათა, გლეხთა და ინტელექტუალის ინტერესები მჭიდროდ შეერწყა სახელმწიფოს, საზოგადოების ინტერესებს, ისინი ურთიერთს განაპირობებენ და აყვებენ.

მრავალრიცხოვანი საბჭოთა სახელმწიფოს ინტერნაციონალიზმის მთავალი ისტორიულ გამოცდას წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტურ გერმანიასთან. ომმა ცხადყო ხალხთა ლენინური მეგობრობის უდიდესი სიკაცბლისუნარიანობა და ისტორიული აუცილებლობა. ქვიშაზე აგებული ოცნებამ კოშკი აღმოჩნდა გერმანელ დამპყრობთა ვარაუდი, რომ საბჭოთა მრავალრიცხოვანი სახელმწიფო პირველი დარტყმისთანავე დაიშლებოდა. „თავისუფალ“ ეროვნულ სახელმწიფოებად, რომლებიც ერთმანეთს დაეროოდნენ. ომმა, რომელმაც ნათლად დაანახა საბჭოთა ხალხს დიდი ოქტომბრის მონაპოვრის დაკარგვის საფრთხე, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ისინი კომუნისტური პარტიის გარშემო, გადააქცია ჩვენი ქვეყანა ერთიან საბჭოთაო ბანაკად. საბჭოთა მიწაწყლის, საბჭოთა სამშობლოს დასაცავად ერთნაირად აღდგენ ყველა ხალხები: რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, ესტონელები და ლატვიელები, სომხები და აზერბაიჯანელები, ყველა ვისთვისაც მჭირფასია თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მშობა და მეგობრობა. ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ „ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ,

საბჭოთა ხელისუფლების — შრომელთა ხელისუფლების“<sup>1</sup>. მრისხანე 1941 წელს, როცა ფაშისტურ დროებმა საბჭოთა დედაქალაქამდე მოაღწიეს, მოსკოვის დასაცავად მკერდით აღდგენ საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის შვილები. ლეგენდარული პანფილოველები წამდვილ ინტერნაციონალურ ბრიგადას წარმოადგენდნენ. მათი გმირობა სიმბოლოა ხალხთა საბრძოლო მეგობრობისა, მრავალრიცხოვანი საშუალობის დაკეთადავის თავგანწირვისა.

ან „რევოლუციის სახლის“ მაგალითი რად ღირს! ბრესტის ციხის ლეგენდა? ასეთი მაგალითებით სავსეა სამამულო ომის გმირული ისტორია. ეს არის მრავალრიცხოვანი საშუალობის გადარჩენისათვის მრავალი ერის შვილთა ერთობლივი სამკვდრო-სასიცოცხლო შემართების უმაგალითო ნიმუში, ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგი, დაუძლეველი ძალა, რომელიც ამოუცნობელი ვახდა რასისტი მოძალადეებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის ხალხთა გმირობასა და მამაცობას დიდ სამამულო ომში. სსრ კავშირის მედლებითა და ორდენებით დაჯილდოებულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხის შვილები, მათგან 11 ათასი საბჭოთა კავშირის გმირია.

სამამულო ომის წლებში ხალხთა მეგობრობამ გამოხატულება მრავალ უმაგალითო შრომით გმირობაში. საბჭოთა ხალხს გმირული მოთმინებით გადააქონდა ომისდროინდელი მთელი სიმშვიდე. ყველა რესპუბლიკამ საომარ ყაიდაზე გარდაქმნა სახალხო მეურნეობა, ყველაფერი დაექვემდებარა ფრონტისათვის სამსახურს.

სამამულო ომის წლებში მრავალრიცხოვანი საბჭოთა ხალხის ერთ საბრძოლო ბანაკად, დარაზმვა შედეგი იყო ინტერნაციონალიზმის დიდ პრინციპებზე საბჭოთა სახელმწიფოს დაფუძნებისა, სოციალისტური იდეოლოგიის გამარჯვებისა ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც წლების განმავლობაში სჭედდა კომუნისტური პარტია.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარების შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია სსრ კავშირში სოციალიზმის სრულ და საბოლოო გამარჯვებისა და კომუნისმის მშენებლობაზე გადასვლასთან, რომელიც ხასიათდება სოციალისტური ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოებით, საბჭოთა ხალ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 370.

ნოღარ შველიძე, დურმიზან ცინცაძე  
ინტერნაციონალიზმი მრავალრიცხოვანი  
საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველია

ხის, როგორც ისტორიული ერთობის წარმომადგენელი.

ეროვნულ ურთიერთობათა განვითარებაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ პიროვნების კულტურისა და სუბიექტივისტური ხასიათის შეცდომებისა და მათი მანევრული შედეგების დაძლევა.

საბჭოთა ერების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების მაღალმა დონემ, ეროვნული კადრების შექმნამ: სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა პარტიას შემდგომ განვითარება მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შემოქმედებითი ინიციატივა საერთო-სულთნობრივი და ეროვნული ამოცანების გადაჭრაში, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმირებისა და ახალი ადამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში.

პარტიის XXII ყრილობის დასკვნა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობანი გადაიზარდა ახალ ისტორიულ ერთობაში — საბჭოთა ხალხში — ემყარება იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მოსახლე ერები და ეროვნებანი საბჭოთა კავშირს თვლიან საერთო სამშობლოდ, მათ აქვთ საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი და

საერთო მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს პირობებში ყოველმხრივ განვითარებას განიცდის ორი პროგრესული ტენდენცია ეროვნულ საკითხში — ეროვნული კულტურისა და ეროვნულ თავისებურებათა განვითარება-გაფორმება და ერთა და ეროვნებათა შემდგომი დაახლოება.

კომუნისტური პარტია განუხრელად ატარებს ლენინურ ინტერნაციონალურ ეროვნულ პოლიტიკას, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროს. „პარტია კვლავაც განამტკიცებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, — აღნიშნავდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ანხ. ლ. ი. ბრეჟნევი საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე, — ამასთან თანმიმდევრულად განაზოცილებს სოციალისტური ერების აყვავებისა და მათი თანდათანობით დაახლოების ლენინურ კურსს. პარტია კვლავაც აღზრდის ყველა მშრომელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ყოფილობის, მათი ყოველგვარი ფორმის გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ყველა ერისა და ხალხის ღრმა პატივისცემის სულისკვეთებით“.





### ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატი

(„თავსაფრიალი დედაკაცი“)

1925 წელს, როდესაც ნიკო ლორთქიფანიძემ „თავსაფრიალი დედაკაცი“ დაწერა, იგი უკვე მხატვრული სიტყვის აღიარებულ ოსტატად ითვლებოდა. ამ დროისათვის მას გამოქვეყნებული ჰქონდა: „გული“, „მრისხანე ბატონი“, „დანგრეული ბუდეები“, „კერისათვის“, „ბებრები“, „ტრაგედია უგმიროდ“, „მარად და მარად!“, „სანახავად“, „რუმბი“ და სხვ. და მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები დიდი მხატვრული ღირებულებებისანი არიან, „თავსაფრიალი დედაკაცა“ მაინც განსაკუთრებულ ადგილი დაიკავა ნ. ლორთქიფანიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში თემის ორიგინალობითა და მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით. ჭარბიერება კრიტიკოსებმა და მწერლებმა ეს თხზულება არა მარტო ნ. ლორთქიფანიძის, არამედ, საზოგადოდ, ქართული პოეზიის შედევრად მიიჩნიეს.

1 მხედველობაში გვაქვს ბ. ჟღენტის (ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, „ნიკო ლორთქიფანიძე“, რჩ. თხზ., ტ. II, თბ., 1953, 492-495), დ. შენგელიას (ნიკო ლორთქიფანიძე, „წერილები“, თბ., 1955, 99), დ. ბენაშვილის (ნიკო ლორთქიფანიძე, „ნიკო ლორთქიფანიძე“, ტ. I, თბ., 1958, XVIII-XX), მ. ჭილაიას (ნიკო ლორთქიფანიძე, „მეოცე აუქუნის ქართული მწერლობა“, ნაწ. II, თბ., 1959, 51), ს. ჩიქოვანის (ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები, „მნათობა“, თბ., 1961, 127), ძ. გვეტაძის („ნიკო ლორთქიფანიძე ქართულ ლიტერატურაში“, თბ., 1963, 37-39), რ. ბეჟანიშვილის („ნიკო ლორთქიფანიძე“, თბ., 1966, 79-83) სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სტატიები და ნარკვევები.

„თავსაფრიალი დედაკაცი“ მწერლის შემოქმედებითი ინტერესი სცილდება ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს. ამ თხზულებაში ნ. ლორთქიფანიძე ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის თემას ეხება: ცხოვრების უსამართლობისაგან გამოწვეული ის უბედურება, რომელიც თავსაფრიალი დედაკაცს გადახდა, შესაძლებელია განმეორდეს ყველგან და ყველა დროს და ერთნაირად ამაღლეველი იყოს ყველასათვის. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. ამ თემაზე ბევრი ნაწარმოები დაწერილა და უთუოდ კვლავც ბევრი დაიწერება. ნიკო ლორთქიფანიძის დამსახურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო შემოიტანა ეს თემა ქართულ ლიტერატურაში, არამედ სხვა კუთხით შეხედა ამ პრობლემას და საგულისხმო ნიუანსიც შეიტანა მის დამუშავებაში: მწერალმა საგანგებოდ გაამაჩვილა ყურადღება ისეთი დიდბუნებოვანი ადამიანების მძმართ, რომლებიც სრულიად შეუმჩნეველი არიან ცხოვრებაში და სიკვდილის შემდეგაც არავითარ კვალს არ ტოვებენ. სახელი მათი საშუალოდ დაიფიქრებას ეძლევა.

თავსაფრიალი დედაკაცის იშვიათი პიროვნული თვისებები შეილებაც კი ვერ დაინახეს, ვერ დაინახეს მათ, ვისაც მან მთელი თავისი სიცოცხლე შემოაჯერა. უფრო მეტიც, დედის გაუჩინარებამ, მისი სიცოცხლის უჩვეულო დასასრულმაც კი არ ჩააფიქრა ისინი. ამ შემაძრწუნებელმა ფაქტმაც კი ვერ შეძლო რაღაც კვალი დაეტოვებინა მათ ცხოვრებაში. ხდება ასეც: „დიდებული ადამიანები უფროდ იკარგებიან“, — ესაა ამ ნაწარმოების დედახაზი.

შობილებისა და შეილების ურთიერთობას

პრობლემას ნ. ლორთქიფანიძის მხოლოდ ამ ნაწარმოებში ვხვდებით, მაშინ, როდესაც ცხოვრებისეული უსამართლობის საკითხებს ის სხვა თხზულებებშიაც ვხვება. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი პრობლემა უფრო ღრმად იყო შეჭრილი მწერლის შემოქმედებით ინტერესებში.

ჭერ კიდევ შემოქმედების დასაწყისში მინი-ატურაში „ცხოვრების სამართალი“ (1908 წ.), მუხისა და რცხლის შეპირისპირებით, ნ. ლორთქიფანიძეს გატარებული აქვს აზრი ცხოვრებისა თუ ბედის უუღმართობაზე, თავმდაბალ, მაგრამ ღირსეულთა ტრაგიკულ ხვედრზე ამქვეყნად.

ოსტატურად დაწერილ ამ ნაწარმოებში გარკვევით ჩანს მწერლის გულისტკივილი: უკუდგი ღარბა იმ „მედიდური“ მუხის სახელი, რომელიც „განმარტობებით იღვა საღს კლდეზე“ და რომელსაც არამც თუ არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა ცხოვრებაში, არამედ თავისი „ხარბი“ ფესვებით იმ ზომამდე ათმევედა ნოყიერებას ნიადავს, რომ ირგვლივ მცენარეებს სიცოცხლესაც კი უსპობდა. სამაგიეროდ, საუკუნო დავიწყებას მიეცა ის „თავმდაბალი“ რცხილა, რომელიც „ობლად“ იღვა ეზოს ბოლოში და რომელიც მთელ თავის ცხოვრებას სხვის სამსახურში ატარებდა; უფრო მეტიც, თვით იწვოდა და იფერფლებოდა, რათა აღამიანებისათვის სითბო-სიცოცხლის წყარო მიეცა.

მწერლის თანაგრძნობა ცხოვრების უსამართლობისაგან დაზარალებულთა მიმართ, მათ მიმართ, რომელთა თავგანწირვასა და სულიერ ტრაგედიას ევრაზიის ხედავს და რომლებიც სრულიად მარტონი არიან თავიანთ მწუხარებაში, შესანიშნავადაა გამოხატული ლორთქიფანიძის სხვა თხზულებებშიც: „ავადმყოფი დედა“ (1909 წ.), „უკუდგი ვეელი“ (1910 წ.), „მოწყენილი ანგელოზი“ (1910 წ.).

ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც თემატურად ენათესავებიან „თავსაფრიან დედაკაცს“, მაგრამ ამევე დროს განსხვავდებიან კიდევაც მისგან გარკვეული თვალსაზრისით. კერძოდ, მათ სიუჟეტებს ზღაპრული, ფანტასტიკური ამბები უდევს საფუძვლად. „თავსაფრიან დედაკაცში“ კი, ასე ვთქვათ, რეალური ცხოვრებიდან აღებული ფაქტია განსახიერებელი, რის გამო მასში დასმული საკითხი მეტ დამაყრებლობასა და სიმახილეს იძენს. სიმახილეს მატებს მას ასევე ის გარემოებაც, რომ „თავსაფრიანი დედაკაცი“ ცხადად გამოკვეთილი ნოველაა, რომლის ქართული სპეციფიკურობა — განუწყვეტელი დაძაბულობა, მძაფრი ღრამბტიზმი, ემოციური დატვირთულობა და დინამიურობა ნაწარმოების დედაზრს თავის მხრივაც ანიჭებს სიმკვეთრესა და სიცხადეს.

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს, ვაჩვენოთ, როგორ ამუშავებს ნ. ლორთქიფანიძე მისთვის

საინტერესო თემას ნოველის ქანქარა და თავისებურ ხერხებს მიმართავს ამ ქანქარა ნაწარმოების შემქმნისას.

ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცში“ მოთხრობილია უბრალო სოფლელი ქალის თავგადასავალი. ვათხოვება, ქმრის ავადმყოფობა, დაქვრივება, ზურუნაობაზე, შეუღლების უმადურობა და გულმოდგინე, შეუარაცყოფილი დედის უუცარი გადაწყვეტილება — გაშორდეს მათ, როგორც სრულიად ზედმეტი; შემდეგ: ქალაქში ჩაოსვლა, შიმშილი, დამტოვება და სიკვდილი, — ასეთია ჩონჩხი ამ პატარა ნოველისა, რომელშიაც ვადმოვიხილავთ ტრაგედიას ერთი მდიდარი და ამაღლებული სულისა, ხვედრი უნაკლო, მაგრამ შეუქმნეველი ადამიანისა, რომელიც, ნაკვალადიერი სიყვარულისა და თავყენისცემისა, დაუტოვებლად მიდის ამ ქვეყნადან.

თავისთავად ეს სევდიანი და ჩუმი, გამოუთქმელი განცდებით დატვირთული ამბავი უკვე რამდენადმე განაპირობებს ნოველის ლირიულ ტონსა და მის თავისებურ პათოსს.

ამ ტონისა და პათოსის ტყეობაში ექცევა ნაწარმოების დასაწყისიდანვე მკითხველიც, რადგანაც ნოველის ექსპოზიციისაში მწერლის ჩანაფიქრი და მისი დამოკიდებულება განსახიერებელი ობიექტისადმი ასე შეაფიქრდაა გამოხატული. სწორედ მწერლის ინტონაციისაში, სტიქონებისა და სტიქონებს შორის დაფარულ გრძობებში ახერხებს ის თავისუფლად წიკითხოს ადტიკოს უსაზღვრო თანაგრძნობა უბრალო დედაკაცის მიმართ.

ნოველის შესავალში ვითხულობთ:

„მეწერ შემთხვევით შეხვედრილის ამბავს. თუ ოდესმე დანებრეული ომინიბუსით გიმოგზაურობათ სამტრედიიდან მახლობელი სოფლებისაკენ, თქვენს უკუველია, დაინახავდით, მესრის ქვეთ, ეზოში მოფუსფუსეს, შავად ჩაქმულ ქალს, რომელსაც თან დასდევს ქალის ნატეხით ხელში პაწია ბავშვი.“

ახლა იქ რომ ჩავიარე, დედაკაცის უნახობა დამაკლდა.

გამოყოფითზე, და, აი, მივბამ ძველ მოგონებებთან ერთად რა აღმოაჩინა.

ნუ დამიწუნებთ! არ შემძლია გრძობა-გონება შეეაჩირო დიდ პიროვნებებზე... ისინი აშლიან სულისშემტეხად სურათებს... შემდეგ, ოდესმე, მათ აღმოუჩნდებათ მიცემული გინმე მარკოზი ან ოიანე.

მე ვეწერ თავსაფრიან დედაკაცზე.“

ამ პატარა შესავლიდან მკითხველმა უკვე იცის, რომ თავსაფრიანი დედაკაცი ცხოვრობდა სამტრედიისთან მახლობელ სოფელში და რომ მას ჰყავდა პატარა შეილიშვილი; ხედება, რომ ის იყო მშრომელი („მოფუსფუსე“) ქალი და რომ მას რაღაც უბედურება ჰქონდა ვადტა-





ნილი (ტყუილად ხომ არ შემოსავდა მას მწერალი შავი კაბით); იცის ისიც, რომ ის უკვე აღარ არის ამქვეყნად; გრძნობს იმასაც, რომ ქალს მნიშვნელოვანი როლი შეემთხვა ცხოვრებაში და რომ სწორედ ამან ააღებინა მწერლის კალამი ხელში.

ემპსოზიკია არა მარტო ამ მხრივ არის საგულისხმო. ნ. ლორთქიფანიძე ნაწარმოების დასაწყისიდანვე ქმნის ინტიმურ ატმოსფეროს, რომელსაც კიდევ უფრო აღრმავებს მკითხველთან მიმდრო კონტაქტის დამყარებით. მწერალი არა ერთგზის მიმართავს მას, ემუდარება კიდევაც, არ დღუწუნოს ჩანადიერი და ამით საგანგებოდ ამცირებს მასსა და მკითხველს შორის არსებულ მანძილს.

და, აი, ეს ლირიული ტონი და სიახლოვის გრძნობა ავტორსა, თავსაფრიან დედაცაცსა და მკითხველს შორის თავიდან ბოლომდის მიჰყვება ნოველას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და აძლევს მას განსაკუთრებით ემოციურ ელფერს.

ემოციათა წარმოსახვასა და გაძლიერებას ემსახურება აქ თხზულების კომპოზიცია, სიუჟეტი, ენა და, საერთოდ, ყველაფერი ის, რითაც და როგორადაც არის იგი ნაშენები.

როგორია „თავსაფრიანი დედაცაცის“ კომპოზიცია და რაში მდგომარეობს მისი თავისებურება?

პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ეს ნოველა ძალზე მცირე ზომისაა, შეიცავს ოთხ არსებულ ნახევრდ ფურცელს.

ნაწარმოების ტექსტი დაყოფილია შვიდ თავად. პირველი, მეორე და მეშვიდე თავები, თავის მხრივ, ორ-ორ მონაკვეთს მოიცავს, მესამე და მეოთხე — სამს, ხოლო მეხუთე და მეექვსე მთლიან-მთლიან მონაკვეთსაგან შედგება. ამრიგად, მთლიანად ნაწარმოები (შესავლითურთ) დაყოფილია თხუთმეტ ძალზე მცირე, სრულიად სხვადასხვა ზომის მონაკვეთად.

გარდა ამისა, არქიტექტონიკის მხრივ, თვალში საცემია აბზაცთა სიუხვე, რაც გარეგნულად პროზაულ ნაწარმოებისათვის უჩვეულოდ გაემოიყურება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მწერალი თითქოსდა საგანგებოდ ცბილავს ფრაზებს და ამით აჩუქურთმებს მის მიერ აგებულ შენობას.

ნაწარმოების „მცირე ზომაზე“ შეჩერება საცემით ბუნებრივი გზა ნოველისტი მწერლისათვის. ამ მხრივ ნ. ლორთქიფანიძის ნოველა ახალს არაფერს ამბობს, მაგრამ ის ყი საგულისხმოა, რომ მწერალი თავსაფრიან დედაცაცს თითქმის მთლიან თავის ცხოვრების მანძილზე წარმოგვიდგენს მამინ. როდესაც, ჩვეულებრივ, ნოველებში მოქმედ პირთა ცხოვრების მხოლოდ ერთი გარკვეული პერიოდი მოცემული. უკვე ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ნ. ლორთქიფანიძის ამ ნაწარმოებთან მკითხველი დროის ძალზე მცირე მონაკვეთში ნაირ-

ნაირ შთაბეჭდილებებს იღებს, რაც თავის მხრივ ემოციათა სიუხვეს აპირობებს.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შინაარსურულად დიდი პერიოდის შემცველი მასალის მოთავსება „მცირე ზომაში“ ისე, რომ ემოციურმა ტონმა არ დაიწიოს, გაცილებით უფრო რთულია, მაგრამ ნ. ლორთქიფანიძემ თავისი ნოველი აგებისას სწორედ ამ გზას მიმართა და ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია.

კომპოზიციურად, ერთი შეხედვით, თითქოსდა არც იმაშია რაიმე სიახლე, რომ „თავსაფრიანი დედაცაცი“ თავებულ და გარკვეულ მონაკვეთებადაა დაყოფილი. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თხზულება თხუთმეტ ნაწილადაა დაყოფილი. ცხადია, ეს მონაკვეთები ძალზე აბზარა ზომისაა. ზოგი მთავანი ერთ აბზაცს მოიცავს, ხოლო ნოველის უკანასკნელი მონაკვეთი მხოლოდ ერთი წინადადებისგან შედგება. თხზულების ასეთი დანაწევრებით ნ. ლორთქიფანიძემ თითოეულ მონაკვეთს დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს და ამით უფრო აძლიერებს მის ზემოქმედებას მკითხველზე.

გარდა ამისა, მონაკვეთთა ასეთი ხშირი მონაცვლეობა, გადასვლა ერთი მონაკვეთიდან მეორეზე, განუწყვეტელი შეგრძნება რაღაცის ცვლისა, ბუნებრივად იწვევს დაძაბულობას და ამდენად ნაწარმოების დინამიკობაც საგრძნობლად იზრდება.

თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი აბზაცებულ დანაწევრებასაც. ნ. ლორთქიფანიძის აბზაცური ხშირ შემთხვევაში ერთი ფრაზით არის წარმოდგენილი. აბზაცთა ასეთი სიმოკლე წინ სწევს საგანგებოდ გამოყოფილი წინადადების აზრობრივ მნიშვნელობას და აძლევს მას გარკვეულ ძალას ინტონაციურ თვალსაზრისითაც. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ნოველის უკანასკნელი მონაკვეთი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთი წინადადებით არის წარმოდგენილი. ეს არის მწერლის ბოლო ფრაზა, ასე ვთქვათ, უკანასკნელი საშენი მასალა, რომლითაც მან უნდა გადაბუროს, მოამთავროს შენობა და აი, ამ დამსრულებელ სტრიქონში ნ. ლორთქიფანიძემ შხა სახით აწვდის მკითხველს ნოველის დედაზრს: „დიდებული აღამაინებ უმეგლოდ იკარგებიან“. ეს მოკვეთილი, ღრმა აზრის შემცველი ფრაზა, განსაკუთრებით ეფექტურად ქცერს მკითხველისათვის სწორედ იმის გამო, რომ მწერალს ის საგანგებოდ აქვს გამოყოფილი ნოველის ძირითადი ტექსტიდან.

ნ. ლორთქიფანიძის ასეთი თავისებური და-

**ელისო აბრამიშვილი**  
ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატი



მოკიდებულება აბზაცებისადმი კიდევ უფრო შორს მიდის. ის შეგნებულად ჩეხავს აბზაცებს და ახლენს მათ ღუფორმირებას. მისი აბზაცები ხშირ შემთხვევაში არა მარტო მოიცავენ ერთ დასრულებულ აზრს, არამედ ისინი შედგებიან ერთმანეთისაგან თითქოსდა მოწყვეტილი ცალკეული სიტყვებისაგანაც. ასე რომ, აბზაცებით გამოყოფილ სიტყვებსა ან სიტყვაზე მკითხველის ყურადღება მაქსიმალურად მახვილდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ მონეტზე გვინდა შევიჩინოთ ყურადღება.

გარკვეული მონაკვეთების პირველი აბზაციები შედარებით უფრო დაბალ ტონებში, ასე ვთქვათ, ნეიტრალური ინტონაციით იწყება, მომდევნოებში ინტონაცია თანდათანობით ძლიერდება, ხოლო ყველაზე უფრო ძლიერი მახვილი უკანასკნელ აბზაცზე მოდის. ეს ბოლო აბზაცი თავს უყრის ამ მონაკვეთში შემავალ წინა აბზაცებს და აკამებს მათ შინაარსობრივ-აზრობრივი თვალსაზრისით, ასე, მაგალითად:

„სადღეოფლო:  
მევა და თითისტარი;  
კეცი და ჩოგანი;  
ლარი და საჩეჩელი;  
პრასი და ოხრაქუში;  
მეწველი ძროხა;  
კრავიანი ცხვარი;  
გოჭუბიანი ღორი;

თხას... თხას არ გაუშვებს; ნამყენ ხეხილით  
საყენ კარ-მიღამოს გადაღრწინას!  
ბატები სისინებენ და ამოად ეძებენ ტბას;  
ქაომები ჩიტებივით დღურენენ ტოტოდან  
ტოტზე.

ციცარი ვასართობად.

„სამეო ოჯახი“ (ხაზი აქაც და შემდეგშიაც ჩვენია). და შემდეგ იქვე:

„სამეო:  
ხარდანიანი ვენახი საკუთარ ეხო-  
ში;  
სიმინდის მაღალი კალო — სამესამედოდ  
ნაბატონართან;

გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყე-  
ში;

წელმაგარი კომლი“

ამგვარად, ნ. ლორთქიფანიძეს ისეთნაირად აქვს აგებული ეს ნოველა, რომ ყველა მისი შემადგენელი ნაწილი გარკვევით ემსახურება იხსნელების ემოციური მხარის გაძლიერებას. როგორა აქვს ნ. ლორთქიფანიძეს განლაგებული მასალა ნოველის შიგნით და როგორაა ამ ნაწარმოების სიუჟეტური განვითარება?

ექსპოზიციას უშუალოდ მოსდევს მთავარი მოქმედი პირის ქვარისწერა, რომლის შემდეგაც მწერალი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვიდგენს მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეტაპს; დასახლებას ახალ ადგილ-

ზე, დაწვრილშვილებს, ქმრის ავადმყოფობას, მის ვარდიცვლებას და ა. შ. ეგრეთვე

ნოველის მე-4 თავამდე ნაწარმოების არსი იმდაგვარად არის მიტანილი, რომ არსად არ გვხვდება გამწვავებული სცენები თუ სიტუაციები. ამის განვითარების თვალსაზრისით, არაფერია მასში ისეთი, რომ ქმნიდეს განსაკუთრებულ დაძაბულობას. მწერალი ზოგად შტრიხებში, უმეტესად სახედვებითი წინდადებით, ძალზე შეკუმშულად გადმოგვცემს თავსაფრიალი ქალის მიერ განვლილი ცხოვრების გზას.

რამდენადმე უფრო გაშლილად მოგვითხრობს ნ. ლორთქიფანიძე მეოთხე თავის მესამე და მეოთხე მონაკვეთებში, სადაც თავმოყრილია სიუჟეტური ხაზის განვითარების მხრივ ყველაზე უფრო რთული და საბასუხისმგებლო მომენტები: ე. წ. კვანძის შეცრა და მოქმედების განვითარების კულმინაცია.

ნოველის ამ ნაწილში გადმოცემულია თავსაფრიალი დედაკაცის კავასი ქალოშვილის უმადურობა და უგულობა, დედის მიმე განცდები ამ ფაქტთან დაკავშირებით, მისი მოულოდნელი, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილება, რომ განშორდეს თავის ოჯახს და, დაბოლოს, ქალის გამოთხოვება თავის „ნაჭირნახულევ“ ქოხთან და ქმრის საფლავთან.

ნოველის ეს ადგილი წარმოადგენს მისი შინაარსის ბირთვს. აქ არის მოცემული თავსაფრიალი დედაკაცის ტრაგედიის მიზეზიცა და შედეგიც. ეს არის ის მთავარი, რაც თავსაფრიალი ქალის ვინაობის „ძიების“ შედეგად „აღმოაჩინა“ მწერალმა და რის თხრობასაც პირდაპირად ნაწარმოების ექსპოზიციამ მკითხველს.

ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი იწყება ასე:

„ბავშვები დახარდა.  
ასწავლა ათასკერ მტე, ვიდრე შექმ-  
ლო.

ერთი ვაჟი მონაგარიშვა კოპაერატევი.  
მეორე სასამართლოს მოხელე.

დააკოლშვილა ორივე.  
ჩამოსიძა სოფლის მასწავლებელი.

წელში გახრილი, ყავარჩნით ხელში გადა-  
დიოდა ერთისაგან მეორესთან.

არსად იყო ზედმეტ სტუმრად:  
ბავშვების მოვლა, ტუკის წამალი“.

ამგვარად, მკითხველის წინაშე დგას ვალ-  
მოხილი მოხუცი დედა.

ზემოთმოყვანილ სტრიქონებს მოსდევს პატარა ეპიზოდი (ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო), რომელიც წინა ფრაზებში ჩაქსოვილ შინაარსთან შეპარობიერებით აშკარად გამოავლენს შვილის უმადურობას.

„მთრთოლვარე ხელებით, ამღვრეული თვა-  
ლებით მოქსოვა წინდები, მიუტანა ბავშვს.

ფეხი არ ჩაეტია.

— გაიხადე, ბები, ამას შენ ძამიას წაუ-  
ლებ, შენ კი სხვას მოგეჩსოვ.

ბავშვის ტირილი.

დედამ სთხოვა:

— მიეცი, სულ ერთია, ოღონდ გაჩუმდეს...

— რათა, შვილო, ამას კოწიას წაულებ...  
ბავშვს ნუ გაანებიერებ...

ბავშვი უფრო ტირის.

— რა, დედა, შეგენანა ერთი წინდა?! გინ-  
და მეორე შევილაყ მოიმაღლიერო!.. ნუთუ, ამის  
სალირალ პატივს არ გცემთ?

წინდები ხელთ გაავარდა.

სიტყვა არ ამოულაია.

შეისწორა თავსაფარი.

ქაღალწვილმა შეამჩნია ქვევა და კიდევ და-  
უშაბა:

— ტყუილს ვამბობ თუ?

ქალი ადგა, კალთები დაიბერტყა.

ბავშვი არ ცხრებოდა.

კაპასი შვილი:

— ნუ ტირი, ნუ ტირი, უკეთესს გაიყიდი,  
რომ ბებიამ არ დაგამადლოს!<sup>2</sup>

დედისა და შვილის ასეთი დაბირისპირება  
მწერლის მიერ სავანებოლ მომარჯვებული კონ-  
ტრასტების ხერხი — ბუნებრივად იწვევს  
ნოველაში დაძაბულობას, რომელსაც ნ. ლორ-  
თქიფანიძე კიდევ უფრო ამძაფრებს იმედდამ-  
სხვრეული დედის მწვავე, მაგრამ თავშეაყვებუ-  
ლი განცდების გადმოცემით:

„ქალი წვიდა უმიზნოდ: შემოუარა სახლს,  
რომელსაც შეალია თვალის ჩინი, სიცოცხლის  
გინი: ჩაქდა ბოსტანში.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხო-  
ლოდ სიტყვები:

„შეგენანა“. „მოიმაღლიერო“, „სალირალი  
პატივი“.

გადავიდა მეზობლებში.

— რა დაგემართა, ბეჩა, სახე სახეს არ ვი-  
გავს?

— არაფერი, ჩემო ფოტინე, დამსიება უსა-  
თლოდ.

დაბრუნდა შინ.

ქულებს ჯამით დაუდგა ცოწნარევი ჰინწარი.  
მიწვა.

გრანობს თავის სიმძიმეს, ტანის სიმჩატეს.

არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ  
სიტყვები.

„შეგენანა“,

„მოიმაღლიერო“ (თუ „მოინანიო“?..),

სალირალი პატივი...“

და მოულოდნელად მოკვეთილი, დასაბუთე-  
ბული გადაწყვეტილება:

<sup>2</sup> ტექსტიდან გარკვევით ჩანს, რომ დიალო-  
გი წარმოებს დედასა და ქალიშვილს შორის  
და არა დედამთილსა და ძაძლს შორის, რო-  
გორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს.

„ალარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არა-  
ვისთვის; ვარ სრულიად ზედმეტი... დიდ ბანი-  
ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი“. ეპიკურული  
ნოველის ეს მონაკვეთი ემოციურად უცვლელია  
უფრო დატვირთულია. ფაქტურად თხზულების  
მთელ მანძილზე ეს არის ერთადერთი ადგილი,  
როდესაც მწერალს უშუალოდ შეეყვარა  
თავსაფარიანი დედაკაცის სულიერ სამყაროში.  
სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ადგილს უკავში-  
რებს იგი ნოველის სიუჟეტურა მოქმედების  
განვითარების კულმინაციას.

ამგვარად, მე-4 თავში ნოველის მთავარი  
ტრაგედია უკვე მომხდარია. სიუჟეტური-  
მოქმედების განვითარების ხაზმა კულმინაციის  
შიაღწია. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძე აქ როდი  
სვამს წერტილს. ის კვლავ განაგრძობს თხრო-  
ბას და მომდევნო თავებში ახალ-ახალი ფაქ-  
ტების დამატებით კიდევ უფრო ამტკიცებს  
აზრს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება და-  
სციწროს ზოგჯერ ბედმა სმაგალითო პიროვ-  
ნებას.

ამ მიზნით მეხუთე თავში ნ. ლორთქიფანი-  
ძეს საიმოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს თავსა-  
ფარიანი დედაკაცის უღირსი შვილები, რომელ-  
თა ბუნებას სულ რამდენიმე დეტალით აშო-  
ვლებს. ეს დეტალებია:

1) დედის დაკარგვა კარგახანს ვერ გაიგეს  
შვილებმა; 2) როცა შეიტყვეს, კი არ შეწუხდ-  
ნენ, შერცხნათ; 3) მოსაძენად ფულის დაბა-  
რჯვა დაენახათ; 4) ვაზეთშიც არ გამოაცხადეს;  
უარესად მოგვეტობა თავი.

მწერალი ამჯერადაც კონტრასტულობის  
ხერხს მიმართავს და შვილების გაღარბებულ  
სულს, მკითხველზე ემოციური ზემოქმედების  
გამოღერების მიზნით, მაშინვე, ყოველგვარი  
დაყოვნების გარეშე, დედის მდიდარ პიროვ-  
ნებას უპირისპირებს:

„დედას გულმა უგრანო: „შვილები დამე-  
ჩაგრება, სახელი ვაუტყუებთ“ და ჩამოთხო-  
ვილი ფულით დაზღვეული, მისი ნაქარხანევი,  
სხვისი დაწერილი, ბარათი ვაგზავნა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალო-  
ცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილოშვილები  
დამოკუნეთ, ჩემზე ნუ სწუხართ, მშვილობით  
სამუდამოდ“.

„ეს იყო თავსაფარიანი ქალის ერთი რწვიათი  
სიკრუთაგანი“.

დედის წერილმა შვილები დააწყნარა, სხებ-  
სიც უჩვენებდნენ თავის ვასამართლებლად. ასე  
მთავრდება ნოველის მეხუთე თავი.

მეექვსე თავში წარმოდგენილია დიალოგი  
„მოკრძალებით მდგომ“ მათხოვარსა და „ავა-  
რას“ შორის. ძირითადი აზრი ამ დიალოგისა,  
რომელიც სულ ოთხი რეპლიკისაგან შედგება,

## ელისო აბრამიშვილი

ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატო

შემდეგია: სულგრეოდ ელოდება მათხოვრად-  
ქცეული თავსაფრიანი დედაკაცი სიკვილის,  
საჩუქრულება არ აღუქვს უფლებას მოიქლას  
თავი:

ბლო თავიდან კი ვეგებულობთ, რომ მილი-  
ციამ თავსაფრიანი დედაკაცის გვაში ვაკის ჩი-  
ხში აღმოაჩინა. შეილება დედის გარდაცვალე-  
ბის შესახებაც არაფერი ვთქვათ.

„თავსაფრიან დედაკაცში“ ყველაზე უფრო  
ჩვევარა გამოხატულება ბოვა ავტორის იმ ტენ-  
დენციამ, რომ კეთილშობილური და დახვეწი-  
ლი განცდების მატარებელი უმეტესად სრუ-  
ლიად ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები არიან.  
უფრო მეტიც, სწორედ განათლებულ და  
უფროდერ ადამიანებს ახასიათებთ ნ. ლორთქი-  
ფანიძის თხზულებებში შინაგანი ინტელიგენ-  
ტობა, სულიერი სიფაჭიზე და დახვეწილობა.  
ეს ჩანს იქიდან, რომ მწერალი ნაწარმოების  
დასასრულს ირონიულად დასძენს:

„ყველაზე უფრო განათლებული და თანაც  
ყველაზე უფრო ტუტუი შეიი ზოგჯერ  
ბრძნულად შეინიშნავს: „მოხუციებისაგან ზოჯ-  
ერთს გამოუღევა მოსაზრების უნარი და მოქ-  
მედებს შეუგნებლად, მაგალითად, გააყვება  
გზას და მიდის და მიდის... ამას ჩვენში „მზა-  
რის შეკვლას“ ეძახიან, შეცნირებმა კი  
„შინაიკატორი მღვობარობა უწოდებს“. ფაქ-  
ტიურად ამით მთავრდება ნაწარმოების შინა-  
არსი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნოველის სიუ-  
ჟეტში მწერალი მხოლოდ ერთხელ უხვევს მა-  
სალის თანმიმდევრული განლაგებლას. კერ-  
ძოდ, მეოთხე თავის მეორე მონაკვეთში ავტო-  
რი ვადმოვეცემს სხვის ნაამბობს, თუ როგორ  
გამხდარა ის დაქვრეებული ქალის გლოვის  
უფიბური მოწმე და რა საპასუხო განცდები  
გაჩინა მას ამ ფაქტთან დაკავშირებით.

„წრფელად, გულამოძვარი ისეთ ნახ სიტყ-  
ვებს ისეთის მშვენიერის ხმით ამბობდა, — მო-  
უთხრობს ის „სხვა“ თავსაფრიანი დედაკაცის  
შესახებ ნ. ლორთქიფანიძის, — რომ მესრის  
გადმომბა მე ავტორბი...“

მოქმედების განვითარების ძირითადი ხაზი-  
დან ასეთ გადახვევას ნ. ლორთქიფანიძე შეგნე-  
ბულად მიმართავს. ამით მას კვლავ შემოაქვს  
ნოველაში დასაჯერებლობისა და ობიექტურო-  
ბის გრძნობა.

ამბავთა თანმიმდევრული წარმოდგენა, მა-  
თი ერთმანეთისაგან გამომდინარეობა და მწერ-  
ლის გადახვევები მხატვრული შემოქმედები-  
სათვის ნაცადი და ჩვეულებრივი გზაა. მიუ-

3 ვაუგებარია იმის მტკიცება, რომ თითქოს  
თავსაფრიანმა დედაკაცმა „ბოლოს მტკვარში  
ჰპოვა სასუფეველი“ (მ. გვეტაძე, „ნოველა თა-  
ნამედროვე ქართულ ლიტერატურაში“, თბ.,  
1963, 37).

ხედავად ამისა, სიუჟეტური თვალსაზრისითა  
ნ. ლორთქიფანიძის ეს ნოველა ძალზე თაი-  
სებურია. საქმე ისაა, რომ ნ. ლორთქიფანიძის  
სულ სხვაგვარად ახდენს განსახიერებელი მა-  
სალის დამუშავებას. ის კი არ შლის ამბავს,  
გებოლდა თუ შემთხვევას, არამედ მაქსიმალუ-  
რად კუშმავს, ამიტომ ამ ნოველის შინაარსი  
უკიდურესობამდე დაწურულია. შეიძლება ით-  
ქვას, რომ ის წარმოადგენს თავსაფრიანი დე-  
დაკაცის ცხოვრების ჩონჩხს, მაგრამ ისეთ  
ჩონჩხს, რომელიც ცხოვლად მეტყველებს იმ  
ძირითადზე და მთავარზე, რისი გამოჩენაც უნ-  
დალა პირველ რიგში მწერალს.

ფაქტურად ეს ნოველა შედგება იმპრესიო-  
ნისტული მანერით შესრულებული ჩანახატები-  
სა, თუ ფრაგმენტებისაგან, რომლებიც საოცარი  
სისრულად ენაცლებიან ერთმანეთს.

თვალში საცემია აგრეთვე ის გარემოება,  
რომ „თავსაფრიანი დედაკაცის“ სიუჟეტი ძალ-  
ზე მარტივია. მისთვის არ არის დამახასიათებ-  
ელი სავანგებოდ გამწვავებული სცენები თუ  
სიტუაციები, ასევე მოქმედებისა თუ ინტრიგე-  
ბის ჩახლართულობა, ერთი სიტყვით, ყველა-  
ფერი ის, რასაც ხშირად მიმართავენ მწერლე-  
ბი განსაკუთრებული დამახებლობის შესაქმნე-  
ლად სწორედ ნოველაში.

„თავსაფრიან დედაკაცში“ არ ვხვდებით აგ-  
რეთვე ამბის მოულოდნელ შემოტრიალებას,  
დედის სურვილი, რომ სამუდამოდ გაუჩინარ-  
დეს თავისიანებისათვის, მკითხველისათვის არ  
არის მოულოდნელი, ამის გამო ის არ რჩება  
სახტად როგორც ეს ემართება, ვთქვათ, ოქ-  
პენრის ნოველების კითხვისას.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ „თავსაფ-  
რიან დედაკაცში“ ძუნწადაა მოცემული დია-  
ლოგები, რომლებიც, საზოგადოდ, ერთ-ერთ  
მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს დინამი-  
ურობის შესაქმნელად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ნ. ლორთქი-  
ფანიძე ახერხებს მუდმივ ტყვეობაში ჰყავდეს  
მკითხველი, რით აღწევს ამას მწერალი?

ყველაზე უფრო მეტად, რაც გვიზიდავს „თავ-  
საფრიან დედაკაცში“, ეს არის დიდი რომე-  
რების გრძნობა და მხატვრული გემოვნების  
დახვეწილობა, რომელიც მწერალს ყოველ  
კონკრეტულ შემთხვევაში კარნახობს, ზუსტად  
შეარჩოს სრულიად უბრალო სიტყვები ჩვეუ-  
ლებრივი სასაუბრო მეტყველებიდან და იმ-  
დაგვარად დაალოგოს და შეუთანხმოს ისინი  
ერთმანეთს, რომ ფრასას მისცეს დიდი გამო-  
მხატველობითი ძალა.

უბრალოება, სიხებდე და სიხუსტე — იმ  
ის, რითაც ხასიათდება პირველ რიგში ნ. ლორ-  
თქიფანიძის სიტყვა. მწერალი შეგნებულად  
გაუბრის ეფექტურ, „ბრჭყვიალა“, ან სავანე-  
ბოდ გამოჩახულ სიტყვებსა და ფიგურალურ  
გამოთქმებს, იშვიათად მიმართავს მხატვრული



შემოქმედების ე. წ. სამკაულებს: ეპითეტებს, შედარებებს, მეტაფორებსა და ჰიპერბოლებს. თითოეული მათგანი ისე მუშაობდა წარმოდგენილი ნოველაში, რომ მათი დათვლაც კი სრულად ადვილად ხერხდება. ყველაზე უფრო მეტი როლენობით „თავსაფრიან დედაკაცში“ ეპითეტებს ვხვდებით.

ნოველაში წარმოდგენილი რიგი ეპითეტების თავისი შინაარსის მიხედვით მარტივია, ისინი ერთი, კონკრეტული მნიშვნელობის მქონენი არიან და ამა თუ იმ საგნის გარკვეულ ნიშან-თვისებას გამოხატავენ. ასე, მაგალითად: „ოქროსფერი ტარობი“, „ღანღარული ომინიუსი“, „კარგი სიმინდი...“ როგორც ვხედავთ, საგნის განსაზღვრებისას მწერალი ხმარობს მხოლოდ ერთ ეპითეტს, რომელიც გარკვევით გამოირჩევა თავისი სიტყვადითა და სიზუსტით.

რამდენადმე სხვაგვარად გამოიყურებიან შემდეგი ეპითეტები: „სულის შემხუთავი სურათები“, „სახეს ოჯახი“, „წელმაგარი კომლი“, „ნაპირნახულევი ქობი“, „კაბასი შვილი“, „ყველაზე უფრო განათლებული და თანაც ყველაზე უფრო ტუტუცი შვილი...“

პირველი ოთხი ეპითეტი („სულის შემხუთავი“, „სახეს“ „წელმაგარი“, „ნაპირნახულევი“) კონტექსტის გარკვეულ ადგილებზე მახვილს დასმას ემსახურება.

რაც შეეხება ბოლო ორ ეპითეტს, მათში აშკარად იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება თავსაფრიანი დედაკაცის შვილებისადმი, განსაკუთრებით ვაიშვილისადმი. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მსაზღვრელს ნ. ლორთქიფანიძემ აღმატებით ხარისხში ხმარობს. გარდა ამისა, ერთი და იმავე პიროვნების დახასიათება, როგორც ყველაზე უფრო „განათლებულისა“ და თანაც ყველაზე უფრო „ტუტუციისა“, მოულოდნელობის გრძნობას ბადებს და ამდენად ამ ეპითეტს კიდევ უფრო მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს.

ნოველაში ერთი წყება ეპითეტებისა თავსაფრიანი დედაკაცის გარეგნობას წარმოგიდგინებს. ხოლო მეორე ჯგუფი ან მის შინაგან ბუნებას ახასიათებს, ან არა და მის მდგომარეობას გამოხატავს.

თავსაფრიანი დედაკაცის გარეგნობა ნოველაში შემდეგნაირადაა დახატული:

„ქართული ქარივი დედაკაცი თავსაფრიდან წულუპამდის... წინდაც კი შავი... თუ გამოჩნდა, მტისმეტად ლილიან წყალში გავლებული საცვალი.“

თეთრი შუბლი,  
შავი მყვალვით თვალები,  
მზებზე გაშავებული ლოყები,  
მოქნილი ცხვირი,  
სისხლისფერი ტუტები,  
თეთრი, გრძელთითებიანი ხელები...“  
როგორც ვხედავთ, თავსაფრიანი დედაკაცის

პორტრეტი სულ რამდენიმე, ძალზე მკაულად წინადადებით არის გადმოცემული. მიუხედავად ამისა, ზეენ თვალწინ დგას საეგზეთი ცხარე-წითელი არსება, ამ შემთხვევაშიც მწერალი ლაღატობს თავის წერის მანერას და მხოლოდ ერთი სადა, მაგრამ ზუსტად და ნათლად გამოხმატველი ეპითეტით მიუთითებს განსასაზღვრავი საგნის ყველაზე უფრო ძირეულ ნიშანზე; გამოხატვის წარმოდგენს მხოლოდ ხელე-ბი, რომლისთვისაც მწერალს ორი ეპითეტის გამოყენება დასჭირდა: „თეთრი“ და „გრძელთითებიანი“.

ამ გარემოებას თავისი ახსნა აქვს — ნ. ლორთქიფანიძემ შემთხვევით არც ერთ სიტყვას არ ხმარობს. ეპითეტით „თეთრი“ მწერალი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლოყები კი გაშავებული აქვს თავსაფრიან დედაკაცს მზებზე, მაგრამ ხელებს სითეთრე იმიტომ შერჩენია, რომ „ეტყობა, ბუერს ვეღარ საქმიანობს, — იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ და იგი დღდის“

ბოლიციაში,  
სასამართლოში,  
მეზობლებთან,  
მამასახლისთან...“

ასე რომ, ამ ერთი ეპითეტით „თეთრი“ მწერალი მარტო თითების ფერზე როდი მიუთითებს, არამედ პირველ რიგში იმაზე, რომ ქვრივად დარჩენილ ქალს შინაური საქმიანობისათვის აღარ ეცალა, მას ობლების დასაზრდელად მაგაკაცი მოსაგვარებელი საქმეებიც დაეკისრა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსასახიერებელი ობიექტის გარეგნობას მწერალი ფერებში გვიხატავს: „შავი სამოსი“, „შავი თვალები“, „გაშავებული ლოყები“, „თეთრი შუბლი“, „თეთრი ხელები“ და ამ „შავისა“ და „თეთრის“ ფონზე „სისხლისფერი ტუტები“.

ამავე მონაკვეთში, დასაწყისშივე, ნ. ლორთქიფანიძემ კვლავ თითო-თითო ეპითეტით მიუთითებს ქალის სადაურობასა და ოჯახურ მდგომარეობაზე: „ქართველი“, „ქვრივი“, როგოც ვხედავთ, უბრალო, შეიძლება ითქვას, ბანალური განსაზღვრება ნ. ლორთქიფანიძესთან გამოხმატველი ხერხის ხასიათს იღებს, ისე ოსტატურად როთავს მას განზრახ სადა კონტექსტში.

ამგვარად, მკითხველის წინაშე კონკრეტულად იხატება მწუხარე სახე ქართველი ქვრივი დედაკაცისა, რომელიც შავ, თეთრ და წითელ ფერებში ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ იგი მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

რიგი ეპითეტებისა, როგორც ზევითაც ადვ

მლინო აბრამიშვილი  
ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატი

ნიშნით, ნ. ლორთქიფანიძის მოხმობილი აქვს თავსაფრანგი დედაკაცის შინაგანი ბუნებისა და მისი სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამოსახატავად. ეს ეპითეტებია: „თავმდაბალი, „მოკრძალებით მდგომი“, „მოფუსფუსე“. გარდა ამისა, როგორც წაწრობებში ვკითხულობთ, მოხუცებულობის ექვს ის „მითროლვარე“ ხელებითა და „ამღვრელი“ თვალზეთ უქსოვს შვილოშვილებს წინდებს; მისი აზრი იმის შესახებ, რომ ის ზედმეტია ამქვეყნად, „მოკვთილია“ და „დასაბუთებული“, ხოლო, როგორცაა შინიდან გაქცეულმა დედამ, სასუბე-შებელი წერილი მისწერა შვილებს, ნ. ლორთქიფანიძე ამ ფაქტს ასე აფასებს: „ეს იყო თავსაფრანგი ქალის ერთი იშვიათი სიტყვითა-განაო“, მწერალი თავსაფრანგი დედაკაცის დასახსიათებლად იყენებს აგრეთვე ეპითეტს „დიდებული“ („დიდებული აღამიანები უქვე-ლოდ იკარგებიან“).

მოტანილი მაგალითებიდან ისეთი ეპითეტები, როგორცაა „თავმდაბალი“, „მოკრძალებით მდგომი“, „იშვიათი“, „დიდებული“ პირდაპირი გზით მყოფითებენ განსასუბნებელი ობიექტის თვისებასა და ნიშანზე. მწერალი მზა სახით აწვდის მკითხველს იმას, რისი თქმაც უნდა, ხოლო დანარჩენ ეპითეტებს — „მოფუსფუსე“, „მითროლვარე“, „ამღვრელი“, „მოკვთილია“ და „დასაბუთებული“ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში ენიჭებათ თავისი მნიშვნელობა და მათ იქით გაცილებით მეტი იგულისხმება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ასე მაგალითად, როდესაც ვკითხულობთ წინადადებას: „მითროლვარე ხელებით, ამღვრული თვალებით მოქსოვა წინდები“, ვგულისხმობთ, რომ ამ ეპითეტებით („მითროლვარე“, „ამღვრული“) მწერალს ხაზი უნდა გაესვა იმისათვის, რომ თავსაფრანგი დედაკაცი უკვე მოხუცდა, უქირს საქმიანობა, მაგრამ ის მაინც ვალაინებურად განაგრძობს ზრუნვას შვილებზე და მათთვის სასარგებლო საქმის კეთებას.

ამ რიგის ეპითეტები მათ უკან ნაგულისხმების წვდომას მოითხოვს და ამდენად მკითხველური უნარის აქტივიზებას, რის გამოც ისინი მეტი ემოციურობით ხასიათდებიან.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გვირგვინა შევჩერდეთ კიდევ ერთ ეპითეტზე — „თავსაფრანგი“. აღსანიშნავია რომ „თავსაფრანგის“ გარეშე სიტყვა „დედაკაცი“ ნოველაში არსად არ გვხვდება. „თავსაფრანგი“ და „დედაკაცი“ — ეს ორი სახელი ყველგან ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი. შთაბეჭდილება ისეთი იქმნება, რომ „თავსაფრანგი“ დედაკაცის განუყოფელი ატრიბუტია. ეს არის მისი განუ-საზღვრელი ნიშანი, მისი არსი. უფრო მეტიც, „თავსაფრანგი“, ასე ვთქვათ, ამ დედაკაცის სახელია. სხვა სახელი მას ნოველაში არც გააჩნია.

ცხადია, ასეთი ეპითეტიც მკითხველს გარკვეული ამოცანის წინაშე აყენებს, კერძოდ, ამოხსნას, ან, უფრო სწორად, იკრძალოს, რა შინაარსს დებს მწერალი ამ კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვა „თავსაფრანგი“ და რატომ ტოვებს თავის ლიტერატურულ გემირს სახელის გარეშე. ასეთი ეპითეტის მომარჯვებით ნ. ლორთქიფანიძე ხაზს უსვამს, ერთის მხრივ, ქალის სოციალურ მდგომარეობას, ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად მისი დიდბუნებოვანებისა, ის სრულიად უყვალოდ გაქრა ამ ქვეყნიდან, სახელი მისი არავის ახსოვს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ლორთქიფანიძე საგნისა თუ მოვლენის დასახსიათებლად, ჩვეულებრივ, ერთი ეპითეტით ემაყოფილებდა ამასთანავე მისი ეპითეტები სადა და ზუსტია, ეპითეტთა ერთი ნაწილი პირდაპირი გზით აღნიშნავს საგნის რავგარობასა თუ ნიშანს, გარკვეული ნაწილი კი მკითხველის საგანგებო აქტივობას მოითხოვს.

სხვა სახით საშუალებათაგან ნოველაში შედარებით მხოლოდ სამი მაგალითი გვხვდება (ქართვები ჩიტებივთ დაფრენენ ტრტინა ტოტზე“, შავი „მაყვალვით თვალები“ და სწრაფად განშორდა, როგორც კეთრ-იუნს“), ხოლო სუფთა მეტაფორულ გამოთქმას მთელ ნოველაში ვერსად შეხვდებით.

ძუნწადაა წარმოდგენილი „თავსაფრანგი დედაკაცი“ ასევე პიპერბოლებიც, რომელთა შორის თავიანთი ორიგინალით გამოირჩევიან:

1. „ფეხშიშველა მოიარა გელათი და მოწამეთა, თან მიტანა მთელი ოჯახის წევრების სიგრძე თაფლის სანთელი“ და

2. „და იგი დაღის—

... ..

ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,

მარკა,

სიშორე,—

გადიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასახლებული პიპერბოლები მოქმედებშია გამოხატული. განსაკუთრებით ეს ეხება მეორეს, რომელშიც პიპერბოლიზაცია ერთად თავმოყრილი ექვსი ზმნითაა განხორციელებული. ზმნათა ასეთი სიუხვე პიპერბოლას დინამიურობას ანიჭებს.

და აი, ასეთი სისადავის ფონზე მწერლის მიერ ძუნწად მომარჯვებული მხატვრული სახეითი საშუალებანი, მართლაც, როგორც ძვირფასი სამკაულები ისე გამოიყურება. სიტყვიერი მასალისადმი ასეთი თავისებური დამოკიდებულებით მწერალი აღწევს სიტყვიერი ხელოვნების ეფექტურ ხერხებს.

სახოვლოდ, ნ. ლორთქიფანიძე ისე ფაქიზად გრძობს სიტყვას და ისეთი იშვიათი ძალით



იმორჩილებს მას, რომ ის სიტყვები, რომელთაც ჩვენ ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში ვხმარობთ, ნ. ლორთქიფანიძის მიერ აგებულ ფრაზაში განსაკუთრებულ ექსპრესიულობას იძენენ.

ნ. ლორთქიფანიძის როგორც სიტყვისათვის, ასევე ფრაზისათვისაც დამახასიათებელია სიტყვები და სიტყვები. მაგრამ იმ სისადავეს, რითაც გამოირჩევა ნ. ლორთქიფანიძის სიტყვა, მისი ფრაზა მოკლებულია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ. აქ ეს უბრალოება მოჩვენებითია. ამ შემთხვევაში მწერალი ცილდება ჩვეულებრივ, სასაუბრო მეტყველებაში წინადადებათა კონსტრუქციისათვის შემუშავებულ ტრადიციულ ნორმებს და სრულიად თავისებური გზით აგებს ფრაზებს.

ნ. ლორთქიფანიძის ფრაზა მოკვეთილია და მოქნილი, თელში საცემია მისი ლაქონიურობა, დინამიურობა და ის შინაგანი რიტმულობა, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს მის ნოველას.

ლაქონიურობისა და ამავე დროს ემოციურად დატვირთული სტილის განსახორციელებლად მწერალი ხშირ შემთხვევაში საგანგებოდ მიმართავს სახელდებით წინადადებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ნოველის მეორე თავი, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასეთი წინადადებებისაგან შედგება. ამჟერად დაეკმაყოფილებით ერთი მონაკვეთით, რომელიც ამასთანავე ხატოვანი გამოთქმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს:

„კაი ნოვორს გამოდგენს; სამი წელი—

სამეგრე გამოწეული მუცელი და შეზნეპილი წელი:

სამეგრე ჭორფლი და მგავე კიტრი; ჩქარობდნენ თითქოს!“

ჩვეულებრივ, სახელდებითი წინადადებები სტატიკურობით ხასიათდება, მაგრამ „თავსაფრიან დედაკაცში“ ასეთი ლაქონიური მონაკვეთები თხრობის დინამიურობასაც იწვევენ. აქ დინამიურობას, წინადადებათა სიმოცილის გარდა, ქმნის ის თავისებური რიტმი, რომელსაც ამ გზით აგებული მონაკვეთები იძლევა. ასე რომ, შინაარსობრივად და ემოციურად აგებული ეს მონაკვეთები, მისხლტეილი და მოკლე ფრაზები თვითონ დამახასიათებელი დამხლებლობით, რომელიც ნაწარმოების შინაგან რიტმს ქმნის, უფოლ დიდ ეფექტურობას აღწევს ნოველაში.

ამ ეფექტურობას ზოგჯერ კიდევ უფრო აძლიერებს ის ვარეშობა, რომ ნ. ლორთქიფანიძე სახელდებით წინადადებას ზმნებით დატვირთული ფრაზებით ცვლის. ასე, მაგალითად, მეოთხე თავი, სადაც მწერალი იძლევა თავსაფრიანი დედაკაცის პორტრეტს, როგორც ვიცით, სახელდებითი წინადადებებით იწყება. მაგრამ

აქვე ამ მონაკვეთს ნ. ლორთქიფანიძე საგანგებოდ უპირისპირებს ისეთ სტრიქონებს, რომლებიც არა მარტო ზმნათა სიუხვით გამოირჩევა, არამედ იმითაც, რომ აქ თავმოყრილია ყველაზე უფრო გამიზნულ და ინტენსიურ აქტიუობას გამოხატავს. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე გამოიყურება:

„...და იგი დადის პოლიკაში, სასამართლოში, მეზობლებთან, თავმდაბალი, საჩივრით, მუდარით, ისე რომ ვერ აჩერებს კედელი, მარკა, სიშორე,

გადიდრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს, თავისას კი მიაღწევს, ბავშვებს სამართალს მოუნახავს, დახმარებას გამოითხოვს, მაგრამ თავის ოჯახს არ უმტყუნებს, კერძას არ გააცივებს. ბუკრი ეარშიეზობდა... შორიდან მაქანალებიც მიუჯანვანს.

„— როგორ უმტყუნო ობლებს?!“ ჩვენს მიერ მოტანილი მონაკვეთი დინამიურობის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. დინამიურობას ქმნის აქ არა მარტო ზმნები, არამედ ერთსადაიმე ბრუნვაში მიჯრით დაწყობილი სახელდებითი კომპლექტი ამ მონაკვეთის თავისებურ რიტმულობას ანიჭებენ. და აი, ყველაფერი ეს ერთად: კონტრასტი სახელდებითისა და ზმნებით დატვირთულ სტრიქონებს შორის, წინადადებათა სიმოკლე, უცერად მოზღვაებული ზმნები, რომლებიც ამ შემთხვევაში მეტაფორულ-ჰიპერბოლურ გამოთქმათა მატარებელნი არიან, რიტმთა ნიჭისახეობა და თხრობის სწრაფი ტემპი, ნ. ლორთქიფანიძის ნოველას მაქსიმუმამდე მიყვანილ დინამიურობას ანიჭებს.

„თავსაფრიან დედაკაცთან“ დაკავშირებით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისთვის დამახასიათებელი რიტმულობა<sup>4</sup>. ამ უკანასკნელს მწერალი იყენებს, როგორც ერთ-ერთ საშუალებას ნაწარმოების შინაარსის ემოციურობის გასაძლიერებლად.

გარდა ლაქონიურობისა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვკერით გვქონდა ლაპარაკი, როგორც ცნობილია, რიტმულობას ქმნის წინადა-

<sup>4</sup> რიტმის ბუნებისა და ლიტერატურული ნაწარმოების რიტმულობის შესახებ იხ. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.

ელიზო ახრამიშვილი  
ნიკო ლორთქიფანიძე — ნოველის ოსტატი

დებათა მიმსგავსებელი კონსტრუქცია, სიტყვების თავისებური განლაგება, ფრაზებში შემავალი სიტყვების გამეორება-მსგავსება, სიტყვათა მარცვლობრივი და ამავე დროს ფრაზებში შემავალი სიტყვების რაოდენობრივი შესატყვისება.

„თავსაფრიანი დედაკაცის“ ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავიდან ბოლომდის დაწერილია პროზისათვის უჩვეულო კონსტრუქციით, რაც გარეგნულად ლექსისათვის დამახასიათებელ მსგავს აბზაცებსა გამონათქვამს. ხშირ შემთხვევაში ისე, როგორც ლექსში, ამ ნოველაში აბზაცი მოიცავს დაუმთავრებელ წინადადებას, ერთ ან რამდენიმე სიტყვას.

პროზისათვის ასეთ განსხვავებულ ფორმაში განსაზღვრებული მასალა უკვე ნიშნავს იმას, რომ მწერალი სიტყვას ლექსისებურად უდევდა და მკითხველიც ამას, თხზულების შინაარსის გასწავლით, თვალისთვის კარგად შეიგრძნობს. ასე რომ, მას უნებურად, თავიდანვე ისეთი სპეციფიკური განწყობილება ექმნება, როგორც ლექსის კითხვის დროს.

ამ ეფექტს მწერალი აღწევს არა იმდენად ბევრათა კეთილხმოვანებით, რამდენადაც კონსტრუქციულად მიმსგავსებული ფრაზების გამოყენებით, ე. წ. „სინტაქსური პარალელიზმებით“. აი, ეს უკანასკნელი განაპირობებს პირველ რიგში „თავსაფრიანი დედაკაცის“ რიტმულობას, ასე მთავალით:

„და განვებ მოწვეული სოფლის მწერალი სისწორით“ აღგენდა სიას...

სევს,  
იყვავს,  
არა მარტო გოგო-ბიჭებმა,  
მონხუებულეებმა,  
დაიშალნენ სტუმრები,  
აღღვლდნენ დანაკლავ ადგილზე ძროხა და ხარი“.

ეს მონაცემი, თავისთავად აღებული, უკვე რიტმის გრძნობას იწვევს. ამჯერად რიტმი გაპირობებულია პროზისათვის არადამახასიათებელი კონსტრუქციით და სიტყვების თავისებური განლაგებითა და შეთანხმებით. მაგრამ რიტმულობის შთაბეჭდილების მთავარ ფაქტორს ნოველაში მაინც ის წარმოადგენს, რომ ჩვენ მიერ მოტანილ ამ მონაცემის უშუალოდ მოსდევს აბზაცი, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებს წინას:

„ეზოზე ჩიჩიალა ურემმა ვადაიტანა ნაჭი, საბანი, ლები... ხორავი.

გადავიდნენ 60 მანეთით დატვირთული სიძე, მყურები, რომ ახალ ადგილს

იყვავათ,  
ესვათ,

არა მარტო გოგო-ბიჭებს,

არამედ მონხუებულეებსაც.

დასახლდნენ, დაფუძნდნენ“.

ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, სინტაქსური პარალელიზმის იშვიათ ნიმუშს ვხვდებით. ფიქსირდება არა მარტო წინადადებათა მსგავსი კონსტრუქციები, არამედ მარცვლობისა და მთლიანად მეორედმსგავსებელი სიტყვები თუ გამოთქმებიც კი.

სინტაქსური პარალელიზმის კარგ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე შემდეგი მონაცემი:

„სადღოფლო:  
მაქვა და თითისტარი;  
კეცი და ჩოვანი;  
ლარი და საჩუნელი;  
პრასი და ოხრახუნი;  
მეწველი ძროხა;  
კრავიანი ცხვარი;  
გოჭებიანი ღორი...“

ამ შემთხვევაში რიტმულობას ქმნის არა მარტო ლაზონურობა და სახელდებით წინადადებათა მიქანებითი გამეორება, არამედ სხვა ფაქტორებიც, კერძოდ, წინადადებაში შემავალი სიტყვათა მსგავსი რაოდენობრივი შესატყვისები ცალკეულ სიტყვებში. ასე მაგალითად, პირველი სტრიქონის მომდევნო ოთხი წინადადება შეიცავს სამ-სამ სიტყვას, აქედან ორი, როგორც წესი, სახელდებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მესამე „და“ კავშირი.

გარდა ამისა, თითოეული წინადადების დასაწყისი სიტყვა ორმარცვლიანია, უკანასკნელი — ოთხმარცვლიანი. ბოლო ორი წინადადება კი ორ-ორ სიტყვიანია. წინადადებათა პირველი სიტყვები ქონების აღმნიშვნელი განსახლურებები, ხოლო მეორე — არსებითი სახელები.

განცალკევებით დგას ამ კონტექსტში წინადადება „მეწველი ძროხა“, რომელიც, მსგავსად ბოლო ორი ფრაზისა, ორი სიტყვისაგან შედგება: განსახლურებისა და სახელისაგან. მაგრამ აქ ეს განსახლურება ვითარებითია და ამიტომ გარეგნულადაც სხვაგვარად გამოიყურება.

გარდა ამისა, ეს წინადადება არც მარცვალთა რაოდენობით შეესატყვისება ყველა სხვა წინადადებას. სწორედ ასეთი განსხვავებულობის გამო აქცენტი უნებურად ამ წინადადებაზე ხვდება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. მწერალი შეგნებულად გამოყოფს წინადადებას „მეწველი ძროხა“, როგორც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან (ქონებრივი თვალსაზრისით) სხვებთან შედარებით.

გარდა ამისა, ეს წინადადება აქ სხვა ფუნქციასაც ასრულებს. ის, ასე უქვეათ, ანეიტრალურებს (ანელებს) განმეორებებისაგან შექმნილ ერთფეროვნებას და აღდნად ზრდის ამ მონაცემის ემოციურობას.

ემოციათა გაძლიერების მიზნით რიტმიკაცია განსაუთრებულ ეფექტს აღწევს ტექსტის იმ ადგილას, სადაც გადმოცემულია თავსაფრიანი დედაკაცის განცდები ქალიშვილთან მომხდარი უსიამოვნების შემდეგ. ამ მწერალი ძალზე მკორე მონაცემის მანძილზე თითქმის მთლიანად იმეორებს ერთსადაიმევე წინადადებას:



„არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“, „სალირალი პატივი“.

და შეიღი სტრიქონის შემდეგ კვლავ: „არავითარი აზრი, არავითარი ფიქრი, მხოლოდ სიტყვები:

„შეგენანა“, „მოიმადლიერო“ (თუ მოინანიო?), „სალირალი პატივი“.

როგორც ვეხდათ, გარკვეული ფრაზა მერდება თითქმის უცვლელად, ოღონდ მეორე შემთხვევაში ნ. ლორთქიფანიძე საგანგებოდ უცვლის მის ფორმას და მეორე სტრიქონის სიტყვებს ცალკეულ აბზაკებში წარმოადგენს, რის გამოც ნოველის ეს მონაკვეთი კიდევ უფრო შთამბეჭდავი.

ასე რომ, გარკვეული შინაგანი რიტმი ნოველის თავიდან ბოლომდე მიჰყვება. ისიც საკულისხმოა, რომ მწერალი რიტმს იყენებს პირველ რიგში არა ნაწარმოების კეთილმზრუნველის მისაღწევად, არამედ მასში ჩაღებულ შინაარსის ემოციურობის განიტენსებების მიზნით.

ყველაფერი ეს გარკვევით აპირებებს „თავსაფრიალი დედაკაცის“ ემოციურ სიმძაფრეს: ემოციურია მწერლის ინტონაცია და თხრობის მანერა; ემოციოზა გაძლიერება ემსახურება აქ ნოველის კომპოზიცია, მისი დასაწყისი და დასასრული, ტექსტის ყოველი მონაკვეთი თუ აბზაკი; ემოციურია მწერლის სადა და ზუსტი ლექსიკა, მისი მიერ შერჩეული გამომხატველი ეპითეტები და ჰიპერბოლები. დაბოლოს, წინააღმდეგადა თვისებური კონსტრუქცია და ნოველის რიტმული დინამიკა მიწოდებს იმას, რომ მწერლის მთელი შემოქმედებითი ენერჯია იქითკენა მიმართული, რომ ნაწარმოებში მაქსიმალური ემოციურობა უზრუნველყოს.

ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცის“ მაგალითზე შეიძლება მსჯელობა ნოველის, როგორც ყანრის რაობის შესახებ. რადგანაც ამ ნოველას საფუძვლად უდევს ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებულ ჩვეულებრივი ამბავი, არ უნდა იყოს მართალი შეხედულება, რომ ნოველას აუცილებლად საფუძვლად უნდა ედოს „არაჩვეულებრივი“, „გასოცარი“, „არჩახული“, „გაუგონარი“, უცნობი“, „ანედოტური“ შინაარსის მქონე მასალა.

არც ის ტრადიციულად განმტკიცებულ შეხედულება უნდა იყოს საყვებით სწორი, რომლის მიხედვითაც ნოველში მაინცდამაინც ერთი შემთხვევა, ერთი ეპიზოდი, ცხოვრების ერთი მონაკვეთი უნდა იყოს გამოხატული.

მართალია, ჩვეულებრივ ნოველს შექმნისას მწერლები ცხოვრების მხოლოდ ერთი მონაკვეთის წარმოდგენით იფარგლებიან, მაგრამ ნ. ლორთქიფანიძის დამსახურება, როგორც ნოვე-

ლისტი მწერლისა, იმაშიაც მდგომარეობს, რომ მან ამ ძალზე მცირე ზომის ნაწარმოებში ოსტენტურად მოათავსა დიდი პერიოდის შემდეგ მასალა.

თავისებურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძე ნოველის სიუჟეტური განვითარებისას. ის ყურადღებას ამახვილებს არა საინტერესო ამბების გამოძებნაზე, არამედ ნაწარმოებში, როგორც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშის, დამუშავებაზე. თავსაფრიალი დედაკაცის“ სიუჟეტი თავისი უბრალოებითა და სისადავით გამოირჩევა. აქ ვერ ვხედავთ საგანგებოდ გამოწვეულ სცენებს, გაღმართულ სიტუაციებს, საგანგებოდ მოხმობილ ლიტერატურულ ინტერესებს და არც ხაზგასმული მოულოდნელობის ნიშნითაა აღბეჭდილი ნაწარმოების ფინალი. საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძე არავითარი შინაარსობრივ ექვეპტურობას, როგორც მკითხველის ემოციოზაა სპეციფიკურ გამოიზიანებლებს, არ მიმართავს.

აქედან უკვე ჩანს, რომ ნოველისთვის არ არის გადამწყვეტი მასალის რაგებობა (მისი შინაარსის ხასიათი), მასალის თავისებურების როლის შესრულება მისი დამუშავების ხერხეზსაც შესძლებია. ეს უკანასკნელი ქმნიან ემოციურად მძაფრ შთაბეჭდილებას. რასაც ჩვეულებრივ ნოველის თავისებურებად ასახელებენ. აქედან უნდა მოდებოდეს ის შეხედულება, რომ ნოველა „ნიჟიერად“ უნდა იყოს აღწერილი; საქმე ეხება, როგორც ჩანს, იმ ძლიერ ზემოქმედებას მკითხველზე, რომელსაც ნოველა სულერთია რით აღწევს: მასალის შინაარსით, სიუჟეტის თავისებური გამლით, თუ მისი დამუშავების ხერხებით.

ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცის“ თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ ეფექტს მწერალი აქ აღწევს არა სიუჟეტის განსაკუთრებული თვისებებით, არამედ იმ ხერხებით, რომლითაც არის იგი განხორციელებული. ეს ხერხებია: კონტრასტულობა, ლაკონიურობა, მაქსიმალურად შეუქმული და სწრაფი თხრობის მანერა, ემოციურად დატვირთული ჰიპერქსტები, ინტონაციური მომენტების ხაზგასმის, რიტმულობა, როგორც შინაგანი დასაბულობის ტალღისებური, პერიოდული აღზევება და დაწევა და ამასთანავე სპეციალური სიტყვიერი ხერხები. ამ თავისებური გზებით ქმნის ნ. ლორთქიფანიძე თავის ნაწარმოებში განუწყვეტელ დაძაბულობას, მძაფრ დრამატიზმს, ემოციურ დატვირთულობასა და დინამიურობას, რომელთა გარეშე ნოველის არსებობა წარმოუდგენელია. ამ ხერხებითვე იმორჩილებს იგი მკითხველს ნაწარმოების პირველი სტრიქონიდან მის ბოლო ფრაზამდე.



სოსო სიგაა

# მითოსი და რეალობა

სალიტერატურო კრიტიკა, როგორც ლიტერატურის მკვლევარის მკვლევარის მკვლევარად დღეისათვის და რატი, თავისი განვითარების სადღეისო ეტაპზე მოკლებულია აზრის არგუმენტირების ობიექტურ შესაძლებლობას. ფუნქციონალური ცნებების სიმცირე მას აიძულებს განუწყვეტლივ დაეხმოს მოსაზრებებს დისციპლინებს (იგულისხმება ლოგიკური მეთოდის გარეშე შემოტანა), რითაც აღიკვეთება სუბიექტური თვითნებობა და ნაწილობრივ მოხერხდება სახეების ასახვა კატეგორიებში. ესეთივე ფენომენის ხარისხობრივი ანალიზი სათანადო შედეგით იმდენად რთულია, რომ მისი წარმოსახვითი ჩატარებაც კი სცილდება ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვარს. სტრუქტურისა და ფუნქციის ღირებულების დადგენის მისაახლოებლად ლიტერატურის მკვლევარმა უნდა მოახდინოს თავისი თავის რეორგანიზება, რითაც შეიცვლება თეორიულ საფუძვლებთან მიმართების კუთხე. დღევანდელი მონაცემები მარტოოდენ იმის საშუალებას იძლევიან, რომ ცნებების ენაზე გადავიტანოთ მხატვრული ქმნილების ძირითადი ბირთვი; შევქმნათ ლოგიკური წარმოსახვის პერსპექტივა, რომლის ღირსების არგუმენტირება გადის სუბიექტის შესაძლებლობაზე. ეს მითუმეტეს მაშინ არის მწვავე და საგრძნობი, როცა გვიხდება მიმდინარე შემოქმედებითი პროცესის შეფასება, ვინაიდან არ კმარა სიმართლის თქმა: საჭიროა მისი გამოხატვის ლიტერატურული ფორმის ძიება და დასაბუთება.

ამჯერად, როდესაც ვმსჯელობთ შოთა ნინია ნიძის ლექსების ვრცელ კრებულზე — „მზე შეუბის ტარზე“ (თბ: 1970) ეს ზოგადი და კარდინალური პრობლემა კიდევ ერთხელ განიცდება: ჩვენს ხელთ არის წიგნი, რომელში შესული ლექსებიც მის ავტორს უმკვიდრებენ ერთ-ერთი წამყვანი თანამედროვე ქართველი პოეტის სახელს. მაგრამ თვით ამ აპრიორულად მიღებულ

ლი, ინტუიტიურად წარმოშობილი დებულების არგუმენტირება, რასაც ეს წერილიც ემსახურება, მეცნიერული აზროვნების ამ საფეხურზე არსებითად ვერ ხერხდება. ჩვენი ცდის მიზანია შ. ნიშინაძის სტილური კომპლექსის კომპონენტობრივი დაშლა, თავისებურებათა წარმოჩენა და მათი ესთეტიკური ღირებულების სტრუქტურული ჩვენება. ფუნქციონალური მოდელების აგება, რომელიც თავის მხრივ ასევე მანიერია, ნაწარმოების ერთეულებრივი დიფერენცირების ფონზე, ვიდრე წინამდებარე სახის შრომა არ შესრულდება, წარმოშობს ქოსის შეგრძნებას, ვინაიდან მხატვრული ღირებულების შესაძლებელ გაგებაში, რომელიც პოეტური აზროვნების ღირსებათა შეფასების საცდელი ფორმულაა, უშუალოდ კონცენტრირდება ფორმა და შინაარსი, როგორც პრაქტიკულად გაუთიშველი კატეგორიები; ნაწარმოები აღიქმება განუყოფელ და მთლიან ბირთვად, რომელშიც აზროვნების საწყისი და ბოლო წერტილების განლაგება მთლიანად ქვეცნობიერია.

## 1. ლექსის ზოგადი დახასიათება

პოეტი თავის შემოქმედებაში ქმნის სინამდვილის ამსახველი და შემგრძნობი მოდელების ნაირგვარობას. ამიტომაც კონკრეტული ფაქტის დიფერენცირება და აღწერითი დახასიათება ვერ იძლევა მთლიან პანორამას. საამისოდ აუცილებელია ემოციური ქსოვილიდან უმთავრესი ნიშნების აბსტრაგირება და პარობითი სქემის დაშვება, რაც ამა თუ იმ სტილურ მომენტზე მოგვეყვას გლობალურ შეხედულებას.

## ა) მხატვრული სახე

ესთეტიკური ფენომენი მხატვრული სახეებით განახლებულს ილუზიურ სინამდვილეს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მხატვრული სახის ცნება იკერს ფორმალური პირველადობის ადგილს მის დახლართულ სისტემაში. ამიტომაც შოთა

ნიშნინანის ლექსებზე ლაპარაკი იწყება მხატვრული სახის თვისებათა გამოყოფით. ვარდა ამისა, ამ შოტიეს ისიც განაპირობებს, რომ იგი მასთან აღიჭურვა პრივილეგიური უფლებით.

წ. ნიშნინანის სუბიექტურ ხილვებსა და პოეტურ წარმოსახვებში გახსნილა განცდები ჩვენამდე შოდის პლასტიკური სახეებით, რომელთა შიგნით, მუსიკალური ფერები განაპირობებენ ესთეტიკურის საწყისებს. აქ თავისთავადი დომინირება წაერთვა მელოდიკის პრინციპს, ვინაიდან რიტმის მაქსიმალური გამოვლენა და დაწმენდა, რომელიც ჩანსასაშვიე სინთეზირებულია პოეტური შინაარსის ელემენტებთან, არ არის გატაცების საგნად ქცეული. მასთან რომანტიკული რეალობა განიცდება ზედვითი უნარით. რომლის არსში შეჭრილია ინდივიდიდან მომდინარე უცვარი შინაგანი მუსიკის ნაკადი, რომელიც პროპორციულად ავითარებს საერთო ემოციურ დამახულობას:

პალაში აპრილს თეთრ მუხლებით ჩაუნოქია,  
და რქებით მოაქვს გახაფხული, ბიჭო გოგია...

ფერწერით ასპექტის პრიმატი მხატვრული სახის სტრუქტურაში ხდება სათავე მრავალი შინასტილიური ხაზის განსხვავებული გამოვლენისა, ვინაიდან აუსტიკური შეგარძნების შესუსტება უნდა ანაზღაურდეს სხვა რომელიმე კომპონენტის ხარჯზე. წინამდებე შემთხვევაში იგი გადაიქცევა ერთ-ერთ ძირეულ ნაკად, ვინაიდან მხატვრული სახე სინამდვილეს უპირატესად შეიგარძნებს ზედვითა და სერით. ხოლო სინესთეზური წარმოდგენები (ორმაგი შეგარძნება), რა დროსაც შეგარძნების სხვადასხვა მოდლობა კომპლექსურად აღიქმება, ხატავენ რიტმული ფერების დინებას:

და სინუმეში, თითქო ექოს მამიებლები,  
მიჭივივნებენ სტრიაქონები, როგორც ზებრები.  
გადაფრენენ ოკეანეს წეროს მჭკრევივად.  
წერო თუ სიტყვა  
თავის მიზანს შეეწირება.

ვიზუალური ფერწერა ფორმდება ჰიპერბოლიზებით, რითაც ემპირიული თუ აბსტრაქტული საგნები და მოვლენები ცილდებიან როგორც თავისთავაში მოცემულ ყოფით, ისე ამაღლებულ განწყობილებას. სინამდვილეს ემატება სუბიექტის სიხარული, უნაპირო მგზნებარება, მხატვრული სახე იტვირთება ჰარბი ენერჯით, რომელიც პოტენციაში ატარებს უნარს ლექსის სტრუქტურის დეფორმირებისა, მისი კლასიკური წყობის წალკევისა:

ფიცხობდა,  
სხიოდა მზის ცხელი დაირა,  
სიტყე მუნძელედა მთლად დათვისნაირად.  
ცხენის ძუაზე გამოაბეს მთელი აზია

და ველურ სტენით მიათრიეს ქვეყნის  
კიდედვე  
მთ ნატურფალებს სიკვდილი და ყვავი ვსჩაქვი  
სამრეკლობზე ზარს ხსნიან და ჰიხვის  
ჰკიდევენ.

მაგრამ მეორე შემთხვევაში სულის ყოფინას ენაცვლება სალუქი ფერების ლივლივი. ფანტაზიის რბილი კონტურები იფარება ვადამალული სევდას ბურუსით. მხატვრულ სახეში ძლიერდება მუსიკალური საწყისი და თითქოს მყარდება შინაგანი წონასწორობა. აღდგენილი ჰარმონია ბადებს მკაცრი სნატიფის შეგარძნებას. აღზევებული დინამიკური ლტოლვის ფარგლებში შემოდის სტატეკური ფრაგმენტები, რომელთა მეფხებზე გველთა ეკიკური პასაჟის ჩანართები ღირიკულ წყობაში:

მუხლზე ეცემა ხალხი დენილი,  
და სურს იბრუნებს ციურ მანანით  
და კვერთხის წვერზე, ბრმა ფრანველიეთ,  
თვლემს ჰორიზონტი და ქანანი.

მაგრამ როცა ვაბობთ მხატვრული სახის სტატეკურობაზე, ივარაუდება მარტოოდენ საგნის იმგვარი თვისების გამოხატვა, რომელიც ემიჯნება სუბიექტის განწყობის მდგომარეობას, ვინაიდან შ. ნიშნინანის მხატვრულ სახეთა სისტემა გამორიცხავს ამ ვითარების ემოციურ ვარდასხვას. ხოლო სახეთა ღირებულების მისაღწევა ინიფერენტული და უგნებო ბროპლა, რომელიც ემყარება წმინდა ტექნიკურ ვატაცებებს, უკუდადებულია (ცხადია, ივლისსხმება ავტორის მხატვრული სტილის პირველი ფენა, სადაც ყოველივე მოპოვებულია შემოქმედებითი აქტივობით. მეორეხარისხოვანი ლექსები კინებისმიერ ხელოვანთან — მეტწილად ეშეება ტრაფარეტის დონეზე, რომელიც შეიძლება იყოს ზოგადი ან კონკრეტული).

ჰიპერბოლიზებული ფერწერის კულტი და ეიზუალური დაკვირვება მრავალწახანაოვან რეალობაზე შლის ჰორიზონტს ახალი ფრაგეოლოგიური ერთეულების შესაქმნელად, რითაც გამოვლინდება ის კერძო განცდა, რომელიც ინდივიდს დაუფელა. (არ არის შემთხვევითი, რომ აზრუნების ლოკია ზოგეირთმა ფილოსოფისმა გამოაცხადა ენის ლოკიად). სიტყვის და ენობრივად გაუფორმებელი ფაქტის მიმართება, რომელიც გაუცნობიერებლად ითვლის ურიცხვ ვარიაციას, გახდა საყრდენი წარმოსახვის ახლებზე ფრაზეებით ვადმოცემისა, როცა შემოქმედმა ქვეცნობიერად იგრამო საკუთარ ღირებულებულ პრაქტიკაში ამ შოტიეირების აუცილებლობა, იგი უნდა დასესხებოდა მხატვრული სახის აგების ისეთ ტექნიკას, რომელიც შეძლებდა ნაყისრი მისიის შესრულებას. საამი-

**სოსო სიგუა**  
მითოსი და რეალობა

სოდ ავტორმა (მირითად ნაწილში) უარყო კლასიკური პრინციპები, მაგრამ ერთი კორექტივით: ასეთ პირობებში მოხსნილია საქართვება ასევე რადიკალიზებული ფრაზებისა, სადაც მთლიანი მეტყველება ემორჩილება სიფაქიზს, სიმსუბუქეს, გრაციოზულ სინარჩარს. მან სალონურად დახვეწილ სახეებს, რომლებიც ზედმეტად და მოწყვეტილი მშობელ მიწას, არჩია ნაკლებ არისტოკრატიულ, მაგრამ მეტად ეფექტური ფრაზები (როგორც ზემოთ არის შენიშნული, ეს მომენტი ურღვევ პრინციპად არ ქცეულა). ამიტომაც შ. ნიშნინიძის პოეტური სახეები მოგვაგონებენ არა საგულდაგულად გალამაზებულ და გაკონტაქცებულ პარკს, არამედ უსივრ ტერას.

ჰიპერბოლიზებული ფერწერის ლოგიკური განვითარება მიდის მეტაფორულ საოკრებამდე, რა ეასაც გარემო აღიქმება რებუსების სისტემით; ტროპული გამოყენებით ინაღმება მხატვრული სახის სტრუქტურა. მობირისპირე, კონტრასტული ცნებები, რომელთა ემპირიული შინაარსი ერთ სიბრტყეში ვერ გაერთიანდება, მთლიანი ემოციის დაწოლით განუთიშველ ერთეულად ყალიბდება:

ზღვისპირ ხოხობივით გღია — დაისი.

არღნიდან ქირვეულ მაყარივით

გადმობარბაცდება სიმღერა.

ოკეანესთან ზებრისფერი დღე წევს სილაში.

ხეები ჰგვანან ივავ-არაკებს.

ხოცეს და ზოცეს ხოხობივით ჩენი ცისკრები.

მოტანილი სახეების სპეციფიკა რეალისტური ლიტერატურის პოეტით ვერ აიხსნება, ვინაიდან ფრაზებში საგნები ერთმანეთს უკავშირდებიან მეორეული, ლოგიკური ასოციაციების გეგმით და არა უშუალოდ—გარეგანი ფორმების შესაბამისად. ამიტომაც მკითხველისათვის იგი უცნაურია და სენსაციური, ბუნდოვანი და ალოგიკურიც კი — მაგრამ არასასიამოვნო და მძაბრ — არავითარ შემთხვევაში, რადგან მას ინტუიტურად, ვაცნობიერებს სურვილისა თუ უნარის გარეშე ეუფლება პოეტური განწყობა.

ასეთი მხატვრული სახე არ არის შემპარავი, რომელიც გვეჩვენება, რომ ჩვენშიც ბინადრობდა და გამოთქმა ვილაკამ დაგვასწრო. იგი მოულოდნელია და პირდაპირი, ამასთანავე — ნაკლებად მისაწვდომი, ვინაიდან გულისხმობს ფანტაზიის ისეთ სფეროში ატანას, რომლამდეც ასეღა საჭიროებს ყოველდღიური, სინამდვილის დატოვებას და ოცნებათა გარსში შეღწევას, სადაც გარემომცველ საგნებს ეკარგებათ ობიექტური წონადობა და თავისთავადი ღირებულება.

მხატვრულ სახეში მოქცეული ლოგიკური შინაარსის საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნ-

ქციები სიტყვათა აღქმით მთლიანად გამოქმის სიმძაფრეს ემორჩილება, სადაც ერთეულთა მიზანია უცილდურესი ემოციური განწყობა. მაგრამ არის გემოვნების გარკვეული მიზანი, რომლის ვალაბიჭება მარცხით შეივრდება. ამიტომ სიტყვასთან მიმართება საფუთხოლოა, ვინაიდან გარეგნულად სუფევს პირობითობით დაშვებული წესრიგი; სტრუქტურულად წყობა იდეალის იგივეობრივია, მაგრამ ხარისხი სასურველი არ მიიღება. შოთა ნიშნინიძეს მთავრობება სახეები, სადაც კონტრასტული სპორტული გამოდევნება ვერ ქმნის ამაღლებულ განწყობას:

...მხარზე შევისვა მზე კაბუეტრ,

ღამით კარავზე დავბერტყო ზეცა,

ცეცხლთან ქალაქის ჭორი გავბუტო

და ხის შამფურზე მწყერივით შეეწვა და სხე.

საილუსტრაციო მაგალითში საგნისა და ასახვის სიბრტყე ერთ — ემპირიულ განზომილებაში დგანან, სადაც ცნებათა აღვილის შენაცვლება ახალ პოეტურ ნაკადს არ იძლევა, ვინაიდან სამეტყველო ფონი პროზაულია; ხოლო აზროვნება ელტვის მის ვაპოეტურებას.

მხატვრული აზროვნება, რომელსაც საკუთარი ლოგიკური პრინციპები გააჩნია, ფერწერისა და მულოდის გარეშე არ წარმოიდგინება. შინაარსი მასში ამ ორი სინთეზიკური პლანის თანმიმდევრული განვითარებით ყალიბდება. შ. ნიშნინიძისთან მხატვრული სიტყვის კომპოზიციური საწყისი ძეგს ფერწერულად გაიკვლილებულ სფეროში, რაც უკვე არ იძლევა საშუალებას ინტელექტის უფლებათა გააბსოლებებისა, ვინაიდან სიტყვის სტრუქტურაში მირიადი ფერების მიგნება და განლაგება შეგრძნებიდან გამომდინარე ემოციური ტუბობის შედეგია. ხოლო შემეცნებით გამოწვეული გრძნობა საფუძველად უბუნა ინტელექტის პრიმატობით. იგი ოქქისის წყობაში სიმბოლოების, აღფერებნის, ასოციაციური პლანების, პროფესიონალურ მეტყველების შემწეობით აგებს საკუთარ სისტემას.

შოთა ნიშნინიძის მხატვრული სახეები, როგორც აღინიშნა, არ არის ტრადიციული გავებით სადა და გამჭვირვალე, მაგრამ მისი შეგრძნება და შემეცნება, სწორედ ემოციური ნაკადის უპირატესობის წყალობით, გამოხატვის შემთხვევების გარდა, არ ქმნის რთული ინტელექტური გააზრების აუცილებლობას. მას პოეზიის ძირითადი ცენტრი გადააქვს ემოციის სფეროში, რომელსაც მეტნაკლებად გამოაქვს ყოველი შემადგენელი ელემენტი, ხოლო ემოციის სფერო გეგულება მხატვრული სახეში, სადაც საფუძველდებულია ის საწყისები, რომელთა განვითარება და კომბინაციის ფორმები გვაძლევს ნაწარმოების ესთეტიკურ ქსოვილს.



## ა) ლეკის სტრუქტურა

მხატვრული სახე, როგორც განეკრძაბული ერთეული, ვერასოდეს გადაიქცევა ესთეტიკურ ფაქტად. აუცილებელია მიზნობრივი კავშირებით სახეთა მთლიანი გამის შექმნა, რომელიც თავიდან აიცილებს ემოციურ დაქუცმაცებას, ცალკეული ელემენტები ვერ გამოვლენ დასრულებული ფენომენის მეტოქედ. ამიტომ, როცა ლაპარაკი შეეხება შოთა ნიშნაინის ლექსებს, მხედველობაში უფრო მხილვება ნაწარმოების კომპონენტობრივი ორგანიზება, რომელიც ყალიბდება მხატვრულ სახეთა შეერთების სპეციფიკით. დინამიკური ენერგიით და მუხტული მეტაფორული შედარებანი იძლევიან ფერების კასკადს. ლექსი აშკარად იტვირთება თვალისმოჭრული ორნამენტებით. ტრიალური მეტყველება თავისი წიაღიდან აძევებს ისეთ ფრაზებს, რომელთაც დამოუკიდებელი სახეობრივი ღირებულება არ გააჩნიათ. მისი პოეტურია სამეულებით საეკლექსის წყობა არაბირდაპირ მოგვაგონებს სპარსული პოეზიის ამოუწურავი სახეებით დამკვიდრებულ სტრუქტურას, იგი შევეთრად მოტივირებული წარმოსახვითი ბანორამით, მოხეივმე სტრიქონებით ორნამენტული სტილის თვისებებს ამქვეყნებენ, რომლისათვის უპირატესია ნაწარმოებში მხატვრული სახის არსებობა უკიდურესი დამოუკიდებლობით. ამიტომაც ცალკეული ლექსები („ხევესური“, „მონღოლები“, „რიტმები“, „ეტიკ-ტაპართა საგლობელი“...) ემორჩილებიან სახეების დინებასა და ურთიერთგადაბმას. ლექსი და მისი სტროფული მონაკვეთები წარმოიდგინება როგორც სახეთა უსახლერო კონგლომერატი:

სამხრეთელები ქოქოსივით ხლეჩენ იმ სიტყვებს და სვამენ, როგორც მაგრილებელ საამო სიტხეს.  
 კორძიან სიტყვებს ეუნძებივით. ავუზუზუზებენ ესკიმოსები და ტუნჯუსები.  
 მე ის ბჭყარები, მიწვიერი თუ ღვთაებრივი, დამიტეხია იმერეთში ტარობივით...

ასეთ შემთხვევაში უმთავრესი ემოცია მიიღწევა თვით ცალკეული მხატვრული სახეებით, რომელთა კაუზალური მიმართება რჩება ლოგიკურის ფარგლებში. ლექსი აღიჭმება ფრაზეოლოგიურად დაშლილი ემოციის მთლიანობით. სხვა დროს კი სახეობრივი ემოციურობის ადგალს იჭერს სიტუაციური განწყობა. იგი არას ლექსის მთლიანი სტრუქტურის აუცილებლობითი შედეგი. ცალკეული სახეების ფუნქციები იზღუდება და წამოიწევა ნაწარმოების შინაგანი, ფარული სიუჟეტი. ავტორი ცდილობს განწყობის შენაჯდებას არა ცალკეულ ფრაზებში, არამედ ლექსის გაფართოებულ სტრუქტურაში.

შესაბამისად რთულდება ლირიკული კომპოზიცია და ის შინაარსი, რომელიც მის გარსში მოექცევა („ჩემი ქართლის მასწავლებელსა და მხატვრებს და პოეტებს“... „მცხეთის ქალაქი“ „ილიადას“ მთარგმნელი“, „მიჭელანჯლოს“ მოსე“...) ლექსი აღიჭმება როგორც ზღვის გასარკული ზედაპირი.

საილუსტრაციო მაგალითებში კი არ მოიხსნა მხატვრული სახე, არამედ დაემორჩილა ლექსის კომპოზიციას. ნაწარმოები ტრადიციად ქცეულ ცალაობტში იშლება. აქ ადგილი აღარ რჩებათ იღვმალ მინიშნებებს, ფარულ სიმბოლიკებს, საგანგებოდ გაწყვეტილ და გაბნეულ აზრებს, რომელთა ამოცანობა გულისხმობს ლექსის შესწავლას. რამდენადაც პოეტის ემოცია არ არის რაციონალური საწყისისა, მას სთქვამს, რომელსაც ძალუქს ხედვით პლანში მოაქციოს ქვეტექსტის დასაბამი წერტილი მხატვრული სახის მიღმა არ ეგულება. მაგრამ ასოციაციითა ველ მანიც წარმოიშობა, ვინაიდან მხატვრულ სახეში გახსნილი ხილვის სურათი თოველთვის რად მესთან დაკავშირებით გვახლოვდება. ამასთანავე მას დამატება მეორე დეტალის ანალიზიერი თვისება და ა. შ. ავტორი თითქმის გააზრების გარეშე იძლევა ასოციაციებს, მაგრამ შთაგანიითარებასა და ამ მოტივით სიღრმისეული პლანის შექმნაზე არ ოცნებობს. ამიტომაც ასოციაციები წამიერად ვნებებიან და ქრებიან, ხოლო ნაწარმოების ემოციურ-ლოგიკურ ქსოვილს სუსტ კვალს ამჩნევენ. მათი დემოკრატული მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეტექსტში მირობადებულ შინაარსს. იგი ვიზუალური შეგროვებიდან გამომდინარეობს და თვითონაც ემოციის სივანალებად აღიჭმება.

ამ წუთას როცა იმ ნაფლოქვარ დრო-ქამს ვიგონებ,  
 მონღოლის ცხენი ღვამივით ხრავს რენს სტრიქონებს.  
 ჰაუ, ამოღის, ამოღის და ვეღარც ამოღის ჩრდილი გუმბათის,  
 ეკრპის ჩრდილი, ჩრდილი მამონტის.

ასოციაცია, რაც უნდა თავისუფალი იყოს ლექსის სტრუქტურაში, მანიც კომპონენტობრივი წყობის პირმშობა. შემთხვევითობის დროსაც იგი ძირეული შინაარსის ორგანული და უეცარს განშტოება. ამიტომაც ესთეტიკური ქსოვილედან ამოკვეთა ნიშნავს ასოციაციის საზღვართა შეკვეცას ან გაქრობას. მეორე ციტატა მოტივნილია ლექსიდან „დიოსკურია“ ხილვა წყალქვეშა ზღაპრის წარსულისა და მისი ამოხილვითანამედროვეობის დასანახად დაუკავშირდა კო-

სოსო სივათა  
 მითოსი და რეალობა

ნაკრებულ საგნების („ჩრდილი გუმბათის, კერპის ჩრდილი, ჩრდილი მამონტის“) ზღვიდან ამოსვლასა და ვერც ამოსვლას. ასოციაციური სიმბოლური წამიერად გამოჩნდა დღევანდელი დონისუთია: ხოლო ასოციაციათა პოლიფონური სისტემის შექმნა არ შედის შ. ნიშნინაძის ლექსის სტილის პერიპეტეებში.

მისი ლექსების საწყისად მიჩნეული პიბერ-ბოლერი ფერწერა თავის შინა წყობაში გამოავლენს დიონისურ და აბოლონურ ძირებს, რომელთა რიტმული კრისტალიზებისა და გაფორმების დასრულება წარმოადგენს მხატვრული სტილის ორ პოლუსს, რის მიხედვითაც ესა თუ ის სტილისტური ზღვრის გამოყენების არა და შეუძლია დიფერენცირდება. დიონისური ძალა ხასიათდება. ვარგუნულად არასიმეტრიული განზომილებით, რომელიც ბორჯავს და არ ცნობს დაწვებულ ნორმებს. მისთვის ზეაწეული განცდის მიღწევა არის ესთეტიკურის იდეალი. ქარბი ემოციების მოძალადე ვერ იტანს შემოსასაღვრულ უფლებებს. აქ ყველაფერი პირველყოფილი ძლიერებით სუნთქავს, სადაც არსებობის თავი და ბოლო არის სიცოცხლე, ყოველგვარი შეცობისა თუ შელაშხების გარეშე, რომელზე დაყრდნობითაც ფსაი ეძლევა სულიერ ღირებულებებს. თუ ეს საფუძველი მოიხრება, ყოველივეს არარობა შთანთქავს. ამიტომაც სიცოცხლის დინამიკა და თავდავიწყებული ენება შეივარძნება პოეტის ლექსებში, მათი გამოხატვის იდეალად ჩათვლილია ადექვატური რეალობის ემოციური წვდომა („ხევესური“... „ვიხაროდეს“, „ამორალები“, „იბრეთი... გიორგობისთე“... „უქართული ბანაკი“, „ჩქარი მატარებელი“) შემოქმედის ინდივიდუალური შვარსებიდან მომდინარე დიონისური თავდავიწყებით დანახული სინამდვილის სურათები ამქვეყნური, ხილული სიცოცხლის შემოვლითი აპოლოგია, როგორც ყველა სულიერ თუ მატერიალურ ღირებულებზე ძვირფასისა. ეს რომანტიკული პათოსი მსჭვალავს შ. ნიშნინაძის ლექსების უმეტეს ნაწილს, მაგრამ იგი მაინც არ არის მეხოტბე ცალმხრივად მიღებული სინამდვილისა. ამიტომაც, შედარებით ნაკლებ, მაგრამ საკმაოდ სიმძაფრით მის პოეზიაში იჭრება აპოლონური სული, რომელიც დახვეწილი სილამაზის, არტიტული მშვენიერებისა და ნატიფი გემოვნების ემბლემია. მისთვის საწყისივე იგულისხმება სიცოცხლის არსებობა (ხელფანებაში იგი შეეფარება ესთეტიკური ემოციის მიღწევას, რაც ნაწარმოებს მხატვრული აზროვნებისათვის არსებობის უფლებას ანიჭებს), დიონისური საფუძველთა საფუძველად და ლაპარაკია ამ საყრდენებზე ადამიანურ ლევათათვის ზეციური ლტოლვის აღვალების გაშლის გამო. დიონისური თავისთავად გადადის აპოლონურში, ენაიდან პირველი ფიზიკური ძალის სიმბოლოა, მეორე—მშვენიერისა. მშვენიერების ენერგია მუდამ სუ-

ლიერ სფეროებში მოქმედებს, ის მიწას ატოლებულია, მაგრამ არა მოწყვეტილი; და თუ მოწყდა, მაშინ მიიღება ცივი სილამაზის მხატვრული სიცოცხლის მიღმა ნაძებრ — რამქველად გამომშრალი ინტელექტითაა შეკონიჭებული. შ. ნიშნინაძისათვის, ვიდრე ის ლაქვარდის ტალღებს შეეროდეს, უმთავრესია მიწაზე ფეხის მომაგრება. ეს არის მოტივი იმისა, რომ მასთან ალაგ-ალაგ გამოხატული პეროვნება ყოველდღიური და მარადიული ყოფის განწმენდა. ამიტომაც ფერების სისალექე არსად ვლტვის მიღმიურის შეგრძნებას („ვეფხვი“, „ჩემი ქართლის მასწავლებელი“, „წინაპართა სავალობელი“, „...გზაში დამეკარგა მეგობარი“, „უოლტ უიტმენი — „ბალახის ფოთლები“). დაწმენდილი აპოლონური სილამაზე, რომლის დიონისური ქვედაფენა საგარძობია, ჩვენს სულს ავსებს ნაღვლიანი სიხარულით.

ორივე შემთხვევაში იქმნება სექციური პარამონია და სიმეტრია, უროპოლიდაც ხელოვნების ნაწარმოები უფასურდება. მხოლოდ უნდა იყოს ვათვალისწინებელი, რა ნიშნები მოიაზრება ამ ცნებათა ქვეშ. დიონისური ლტოლვით გათანგული ლექსის სტრიქონები მოკლებულია რაინერბებს. მაგრამ ერთგვარობანი სტრუქტურის ბოლომდე ურღვევი შენარჩუნება წარმოშობს თანხმოვნებას, ხოლო აპოლონური სული ფრანგებს აძლევს დაემორჩილონ სინატიფის მყარ ხაზებს, რომელთა დინება ისევე რბილია, როგორც მწუხრის კონტრები.

თვით ლექსი კი მუდამ იტოვებს პოტენციალურ შესაძლებლობას ეპიკური განვითარებისა. იგი თითქოს შემცირებულ ჩარჩოთა ფართო პანორამისა, რომლის ფაბულური სქემა განაპრობს მეორეულ არსებობას („ხევესური“, იმერეთი... „გიორგობისე“... „ყვავილების მიწა“). ამ მიზეზს განაპრობებს მხატვრული სახის ფერწერითი პლანის აღქურვა დიქტატორის უფლებით, რომელიც მუდამ მოიცავს ეპიკის ჩანასახს. თუმცა ეს მომენტო ოდნავად არ ნიშნავს, რომ ავტორის სტიქია იყოს პოემები და არა ლირია. ვეჯულისძობით ლირიკის გავრცობა ღვრებაში ეპიკური ელემენტების დატევას, რომელიც შეიძლება ეპიკაში ვერ განვითარდეს და მხოლოდ ლექსის სტრუქტურაში არსებობა ეწეროს.

თავის მხრივ ეს არის იმის მიზეზი, რომ ლექსებში იშვიათად გამოყოფა წმინდა ლირიკული ნაკადი (ნაწილობრივ „ვეფხვი“, „ჩემი ქართლის მასწავლებელი“, „უოლტ უიტმენი — „ბალახის ფოთლები“, ბიკო კოგია... ) ამ დროს გრძობა უმოდლესად მხვილდება, ფაქიზდება, იწმინდება პროზის იმ ტრანსფორმირებული მინარევებისაგან, რომლებსაც ეპიკური სახეობა შეიცავს. ამიტომაც იგი ადამიანს გულზე უკვებ მოხვდება, თუმცა არ არის ისე ძლიერი, რომ მთელი არსება შესძრას („ჩემი გაჩენად გუყვარდი და კიდეც მულო-

ლი; ბალახის წიგნად მოატანე საქართველომდე...") ზოგჯერ ლექსში გრძნობა ვითარდება ლირიკულის საბირისპიროდ რიტორიკული პრინციპების კვალდაკვალ:

ფსკერზე მარხია საიდუმლოს ვერ გამეტებით  
ხბოს ტყავის მძიმე გრაგნილები,  
პერგამენტები,  
ანძის ნატეხი,  
ხმლის ნატეხი.

გუთნის ნატეხი

ყვირის ადქი, ო. ადქი,

გაუო, ადქი!

თუ ლირიკული გრძნობა ყოველთვის ერთფერულს გულისხმობს, მარტოობას ესწრაფვის, ინტიმობას, რიტორიკული პირიქით — მიმართულია მასებისადმი; ინტონაცია გადადის მაღალ და დაბალ რეგისტრში; პოეტური სუნთქვა არაკავს წონასწორობას; ყოველი ნერგი ხმა-მაღლა ცხატანებს, რაც ქმნის პათეტიკურ ემოციას.

აღინიშნა, რომ შ. ნიშნინაიძის ლექსი არ არის მოწოდებული სამყაროს იდუმალი ბგერების მოსამსენად. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პოეტი იშველიებს აქცენტირებულ რიტმულ ერთფერობას. სინამდვილე ნაწილდება რიტმული თაოსით აცეკვებულ ფერებში, რომელსაც აკლია ღვთაებრივი მელოდის სინანარე, მაგრამ მოეპოვება უშუალო და მძაფრი განცდა:

კიბე აკიბული, ფაშით ათიბული,  
ცაში გაკიდული, ცხრა ბჭე, ცხრაკლიტული,  
შვიგნით გალაგნები თაღებჯაღებური,  
წიგნის ტალანები ფანჯრებდაღებული.

აქ რიტმი დასრულებულ ფორმას იღებს მდიდარი და ზუსტი რითმების სწრაფი მონაცვლეობით. მაგრამ რამდენად სხვა კომპონენტები მხოლოდციას არ მონაწილეობენ; ტაქტები ვერ აღიან ეგფონიური სრულყოფის სასურველ დონემდე. ამ სტილისტური შტრიხით ლექსი იცვლის მდინარების ტემპს, რაც გავლენას ახდენს ინტონაციაზე, რომელიც არის გახშირება სტრუქტურული წყობისა და მისში განფენილი შინაარსისა.

შინაარსი თავიდანვე დგას ემოციის სამსახურში. სუბიექტის არსებობის დაძრული შთაგონების გუფორმებელი ტალა მას მოიშველიებს, როგორც სააზროვნო მასალას. ამიტომ ემოცია გამოდის არა სიტყვათა ფერებისა და პანგებისაყენ, არამედ სავნითა თუ მოვლენით მიღებული პიროვნული განწყობიდან. პოეტი ლექსის სტრუქტურას არ აგებს ლექსიკური მარაგის მიხედვით, სიტყვათა ტექნიკური შერჩევის საფუძველზე იგი შინაგანი მღელვარებისათვის დაიქმნის შესაბამის სიტყვებს, რათა ფრაზებში დაითონ ინდივიდუალური აღმოფრენა.

შოთა ნიშნინაიძის ლექსი-მოზაიკა ლექსიკუ-

რი სამოსელითაც ქმნის ნაციონალურ კოლორიტს. იგი არჩევს, რომ ფრაზები თუნდაც შენისათვის ნაკლებად ასატანი იყოს, ეროვნულ სახე დაიცვას და წარმოაჩინოს. (ბლაღვის ჟღერს: ხივით, ციხე ჩამეხილი. ჭაჭვი გაღვილი... რკინა გახეხილი... „მოიმცვრევა ნუნუნ... ვაზი ოქროფოთოლი... ძირს კი დულს და ქოთქოთებს ბაბილონის გოდოლი...“). შედარებითი მეოთხე დავარწმუნებს, რომ მისი მხატვრული სტილი ჩვენს დღევანდელ პოეზიაში განცალკევებით დგას.

შოთა ნიშნინაიძის ლექსის სტრუქტურისა და მხატვრული სახის ზოგადი დახასიათებისა და მხატვრული მისი ძირეული ნიშნები, რომელია დღევანდელისა და გამოვლენის თავისებურება მას უმკვიდრებს ორიგინალური პოეტის სახელს. სტილი თავისთავად არ იძლევა ხარისხის გარანტიას, მაგრამ მისი ჩვენების გარეშე მომეტებულად ბუნდოვანდება შემოქმედების ესთეტიკური ღირებულება, ხოლო იმანენტური ჩაღრმავების იგნორირება და ესთეტიკური ფენომენისადმი შორეული თვალთვალი გვაძლევს ზერევე შთაბეჭდილებას, რის გამოც მცდარი თუ მართალი ლიტერატურული მღებულება მიიჩნევა აპრიორულ კემშარტებად.

## 2. დატყვევებული მირაჟები

თვალისათვის ხილული რეალობა არის შოთა ნიშნინაიძის პიროვნული აღტაცების სავანი, რომლის ცენაში მოიხარება როგორც თანადროული, ისე შორეულ დღეთა ტყივილი თუ სიხარული. მისთვის არ არსებობს აწმყო, მომავალი, წარსული, როგორც დროის ურთიერთისგან იზოლირებული ფორმები, ვინაიდან მარადიული გრძნობა, (პატრიოტული თუ ინტიმური) მუდამ თანაბარი სიმწვავეთ განიცდება. ოცნებაში წარმოსახული გარდასული და არსებული სინამდვილის სურათების განიფთება სიტყვიერი მირაჟების სფეროში ხდება მითითური წარმოდგენების მოღერნიზებითა და დღევანდლობის გაითვებით. ამიტომ მისი პოეზიის შინაარსი გამოიყვანება (მეტწილ შემთხვევაში) პოეტის მიერ გაგებული მითოსის სექციითიდან. სინამდვილის მითოლოგიური ასახვა წინ უსწრებს მეცნიერული და მხატვრული აზროვნების პრიციპების ჩამოყალიბებას. მასში ერთდროულად ჩადებულია სურვილი სინამდვილის შეგრძნებისა და შემეცნებისა, როგორც სამყაროს ხილვით გაგონების შედეგი. შოთა ნიშნინიძე ეყარება ქართულ წარმართულ ბანთონს. ამიტომაც არიან მისი ლექსების პერსონაჟები ჰინკა, ლო, ოჩოკოჩი, ოჩოპინტრე, ტყისკაცი, დეკო. მათ იღუმალ სახეებს მიეყვება ზღა-

სოსო სივაზა

მითოსი და რეალობა

პრული მოტივები (თვითონ ავტორიც შენიშნავს: „მე გამოვედი ქართულ ზღაპრიდან“). მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ ზღაპრების გააოტრებულ სფეროში იჭრება მითოლოგიური წარმოდგენები, რაინდული სული და უკომპრომისო შემართება. ისტორიული თემატიკაც — წარმოსახვის გრანდიოზულობით — თითქოს ნაწილია ქართველი ხალხის მიერ შექმნილი მითოსისა შემოქმედებითი გზებით ჯერ ზღაპრებში აყვანილი და აღზევებული მითის უფლებებში, შემდეგ იგი გადმოსწვდება ქართულ სულის ისტორიული განვითარების გზას და აღსასრულ, მიმდინარე სინამდვილეს ერწყმის სამყაროს პირველყოფილი მოვლების გულუბრყვილო უსაზღვროებას. ამიტომაც შ. ნიშნაინის მხატვრულ სამყაროს შემოუნახავს შეურყვანილი უბრალოება. ცივი ინტელექტის კულტი და ურბანიზებული ქვეყანა ვერ იარაღებენ ზღაპარივით ხასხასა, მთლიანობად და ბუნებრივი ფერადებით აღსავსე სამყაროს გვერდით — ერთ სიბრტყესა და ერთი ავტორის კონცეფციაში, როგორც ეს თეატრალურ თანაბრადლირიბული; საჭიროა ან ერთის, ან მეორის დათმობა, ეინაიდან ორი ბოძონის სამსახური შინაგანი გაზზარებითა და რწმენის დაკარგვით დამთავრდება. პოეტის სული დატყვევებულია ბუნების იდილიით, იმ სასიციოცხლო ძალებით, რომელნიც არ გაპყროლიან ტექნიკისა და კულტურის მატონუნებულ გზას და მიწასთან სიახლოვეს კვლავაც გრძნობენ, ურბანიზება ეროვნულს გადაგვარებით ემუქრება, ხოლო სოფლური გაერმოსა და ბუნების სურათები თითქო ქართული ზღაპრებიდან იმვენდ, იმდენად დაცულია ნაციონალური კოლორეტი და პირველყოფილი მშვენიერება, რომლის დღევანდელი პროდილე უნდა გაედეს იმ ქვეყანას, რომელსაც უძველესმა ქართველმა შეხება და ზეპირ სიტყვით გააკოცხლა, რათა გათვალისწინდეს ეროვნული სულის განვითარების უწყვეტობა და მასში არსებობის შენარჩუნება.

## ა) უშუალო სინამდვილე

შოთა ნიშნაინის პოეზიაში ხილული ქვეყანა განიცდება როგორც უშუალო სინამდვილე, რომელშიც თავსდება სუბიექტის არსება. აქ შეიგრძნება ყოველივე საგნობრივად არსებულ, გარესამყაროსთან კონტაქტი მყარდება გაშალუების გარეშე. წარმოსახვა შემოსაზღვრულია ობიექტური ვარემოთი. მისი დაზნადება შეიძლება, მოხსნა კი — არა. პირობითად შესაძლოა თქმა, რომ ეს მიმართება დაიყვანება პოეტის ინტიმურ და პატრიოტულ გრძნობათა ნაკადამდე. (ამ რკალის მიხედვით და არა ზოგადად).

ინტიმური განცდების გამოვლენა თავის მხრივ დღურენციკრდება განსხვავებული შინაარსის ფორმებში, შესაბამისად ცვალებადია გამოხატვის ხარისხი.

„ნახევარზღაპარი“ ოცნებიდან <sup>დავლობის</sup> აღმიახლოებული ხასიათის გარდასახვის ილუზიას მასში ინტიმურის გაგებას სხვა ნიუანსებში შეიძლება: გამოხატება მამის სიყვარულს შიშის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ მთლიან სინათლედ აღიქვამს ყოველივეს, გულუბრყვილად შექტერის გარემოს და წარმოდგენა არა აქვს ბოროტსა და კეთილზე, ლექსი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მათ აერთიანებს დაუფანტველი შინაგანი სიბოძოს დინება, მაგრამ უბრაბდ მოშველებული დიალოგები, ნაკლებად ხატოვანი ფრაზები, რომელთა მიზანია აზრის გამოკვეთა („სპილოს რაც შეეხება, პატივსაც ვცემ სპილოს, რომეზითა და ვეფხვებთან ეჭმობილები, შვილო, მგლებიდან და დათვიბისაგან შორს განდგომას ცვდილობ“...) ვერ აღიან განსაკუთრებული ესთეტიკური სიახლის დონემდე.

იგივე მოტივი მღვანდლად ლექსში „პატარა გოგონა მამიკო უყვარს“, იგი ყურადღებას იქცევს მხურვალე აღმიახლოებული ბუნების ჩვეულებით. მაგრამ ხელოვნებისათვის ეს მხოლოდ საფუძველია, რომლის საფუხურებრივი გარდაქმნით, ისე რომ პირველსაწყისი ემოციები არ შემოგვეყაროს, მიიღება მხატვრული ნაწარმენი. ამჯერად პოეტმა საჭიროდ არ ცნო ფერმწამლის ტექნიკური გაშუალება და შეეცადა სადა და პირდაპირი მეტყველებით მიზნის მიღწევას, რამაც ნდობა ვერ გამართლა.

ხოლო ლექსი... „ღარ მძინებდა“ სატრფილი თემატიკაზეა დაწერილი. გამართულია თორმეტმარცველოვანი საზომით, რომლის სტრუქტურა ქორესა და მეორე პეონის კომბინაციას გვაძლავს (ლირიული ინტონაცია, განწყობა და სახეთა ამაღლებული შინაარსი („თვალებს ჩავეიდებდი წყალში ანკეცივით და შინ გბრუნდებოდი, როგორც ვალახული“, „ოთქოშის შენს სხეულში მზეა მომწყვდეული, ანდა კანში სკდება მწიფე „ბროწეული“, მას აქცევს შ. ნიშნაინის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად, რომელიც კი ინტიმურ თემაზე დაუწერია (საერთოდ, პოეტი ამ სფეროში ვერ ავლენს საკუთარი პოტენციის მაქსიმუმს, სჩანს, ეს ფაქტი განსაზღვრულია არა სუბიექტის სურვილით, არამედ მხატვრული სტილის წყობითა და ხასიათით).

პატრიოტული მოტივების გამოხატვა არის მისი პოეზიის სტიქია. ეროვნული სულის დაქერა მხატვრულ ფერებში ის ძირითადი პრობლემაა, რომლის გარშემო იშლება მისი უამრავი ლექსი. ამთავან პოპულარულია (და წიგნიც ამ ლექსით იხსნება) „ხევისურა“, იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ მონაკვეთში ხატულია ეპიკური სურათი. ემოციის განვითარებაც მას უკავშირდება. ფაბულური ფრაგმენტი წარმოიდგინება როგორც ელვარე ფერებით დაწერილი ტილო („დაჩვიხილ ცვიბრიბრზე ვფინათ ხაშხაში, ავეისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში...“). ხევისურია ღრეობის ზეიადი პანო-





რამა დიონისური თრობის კულტს მოგვაგონებს, სიტუაციაც არაქულია (ერთუროს ლანდებივიფ. ულერდნენ ტაეებს და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს), თუმცა უშუალო და უკველდღერი სინამდვილის ჩარჩოში ჩასმულ. ლექსის პირველი მონაკვეთი, მისი ფერწერული სიუჟეტი, ბრწყინვალე ისტორიითაა შესრულებული, მაგრამ მეორე ნაწილში სტილი არამდინდელი იცვლება. ავტორი გატაცებულია ფაქტის პოპოგანდით, რაც გამოვლადნდა ინტონაციის აწეული ტონით. რიტორიკულმა მანერამ შეცვალა წარმოსახვის პერსპექტივა. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს ლექსის დასასრულს, სადაც მსჯელობა გახატონდა (თუმცა ამას ლოგიკურად მოითხოვდა ლექსის კომპოზიცია).

ლექსში „შენ ხარ ვენახი“ — ვენახი მიჩნეულია სამშობლოს ხატებად. ამიტომაც ქებათაჟებდა მიმართულია სიმბოლოსადმი. მისი უსახურგო ხიბლა არის ნაწარმოების კომპოზიცია, სადაც ერთეული შენაკადები („ბედი შექმნილი ჩალისფერ ღროშით და ნინოს თმებით შეკრულ ვაზიდან...“) უახლოვდებიან სრულყოფას, მაგრამ ეპითეტების მოწოდის გამო არათანაბარი ესთეტიკური ღირებულების ელემენტებად წაწვევრდებიან.

ლექსში „ჩემო საყვარელო ადგილებო“ განცხადებულია გაუნღებელი სიყვარული მშობლიური მიდამოებისადმი. აქ ყოველი ფრაზა ნაცნობი საგნებისა და ლანდების ანეტიკვებაა. თვით ფულუბრყვილო ასოციაციები („ბავშვობის შიშო და სიხარული, მუხის ფულუროდან გამოდი...“; ზღაპრული და მითური გახსენებანი („ნიკორა ბოსტნიდან მომზადლებს, ჩემი წარლმადელი ღვთაება“) ამჟამადვე მშობლიური ადგილების ხილვას, ხოლო რიტმული სტრუქტურის თვალსაჩინო სიხლეს განაპირობებს მეტრის შივინთ ტერფების უჩვეულო განლაგება.

კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსი... „მცხეთის ქალაქს შირონი დულს“ გამოირჩევა ფრაზების სიმსუბუქით, რომელთა მუსიკალური დინება და სინათლე გვაბრუნებს იმ საწყის ემოციასთან, შემოქმედს რომ ნაწარმოების შექმნის პროცესში დაეფულა. ევრონორ სიფაქივს ემატება და შინაგანად ერთვის წამიერად განათებული გრძნეული საგნები, შორეული ბაღდათისა და კიციკის მოლანდება თუ ავტორის სევდა სტრუქტურების თავისუფალი პოეტური სუნთქვა („მკითაბევი თრიალეთზე ეთა უკაბადონო...“) ამ ლექსს აქცევს მნიშვნელოვან ნაწარმოებად.

მაგრამ პატრიოტულ დღაღდის გამოსახვას არა მხოლოდ შემოვლითი თუ პირდაპირი სახატობა სტრუქტურები, არამედ სიკოლოგი დღევანდლობითა და მისი მძაფრი შეგრძნება. ყოველივე დასეული და მარადიული მასში მლიანდება მამულიშვილური აღტაცე-

ბა ნათლად შეიგრძნობა არა განეცხებული საგნების აპოლოგიით, არამედ ერთიანი გარემოს დინების პროცესში მონაწილეობით, საყვარელი საგნებისა და ადგილების უშუალო აღქმის მეშვეობით. სიერებოთი სინამდვილე უკუვლდებულია, როგორც გარდასულ დღეთა ფენებში დაძირული, ფიზიკურად შეუხებელი. ამიტომ თვით ინდივიდის არსებობის სიხარული უნდა ეთანაბრებოდეს პატრიოტული განცდების სიმართლეს. ამ შხრივ უნდა გამოიყოს „ცა ქუდაღ, მიწა ქალამაღ“. პირველ ნაწილში პოეტური „მე“ საქართველოს ისტორიული წარსულის სიმბოლოა, ხოლო მეორეში ავტორი გამოაცალკეებს საკუთარ სახეს. ინდივიდის სულიერი ენერგია თავგამებრებით იშლება მშობლიურ სანახებში. წონაწირობა ირღვევა. პირობითი სამანები იფანტება.

ლექსში... „სიხმრად მაქვს ნახული“ გადამქრალი დღეები აღქმება დღევანდლობის რუალურ ნაწილად. ხილვა ნაღვლიანი განცდის მომგვრელია. მაგრამ „განა გავთავდით, განა წახდა ყისმათი, საქართველო სადაღდის? მარად, უკუნისამდის“. — იქვე მოცემულია ცნობილი ლექსის შესანიშნავი პერიფრაზი, რაც სიუჟეტის ემოციური კულმინაციაა:

პოი, რა მაცდურია, ზღვაო შენი სახე,  
ჩემი დისკურია კარგად შემინახე.

მშობლიური კუთხის სადიდებელი ჰიმნი „ჩქარი მატარებელი“, რომლის აჩქარებული რიტმიცა, განმორებათა და პოეტური ჩამოთვლათა სიმრავლე, რითმების სწრაფი შენაცვლება ქმნის მატარებლის ქროლის შეგრძნებას; სოფლის ნაირფერი სურათები კინოკადრებივით ცვლიან ერთმანეთს. სინამდვილე აისახება თავისი ყოფითი დეტალებით, რომანტიკული განდიდებისა და ამალღების გარეშე. ზოგან ისე შორს მიდის აღქვავტური ასახვის სურვილი, რომ პოეტი ცდილობს მკვეთარ რიტმულ ერთეულეებზე დაყრდნობით მოგვასმენინოს ეაკონების გრაგანი:

ქალა-ქალა, შარა-შარა,  
შარა-შარა, ჩალა-ჩალა.  
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა,  
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა.

და მაინც, ჩვენ მიგვაჩინა, რომ ეს ლექსი ვერ შევა ავტორის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვში, ვინაიდან არ არის დაწერილი იმ სტილით, რითაც ელოდნენ ცნობილი შოთა ნიშნინაძე: სინადას ლექსის შენაარსიდან გამომდინარე განწყობის უზრუნველი, თვითმკაფიფილი ტონი, რომელიც გამოირიცხავს დრამატულ სიმძაფრეს, ენებათა შეჯახებებს, შეუფრთხებულ სულისკვე-

სოსო სიხვა  
მითოსი და რიალოზა

თებას. ამიტომაც იგი ერთგვარი მოწყენის მომგვრელია.

მაგრამ ვრცელი ლექსი „იმერული სიმღერა“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება (I. მატარებელიდან, II. „მეველ“, III. „ეზოში“), თუმცა თითქმის ამავე თემაზეა დაწერილი, ხასიათდება მეტი შინაარსული და ფორმალური მიგნებებით. განწყობა ხალისიანია, ფრაზები — უფრო არტიტული („ფიკერზე ყრბობის ხმები ავაცახცახე...“), რომლებიც ივსება მუსიკალური პანგების ნაკადით.

შშობლიური მიწის სიყვარული ჩიქსოვა ლექსის „ყვავილების მიწა“, რომლის ეპიკური მდინარება, შესრულებული, ცოტა არ იყოს, გაჭიანურებული დიალოგებით, ფინალში უკიდურესად იმაბემა, სადაც ერთიანდება ლაიტ-მოტივი, ნაწარმოების კომპოზიციური და ემოციური კულმინაცია. ავტორი აღწევს სრულყოფილ ესთეტიკური მეტყველების ზღვარს. ისახება და ვითარდება სტრაფის მიკროკომპოზიცია, რომელიც ლექსის სტრუქტურულ წყობაში გაბნეულ ემოციურ შტრიხებს ერთ კუთხით წარმართავს:

მე კი როცა მოკვდები, არ ვინაღვლო, ვფიცავ, მოვიდოდე ოღონდაც ყვავილების მიწად და თბილისის ქუჩებში დამაბარონ მკვირცხლად, ღამაზებმა მიყიღონ ყვავილების მიწა, ყვავილების მიწა...

რამდენადაც სტრაფი გულისხმობს წინა მონაცვებებში დავტოვოვლი განცდის გავრცელებას ან დასრულებას, მთლიანი წყობიდან მისი იზოლირებული წარმოდგენით ქვეითდება საერთო ემოციურ-ლოგიკური ღირებულება.

გარემომცველ რეალობასთან შეხებით კონტაქტი, მისი მიმღობის უნარი, ინდივიდუალური გამოცდილებები და შეგრძობა, არის საკუთარი არსებობის განცდა. სამყაროსთან ემოციური კავშირი განისაზღვრება მატერიის სიციოცხლის ფორმაში მოქცევით. მისგან მომდინარე გრძობები აღგენენ ყოფიერებაში ყოფნის ფასს, რომელიც ცნობილი ფორმულა — „გაზროვნება, მამასადამე ვარსებობ“, შეიცვლება ასე: „განვიცდო, მამასადამე, ვარსებობ: აზროვნების შეძლებათა დაკარგვა კიდევ არ ნიშნავს არსებობის გაუქმებას. ზოლო შეგრძენების მოხსნა სიციოცხლის საფუძელის თო სლია. ამიტომაც წრესგადასული სიხარული თუ სიმძიმე-ლი მომეტებულად გვაზიარებენ წარმავალი ცხოვრების იდუმალ ძალებს.

ლექსი „ქართული ბაზარი“ გასხივისნებულაია სიციოცხლის ძალეში შეგრძენებით. მასში ყოველივე სუნთქავს უშუალო სინამდვილით, რაც სიკვდილის პირობით უარყოფამდეც კი მიღის („ალარც მჭერა ამქვეყნად სიკვდილი თუ არსებობს“) ნათელი ქელიისი დგას ყველაფერში:

მზეა თბილის ქალაქზე  
ვენახივით გასლული  
მზე ჩახჩახებს დასლებზე  
ჯავანივით ასხული, გენაჩივით  
მზით დახობდა ტყეები,  
ზერბივც მზით მოჩითა,  
მზე მოყოანავს ლღვიდან,  
მზე მოწვეთავს ფივიდან...

ბედნიერებით მთვრალი მიდამო აღძრავს ხილულ მითოსურ ასოციაციებს („ის თუ ოჩო-პინტრა, ეს ნამღვრილ დღევი“, „ღრუბელთ შორის დალანდა წარმართული ღვთაება...“). ლექსის სტრუქტურა იშლება ფერწერული სახეების ბოლოფონიურ სისტემაზე, რითაც გამოიხატება ქართული ბაზრის ზღაბრული სიმდიდრე და სილამაზე.

ამავე თემატიკის ნაღვლიანი გამზიანება ლექსები „ა. ს.“ და „ქ. ქ.“ ორივე ნაწარმოებში თითქმის ერთი შეგრძენის ვარიაციაა. მათი შინაარსი დაახლოებით ერთნაირია. პოეტური გაფორმებაშიც მრავალი ზიარი ნიშანი აქვთ. მაგრამ განსხვავებული ლირიკული ინტონაციებით ერთმანეთისაგან გამოიყოფიან. თვითელი მათგანი ინტერესს აღძრავს ორიგინალური სახეებითაც („სოფელი მოგბალოდა ძროხასავით და შუბლს ბოზოლასებრ ვილოვავდა“, „ფერწერათალი და მოწყენილი ყელწავდებულ გედივით“).

ლექსი „ბროწეულა“ სიზმრის სიმბოლიკით გეიქმნის ტრაგიკულ განწყობას. აქ ცალკეული კომპონენტების განვითარება დრამატული ინტონაციებით ავსებს ნაწარმოებს. ლექსის სიუჟეტი და სიზმრის ფაბულური გადმოცემა ერთ სახეში კავშირდება. ამქვეყნური ყოფნის მწვევე აღქმა შესატყვის სახეებში აირეკლა:

წუხელ სიზმარი ვნახე, მზეზე ეგდო ხვითო,  
ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ...

ზოლო ლექსი „...ბონდოია, ბიო“ კონკრეტული პიროვნებაზე სიმძიმელია, რომლის დაკარგვა მელანქოლიის ბურუსში ახვევს სოფლის ქალაქებსა და წისქვილებს. წარსულის განცდის გახსენება არის ის თავისთავად პოეტური ელფერის მქონე ფაქტი, რომელიც ნაწარმოების საფუძელადაა ქცეული. წარსული და აწმყო ერთმანეთში ვაღდიან, სადაც ანტითეზა ყალიბდება ხიდის სიმბოლიკით („გადავამებთ ბონდის ხიდს უზარბაზარ ხიდიდან“).

საგნები, რომლებიც პოეტის თვალმა აღიქვა, თანდათანობით იცვლებიან ემპირიულ რეალობაში ობიექტების ვადადგილება, ახალი წონანსწორობის მიღება შეხებამში მოღის ინდივიდუალ. ამიტომ გრძობადი სახეების სამყაროში უნდა გამოჩნდეს მარადიულად დენადი პროცესის უკუფენილი სურათი.

„იმერეთი... გიორგობისთვე“ ორი ნაწილისაგან შედგება. იგი დაკარგულ ქარისკაცზე მწუხარების გამხელაა. ქრება ამ სოფლიდან ჩვეუ-

ლებრივი ადამიანი, ვინც სიციცხლედ დახარბულნი იყო, არსებობის განცდით თრობა მოსალოდნელი საფრთხის წინაშე — ეს არის ლექსის მეორე ნახევრის თემა. მოსალოდნელი მოხდა, პოეტის მიერ დანახულ სინამდვილას ერთი შტრიხი გამოაკლდა და მოაზრების ბინადრად იქცა. ლექსის ექსპოზიციური ფონი სინამდვილედ ქცეული ზღაბრის ნაწილია. რომელსაც მოსდევს ფაბულური ნაწყვეტების სეკვინი თხრობა.

„ბიჭო გოგია“ თითქოს ამ ლექსის მესამე ნაწილი, ვინაიდან მასში მოქმედების რეალიზების შემდეგ იწყება პოეტური მეტყველება. თვით ფაქტი იგულისხმება. იგი სტრუქტურებიდან გატანილი საფუძველია. სიუჟეტი შედგევის გამოლა, რომელიც ცოდება სწორხაზობრივ განვითარებას ემოციას. მუსიკალური და ვიზუალური ხილვით შექმნილი სახეები („მოსაღწერივით იმ იდუმალ მარტოობიდან, ბიჭო გოგია, შენი სული ხომ არ მოფრინდა“, „ჰაილაში აღიოლი თურთ მუხლებით ჩაუჩოქია და რქებით მოაქვს გაზაფხული, ბიჭო, გოგია“) ამობოროცებიან ლექსის ერთგვაროვანი სტრუქტურებიდან და გვაგრძობენ ღრმა სევდას.

მაგრამ სინამდვილე ვლინდება ამოუწურავი ფორმებით, ზოგჯერ ფიზიკურად განადგურებულ სხეული ფიტულად შემორჩება მომავლის დღეებს, რომელიც გაქვავებული სახით ინახავს სიციცხლის თვისებებს. არსებობის განცდა გრძელდება. ძალთა გადაჯგუფება და საგნების სივრცეში გადაადგილება, რომლებიც ზეგადუნებს ახლენენ ინდივიდზე, წარმოშობს სულიერ მდგომარეობას. ობიექტური მოქმედებები იჭრებიან სუბიექტურ ხილვებში: ამ მხრივ სანიმუშოა ლექსი „ვეფხვი“, რომლის ცალკეული სახეები აღწევენ იდეალურ სრულყოფას („და მოთახთან შენი ტანიდან დგება აზის სიცხე ზმობებით“, „ჩემი ბწყარების ლერწმოვანებში ვეფხვივით ჩაუღდ დადის წარსული“). იგი სიმბოლიზებულია როგორც ხატება წარსულისა. სიციცხლადარგული ვეფხვი დანახულია სიკვდილის შემდეგაც პოტენციურად მორავ არსებდა, რომელიც თითქოს ელტვის ხილულ საგნებთან დაბრუნებას. სიციცხლის დაუმცხრალი წყურვილი ედება მისი ფიტულიდან ამდგარ ლანდებს, რომლებიც პოეტს წარსულისაკენ მიახედებენ.

უშუალო სინამდვილის მრავალწახანაკვანი სურათები შოთა ნიშინიანის პოეზიაში ნაირფერ ვარიაციას ლებულობენ. ინტიმური და პატროტულ მოტივების სფეროში კონცენტრირებულია ადამიანური გრძნობების უმთავრესი ნაკადი. ლექსის სტრუქტურაში იხატება ინდივიდის საარსებო ძალთა კომპლექსი. მშობლიური მიწის გაუნელებელი სიყვარული, სადღესო სევდისა თუ სიხარულის შესაძლებლობათა მაქსიმუმით განცდა ამ რკალის ლექსებს უქმნის უტყუარი ესთეტიკური ღირებულებების საფუძვ-

ლებს, ხოლო მათი მხატვრულ ფენომენად ჩამოყალიბება, სადაც ლოკუტური და ემოციური პრაქტიკულად განუთიშველია, წარმოადგენს ავტორის ხილვითი, ფერწერითი პლანით პოეტური აზროვნების თავისებურებას, რაც ერთიანი სტილის ძირითადი მონაპოვარია.

## 2) ხულის დინება

მაგრამ შოთა ნიშინიანის პოეზიაში სიციცხლა არა მხოლოდ პიროვნულ „ეგო“-ს გრძნობას არსებული სამყარო, რომელიც ადამიანის წარმოდგენებში ფიქსირდება, არამედ იწოდება ავტორის პერსონალიზებული „მე“-ს ცნება, სუბიექტი თავად იქცევა შუგარძნების საგნად. ზოგჯერ იგი ავტორის პიროვნებაა, ხანაც, ინდივიდი. მაგრამ კონკრეტულ ფაქტთან მიმართების არსი უცვლელია: მხატვრულ სახეებში ირეკლება სულის დინების პროცესი; ირეკლება მათი განსჯა სწარმოების ფორმების დამოხრება; მოქმედება მიმართულია შიგნიდან გარეთ, ვინაიდან პოეტური ალტერეების გამოწვევი საწყისები ძეგს შემოქმედის სულის იდუმალ ხვეულებში. მედიტაციური ნაკადი ლექსს ამგვანებს ლირიკულ აღსარებას, სადაც სულის სარკვევ დამხნეული ლანდების ფერწერით მკლავდება განცდილი და სათქმელი. აქ თემატიკის როლი იზღუდება: ყველაფერი მორჩილობს უშუალო ჰერტებს. გულისა და გონების თვლით დაინახება უთვალავი ფერებში მოციმციმე გარე და შინა სამყარო.

ზოგჯერ პოეტი ხედვითი აზროვნებით გამოაცალკეებს გარკვეულ პოეტურ კანონზომიერებას. ლექსი „რიტმები“ გლობალური რეალიზების ფერთა ლეგიონში შემხნული თანაზომიერი ერთეულებს და მათი მონაცვლეობის საგლობელია. მორჩობის არსი აღქმულია რიტმად. ვინაიდან განახლება და წინსვლა გულისხმობს მოქმედებას, ხოლო მოქმედება, რომელიც მიზნობრივია და აუცილებლობით მოტივირებული, მიმართება იდეალისაკენ, ამდენად აღძრავს ცხოვრებისეული რიტმი განწყობილების განახლების მოთხოვნილებას. ლექსის ფილოსოფიური საწყისი ნაწარმოების სტრუქტურაში არ წარმოადგინება მსჯელობითი მომენტების სიკარბით. აქ აბსტრაქტული აზრი ფერებში ხორციელდება. იგი ნაწარმოების გამართლებაა. მაგრამ თუ სიტყვა „რიტმი“ ამოვარდება ლექსის ქსოვილიდან, ყოველივე სააზროვნო ელემენტი გაუჩინარდება და მიიღება ჩვეულებრივი ქმნილება. ეს იმითომ, რომ თვით ლექსი არ საზრდობს ფილოსოფიური ცოდნის სპეკულაციით. იდეა გამოიყვანება მრავალფეროვანი სამყაროს ჩვენებიდან და არა გონებრივი აბსტრაქციებისაგან.

ლექსი დაწერილია სამამეი დაქტილით, რაც რიტმულ-მელოდიკურ წყობაში ახმინებს

სოსო სიმაზა  
მითოსი და რეალიზა

ძირითად კონცეფციას. ყველაფრის მოძრაობაში რიტმის მიგნებით არაპირდაპირ ამ ნაწარმოების რიტმის სიმკვეთრეც მინიშნებულია. ავტორი აქაც მიდის მეტაფორულ საოცრებამდე, რაც დაუკავშირდა უხილავის საგნობრივში გამოყრომას:

ჩემმა წინაპარმა ოდესღაც  
რიტმი აიტაცა ცულივით,  
მინდვრები რიტმებით მოთვსა  
მოიკლა ათასი წყურვილი.

რიტმის პერსპექტივა ნაწარმოების მთლიან სტრუქტურაში საბოლოოდ საესებით ეფექტური ვერ აღმოჩნდა, რადგან სიტყვის დაუფლების ხარისხმა ვერ მიაღწია შეუდარებლის ზღვარს. ეს თეატრეულისავე ლტოლვის ტენდენციით თითქოს შეაგზავნა გაიყნა.

ზოგჯერ სულიერი დღევა უზარუნდება ლექსის საიდუმლოთა ძირებს. ჩემი ქართლის მასწავლებელი“ ამ მხრივ სამავალითაა. მასში პოეტური ორთოღვისა და პატრიოტული განცდის შეგრძნება განუყოფელ ერთიანებადაა ქცეული. ვა-ფშეველას სახით მიკვლეულია უპირველესი შთამავგონებელი, მასწავლებლის მიერ დახატული მგონის პორტრეტი ხილულ რეალობად გადაქცეულდ ემსგავსება. მომავალი პოეტის სულ ძალუდად თოკავს ცალთვალდასილი გენიოსი, ლექსი თითქოს აღერსიანი საყვედურია ძვირფასი მასწავლებლისადმი.

ბოლო სტროფში მომველებული ხალხური ლექსის სტრიქონები მომეტებული ძალით წარმოაჩენენ ჩვენს წინაშე ქართლის მასწავლებელს — ოსებე ჭარულშვილს და იმ გრანდოზს, რასაც ატარებს ამ პიროვნების მიმართ პოეტი. ლექსი შეიძლება ჩაითვალოს შოთა ნიშნინაძის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად.

ცხოვრების დღიღიში ჩართული პიროვნება მტკივნეულად განიცდის ყოველ უსიამოვნო ცვალებადობას, საყუთარი არსებობისათვის განპირობებული გზა იწყება გაურკვეველი სინამდვილის ლაბირინთებიდან. დემონური და ანგელუსური საწყისები ერთმანეთს ეცილებიან (იღმონი იქდა ჩემს სასუფშალთან თუ ანგელოსი ნათელურთანინი?). გაღვიძებული შემეცნება ომის გახსენებას გაიზრებს კოლოსალურ საშინელებად („მოხეტიალე ჩემქმბი“). საზარელი ფაქტი იქცევა ლექსის გარეგან ბიძგად. მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ ქმარა, ვინაიდან ყველა-სათვის ნათელი ისტორია უნდა გადავიდეს პოეტური ფანტაზიის საუფლოში. ფაქტიდან გამდინარე ასოციაციები იღეკება სულის ფსეკრზე, რომლის ასახვა და ხილა წარმოშობს ლექსის სტრუქტურას. ომის მიერ მოტანილი უზედურებანი განიფთდება მოხეტიალე ჩემქმბის სიმბოლიკაში; რომელიც დაუნდობლად და განურჩევლად თელავს ფსაეულს თუ უფსაურს.

წმინდა მედიტაციური ნაკილი იქსოვება

„მატარებლებისა და პოეტების“ კომპოზიციური ქარგა. ლექსი ავებულია უცნაური შედარების საფუძველზე („მატარებლები და პოეტები ეს შედარება რით გეგამართლოთ?“). მაგრამ თუ არსებითი ნიშნების მიხედვით მათ შორის საერთო რამ თითქოს არ მოიძებება, სამავგიროდ, უმცირეს ნიუანსებში, ვლინდება შედარებისათვის საჭირო მონაცემები, რომელთა წინა პლანზე გადმოტანილ ზოგადი შეხედულებანი კონკრეტულდება. მატარებლები ღამეებს ტეხენ და მიზნისაკენ მიეხეტებიან. გადაწყვეთ მგზავრები, მაგრამ სანახევროდ გზაში ეფანტებათ, იგვიანებენ მატარებლები „და პოეტებიც იგვიანებენ“. ხშირად ორივენი ერთ გზას იმეორებენ, მაგრამ ახალი ვენებებში, შეხვედრებითა და განშორებებით. ზოგჯერ ჩიხში მოექცევიან, ან სემაფორის წითელი სინათლე გზას გადაუტეკტავთ: ისინი მინიც მიზნისაკენ ისწარფვიან და არავინ უწყის, ეს ლტოლვის პროცესი ვის გვაახლოვებს—ღმერთს თუ ეშმაკს.

მატარებლისა და პოეტის შედარების ფილოსოფიური აღქმა, მხატვრული გააზრება ვითარდება პოეტური ხატოვნებით, აქ თვით თემბარის სააზროვნო ასპექტში გადაწყვეტილი, ხოლო მისი სულიერი განცდის შენაკადად ქცევა, რა დროსაც ლექსის სტრუქტურაში ისახება და მოძრაობს რამდენიმე სიმბოლიკა, მდის ფიქრთა ამაღლებულ განწყობილებამდე. სარეცენზიო წიგნში გვერდიგვერდ დაბეჭდილია ოთხი ბრწყინვალე ლექსი: „მიქელანჯელოს „მოსე“, „დიოსკურია“, „უოლტ უიტმენი — ბალახის ფოთლები“, „ილიადას“ მთარგმნელი“. შეიძლება ავტორმა ასე იმიტომაც დალაგა ისინი, რომ გაეხაზა მათში მოქცეული საერთო თვისებები. თვითეული მათგანი ავებულია ისტორიულად ცნობილ ფაქტზე. ფაქტის გადატანა სულის შინაფენებში და საყუთარი არსებობის ნაწილად მიჩნევა არის ლექსის შექმნის იმპულსი. ამიტომ შეგრძნებასა და შემეცნებაში მდებარე საგნების წარმოდგენები იშლებიან განწყობის დენად პროცესში. გარედან მიღებული ბიძგის სულის არტერები გადადიან სახეობრივ სიტემში.

„მიქელანჯელოს „მოსე“ ხელოვანის განსაღიღებელი ჰიშნია. ხიღვის პანორამაში გაბრწყინებული მოსე — „ნახევრადღმერთი, თანაც ტყუილკაცი, ზებუნებრივი, თანაც ველური“ არის არა ბიბლიური პერსონაჟი, არამედ გენიალური შემოქმედის ქანდაკება, რომელიც მეტია რეალურად არსებულ ინდივიდზე (რა იქნებოდა მოსე ნეტავი, რომ არ შეექმნა მიქელანჯელოს?“). ავტორის კონცეფციით, ბიბლიური მოსე ჩვეულებრივი მოკვდავი წინაწარმეტყველია. მხოლოდ ხელოვანის საქრეთელმა მინაწკმას მარადიული არსებობა. პოეტის ხიღვაც წარმოშვა არა წიგნიდან გადმოსულმა ლანდმა, არამედ ქვაში ამეტყველებულმა მესიამ. აქ მო-





ლექსი „სიზმარი“ ავლენს სამყაროს ფერთა იდუმალებაში შეღწევის სურვილს, რათა განვიკრიტოს ამქვეყნიური ყოფის არის და გამართლება. ინდივიდუალური „მე“ აერთიანებს ადამიანური გრძნობისა და გონების კრებულ თვისებებს უსასრულო საუკუნეების მანძილზე. მატერიის მიმოქცევის მუდმივი პროცესი ბადებს საყოველთაო კითხვას; რაც უპასუხოდა რჩება:

თუ ყოველი სიკვდილი მექცა დაბადებად,  
ბოლოს მიინც სად არის ყოფის გამართლება?

ბოლო ლექსში „მხატვრის სახელსწრისი“ ნაწევრებშია დატყვევებული ფერების სიმფონია. აქ წუთის ლეტაბრიობა და იდუმალბა ფერის მისტიკურ მირაჟებში ცოცხლდება. ქაოსის მრავალკაცი ხაზები მოხეიბე პარაფინში ცახტახებენ. აჩინახილი მიღმური სინათლე ეფინება ტილოზე მარადისობად გაქვევებულ წარმავლობას. იკარგება რითმის შეგზმნება. ლექსის ურთიმობა სმენას აღუქმელი რჩება.

ამ რეალის ლექსებში შოთა ნიშნაინიძემ თითქოს დასწურა და დაწმინდა საკუთარი ლექსის სტრუქტურა: ჰიპერბოლური ფერებით გათანგულ ბუნებას შეენაცვლა სულის წვის პროცესის ჩვენება. რეალობა სააზროვნო მასალად გადაიქცა. მისით ტკბობის ეფექტი არ აღმოჩნდა საკმარისი; იოალა შემეცნება და ამ შემეცნების პროცესის შეგრძნება გამოაცხადა პოეტური მუზის საგნად.

### მ) მოზარუნაული ხანძარი

წარსული, როგორც გაშუალებული თანამედროვეობა, შემოდის პოეტის სულში; პატრიოტული აღტაცება პოულობს ნივთიერ დასაბუთებას. შორეული მირაჟების ხელახალი განცდა შემორკალულია ისტორიის მიერ დაწესებული პორაზონტებით. კონკრეტული ფაქტი იშლება, როგორც სცენური სინამდილე, რომლის გაზრანების პროცესი ქვეტექსტშია ჩატანილი. ემოცია ვლინდება ზოგადის დამტეხ სახეებში. მოქმედება საფეხურიდან საფეხურზე გადადის უმთავრესი ასპექტების სინთეზირებული წარმოდგენებით: ოფსა და სისხლში ახელილი ლანდები მორაგობენ სამშობლოს სადარაჯზე. ხანძარი მოზარუნდა და სტრიქონებს მოედო. პოეტის ლექსები ხელმოკრულ გვაზიარებენ იმ კომპარული დღეების დამტანველ სურათებს, როცა საქართველო იძირებოდა გარსმომდგარი ბნელეთის ოკეანეში.

„მონოლოგი“ ანუ შტრიხებში აღადგენს გაპარტახებული მამულის სევიანი პანორამას. ავტორი ისწრაფვის, რათა ყოველ მხატვრულ სახეში მოასწროს მაქსიმალური პოეტური აზრის ჩატევა. ლექსი არ არის მიმართვა განსაზღვრული ჯგუფისადმი. იგი თხოულობს ფართო მასების ხელდასა და სმენას, რათა შეაგრძნობინოს

ნოს მომხდარი ამბის საშინელება, რაც რადლებს წარმართავს პატრიოტული იდელებისაყენ. შესაბამისად — ნაწარმოების კონსტრუქცია იმაბედა და ისეთ მალა ტონალურ ხასიათს, რომ თვალთ კითხვა თითქოს ვერც ხერხდება: იგი დეკლამატორმა უნდა გაახშიანოს, მაგრამ შეგნებულად ამ მიზნისათვის ლექსი არ დაწერია, ვინაიდან პროფესიონალური ფრაზები („სამრეკოებზე ზარის ზნაინა და ქიხების კიდებენ“, „ტირის ანხელ ვენახივით „ქართლის ცხოვრება...“) ვერ აღწევენ სრულყოფილად მეთხველის გულამდე. ლექსის დინება მძიმეა. სათანადო გამოკვეთის გარეშე ბრწყინვალე სახეების ფიერგერკი ხელოვნურ განათებას ემგვანება.

ამ ლექსს თან დაჰყვა ერთი უცნაური ნაკლავება, რაც მცირეოდენი დოზით სცა ლექსებშიც შეინიშნება. სახეთა მეტისმეტმა გამოდევნებამ მოლიანი ესთეტური აღქმის უნარი დააქვევდა, ვინაიდან თვითუფილ მათგანის გარშემო იქმნება ემოციური ეფლი, რომლის შეგრძნებას ვერც ვასწორებთ, ისე ემატება მეორე და ა. შ. ფრაზებზე გადაქარბებული ზრუნვით იფანტება საერთო პოეტური ზონა, რომელიც სახეთა შეერტობამ უნდა წარმოშვას. აქ საჭიროა გარკვეული პრაგმატიკისა და სიმეტრიის დაცვა, რათა კომპონენტებმა ფუნქციები ისე გაიწყოლონ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ; ძვირფასი ნივთებით ოთახის გადატვირთვა ვერ კიდევ არ ნიშნავს მთლიან სიძვირფასეს; მხატვრული სახის პოვნა არ უნდა გაიოლდეს, ვინაიდან „ოდეს ტურფა გაიადდეს“...

ლექსი „მამულეკები“ გვახსენებს იმ დროს, როცა საქართველოს შვილები იყოფებოდნენ აღუპოა თუ სტამბოლის ბაზრებზე, რათა ზოგერთ მათგანს — შემდეგ მამულეკად მონათლულს — საკუთარი ხმლითა და სისხლით დაეცვა უცხო მიწა. ლექსის სტილური კომპლექსი უახლოვდება „მონოლოგების“ წყობას. აქაც თითმეტმარცვლიანი მეტრი ავითარებს ზოგადი ემოციის ერთეულებზე სისტემას. კონკრეტიზებული განცდა აყვანილია საყოველთაო უბედურების შემეცნებამდე: „მონოლოგი“ ლირიკული კომპოზიციის ლექსია, რომლის სტრუქტურა იტებს ემიკურ ფართოპლანაინობას. აქ პოეტის სული ემოტიზირება არა გრძნობების დენას, არამედ ფაქტის წარმოსახვიდან გამდინარე ასოციაციებს, რომელთა ზედვა გადაქვეულია ამორფულ სიუვეტად. სინამდილის დეფანტული და დაყუწული ფრაგმენტები იდგურ-თემატური გასაღების ოხსნება. ხმალთა ჩახა-ჩუნბის რიტმიკა გამორიცხავს მხატვრულ სახეთა მუსიკალურ სინატიფეს. პათეტური ტონი და ობიექტური ფანტაზია არის ლექსის შექმნის წინაპირობა.

ზოგჯერ შორეულ პორაზონტზე გამოკრთება უჩინარი რელიეფი. იგი თავისთავად, როგორც ობიექტი, ემოციისათვის საინტერესოა. ხოლო

მხატვრული გააზრება აქცევს სრულფასოვან ლიტერატურულ ფაქტად. ასე იწერება ლექსი „ამორბადები“, სადაც ვნებების გრანდიოზულობა შეესატყვისება ამაღლებულ მათოსს. ავტორი არ გამოდის მოვლენის სიღრმეიდან. თითქოს დასაზრებელი დროის გაგება შეიჭრეს; პოეტი მოუახლოვდა მცირე აზიამი განფენილ სამოქმედო არეს; მაგრამ წერილად შეხედა ილუსტრირ სინამდვილეს. აქ დაჭერლია დისტანციის გრძნობა ობიექტის მიმართ. ამიტომაც პოეტურის ცნება მოქცეულია ეპიკურ სახეებში, რომლებშიც ხილვით გვაძლევს საშუალებას მხატვრული აზრის ათვისებისა:

სკეითაში თუ თრაკიაში კვალი ირევა,  
ქეობარ ტომებს მიჰკიდის თავგამეტებით,  
და უნაირებს გადაპვიდეს ნანადირევად  
მცირე აზიის ღამეები და ლეგენდები.

წარსულის ჩრდილები დგებიან აკლამებიდან. დამტვერილი ლანდები ათასი წლის შემდეგაც ეტანებიან აბჯარს და სტრატონებში ბრძოლის ცეცხლს ავხრებენ. ფანტაზია ხანაც არ ნაწევირდება. და ყველაფრის ერთიან აღქმას ელტვის. დაღუპებული ციხის ფიგურა, ხმალით კვეთების მომენტები თუ უხილავი და მოუსმენელი შინაგანი ლოცვა განივთდება; მაშინ წარმოიშობა ვრელი სიუჟეტური წყობის ლექსი, რომელმაც უნდა დაიტოოს პოტივების მონაცვლეობა და ასოციაციური წიაღსვლები... „ისრით დაქურთული“ ოთხი ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოებია. მასში არ გამოიყოფა დასრულებული კომპოზიცია. იგი თითქოს ცალკეულ მონაკვეთებში გამოიღო ვანცდებისა და ფრაგმენტული პასაჟების თავმოყრაა. ლექსის მკვეთრი რიტმული სტრუქტურა (სკეირი შეგორძილა ხველით, ღამურებით, კედლებს ექორწილა გაუდაბლოება) შეზავებულია ფერწერულ სინათლესთან.

„წინაპართა საგალობელი“ ამავე თემაზე დაწერილი თითქმის ანალოგიური ნაწარმოებია. ამჯერადაც სიახლოვე იმდენად ხელშესახებია, რომ გვეჩვენება, თითქოს ეს ლექსები ერთმანეთის საუკეთესო ვარიანტები იყონ. აქაც ავტორი შეპირილია ლეგენდარული საუკუნეების სიღრმეში. იგი არათუ ქართველი ხალხის გენიის მიერ შექმნილის შეხვედარე და აღმწერია, აჩამოდ შემოქმედებითი თანამოწილი. სუბიექტისა და ობიექტის მიმართება გაწონასწორებულია. ემოციური ტალა წარმოიშობა ფაქტის შეგრძნებითი წარმოსახვიდან. ბიჭვის მიმცემი გარეგანი ფაქტორები პოეტის სულთან პპოვენი თანხმვანებას. ნაწარმოების სიუჟეტური მდინარება სათავეს იღებს ობიექტური საგნების შეხებიდან, რაც მიიღის შემოქმედის გულთან და ნაგრძნობ-ნაფერალს ძირავეს ლოცვის ექსტაზში („დავიკოცნი, რაც არ იქცა მიწადა — ბატის ფრთას და გადატეხილ ხმლის ვადის...“).

ტარის საოცარი ტალანებიდან გამოყოფილი ფიქრები დაელო საფუძვლად ლექსს... „აი, ზღაპარი“. წარსულის ხილვა გაგებულა რეკურსული მომავლის მოსინჯვა, ვინაიდან ძველის სწავლავის რომელმაც ჩვენამდე მოატანა, მხოლოდ გენეტიურად არ არის თანამედროვეობა. წარსული კი მართოდენ საგმირო თავდასაცვლებს როფი მითიკავს. მასში ნაეტარტუად ისევე ჭარბია, როგორც ცეცხლი. ამიტომ სასურველი პოზიციის შერჩევას უნდა დაემატოს მომაცვადვისა და სასიცოცხლოს შეგრძნების უნარი. ის ცეცხლი, რომელმაც გაანათა გარდასული ხანა, სჭირდება დღევანდელობას, რათა პერსიკული სული გაწუმტკიცდეს. ლექსის დასაწყისი სტროფები შეიძლება ჩაითვალოს სადა მეტყველების ნიმუშებად:

მე წავიციოთხე ეს ციბეები  
ქვათა პოემის ციტატებივით,  
კარებთან დამხვდა თალი ვეება,  
ბალღივით ჩემი ამტატელები.

ზოგჯერ ფრესკები ცოცხლებიან, ჩამორბიან კედლიდან და ხელმეორე ცხოვრებას იწყებენ. წარსულისა და თანამედროვეობის გარკვეული მონაცემები იმდენად ემთხვევიან ერთმანეთს, რომ უკვე ჭირს მათ დიფერენცირებაზე ლაპარაკი. ამიტომ მშვენიერი ასული, რომელიც ბოჩოლას მიდენის, თითქოს ასულდგმულბულ ყინწვისის ფერმკრთალი ანგელოსია, რომელსაც მართლობა მოსწყენია და სოფელს გოგონად ქცეულა. ეს ლექსი („...ფრესკიდან ჩამოსულა ყინწვისის ანგელოსია“) პოეტური სინათლისა და პერსონების სიხარულს გვიქმნის. მასში არაფერია რთული ინტელექტური გააზრებით მიუღებელი; არც ფერტა დამატყვევებელი ყრიაშულია, მაგრამ როგორც დასრულებული მუსიკალური ნახატი, ავლენს სიტყვის დაუფლებების ესთეტიკურად მაღალ დონეს.

ლექსი „იოანე ბერი“ დაწერილია სიმონ ჩიქოვანისათვის საყვარელი მეტრით, მაგრამ შენარჩუნებულია დამოუკიდებელი ხელწერა და ინტონაცია. ეს ნაწარმოები მხატვრული გარდასახვა „იოანე“ და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ ერთი დეტალისა, რომლის მიხედვით მოხუცებული ბერი ილტვოდა ისპანიისაკენ, სადაც მოამე იბერები ეგულებოდა. ამიტომაც კაცი, რომელმაც თითქოს საქართველოს მოკვეთილ მხარეს მიაკვლია, გამოცხადებულია მაცვლისა და კოლუმბის ტოლად. ლექსი არ არის მოკლებული მხატვრულ ღირსებებს, მაგრამ ავტორის მხატვრული აზროვნების მიღწევად არ ჩაითვლება.

და ბოლოს, ასევე ზოგადი კუთხით გვინდა

სოსო სიგუა  
მითოსი და რეალობა

შეეხედოთ ლექსს „ხარი“. იგი წერილის ამ მონაკვეთში მოვაქციეთ იმდენად, რამდენადაც ქართული სული და ხასიათი საუკუნეთა ტევრ-ში გამოატარეს ურმულითა და გუთნისდღედუ-რითაც. „ქართლის ცხოვრების“ კჳანი ხარ-მაც ისევე თავგანწირვით ზიდა, როგორც მამუ-ლისათვის დაცემულმა არაერთმა მებრძოლმა. ამის გამო მას უფლება აქვს, მოსთხოვოს ხე-ლოვანს საკუთარი ღვაწლის მაღიდებელი ძეგ-ლი. ლექსში გამოვლენილი თანაგრძნობა უერ-თდებდა მკაცრ სიმაართეს („ძეობა იყო — გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს, ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ გამოგიმეტე“...). ავ-ტორმა თითქოს შიგნიდან უარყო საკუთარი სტილის არსებითი ნიშნები და მხატვრული მეტ-ყველება დაუმორჩლა სისადავისა და უბრალო-ების პრინციპებს, რომლითაც გამოწვეული დისონანსი არ არის იოლი გადასალახავი.

ამრიგად, შოთა ნიშნიანიძემ ისტორიული რკალის ლექსებში ისევ გაგვიახლა ეროვნული და პატრიოტული ტყვიელები, რაც კი ოდესმე ყველაზე მეტად დამჩნევია ქართველის სულს: რთული სახეობრივი სისტემა კიდევ ერთხელ გახდა ის ბერკეტი, რომლითაც პოეტი დას-ცილდა ემპირიულ წარმოსახვას; გაშინაგნებული ფაქტი იქცა ხილვის ობიექტად; სუბიექტური მრწამსი გამოიკვეთა არა მსჯელობით, არამედ ლექსის მთლიანი სტრუქტურით, ამიტომ რომანტიკული გატაცება შეეფარდა შორეული, რეალობის მირაჟებს. გამოხატვამ მოიპოვა უეჭ-ველი ესთეტიკური ღირსებანი.

შოთა ნიშნიანიძის ლექსების კრებულის „მზე შუბის ტარზე“ წინამდებარე ზოგადი ანალიზი არ მოიცავს ყველა ნაწარმოებს. მასში სხვადა-სხვა მოტივების გამო, ადგილი ვერ ჰპოვა ლექ-

სების გარკვეულმა ნაწილმა, რომელთა შორის მოიპოვება ჭეშმარიტი კმნილებანი („მძილიც“, „მავშალია მომკვდარა“, „ჩიტებისაჲ გახედავ“, „ფუძის ანგელოსო“.. „თითქო ბტყუტყუტყუ“) აქცენტი არ იყო გადატანილი სუსტი ლექსების მიმოხილვაზე („ნადრევი ნაყოფი“, „თეთრი ზამთარი“, „ღვლაღვიწა“, „კაცი თავისთავს“... მინდა სისხამზე...), ვინაიდან ველტუოდით პო-ზიტიური მხარეების წარმოჩენას, რომლებითაც ფასობს ყოველი შემოქმედი; ხოლო წაბორძიკე-ბა ჩვეულებრივ უფრო ხშირია, ვიდრე ღვთაებ-რივი აღზევება, რაც უნდა დაეუფლოს პოეტი ლექსის იღუმალ ხერხებს, წლების მანძილზე ერთი დონით მეტყველება მაინც შეუძლებ-ლია. ამიტომ ცალკეული მარცხი საერთო ხა-რისხზე გავლენას ვერ იქონიებს, ვინაიდან შემოქმედი ხელოვნებაში რჩება ნაწარმოებთა იმ მცირე ჯგუფით, რომელშიც საკუთარი სამ-ყაროა მიგნებული. შოთა ნიშნიანიძის საუკე-თესო ლექსებმა შეძლეს ამ ურთულესი მი-სისის შესრულება.

...ქიმერები იფანტება. მოხეტიალე ლანდები ბრუნდებიან აკლამებში. ოქროსთმიანი ალი იჩირება ცისფრად მოციავე ტალღებში. ახსნი-ლია ზეცის შვიდივე კარი და ელერს ამყო-სიშფონია:..

გიხაროდეს — ფეხი შენი ბედნიერად  
დაიბწენი, —  
დაეებდა ქართულ სიტყვას ვაზის ფესვი,  
ვაზის წვენი —  
გიხაროდეს — დროშა შენი მზეობს ომის  
მეხამრიდად,  
გიხაროდეს!  
გიხაროდეს!  
გიხაროდეს! ჭეშმარიტად!..





## ჯიზო ღომაშვილი, პედაგოგიკური უნივერსიტეტი

# ბოდისა და ბოდის შესახებ

საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი კახეთისა და კახეთის ძველი, (ადრესაუქვეყნებისდროინდელი) საზღვრები. ასევე გაურკვეველია დღემდე სად იყო კახეთის დაბა-ბოდი (იგივე: ბოდა-ბუდა-ბოდინი-ბოდისი), სადაც გარდაიცვალა ქართლის გამაქრისტიანებელი წმ. ნინო.

ამის გამოა სწორედ ის ეჭვები, რაც გამოთქმული იყო ჩვენი დიდი ისტორიკოსების ივ. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძისა და სხვთა მიერ ამ საკითხზე. ასევე, დღესაც, ჩვენი ისტორიკოსები: დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ე. ზოსტარია, თ. პაპუაშვილი და სხვანი ხშირად გვათავაზობენ თვითონ მოსაზრებებს თუ კონკრეტულად აღნიშნულ თემაზე. მაგრამ საბოლოოდ მისაღები და მეცნიერულად დასაბუთებული დებულებანი ჯერ არაა არც მოწყობილი.

ამ ბოლო დროს ეურნალ „მნათობში“ (№ 9, 1971 წ.) პროფ. ივ. ლოლაშვილმა გამოაქვეყნა სტატია, სადაც შეეხო კამბეჩოვანის (ქისიყის) ძველ წარმართულ საკულტო კერებს. პროფ. ივ. ლოლაშვილის მოსაზრებანი შეტად საინტერესოა, მაგრამ ბოდის და უფრო სწორად ბოდის განმარტებაში მას ვერ დავეთანხმებით. ამასე ცოტა ქვემოთ შეეჩერდებით, როცა გავარკვევთ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „ბოდი“-ი.

არც ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორებს, გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ჩვენი მოსაზრებანი და დასკვნები ერთხელ და სამუდამოდ მისაღები და აუცილებელი იქნება. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, საკითხების ახლებურად დაყენებით შეიძლება საქართველოს ისტორიის მკვლევარებს ხელი გაეუმართოთ და ჩავაფიქროთ ისინი უფრო ღრმად, კრიტიკულად მოეკიდონ აქამდისაც მათთვის ცნობილ წყაროებს და საბუთებს.

ჩვენ, ძირითადად, გვიინტერესებს წმ. ნინოს

მოგზაურობის მარშრუტის დაზუსტება და კახეთის, კახეთისა და ჰერეთის საზღვრების დადგენა იმ თვალსაზრისით: იყო თუ არა წმ. ნინო ჰერეთში და სად უნდა იყოს ის დაკრძალული, **ბოდაში** (უშავი) თუ **ბოდებში**?

განვიხილოთ რა მასალები და წყაროები გვაქვს ხელთ და როგორ უნდა გავიგოთ ეს ისტორიული საბუთები.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები: „მოქცევაჲ ქართლისაჲს შატბერდული და ქელიშური ნუსხები: აგრეთვე ლონი მროველისა და ჭუანჭუჭყის მატიანეები, არსენ ბერის „ცხოვრება წმინდა ნინოსი“, ვახუშტი ბაგრატიონის შრომები, აგრეთვე ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსებისა და მეცნიერთა: ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის, კორნელი კეკელიძისა და გ. ჩუბინაშვილის ნაშრომები. ჩვენ აღარ ჩამოვთვლით ყველა იმ ავტორს და მის ნაშრომს, სადაც განხილულია ქართველი ხალხის გაქრისტიანების ისტორია, ან ადრეფეოდალური საქართველოს პროვინციების: კახეთის, ქართლის, კახეთისა და ჰერეთის საზღვრები.

არსენ ბერის სიტყვებით რომ ვთქვათ, წმ. ნინოს ცხოვრების (ისტორიის) ამბავი თავიდანვე არე-ღარეული ყოფილა. და ეს მართლაც შეიძინეა **ლეონტი მროველი**მანაც და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ორივე ნუსხაში (როგორც შატბერდულში, ისე ქელიშურში). ამ წყაროებში დამახინჯებულია გეოგრაფიული სახელწოდებებიც. მაგალითად კახეთი და კახეთი ერთმანეთშია არეული, ასევე ზოგჯერ წერია **ბოდისი** ან **ბოდინი**, **ბოდი** ან **ბუდი**, მაგრამ **ბოდებ** არცერთ შემთხვევაში არ არის მითითებული (გარდა ვახუშტი ბაგრატიონისა).

ჯერ გავარკვეოთ რას ნიშნავს სიტყვა **ბოდი**

ან **ბოდი**, საიდანაც ნაწარმოებია შემდეგი სიტყვები: **ბოდო-კლდე**, **ბოდო-ზოვი**, **ბოდავი**, **ბოდახევი**, **ბოდორნა**, **ბოდბე**, **ბოდბისხევი**, **ბოდავისხევი**, **ბოდავის ციხე**, **ბოდავის მთა**, **ბოდო-ჭი**, **ბოდაველი** (გვარია ამჟამადაც), **„ბოდაველინი“**; **„ბოდელნი“** და სხვ.

ამ სიტყვების ძირია **„ბოდ“**. ამ სიტყვის განმარტება არვის მოუტია დღემდე, გარდა ვ. იოთონიშვილისა (ეველისხმობთ მეცნიერულ ლიტერატურას).

ვ. იოთონიშვილი თავის „ხევის ტოპონიმიაში“ წერს: **„ბოდო ეწოდება მაღალსა და შვეულ მთას, რომელიც თავს დასცქერის სოფ. ალმასიანსა და საქართველოს სამხედრო გზას. ამ მთას მოხვევებიც ბოდოს ეძახიან. მისი ფერობებიდან დაქანებული უხარმზარი თოვლის ზევი გზას კრავს. ბოდოს ზევი (ბოდო ზოვი) ზევში სიდიდისა და ძალის სინონიმს წარმოადგენს.“** ვ. იოთონიშვილი მიუთითებს, რომ კობის ხიდს მოხვევები **ბოდოს** ხიდსაც უწოდებენ. **ბოდო** რომ არ არის საკუთარი სახელწოდება ეს იქიდანაც ჩანს, რომ **ბოდახევი** რამდენიმე საქართველოში: არტანის ხეობაში (თიანეთის რ.), მატანთან ახლოს (ახმეტის რ.), ილტოს ხეობაში და თვით ბოდავთან (დუშეთის რ.) ახლოს ბოდავის ხევი, ხოლო სიღნაღთან ბოდბის ხევი (თიანეთის რაიონში არის ბორდა-ხევიც). აქ უნდა ვავისწინოთ აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნული ერთი ფაქტი, ბაგრატ IV სულა კალმახელს „უბოძა მამულობით ციხისკუთრი და ოძრკე, ბოდო კლდითა და სხუთა მრავალნი საქონელი“ 2... ო; რადგან მან (სულა კალმახელმა) დატყვევებული ლიპარიტი და მისი ძე ივანე ჩააბარა მეფეს.

რადგან სიტყვა ბოდო კლდესთან ხშირად არის ნახმარი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ **ბოდო ციკაბო შვეულ კლდეც უნდა აღნიშნავდეს. ბოდ-ავი** კი ციკაბო (დამევეულ) კლდეებს, რადგან ძველ ქართულში სუფიქსი ავ მრავლობითს გამოხატავს იყო. მაგალითად, **თელ-ავი**, **ზან-ავი**, **მან-ავი** და სხვა მრავლობითის აღმნიშვნელია, რაც ნიშნავს თელებს, ზანებს და მანებს.

ბოდი-სი ალბათ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელია, ისევე როგორც კახი-სი, თბილი-სი, დმანის-სი, ურბნის-სი, ბოლნის-სი, წაკვი-სი, არა-სი, ყვიბი-სი, ოქი-სი, ძალი-სი, ხერთვის-სი, პანკის-სი, ალი-სი, ჭუთათი-სი, წყადი-სი, მე-ლურეკი-სი, ნიჩბი-სი, სამთავის-სი, დელი-სი, ბენბი-სი, მარელი-სი, საცხენი-სი, შინდი-სი და სხვა მრავალი. ასეთი სუფიქსით დამთავრებული სიტყვები რომ ადგილის მდებარეო-

ბის მიხედვებელია ამას ამტკიცებს შემდეგი სიტყვების შინაარსი: **საცხოვრი-სი** და **საქობრი-სი** (ე. ი. ხატის დასასვენებელი ადგილი) **საქობრი-სი** რადლებს იქვეც ის ვარემოება, რომ ზევში (ყაზბეგის რ-ნი) და ჰერეთში ძალზე იშვიათად ან თითქმის არ გვხვდება **-სი-ზე** დაბოლოებული ტოპონიმები. სამაგიეროდ ქართლში და იმერეთში კი (და საერთოდ დასავლეთ დასამხრეთ საქართველოში), საკმაოდ ხშირად გვხვდება ასეთი ტოპონიმები.

დ. მუსხელიშვილი თავის შრომაში „უჯარმა“ სრულად სამართლიანად აღნიშნავს, რომ დღევანდელი კახეთის ტოპონიმიაში არსებულ სოფლების სახელწოდებანი მიუთითებს იმ ვარემოებაზე, რომ არაგვისა და ივრის ხეობაში და ჰერეთში გადასული ხალხი იმეორებდა ძველ ჰეგორაფულ სახელებს სოფლებსა და დაბებისას. აი რას წერს დ. მუსხელიშვილი: „ის ვარემოება, რომ არაგვის თუ ივრის ხეობაში და ძველ ჰერეთის ტერიტორიაზე ერთი და იგივე სახელწოდების სოფლები გვხვდება, ხოლო ხშირად ჰერეთის ტერიტორიაზე დამოწმებული სახელწოდებანი სადაურობის სუფიქსითაა წარმოადგენილი — ეს ვარემოება სწორედ ამის უქვეულ საბუთად მიგვჩინია.

ეს სახელწოდებანი შემდეგია:  
**ბუშატი** — ივრის ხეობაში, სოფ. ორხევთან.  
**ბუშეტი** — შიგნიკახეთში, წინანდალთან.  
**ბოდავი** — ივრის ხეობაში.  
**ბოდინი**, **ბოდბე** — ქიზიყში.  
**არტანი** — ივრის ხეობაში, თიანეთის ზემოთ.  
**არტანი** — ალაზნის ვალში, ნაფარეულთან (ართანა).  
**ყვარა** — ივრის ხეობაში, არტანის ზემოთ.  
**ყვარელი** — კახეთში, ვალმაზარეთში (ყვარელი).

**ახატანი** — არაგვის ხეობაში. ბიჭმენდთან.  
**ახატელი** — შიგნიკახეთში, გულგულას ვალში.  
**გომეწარი** — ფშავეში.  
**გომეწრელი** — ალავერდის პირდაპირ, ალაზნის ვალში.

**ხორხი** — არაგვის ხეობაში, ხორხის ხეზე, ეწინააღმდეგება რომ ერთის არაგვის.  
**ხორხი** — გომბორის მთასთან.

**ხორხელი** — წირდლის ხეზე (**ხორხელინი**)  
**ხორხელი** — შიგნიკახეთში, მდ. რიყეზე, ალაზანს რომ ერთვის, ოციოს პირისპირ.

**ქართალი** — არაგვეზე, ანანურს ზევით.  
**ქართლის მინდორი** — ივრის შენაკად, საკმისხეზე მდებარე სოფ. ჩაბანოს პირისპირ, საკმის მარცხენა ნაპირზე.

**ქართალია** — მდ. ილტოზე.  
**ქართალი** იე. ჯავახიშვილით ერთ დროს „მთელ კახეთსაც“ სწოდებოდა.

ამს გარდა მთელუბნის ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორცაა: **ფშაველი** (ფშაველინი) — ქიჭკვიის ხეზე.

1) ვ. იოთონიშვილი — ხევის ტოპონიმია, 1971, გვ. 48.  
 2) ქართლის ცხოვრება, I, გვ. 305. ზაზი ჩვენია.



ფხოველი (ფხოველი) — ლაბეს ხეში.  
 ეს ექსპანსია დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც. კერძოდ, ამის მოწმობაა, რომ გაღმამხარია — და შიგნიკახელები სალოცავად, ხატობაში იგრის ხეობაში დადიან; ლაშარობისას — ხატვეში და გიორგობისას ბოქორმის წმ. გიორგის ეკლესიაში.

შეგანიშნავია, ამასთან დაკავშირებით, ას ცნობილი ვარემოება, რომ დღევანდელ ყვარლებს და, საერთოდ, ლაშარისა და თამარის ხატში „მოოცელებს“ თათის პირველად სამშობლოდ არტნის (ანუ იგრის — დ. შ.) ხეობის სოფლები — ყვარა და სხე. მიჩნითა.<sup>3</sup>

ჩვენ მხოლოდ ორ ტობონიმსა დავუმატებთ ამ ვრცელ სიას. **1. თიანეთი** — იგრის ხეობაში, სათაინო ახმეტასა და მატანს შუა. **2. უაღეთი** — იგრის ხეობაში, უაღეთი — ამჟამად უბანია ახმეტაში. ეს სახელწოდებანიც ნათლად ადასტურებს დ. მუსხელიშვილის მოსაზრების სისწორეს. უნდა შევნიშნოთ, რომ დ. მუსხელიშვილს ჰქონდა თითქმის ბოლბეს ძველად ბოლბინი ერქვა. ეს ასე არ არის და ჩვენ ამას ქვემოთ დაემატიცებთ. სანამ ბოლბე გაჩნდებოდა წყაროებში, ყველგან, მხოლოდ ბოლბისი, ბოლბინი, ბოლბაგი, ბოლბორნა და ბოლბორ არსებობდა. ასევე გვხვდება წყაროებში **ბოლბონი** ან **ბოლბევი** და არა ბოლბევი. **ბოლბელი** (მღვდელთმთავარი) ეპისკოპოსი მეექვსე საუკუნიდან ჩნდება და ვახტანგ გორგასალის დროსაც კი არა არსებობდა. იმ დროისათვის არ ჩანს არც **ბოლბე** და, ცხადია, არც **ბოლბელი**.

ბოლბისა და ბოლბევის საეთხის ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით. ახლა კი შევეხოთ იმ მასალას, რაც შეეხება წმ. ნინოს მოღვაწეობას ქართლში, კუხეთსა და კახეთში.

ჯერ გავარკვეოთ ქართლის, კუხეთის, კახეთისა და ჰერეთის საზღვრები.

ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში (ქართველი ერის ისტორია, ტ. II) წერს: „კახეთ-კუხეთის საზღვრებიც, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაში მოიპოვება, მ-მ დღეს ქ-ცა-ში არეულია. იქ ნათქვამია: „კახოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, მისცა ეგრითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“-ო (ცა მფ-თა 104, გვ. 4). აქ საკუთარი სახელწოდება და საგეოგრაფიო დამახინჯებულია და არაფრის გავება არ შეიძლება. ქ-ცა ზოგან სამართლიანად ასწორებს და წერს: „კუხოსს მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე მთისა კახეთისასა და

მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“-ო. აქაც შეცდომებია შერჩენილი, ზოგან კიდევ დედანი სწორად ვერ არის გასწორებული.“<sup>4</sup>) მართლაც დამახინჯებულია საკუთარი სახელი. პირველად უნდა იყოს „კუხოსს“ და არა „კახოსს“. ასევე „ეგრითგან“-ის ნაცვლად „არაგვითგან“. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული შესწორებაც არ უნდა იყოს მართებული. არც „ქართლის ცხოვრების“ კვიპრიანისეულ გამოცემაშია სწორად გასწორებული ის ადგილი, სადაც „ჰერეთია“ ჩამატებული. აი რაშია საქმე. ჩვენი აზრით, არც ლეონტი მროველს და არც ვახუშტი ბაგრატიონს არ ერევათ საზღვრები. მოციტანთ ლეონტი მროველის სიტყვები: „კახოსს (უნდა იყოს **კუხოსს**). ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ეს შეცდომა გადამწერთა შეცდომაა ქ. ლ. ვ. ა) მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვან რუსთავი, მისცა ეგრითგან (უნდა იყოს არაგვითგან) ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა და მტკვარს შუა, ხოლო კახოსს მისცა კავკასიისა და კახეთის მთას შორის არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“. აქ მხოლოდ ორი შეცდომაა დაშვებული. პირველი, კუხოსის ნაცვლად წერია „კახოსს“ და, მეორე, არაგვის ნაცვლად არის „ეგრითგან“. არ არის საჭირო რაიმე დამატებითი შესწორების შეტანა ტექსტში. „მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე“. ეს ნიშნავს კუხეთის დასავლეთ საზღვარს, „არაგვითგან ვიდრე თავადმდე“ გულისხმობს **არაგვს ვინჯანამდე** (ანუ ხერთვისამდე, ე. ი. სადაც ფშავეისა და შავი და თეთრი არაგვი ერთიან, ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს ხერთვისი). ეს რომ ასე უნდა იყოს ამას ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონი. აი რას წერს ის, როცა არკვევს თიანეთისა და ხერკის საზღვრებს: „ბოკოწინის ქვეს და ამ ქვეს (ნოკორნის ზევს — ქ. ლ. ვ. ა) შორის ჩამოვალს მცირე მთა, წინათქმულის მთილად (ხერკის მთიდან — ქ. ლ. ვ. ა), დასავლეთად. ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი, და ამდე აწ უწოდებენ თიანეთს **გარნა პირველ იყო ვინჯანამდე წილი კუხოსისა** აქ უწოდებდნენ იპყრობს სიტყვები „პირველ იყო ვინჯანამდე წილი კუხოსისა“.

ვახუშტი ზემოთ უფრო გარკვევით წერს: „ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით

4. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 40.  
 5. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა... გვ. 93.

3. დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 38, 39, 40. (ციტატა მოტანილია ბარდუველიძის შრომიდან).

**ჯიგო ლომავილი,**  
**მლადინიპრ პარამიზილი**  
 ბოლბისა და ბოლბის შესახებ

მთა კახეთისა; საკურთხეველსა შერეოთ, რომელ არს ზუნანის გამოსწორებ ვულგულ-დე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამით შორის ქვეყანას ეწოდა ეფეთი, კუხოსის სახელის გამო, არამელ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თემის ქვეს (რომელსა ეწოდებოდა ზერკი...<sup>4</sup>)

ჩვენ რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ვახუშტი, მიერ მოცემული საზღვრები, რაც მთლიანად ეთანხმება ლეონტი მროველის საზღვრებს, მოვიტანოთ კახეთის საზღვრებიც, რომელიც მოცემული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს იქვე: „და მისცა კახოს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამკრით საზღვარი შერეთისა, თურღო-შტორის-ქვეს, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განაკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამით შორისი ქვეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამელ აწ უწოდებენ ფშავეკეესურსა [რომელთა პირველ ეწოდათ ფხოველი], თიანეთს, ერწოს, ირტოს-ქვეს, პანკისის ქეობას, საყდრიონს და აღონს.“<sup>5</sup>)

ზოგი მკვლევარი ღრმად არ უყვირდება კახეთის დასავლეთ საზღვრის განმარტებას ლეონტი მროველის მიხედვით: „არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე“, ხოლო ვახუშტის: „დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განაკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი“. საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში, მდ. არაგვი იგულისხმება თიანეთის ზემოთ (ე. ი. ფშავეკეესურეთის ტერიტორია შედიოდა კახეთის სამფლობელოში). ამიტომაც ვახუშტი შემთხვევით არ წერს არშიაზე „და-ნარჩოში თიანეთისათჳს, არამელ პირველ იყო კუხეთი“<sup>6</sup>.

ლეონტი მროველი წერს: „ხოლო კახოსს მისცა ჯავახიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა. და ამან კახოს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რამეთუ დედა-ციხე კახოსის ხუდერი იყო. და მისცა კახოს შეეწევისათვის და შეეწია შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა კახეთისასა“<sup>7</sup>).

მროველის მატინანს (ამბავი ქართლისა) არ-შიაზე კუხეთისა და კახეთის შესახებ ასეთი მინაწერება: „კუხეთი არს ნინო წმინდის ზეით, სამგორი და იმას ზეით ერწოს მთამდის და არაგვამდის“ და „კახეთი არს თურღოს ქვეს ზეით თიანეთი ვიდრე ქვესურთამდე“. მამასაღამე.

4. იქვე, გვ. 86.

7. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა... გვ. 86.

3. იქვე, გვ. 93.

8. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

არაგვიორი არეგ-დარეჯა და გაუგებრობა ან შეიძლება გამოიწვიოს ლეონტი მროველისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემულ საზღვრებში. აქ ყველაფერი ზუსტად არ არის და მამასაღამე კუხეთში იყო მისცა მისცეს ნებში თიანეთი, ბოლდევი, წობენი, ხერკი (საგურამო), კაწარეთი, ნინოწმინდა, რუსთავი, სამგორი, მარტყოფი და სხვ.

კახეთში კი შედიოდა შემდეგი დაბები, სოფლები ან ქალაქები: ჩელიეთი (ძველად ეწოდებოდა — ბერი), უჯარმა, ფალეთი (ედემი), ძეგლ-დაბა (ქლანდელი ძეგლდაბალი, თიანეთიდან ახმეტის მიმართულებით 3-4 კილომეტრითა დასორბულში), ბოკორმა, თიანეთი, ნეკრესი და სხვ. კაწარეთი და თიანეთი ზან კახეთშია, ზან კუხეთში.

ჩვენთვის გაუგებარია დ. მუსხელიშვილი რატომ თვლის რომ ნეკრესის ზაზილიცა ჰერეთში იყო?

ბოლდევი არ შეიძლება კახეთში ან კუხეთში ყოფილიყო. ის იყო ჰერეთში და ამიტომაც არის, რომ „მოქცევა ქართლისაჲ“ (ორივე ნუსხის მიხედვით) არ ასახელებს არც „მე-რეთს“ და არც „ბოლდევს“. მართალი იყო ს. კაკაბაძე, როცა მან ეჭვი შეიტანა და გამოთქვა აზრი: „მოქცევა ქართლისაჲს“ გადმოცემული ნინო მოვიდა რა კუხეთში, გაჩერდა კაწარეთს და ამის შემდეგ იგი გადავიდა კახეთში. კახეთიდან მცხეთისაკენ მიმავალი ნინო გზაში გარდაიცვალა კუხეთის პრავენიციის სოფელ ბოდისში“<sup>10</sup>.

ს. კაკაბაძეს ეს აზრი გამოთქმული აქვს 1928 წელს, ნინოწმინდის ძეგლთან დაკავშირებით. მას მაინცა, რომ სოფ. ბოდისი, სადაც გარდაიცვალა ნინო, იყო ძველი სახელწოდება ნინოწმინდისა, რომელიც მდებარეობდა კუხეთში. ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება თ. პაპუაშვილი და ამტკიცებს, რომ სოფ. ბოდევი და ბოდისი (იგივე ბოდინი) ერთი და იგივეა და ჰერეთში არსებობდა. თ. პაპუაშვილზე უფრო ადრე ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული დ. მუსხელიშვილს თავის წიგნში—„უჯარმა“. „მოქცევა ქართლისაჲს“ შატბერდისეული ნუსხაზე დაყრდნობით დ. მუსხელიშვილი იძლევა წმ. ნინოს ასეთ მარშრუტს: „წობენიდან, რომელიც წობენის მთის ჩრდ. ფერდობზეა, არაგვის მარცხენა შენაკადის, წირღლის ხევის ზემო წელზე, წმ. ნინო, მართლაც უნდა გარდასულიყო ერწულ; ფალეთიდან კი, ცხალია, უნდა „მთასულიყო“ კაწარეთს და აქედან კვლავ გარდასულიყო კახეთა“. აღბათ კაწარეთზე გამავალი გომბორის უღელტეხილზე გადასასვლელი გზით, კახეთიდან წმ. ნინო წამოსულა მცხეთისკენ და გზად გამოუვლია ბოდინში, რომელსაც ბოდისთან აიგივებენ. გომბორზე გადასული ნი-

10. ციტატი მოგვყავს თ. პაპუაშვილის წიგნიდან ჰერეთის ისტორიის საკითხები, გვ. 126.





ნო რომ გზად ბოდბეში მომხვდარიყო, ცხადია, მას მანამდე ვრცელი გზა უნდა გაევიღო და ამდენადღე თავისი „საგანმანათლებლო“ საქმიანობაც დიდ ტერიტორიაზე განეფრცო. ეკროლ, მას თითქმის მთელი აწინდელი შეგნიჯებით უნდა მოეკლო, რომ ბოდბეში მოსულიყო.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, თავისა, რომ თავის სამოციქულო მოღვაწეობას ნინო ჰერეთის ტერიტორიაზე ეწევა. თვით ბოდბეც ხომ ჰერეთის ტერიტორიაზეა<sup>11</sup>, ავტორი იქვე ჰერეთში მიუთითებს, თითქმის ის ვარსებება, რომ ჰერეთი ნახსენები არ არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს-ს“ ნუსხებში და დაბა ბოდი ხან უხეტშია და ხან კახეთში მოხსენებული, ეს მაინაი გვიანდელი ვითარების გამოძახილად.

სწორად რომ უნდაურთა ასეთი მსგელობა და დასკვნა. ვერ ერთი, რომ წყაროები (გარდა ვახუშტი ბაგრატიონისა) არსად არ მიუთითებს იმას, რომ დაბა ბოდი ან ბოდისი (თუ ბოდინი) ჰერეთში იყო. პირიქით, ყველა წყაროში მიითითებულია მხოლოდ კუხეთი ან კახეთი. მეორეც თვით წმ. ნინო თავის წერილში მირიან მეფისადმი აღნიშნავს, რომ მან მოვლო სანახები ქართლისა, კუხეთისა და კახეთისა და არ ასახელებს სხვა მხარეებს (ქვეყნებს), ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ არსად არ არის ნახსენებლად ბოდბე. რატომ უნდა გავივიციოთ ბოდა-ბოდავი-ბოდისი-ბოდინი ბოდბესთან? დ.

მუსხელიშვილს რატომ დააიწყდა ტოპონიმების მის მიერვე შემოთავაზებული სია? იქ ხომ ის მიუთითებს იმაზე, რომ პირველადიზა ივრის ხეობაში არსებულ ბოდავს ეკუთვნის და, მასთანადავე, „ბოდბე“ მეორადი წარმოშობისაა. ჩვენ აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ბოდბე ნიშნავს მეორე ბოდს. „ბე“ ხომ ანბანის მეორე ასოა და ძველად (ვიღრ შემოღებული იქნებოდა არაბული ციფრები რიცხვების გამოსახატავად) იხმარებოდა როგორც რიცხვის აღმნიშვნელი, ამ შემთხვევაში (2) მეორისა. ახლაც ხომ გვაქვს, მაგალითად, მეორე სვირი (ხუტატაშის რ-ნი) ანდა არმაზირი მეორე. ასევეა ნაწარმოები ბოდ-ბე რაც ნიშნავს მეორე ბოდს. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფ. ივ. ლოლაშვილს ბოდბის მისეულ განმარტებას. მარკვარტი კი უფრო ახლის მისულა კემპარტებასთან, თუ ამტკიცებდა „ბე“ მრავლობითის აღმნიშვნელიაო. „ორი“ მართლაც რომ სიმრავლეს ნიშნავს. მაგრამ ჩვენი განმარტება უფრო მისაღები უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ თიანეთსა და ტიანეთს შორის არსებული ბოდავი უფრო ადრე არსებობდა, ე. ი. პირველი დაბა ბოდა ეს იყო. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის გავრცელებამდე იყვნენ „მდღელნი ბოდელნი“.

მეკლავარებს არ უნდა გამოჩნეთ ის ვარა-

მოეცე, რომ კუხეთის ანუ ზედაზნის მთაზე ასული პირები, რომლებსაც მირიან მეფემ და ავლა ეთვალთვალათ სვეტიცხოველის ადგილსამყოფელიდან ამოსულ მნათობთა მოძრაობისთვის, ვერაივითარ შემთხვევაში ვერ იტყოდნენ ბოდბეში ჩავსვენაო ის მნათობი, თუც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მათ უნდა ეთქვათ უქარამში ჩავსვენაო და პირდაპირ გადაწყვეტდნენ ვჯარი სად უნდა გაეგზავნათ.

ვინც კარგად დაუყვირდება, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქელიშურ ნუსხაში ნათლად და გასაგებად არის აღნიშნული, რომ მეფე მირიანმა, მეხეთიდან დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით („შეიცენა თავნი მთათანი მიწყებით“) გაგზავნა მეთვალყურენი, რათა მოეცნათ ამბავი, სად ჩავსვენებოდა სვეტიცხოველიდან ამოსული ვარსკვლავი. ქებათა-თავის მთიდან (დასავლეთიდან) მოსულგმა მოახსენეს, რომ „ვარკულაჲ იგი, აღიშალა და მიიწია მთათა ზედა თხოთის[ქ]თა, ვარდას[ქ]ვალსა კასპისასა“, ხოლო „ეგრეთვე მოვიდეს მთით კუხეთისაჲთ და თქუეს: „ვიხილეთ ვარსკვლავი აქეთ მომავალი და დაადგრა დაბასა ჩუქუნსა ბოდსა ქუქუნსანსა კუხეთისასა“<sup>12</sup> ლეონტი მროველიანაც ასეა: „და ეგრეთვე მოვიდეს მთით კახეთისა და თქვეს: „ვიხილეთ ვარსკვლავი აქეთ მომავალი, და დაადგრა დაბასა ბოდესა კუხეთისასა“<sup>13</sup>.

როგორც ვხედავთ დაბა ბოდი ყველა წყაროს მიხედვით კუხეთში მდებარეობს. ჰერეთში კი მხოლოდ ბოდბე არსებობდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ ნუსხაში კი შეცდომით არის აღნიშნული: „დაადგრა დაბასა ბოდს კახეთისა ქვეყანასა“. მეფე მირიანის მიერ გაგზავნილი მეთვალყურენი კუხეთის (ზედაზნის) მთაზე იყვნენ ასული და არა კახეთის მთაზე, როგორც ეს ლეონტი მროველიან არის აღნიშნული. და არ რატომ. „და იგი თავადი (ე. ი. პირველი) ვარსკვლავი ჟ. ლ. ვ. ა.) ეგრეთ ბრწყინავლედ, ნელიად-ნელიად, განვიდის მიერ ეკრობ არაგუსა, და დადგის ბორცუსა მას ზედა კლდისასა...“<sup>14</sup> ესე იგი, აქ ნავულის-მეფია ზედაზნის მთა, ანუ კუხეთის მთა და არა კახეთის მთა, რომელიც მდ. ივრის აღმოსავლეთით მდებარეობს, აქ კი ლაპარაკია მდ. არაგვისზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მხოლოდ კუ-

<sup>12</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი 1, 1964, გვ. 150. ხაზგასმა ჩვენია.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 121.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 120, ხაზგასმა ჩვენია.

**ჯიგო ლომავილი,**  
**ვლადიმერ აბრამოვილი**  
**ბოდისა და ბოდისის შესახებ**

11. დ. მუსხელიშვილი, უქარმა, 1966 წ., გვ. 44.

ბეთის (ზედაზნის) მთის მწვერვალთან შეიძლება ბოლდვის მთის დანახვა და არავითარ შემთხვევაში ჰერეთის ბოლდვისი. ყველა დანეტრეტრეტულ პირს შეუძლია ეს ენსალ შეამოწმოს პრაქტიკულად. ბოლდვის მთიდან პირდაპირ მოჩანს მცხეთის სანახები და განსაკუთრებით ზედაზნის (იგივე კუხეთის) მთა და პირიქით, ზედაზნის მთიდან კი ბოლდვის ვერავინ, ჭკვრივად კი, ვერ დაინახავს.

წვენი დაკვირვებით, ლეონტი მროველს კახეთის მთა შეცდომით აქვს მითითებული და ეს ასევეა მოცემული მხოლოდ შატბერძულ ნუსხაში. ჭელიშური ნუსხა კი არც კახეთის მთას<sup>15</sup> ასახელებს და არც კუხეთისას. ჭელიშური ნუსხაში აღნიშნულია, რომ: „აწ მსწრაფლ განავლინენ კაცნი მთათა ზედა მაღალთა აღმოსავლეთით ვიდრე დასავალამდე...“ აქ ნახუნებია არ არის არც კახეთის და არც კუხეთის მთა. მაგრამ ჭელიშური ნუსხა კი მითითებებს კუხეთის მთას, როცა მირიან მეფის მიერ წარგზავნილი ბრუნდებიან: „მოვიდეს მთით კუხეთისაჲ და თქვეს: «ვიხილეთ ვარსკვლავი აქეთ მომავალი და დაადგრა დაბასა ჩქენსა ბოლსა ქუეყანასა კუხეთისასა». მამასადამე ყველაზე სარწმუნო წყარო, ამ შემთხვევაში, ცხადია, ჭელიშური ნუსხაა.

გასათვარია, რომ არცერთ წყაროში ჰერეთი ნახსენებია არ არის, ისევე როგორც ბოლდვი, და მკვლევარებს კი, რატომღაც, ჰგონიათ დაბა ბოდი ან ბოდის უნდა იყოს იგივე ბოლდვი, რომელიც მდებარეობდა ჰერეთში და არა კახეთში. IV საუკუნეში და მეცხრე საუკუნემდეც კახეთსა და კუხეთს ერთმანეთისაგან ყოველთვის განასხვავებდნენ და მითითებებს ჰერეთს.

ბოლდვი. ივ. ლოლაშვილის მტკიცებების მიხედვით ისე გამოდის, რომ კახეთის დედოფალი სოჯი (სუჯი) ჰერეთის დედოფალი ყოფილა. ეს დასკვნა იმიტომ გამოიტანა მკვლევარმა, რადგან იწმენა, რომ ბოლდვი იგივე ბოდი არისო. ეს კი არ არის სწორი. ყველგან მითითებულია, რომ დაბა ბოდი კუხეთში იყო და რანირად შეიძლება ის ჰერეთშიც ყოფილიყო? ჰერეთში მხოლოდ ბოლდვი არსებობდა და დღესაც არსებობს, ისევე როგორც ბოლდვი დღესაც არსებობს, სადაც აგებულია ბოლდვი-ხუძინარის მონასტერი. ასევე არსებობდა და არსებობს ბოლდრის მონასტერიც. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ ბოდი (იგივე ბოლდვი) და ბოლდვი.

მოქცევაჲ ქართლისას<sup>16</sup> ჭელიშური ნუსხის მიხედვით წმ. ნინო წერილს წერს მეფე მირიანს და პირდაპირ მითითებებს, რომ კუხეთის დაბა ბოდისას მიადგია, სადაც დედოფალი სოჯი იმყოფებოდა. აი რას წერს წმ. ნინო. „ხოლო მე ვესულ რა მოვიწვი ქუეყანასა კუხეთისასა და დაბასა ბოდისასა და აწ ქსენებულმთა არს დედოფალი ევე სოჯი, რამეთუ აღიძრა ევე შუართია საღმრთოთაჲ“ დაღეწად კერპთა და მოქ-

ცევად ერისა მათისა საერისთავოსა<sup>15</sup> ეხოელნი და სოჯნი რაღაც ერთ, ცალკე საერისთავოს წარმოადგენდნენ. ამას შატბერძულ ნუსხაში უფრო ნათლად მიუთითებს, რადგან წმ. ნინო „შთავიდა ეხოეთს და დაღაც კაწყარეთს. მონათლნა ეხოელნი და სოჯნი ერთოთრთ მითით“<sup>16</sup>. კიდევ ერთ ადგილს გაეახსენებთ მკითხველს, ორივე ნუსხის მიხედვით, რითაც დაატურდება, რომ კახეთზე ან ეხოეთზე ან ლაპარაკი და არა კახეთზე. შატბერძული ნუსხის მიხედვით წმ. ნინო „დასნულდა და წარმოემართა მცხეთად, და ვითარცა მოიწია ეხოეთსა, დაბასა, რომელსა ჰრქვან ბოდინი, ვერღარა ეძღო სლავა“<sup>17</sup>. ჭელიშურის მიხედვით კი ასეა: „ხოლო მას ეამსა, ვინაჲ თანადსანეულდა და წარემართა და მიიწია კახეთად, დაბასა, რომელსა ეწოდებეს ბოდისი, და ბოდლ[ა] უძღო სლავა...“<sup>18</sup> მამასადამე დაბა ბოლდვი იგივე ბოდისი სამებარია ეხოეთში ანუ კუხეთში. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ სად მდებარეობდა ის პუნქტი, საიდანაც წმ. ნინო („წარმოემართა“) წამოვიდა („მცხეთად“) მცხეთისაკენ? ეს დასახლებული პუნქტი იყო აველდაბა („აველდაბა“, იგივე „ქეცელდაბა“, რომელიც მდებარეობდა დიდ კახეთში, მა. ივ. რის მარცხენა ნაპირზე, კახეთის მთაზე, თიანეთიდან სულ რაღაც 3-4 კილომეტრით დაშორებული, აღმოსავლეთით, ეს იყო „დიდი კახეთის“ ცენტრი და წმ. ნინომ სწორედ აქ მოიყვანა კახეთის მთავარნი და აქ მონათლა ისინი. ეპლეთიდან კაწარეთს „შთასული“ ნინო, როგორც ვიცით ამირებადა რანს გამგზავრებას, მაგრამ რატომღაც მან შეცვალა მარწმურტი და აგარდავიდა კახთა და დაღაც ძველ დაბას“ (შატბერძული ნუსხა), „და ეხოელნი ვარქვეიდა დიდად კახეთად, დაღაც სანატრელი იგი ქველდაბას“ (ჭელიშური ნუსხა). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ვადაშწერლებს „ძ“ ვერ ამოუყიბიხეთ და „ქ“-დ დაუწერიათ. ცხადია, აქ უნდა იყოს „აველდაბა“, სადაც დღესაც შემორჩენილა დასახლების ნაშთები, რომელიცა გამოხრან-შესწავლა ბევრ საინტერესო მასალას მოგვეცემდა. ხალხი დღესაც „აველდაბალს“ ანუ აველდაბას უწოდებს ის ადგილს. აქვე არის კვირიკეს მადლობა, სადაც დარჩენილია ძველ ნაგებობათა მხოლოდ ფუნდამენტები. ამ კვირიკეს მთიდან კარგად მოჩანს დასავლეთისკენ ბოლდვის მთა, რომელიც მდებარეობს ქინვანისა და თიანეთის შუა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თიანეთის სამხრეთით მდებარე მთას (რომელიც ტყით არის დაფარული) დაწვებული ბოლდვის მთიდან ქალეთამდე, დღესაც ხალხი უწოდებს

<sup>15</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 101.  
<sup>16</sup> იქვე, გვ. 89.  
<sup>17</sup> იქვე, გვ. 89.  
<sup>18</sup> იქვე, გვ. 89.



კობს, კობის ტყეს, რატომ არ შეიძლება ვიფიქტროთ, რომ სწორედ ბოლავი იგივე დაბა ბოლი, ბოლისი თუ ბოლინი მდებარეობდა **კობეთში ანუ იგივე კუხეთში** და არა კახეთში, რადგან, ძველდანიდან „მცხეთად“ (მცხეთისაკენ) წარსული მგზავრი მართლაც კობეთში და მის დაბა შოდავეში მოხვედროდა და არა ბოლდეში, რომელიც პერეთში მდებარეობდა.

წმ. ნინოს დროს არსებობდა კუხეთის დიდი დაბა, ბოლი resp ბოლისი, ბოლინი, სადაც დედოფლად მჯდარა ვინმე სოჯი resp სუჯი. მან სვეტიცხოველს შესწირა თავისი პატარა (აქინი) ქალაქები და „დაბაა დიდი ბოლისი“. ვახუშტისთვის რა არის აღნიშნული კელიშტარ ნუხაში ამის თაობაზე. დედოფალი სოჯი ამბობს: „...ხოლო აწ თუალითა ჩემითა ვიხილე ნათელი გამობრწყინებულ წარმართთა ზედა, ხოლო აწ რამაჲ შევსწირო შენდა, სიონ წმიდაო, ვარნა თუ ესე — პირველად: შექმნირო თავი ჩემი შენდა შვილითურთ და ნათესავით სარწმუნოებით ჩემით, და მეორედ: ქალაქნი კინი(!)/პარათიანი (!) და დაბაა დიდი ბოლისი შენდა შევსწირნა“<sup>19</sup>.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს „კინი პარათიანი“ განმარტებას. ეს, ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს „კინი რაბათიანს“, ე. ი. ქალაქები, რომლებსაც აქეთ პატარა რაბათები, ანუ გაღვნით შემოზღუდული ცენტრი.

მეტად საინტერესოა, აგრეთვე, ის ადგილი, სადაც მითითებულია რომ ეს დედოფალი სოჯი შიშველი ფეხით და არა ეტლით მისულა. მცხეთას არაგვის ვადასახეთი. „და არღჳრა აღჳდა ეტლსა ზედა, არამედ ტერფნი მისნი შიშველნი მიწსა და ქვათა ზედა მოვიდოდეს.“

და მოიწია მდინარესა ზედა არაგუსა“<sup>20</sup>. უფრო მეტად სარწმუნოა, რომ წობენის მალა მთიდან, ბოლავიდან და არა პერეთის ბოლბედან მოსულიყო დედოფალი შიშველი ფეხით მცხეთამდე. ჩვენი, ამით იმის თქმა გვინდა, რომ დაბა ბოლი უნდა იყოს იგივე დღევანდელი ბოლავი, სადაც გარდაიცვალა წმ. ნინო და იქვე დაკრძალეს.

ნუთუ ანგარიში არ უნდა გავწიოს იმას, რომ ბოლი ან ბოლისი და ბოლინი მხოლოდ კუხეთს, ცხოვის, კობეთს უკავშირდება და არა პერეთს. სად არის დღესაც კობი-კობეთი-კახოიანები-კახოშვილები და ვახიშვილები? ბოლავთან ახლოს არა ბოლბესთან. საუფრადღებოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სოფ. კახიანს მიუთითებს თიანეთის პროვინციაში.

კუხეთი და კახეთი ადამიანთა სახელებიდან კახოს და კუხოს წარმოშობილი სახელწოდებია. კახეთისა და კუხეთის განმარტება პირველად ვახუშტი ბაგრატიონის ეკუთვნის.

დედოფალი სოჯი (სუჯი) ნამდვილად ვინ იყო, კახეთის თუ კუხეთის დედოფალი? ანუ სწორედ თუ კუხეთის ვადამპრელი პასუხს ვაცემა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარწმობას, რომ კახეთის ცენტრი ამ დროს უდავოდ წყარბაში იყო, ხოლო იქიკი მეფის ძე რევი და დედოფალი სალომე ცხოვრობდნენ, შეიძლება ვიფიქტროთ, რომ დედოფალი სოჯი იყო კუხეთისა და სუჯეთის გამგებელი და მისი რეზიდენცია ყოფილა დაბა დიდი ბოლი-ბოლისი-ბოლინი და არა ბოლბე.

წმინდა ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბევრს რამ არასანდოდ გამოიყურება. ისიც კი არ ეუბნება თუ რომელ პუნქტებში გაჩერდა და იქადაგა მან ქრისტიანული იდეოლოგია. მაგალითად, გ. წერეთელი, ვახუშტი „ქვალში“, 1895 წლის № 4-ში ასეთ რამეს წერდა: „ცოტა ხანს შემდეგ წმინდა ნინო წავიდა ზემო, ერწო-თიანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში და ყოველგან იქადაგა ქრისტიანობა, მერე ვადმოვიდა კახეთში და ბოლბის ქალაქში ვახთა ავათ. აქ მის სანახავათ მოვიდნენ მირიანის შვილი რევი, რომელიც იყო კახეთის მეფე და ცოლი მიწის სალომე უჯარმელი. სიკვდილის ეამს წმინდა ნინოს ცხოვრება მისივე სიტყვით დაწერეს პეტროვ ავრისენელმა და რევის ცოლმა სალომე უჯარმელმა. წმინდა ნინო მიიცვალა 14 იანვარს, 338 წ. ქრისტეს აქეთ და დიფლა ბოლბეს. სამწუხაროა, რომ მისი დღესასწაული ამ ჩვენს დროს საყოველთაოდ არ არის დაკანონებული საქართველოში“. ეს არის ისტორიული ფაქტების დამახინჯების ნიმუში. ასევეა დამახინჯებული ფაქტები წიგნაკში: „ცხოვრება ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოსი“ გამოც. რ. ბარამიძისაგან. 1899 წ. აი რა წერია აქ: „ამის შემდეგ წმინდა ნინომ იოანე ეპისკოპოსი და ერთი ერისთავი გაიყოლია და წავიდა დუშეთ-მთიულეთისკენ. უქადაგა და მოაქცია პართალენი, ფხოველნი და გუდამაყრენი. იქილამ ჩამოვიდა ეჩნეანს, გადავიდა არაგვის მარცხენა მხარეს, მივიდა დაბა ედემს და დანათლა ერწო-თიანელნი. იქილამ კაწარეთს წავიდა და უჯარმო-სავარეჯოელნი მოაქრისტიანა. მერე ვადვიდა შიგნით კახეთში, ყვარელი ვანვლო და მივიდა კუხეთს, აქ მთავალი ხალხი მოდიოდა წმ. ნინოსთან და იმის დარჩებასა და მოძღვრებას, ისმენდა და ინათლებოდა. აქედამ წმინდანი წავიდა რანისაკენ (განჯის მხარეს) წმინდანს სურდა მირიანის სიძე რანის მთავარი ფხოზოხი მოეცქია, მაგრამ ბოლბეს რევი მოვიწია, დასნეულდა, რანს წასვლა ველარ შესძლო და ბოლბეშივე ერთს ბუჩქის ძირას დაბინჯა. ეს შეიტყო მირიანის ძემ რევემა და იმისმა შეუძლებ სალომემ, რომელნიც იმ დროს უჯარბაში

**ჯიგო ლომაჯილი,**  
**ვლადიმერ აბრამიშვილი**  
გოდისა და გოდისის მისახება.

<sup>19</sup> დასახ. შრომა, გვ. 99.  
<sup>20</sup> იქვე, გვ. 99.

სტებრობდენე, მივიდნენ წმინდანთან და თან  
ეს ამბავი მეფე მირიანსა და დედოფალს ნანაა  
შეატყობინეს<sup>21</sup>.

როგორც დავინახეთ, აქ, ამ გამოცემებში,  
ბევრი რამ არეულია და არ შეესაბამება სი-  
ნამდვილეს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ წმ. ნინო არ  
ყოფილა არც ენციკლი, არც უყარმაში და არც  
ყვარელში. არაფერ იცის იმ დროს არსებობდა  
კი ენციკლი, ან ყვარელი? ყვარელი ხომ წარ-  
მოშობილია სოფ. ყვარლანდ (არტნის ხეობაში  
იყო, თაინთის რ.) გაქცეული ხალხისგან. ამი-  
ტომაც ეწოდა „ყვარელი“ ე. ი. ყვარლანდ ჩა-  
მოსულები. ანდა აეთი შეუსაბამობა „ყვარელ  
განვლთ და მივიდა კუხეთს“. გამოდის რომ  
ბოლბუტ კუხეთში ყოფილა!

გასარკვევია, ავტოტყუ. ის თუ ვინ წააყუ-  
წმ. ნინოს, ახლდა თუ არა მას თან ეპისკოპო-  
სთან მოგზაურობაში? ეს რომ ასე ყოფილი-  
ყო, წმ. ნინო რატომღა მოსწერდა წერილს მე-  
ფე მირიანს და შემოუტყდა: „აჲ ამქსევე  
გმსა მოაშუქრევით ჩემდა წმიდა გგ მქამდ-  
ნთაგარი და მწყესი კეთილი სამწყსოთა სუ-  
ღიერთა“. მირიან მეფემ და დედოფალმა ნანამ  
მართლაც მიაღიენეს მთავარეპისკოპოსი იო-  
ანე, რათა მას წამოეყვანა წმ. ნინო მცხეთაჲ,  
მაგრამ მან ეს არ ინება. მაშინ მეფე და დედო-  
ფალი თვით ეწვივნენ დაბა ბოდს, სადაც გარ-  
დაიცვალა და იქვე დაკრძალეს წმ. ნინო.

იგი ლოლავილი აცხადებს, რომ სიტყვა  
„ბოდი“-სთან ყოველთვის გვხვდება „დაბა“,  
რომელიც განსაზღვრავს დასახლების ხასიათს:  
„დაბა ბოდისა“, „დაბა ბოდისი“ და „ბოდის  
დაბა“. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სი-  
ტყვა ბოდ ბოდიან ხშირად გვხვდება სხვა სია-  
ტყვებთანაც. ბოდო-კლდე, ბოდახევი, ბოდავის  
მთა, ბოდავის ციხე, ბოდო ზოვი და სხვ.

„ბუთ“ სულ სხვა სიტყვაა და „ბოდ“-ი სულ  
სხვა. ბუთ-სიტყვა სპარსულია და მართლაც  
კერპს ნიშნავს. ბუთ-ხანა კერპის სახლს ნიშ-  
ნავს. ჩვენში არის ცაიის სახელიც „ბუთო“,  
ე. ი. ჩემო კერპო, ჩემო ბუთო. ცხადია ბუთხა-  
ნადან არის წარმოქმნილი გვარი. ბუთხაშვილი.  
ასევე გვარი ბუთხუზი და ბუთხუზაშვილი, რაც  
ნიშნავს კერპის მსახურს, კერპს დამორჩილე-  
ბულს. ისეც სპარსული სიტყვაა „ხუზი“ ნიშ-  
ნავს დამორჩილებულს.

იგი ლოლავილი თუ დავუჩერებთ, მაშინ  
უნდა გვქონდეს ბუთბე, ბუთბელი (ეპისკოპო-  
სი) და სხვა მისთანები. მაგრამ, როგორც ზე-  
მოთ დავინახეთ სიტყვა ბოდი არის ქართული  
წარმოშობისა და არაეთიარი კავშირი არა აქვს  
კერპთან (ბუთ-თან). „ბოდო“ ერთ-ერთი ინდო-  
ტომის სახელიც ყოფილა. „ბოდე“ — კი ცაიის  
სახელია ევროპაში. ხევისურეთში შატლიანს

უწოდებენ შატლიში მცხოვრებს, ხოლო ავ-  
რანეთში არის შატლიონი დეკანოზი.  
არაქედ მრავალი. იქ კომკებს უწოდებენ  
ლიონს. შეიძლება ეს დამთხვევა რაღაც კავ-  
შირშია, ანდა სრულიად შემთხვევითია. მართა-  
ლია ზოგი წყარო „ბოდ“ ფორმის ნაცვლად  
„ბუდ“ ფორმის ხმარობს, მაგრამ „ბუთ“ ფორ-  
მისთან მას არავითარი კავშირი არა აქვს. არ-  
სებობას მეგრული გვარი „ბოდოცია“, არც ამას  
არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს „ბუთ“  
ფორმისთან და ეკრბთან.

უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ბოდ-ბო-  
დო დავაწირობებულია კლდესთან ბოდა-ხევიც  
ბომ კლდიან ხეცს ნიშნავს, ასევე ბოდორნა  
კლდოვან, ციკანო მამარლიან მთას. აბა გავა-  
სენოთ ქართული მითოლოგიიდან. თუშები ხომ  
კლდეს ლოცულობდნენ. აი რას წერს ამის შე-  
სახებ ვახუშტი ბაგრატიონი: „აჲ მწყესის ალა-  
ვერდელი, შიშტაცე ხარჯაშინისა. არს ეკლესია  
მკირე, აღმუწებული ძველთვე, და უფისო ზუ-  
ციესნი, არაჲთუ უშეტეს უფნობელნი ქეშმარ-  
ტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მა-  
ღალი, და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა  
მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა  
და ძროხასა, და თაყვანისცემენ კლდესა მას,  
და არ იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უშე-  
ტეს ყოლინს იგი“<sup>22</sup>.

ასევე მეტად საყურადღებოა ბ. აბაშიძის  
შტკოცება, რომ „ქრისტიანობის წინამორბედ  
მითარქოზის ფუძემდებელი ღვთაება მითარ-  
მებრძოლი, ციკლური ენერჯის მატარებელი  
— კლდიდან იშვა, ამიტომ მისი სამლოცვე-  
ლოები გამართული იყო კლდში, სადაც კლდე  
და გამოქვაბული არ იყო, აშენებდნენ. წმ. გი-  
ორგის უძველესი სახის თაყვანისცემაც კლდის  
გამოქვაბულთან იყო დაკავშირებული კავკასია-  
ში. კლდეში იშვა აგრეთვე ცეცხლის სახით  
ნართი სოსლანიც“<sup>23</sup>.

შემთხვევითად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს  
ის ფაქტი, რომ წმ. ნინომ მცხეთის პირდაპირ  
სწორედ მაღალი კლდე ამორჩია ჭვრის ალა-  
მართავად, სადაც შემდგომში აგებულ იქნა  
ჭვრის მონასტერი. არც ის შეიძლება შემთხვე-  
ვითი იყოს, რომ წმ. ნინომ წობენთან (ამჟამად  
სოფ. ზემო ჩინთთან) არსებულ დიდ ქვაზე შემო-  
გარმა უქადავა ქრისტიანობა წილკანელებს,  
ქართალებს და გულდამაყრელებს. ამ ქვას ამ-  
ჟამადვე ნინოს ქვას უწოდებენ ადგილობრივი  
მაცხოვრებლები<sup>24</sup>.

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ქვასთან იყო  
ძველი სარწმუნოების — კერპთაყვანისმცემ-  
ლობის ცენტრი.

<sup>21</sup> ცხოვრება ქართულითა განმანათლებელს  
წმ. ნინოსი, გამოც. რ. ბარამიძისგან. 1895 წ.,  
გვ. 37.

<sup>22</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა... გვ. 105.  
<sup>23</sup> „მაცნე“ № 3, 1971, გვ. 83. ბ. აბაშიძე,  
წარმართული ღვთაებათა საკითხი...  
<sup>24</sup> ნინოს ქვის თობაზე ცნობა მოგვაწოდა  
რ. რამიშვილმა, რაზეც მადლობას მოვახსენებ.



სიტყვა „ზოდ“ არა აქვს განმარტებული სულხან-საბაძე, მაგრამ, სამკვირროდ, სიტყვა „კბო-ღე“ ან აქვს ახსნა: „კბოღე — ზღვისა და წყლის პირი კლდოვან-ფლატოიანი ჩაუქვალი. კბოღე არს წყლის პირი კლდოვანი ძნელად შთანაველი და ჩაქცვალის. კბოღე არს წყლის პირი კლდოვანი“.

ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ზორნაბუჯი დასავლეთი არს **ზოდბისკევი**, პირველ წოდებულ ზოდა, გამოშინარე ცივის მთისა; მოდის ჩრდილობამ სამკრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით. ამ ქვესა ზედა არს **ზოდბეს ეკლესია** გენათიანი, დიდშენი, შეენიანი. აქ მიიკვლია წმინდა ნინო და დედოფლა ავაგე... ალაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია ემეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქრისიანთა და ვიდრე ენდობამდე...“<sup>25</sup> გენათიანი ეკლესია არ შეიძლება IV საუკუნეში იყოს აგებული. ჩვენ შეტად ხელოვნურად და მეცნიერულად დაუხატებლად მიგვაჩნია ავაღ. გ. ჩუბინაშვილის მტკიცება თითქოს ზოდბეში იყო IV საუკუნის ბაზილიკის ნაგებობა და ამის ნაშთები დღესაც შეიმჩნევა. ზოდბე შეიძლება წარმოშობილყო მხოლოდ ვახტანგ გორგასალის შემდეგ, ე. ი. მერ საუკუნის დასაწყისში და არა მეოთხე საუკუნეში.

დარტრატებულ აღამიანს შეუძლია გაიციოს ავაღ. გ. ჩუბინაშვილის — «**Архитектура Нахети**» და დარწმუნდება იმაში, რომ პატრიკეფული მეცნიერი თვითონაც არ არის დარტრატებული თავის მოსაზრებების სისწორეში. ეს იძულებულია დაეთანხმოს ისტორიულ ტრადიციას — თითქოს წმ. ნინო ზოდბეში გარდაიქმალა და იქვეა მისი საფლავი.

ჩვენ იმ აზრის არა ვართ, რომ წმ. ნინოს საფლავი არ შეიძლება ზოდბეში არსებობდეს. არა, შესაძლებელია, წმ. ნინოს ნეშტი ზოდბე-დან, სადაც ის გარდაიცვალა, გარკვეული ხნის შემდეგ, მართლაც გადასვენეს და დაკრძალეს ზოდბეში (პერეთში) და ამიტომაც ეწოდა მეორე ზოდი ანუ ზოდბე. ცხადია, ზოდბელ ეპისკოპოსებსაც პატივს სცემდნენ იმის გამო, რომ წმ. ნინოს საფლავი აქ, ზოდბეში იყო. მაგრამ, კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ წმ. ნინო არ შეიძლება გარდაცვლილიყო ზოდბეში, პერეთში და ის ნამდვილად კუხეთის დაბა ზოდბეში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. მეფე მირიანმაც იქვე აუგო ეკლესია დიდშენი. აი რას მოგვითხრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჭელოშორი ნუსხა, მეფე მირიანის ამბობს: „მამინ შესამეხსა დღესა ძლით სამე დაემარბეთ ყოლაღვე ღუაშ-ლით შემოსილი გუამი მისი დიდთა პატეიითა და დიდებთა ბოდს შინა, დაბასა კოხეთისასა. და ეიგლოვე საფლავსა ზედა წმიდისა მისას:“ (ე. ი. 7, შეიდი — ჯ. დ. ვ. ა.) დღეს სამეფოქალაქი ჩემოთრთ. და აღვაშენენ მას ზედა

ეკლესიამ ფრიად დიდი და შევაკვე იგი ქობ-ლითა სამკაულითა“<sup>26</sup> ხოლო შატბერდულ ნუსხა იმაზედაც კი მიუთითებს, რომ **მარტყოველი იგი**“<sup>27</sup> სადაც გარდაიცვალა წმ. ნინო **წმინდა მისი** არა მეფეთა საფლავი. მეფე მირიანის ასეთ ანდერძს უტოვებს დედოფალს და მემკვიდრეს: „ხოლო, შენ, ნანა, უკეთებ გეცეს მოცალეობა ცხოვრებისა და შემდგომად ჩემსა, ვანავე სამეფო-ვოა ჩემი ორად და მიიღე სამარხვისა წმინთისა ნინოასისა ეამთა შეცვალეებისათვის, რათა არა შეირყოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა საფლავი არს, მწირ არს ადგილი იგი“<sup>27</sup>. ცნობილია, რომ ზოდბის ვარშევი მღვდელი არა და ნოყურთი მინება, ხოლო ზოდბის ანლო-შახლოც კი არ არის სახნავ-სათესი მიწებები. ეს გარემოება იმაზე მოგვანიშნებს, რომ წმ. ნინო ზოდბეში კი არა ზოდბეში ანუ ზოდბეში გარდაიცვალა. და ამ მწირ ადგილს არის აგებული ზოდბე-ფუძნარის დიდი მონასტერი, რამელიც ავაღ. გ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებულია XIII საუკუნით. მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზოდბე-ფუძნარის ეკლესია XIII საუკუნეში ახლად კი არ არის აგებული, არამედ ამ პერიოდში მოუხდენიათ მისი რეკონსტრუქცია. ცხადია, მირიან მეფეს არ შეეძლო გუმათიანი ეკლესიის აგება. იმ დროს მხოლოდ ბაზილიკა იყო შესაძლებელი. აქვე უნდა შევიხსნათ, რომ ზოდბე-ფუძნარის, ან კიდევ როგორც მას ხშირად უწოდებენ ფუძნარის მონასტერს ვახუშტი ბაგრატიონი არ იცნობს და არც ასახელებს ფუძნარის სახელწოდებით. ვახუშტი წერს: „ამ ეინვანს ქვეითი ერთიის შავს-არავს ქვეი ზოდბისა, გამოსდის წინასწებულს ხერცის მთას და აწ თანხითისა, მოდის აღმოსავლეთითა დასავლეთად. ზოდბეს არს მონასტერი გუმათიანი, დიდ-შენი, შეენიარს ადგილს და აწ ცარიელი“<sup>28</sup>.

შეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოში არცერთ მონასტერს ან ეკლესიას არ ჰქვია **ფუძნარი**. რას ნიშნავს სიტყვა ფუძე? სულხან-საბა ასე განმარტავს ამ სიტყვას: „**ფუძე** ფუძე, საძირკველი, ვინა სამკვიდრებელი“<sup>29</sup>. ხოლო სიტყვა „ნარი“ ესე იგი გალაკანი ანუ ციხე“<sup>30</sup>. საბას განმარტებით ნარი ღობესაც ნიშნავს და გალაკანსაც. ცხადია, იმ დროს ღობეს ან გალაკანს ქვეით აგებდნენ. და მართლაც ამჟამადაც არის ფუძნარის მონასტრის გარშემო დიდი გალაკანის ნაშთები, მაშასადამე სიტყვა „ფუძნარი“ ნიშნავს „გალაქნიან სამკვიდრე“

<sup>26</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 161-162, ხაზგასმე ჩვენი — ჯ. ლ. ვ. ა.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 162.

<sup>28</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა... გვ. 93.

**ჯიგო ლომავშილი,**  
**ვლადიმერ აზარამიშვილი**  
ბოდბისა და ბოდბის შესახებ

<sup>25</sup> ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა... გვ. 97.

ბელს“. ვისი სამკვიდრებელი უნდა ყოფილიყო მიუვალ, კლდოვან ბოლდვში და რატომ და ვისთვის უნდა აეგოთ ასეთ ადგილზე „ფრიალ დიდი“ მონასტერი და სამკვიდრებელი? უდავოა, სწორედ ბოდა-ბოდი-ბოდისი-ბოდავი იყო წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი. მაგრამ განა მართო ამით იქნებოდა ეს დასახლებული პუნქტი იმდროისათვის მეტად მნიშვნელოვანი? დაბა ბოდს (იგივე ბოდავს) მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია, არა იმიტომ, რომ ის ხალხმრავალი ყოფილა, როგორც ეს ჰგონია ბრძოლ. ივ. ლოლაშვილს. არ არის სწორი, თითქოს ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებაში“ იმოწმებდეს ნინო განმანათლებლის სიტყვებს იმის დასამტკიცებლად, რომ ბოდსა შინა ერის სიმრავლეაო. აი რას წერს. ივ. ლოლაშვილი: „ამაშინ ბოდი (ანუ ბოდ-ბე) მჭიდროდ დასახლებული დაბა ყოფილა“: „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი იმოწმებს ნინო განმანათლებლის სიტყვებს — „ერისა სიმრავლე არს ამას (ბოდსა, ი. ლ.) შინა“-ო.<sup>29</sup> დღემდე არც ერთ მკვლევარს ეს ადგილი ასე არ ესმის და ჩვენთვის გაუგებარია, ბრძოლ. ივ. ლოლაშვილი რატომ იძლევა ასეთ განმარტებას? ჩვენ იძულებული ვართ მოვიტყუოთ ეს ადგილი ყველა ძირითადი წყაროს მიხედვით და გასაკვები ვახდებთ, რომ ერის სიმრავლეზე ლაპარაკია არა „ბოდსა შინა“, არამედ მეფეთა ქალაქზე, უჯარმზე.

ლეონტი მროველი წერს: „და ერთი (ჯვარზეა ლაპარაკი — ჯ. ლ. ვ. ა.) მიეც სალომეს, მკველასა ქრისტესსა, და აღმართის უჯარმას ქალაქსა. რამეთუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა წინააღმდეგს ქალაქსა მეფეთა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა. ბოდის კელა დაბა თვთ იხილოს სათნო იგი ადგილი ღმრთისა“<sup>30</sup> „რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა“ ეხება მეფეთა ქალაქს — უჯარმს და არა ბოდს, დაბასა კუხეთისასა“<sup>31</sup>. ეს ასევე ესმის დ. მუსხელიშვილს, ცხადია, სრულიად მართებულად.

ეს ადგილი შატერადული ნუსხის მიხედვით კი ასე იკითხება: „და აღმართის იგი უჯარმას ქალაქსა. და დაბა ბოდისი არა წინააღმდეგს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლემ არს მუნ. დაბა კელა ბოდისი თვთ ვიხილოთ, სათნოა იგი ადგილი ღმრთისა“<sup>31</sup>. ხოლო ჰელოპის ნუსხის მიხედვით ასეა: „რათა აღმართის უჯარმას ქალაქსა, რათა დაბა ბოდისი არა წინააღმდეგს საფლომელსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ ფრიადი, ბოდისა დაბა თვთ ვიხილოთ, სათნოა იგი ადგილი ღმრთისა“<sup>32</sup>.

აქ ყველაფერი ნათელია. დაბა ბოდში რომ უფრო მეტი ხალხი (ერი) ცხოვრობდა, უფრო მეტი უნდა აეგოთ ასეთ ადგილზე „ფრიალ დიდი“ მონასტერი და სამკვიდრებელი? უდავოა, სწორედ ბოდა-ბოდი-ბოდისი-ბოდავი იყო წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი. მაგრამ განა მართო ამით იქნებოდა ეს დასახლებული პუნქტი იმდროისათვის მეტად მნიშვნელოვანი? დაბა ბოდს (იგივე ბოდავს) მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონია, არა იმიტომ, რომ ის ხალხმრავალი ყოფილა, როგორც ეს ჰგონია ბრძოლ. ივ. ლოლაშვილს. არ არის სწორი, თითქოს ლეონტი მროველი „მეფეთა ცხოვრებაში“ იმოწმებდეს ნინო განმანათლებლის სიტყვებს იმის დასამტკიცებლად, რომ ბოდსა შინა ერის სიმრავლეაო. აი რას წერს. ივ. ლოლაშვილი: „ამაშინ ბოდი (ანუ ბოდ-ბე) მჭიდროდ დასახლებული დაბა ყოფილა“: „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი იმოწმებს ნინო განმანათლებლის სიტყვებს — „ერისა სიმრავლე არს ამას (ბოდსა, ი. ლ.) შინა“-ო.<sup>29</sup> დღემდე არც ერთ მკვლევარს ეს ადგილი ასე არ ესმის და ჩვენთვის გაუგებარია, ბრძოლ. ივ. ლოლაშვილი რატომ იძლევა ასეთ განმარტებას? ჩვენ იძულებული ვართ მოვიტყუოთ ეს ადგილი ყველა ძირითადი წყაროს მიხედვით და გასაკვები ვახდებთ, რომ ერის სიმრავლეზე ლაპარაკია არა „ბოდსა შინა“, არამედ მეფეთა ქალაქზე, უჯარმზე.

როდესაც მეფე მირიანს და წმ. ნინოს მოახსენეს თუ სად ჩაესვენა დასავლეთით და აღმოსავლეთით წასული ვარსკვლავები, გადაწყვეტეს ჯვარების აღმართვა არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩვენ ვიტყვით, რომ ქალაქ უჯარმზე არაფერი მოახსენეს იმ პირებმა, რომლებიც ვარსკვლავების მოძრაობას ადგენებდნენ თვალყურს, მაგრამ წმ. ნინომ კი ურჩია ამეფეს ერთი ჯვარი გაეგზავნათ ქალაქ უჯარმში, სადაც სთვარობდა „ქრისტესს ჰემ-მარიტი მკვეალი“ და „მონა ქრისტესი“ (წმ. ნინოს სიტყვებია) სალომე უჯარმელი და მისი მეუღლე მირიანის ძე — რევი. და რადგან ასე მოიქცნენ, წმ. ნინო ამართლებს თავის რჩევას და გადაწყვეტილებას და ასე ასაბუთებს: რადგან ერის სიმრავლეც არის და მეფეთა საფლომელიც, ქალაქ უჯარმს მიანიჭა უპირატესობა. ხოლო დაბა ბოდს კი მე თვით ვიხილა, რადგან ის ადგილი სათნოა და ღმრთის, ე. ი. ვარსკვლავის, ამორჩეული, სადაც ის ჩაესვენა. წმ. ნინოს დაბა ბოდი მიანიჭა ღმრთის ადგილად. ამის გამო ამბობს ლეონტი მროველი: „მუნ მივიღეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თუთ დაფლვა მეფისაგან, შეხედვებითა ღმრთისათა: სიმდაბლისათვის ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო.“<sup>33</sup> სიტყვა შეურაცხი ნიშნავს — უბრალოს, ანგარიში არ ჩასვლვებს, უმნიშვნელოს. ე. ი. ნინოს უნდოდა შეეშინეველ, უბრალო, მაგრამ წმიდა ადგილს, დაბა ბოდში დაეკრძალათ მისი გუამი. და მართლაც ასე მოიქცნენ. მწირი, ღარიბი ადგილი იყო ბოდისის შთა, სადაც გარდაცვალა წმ. ნინო და პირველად, ცხადია, იქვე დააახლდავეს.

ჩვენ ვფიქრობთ დაბა ბოდში იყო აგრეთვე წარმართული ღმერთების, კერძების ადგილიც, დიდი რელიგიური ცენტრი. აგრეთვე, როგორც ჩანს, იქ იყო დედოფალ სოკრის რეზიდენციაც. წმ. ნინო, უდავოა, შემთხვევით არ შეარჩევა დაბა ბოდს. მან ხომ პირობაც დადო მეფისა და ერის (ხალხის) წინაშე მცხეთაში, რომ თვით იხილავდა დაბა ბოდს, რადგან ბოდში გასაგზავნი ჯვარი სალომე უჯარმელს შეატანეს და ბოდლებს რომ არ ეწყინოთ მე თვით ვიხილავო დაბა ბოდს.

<sup>29</sup> „მნათობი“ № 9, 1971, გვ. 145.  
<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 121.  
<sup>31</sup> ძველი აგოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 150-151.  
<sup>32</sup> იქვე, გვ. 150-151.

<sup>33</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 128.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობაზე ბოლბისა და იქ წმ. ნინოს საფლავის არსებობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ჩვენი მოსახრებით, შესაძლებელია მეხუთე საუკუნის ბოლოს და მეექვსე საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ბოლბე, უფრო სწორად, ბოლბის ეკლესია, რადგან არც ერთი წყარო არ ასახელებს ბოლბეს როგორც დაბას ან სოფელს, მით უმეტეს ქალაქს. ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მეფე ბაგრატმა „შეამკო საფლავი მისი და ეკლესია“. ბოლბელი ეპისკოპოსი მხოლოდ 506 წლიდან ჩნდება, როცა ის მონაწილეობს დედნის საეკლესიო კრებაზე. მანამდე არავითარი წყარო ან საბუთი არსებობს საეპისკოპოსოს შესახებ არ არსებობს. როგორც ზემოთ დავინახეთ, ბოლბე (იგივე ბოლბე) უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ბოლბე. ხომ ცნობილია „ბოლბენი მღვდელნი“ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე. წყაროები ასახელებენ მხოლოდ „ბოლბელ მღვდლებს“ და არა ბოლბელებს. ბოლბისხევიც მეორადი წარმოშობისაა, ხოლო ბოლბის ხევი (ავრეთვე ბოლბახევიც) პირველადი. მთავარი ის არის, რომ ბოლბა resp. ბოლბე იყო კუხეთში, ხოლო ბოლბე კი პერეთში, რა გვეჩვენებდა შეიყვანა შედღომამში ვახუშტი ჩვენთვის გაუგებარია. მაგრამ, როგორც ჩანს შესაძლებელია, არც იყოს საფუძველს მოკლებული ვახუშტის მტკიცება, რომ წმ. ნინოს საფლავი ბოლბეში არსებობს. ცხადია, პირველად წმ. ნინო არ შეიძლება დაქრატული ყოფილიყო ბოლბეში (პერეთში). უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლბეიდან ბოლბეში გადაასვენეს წმ. ნინოს ნეშტი, იქვე ააგეს სათანადო ეკლესია და ბოლბის საეპისკოპოსოც დააარსეს.

ისტორიიდან ცნობილია, რომ მეხუთე საუკუნის 20-იან წლებში, მირდატ მეფის დროს, სპარსეთმა დაამარცხა რა ქართლის სამეფო და შეიპყრეს თვით მეფე მირდატ, რომელიც წაიყვანეს ბაღდადს, სადაც ის გარდაიცვალა, „დაიპყრეს ქართლი სპარსთა, და განრყველეს ეკლესიანი, და დამალეს ჭურბები ქართლეთა, და ყოველია შინა ეკლესიათა ცეცხლის-მსახურთა სპარსთა აღაჯუნეს ცეცხლი“<sup>34</sup>. სწორედ ამ დროს „განრყვეს“, ალბათ, ბოლბის ეკლესია, რომელიც მირიან მეფემ ააგო წმ. ნინოს საფლავის საიდებლად.

ახლა შევეხოთ თვით წმ. ნინოს მარშრუტს, საიდან დაიწყო მოგზაურობა და სად დაამთავრა თავისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

მცხეთიდან წმ. ნინო, იაკობ მღვდელისა და ერთი ერის მთავრის (ანუ ქარის მთავარსარდლის) თანხლებით პირველად მიემართება ჩრდილოეთისკენ, კერძოდ წობენისკენ, სადაც თავს მოუყრიან ჭარბალელებს, წილკანელებსა და ფხოველებს, ზოგიერთი ცნობის მიხედვით კი გუდამაყრელებს. იმდროინდელ წობენის ტერი-

ტორიაზე ამჟამადაც არსებობს ე. წ. წმ. ნინოს ქვა (კლდე), საიდანაც მთიელ ხალხს უჭადავებენ ქრისტიანობა. „ხოლო მათ განუყარებენ ე. წ. წმ. ნინოს მიღებაზე, მონათვლაზე, მოჭკევაზე უარს განაცხადეს. მაშინ აერისთავან მკორედ წარმართა მახვლი, და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დაღუწად“. მართალია წმ. ნინო უმტკიცებდა მეფე მირიანს, რომ მახვილით არ შეიძლება ქრისტეს რჯულის გავრცელება, მაგრამ როგორც ირკვევა ძალის გამოყენება აუცილებელი გამხდარა, თუმცა „მკორედ“ წარმართათ მახვილი წარმართთა წინააღმდეგ.

წობენიდან წმ. ნინო „გარდავიდა ერწულ და დაღა ქალეთს, დაბასა ეღმეს, და ნათელს-ცა ერწულთიანელთა“. ჩვენ არ ვანგმარტავთ ერწოს და თიანეთს, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ქალეთი და დაბა ეღმე ერთიდაიგივე დასახლებული პუნქტია. საბა განმარტავს, რომ „ეღმეში — ესე გამოითარგმანების შეება, გინა ქვეყანა წითელი“. ქვეყანა, ცხადია აქ მიწას, მამულს ნიშნავს. „ეღმე-მწითური, გინა მეწამული, გინა ქვეყანა“; „ეღმე-შეება, გინა ქვეყანა წითელი ჩვენებურად ეღმე-ფუფუნება ჩვენებრივ ეღმე ფუფუნებისა“. საბა ასევე განმარტავს სიტყვა ფალს — „ეღმე-შე-მწითლო“. სიტყვა ქალიდან არის წარმოშობილი ქალეთი ანუ შავ-მწითლო ქვეყანა, მიწა. მართლაც, დღესაც, ყველას შეუძლია თვალნათლივ დარწმუნდეს, რომ იქ, სადაც ქალეთი ანუ დაბა ეღმეში არსებობდა მიწა შავ-მწითლოა, ქალური ფერისაა.

ქალეთიდან ანუ დაბა ეღმეშიდან წმ. ნინო „შთავიდა კხოთა და დაღა კაჭარეთს“. აქვე უნდა გაეიხსენოთ, რომ ერწო-თიანელთა მონათვლის დროს, ივრის მცხოვრებენი სოფ. ყვარადან — ყვარელნი („ყუარელნი“) თუშეთს გაიქცნენ. „ხოლო ყუარელთა რამ ესმა ესე, შემინდეს და თოშეთს გარდაიბრეს“.

შემდეგ წმ. ნინომ კაჭარეთში (დღევანდელი ხაშის ახლოს, სამების მონასტრის ტერიტორიაზე) „მონათლნა კხოელნი (კახნი) და სოჯნი (სუჯნი) ერთითურთ მათით“.

კაჭარეთიდან წმ. ნინოს სურდა რანს წასვლა და მირიანის სიძის ფეროზის მოქცევა. მაგრამ მან ეს ვეღარ შეძლო, არც უკარმა ინახულა და ისევ უკან გაბრუნდა ქალეთის გზით და „გარდავიდა დიდად კახეთად და დაღა ქველ (ქველ) დაბას“. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ბუნქტი არც „ქველ“ და არც „ქველ“ დაბას არ წარმოადგენდა, არამედ „ქველ დაბას“ და ამ ადგილს დღესაც შემორჩა ეს სახელი. თუმცა იქ არავითარი დაბა აღარ არსებობს და მხოლოდ ნასახლარი ადგილებია.

**ჯიგო ლომაჯვილი,**  
**ვლადიმერ აბრამიშვილი**  
ბოლბისა და ბოლბის შესახებ

<sup>34</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139.

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

ძველდაბაში წმ. ნინო მონათლა კახთა მთავარი და „მეფეთა ნათესავნი“. წმ. ნინო ძველდაბაში დასწრებულა. ავად ვახდა და „წარმოვმართა მცხეთალ“ და „მოიწია კობეთად, დაბას, რომელსა ეწოდებინ ბოდისი“. ძველ დაბადან მცხეთისაკენ წაუღლი მგზავრი, უღავეოდ მოხედებოდა კობეთში (ჩავეე კუხეთში) და უნდა გვედლო ბოდავო. თიანეთ-ბოდავის ვხა ვხლაც არსებობს; და ეს ვხა მეტად ძველია და ისტორიული. ბოდავიდან კი პირდაპირ მოჩანს მცხეთის სანახები, ზედაზნის ანუ კუხეთის მთა, აგრეთვე ბოდორნა, რომელიც არ არის ძალიან ძველი, მაგრამ ბოდორნის მონასტერიც ისტორიულია. XIV საუკუნეში ნამდვილად არსებობდა და შეიძლება უფრო აღრეც.

მაშასადამე წმ. ნინო არ ყოფილა არც პერტეში და, ცხადია, არც ბოდბეში. არც ქალაქ უჯარმაში, სადაც რეე და სალომე ცხოვრობდნენ. წმ. ნინომ შეიარტულა აღთქმა „თვით ვიხილავ დაბა ბოდს, რადგან ღმრთის ადგილია“, ძველ დაბასა და ქ. მცხეთას შუა ვხახე არსებობდა არა ბოდბე, არამედ ერენთან და წოზენთან ახლოს მდებარე დაბა ბოდა-ბოდი-ბოდინი-ბოდისი, რომელსაც ვადამწერები ზოგჯერ არასწორად ბოდეს და ბუღესაც უწოდებენ სხვადასხვა მატიაწებში.

საჭიროდ მიგვანინია ბოდავ-ფუძნარის მხარის შესწავლას მიუქცეს მცენიერ-მკვლევართა სათანადო ყურადღება და დარწმუნებულნი ვართ.

რომ ბევრი რამ ახალი გაირკვევა ჩვენი ისტორიიდან, რაც ნათელს ვახდის ზუგ ბოდორნისაკენ საკითხს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვახუშტის მიხედვით ბოდორნა იგივე ბოდავის მთა ან ბოდავის ციხე. „აქეს ვაზნალეთს აღმოსავლით არაგვი, სამჯრით ციხე ბოდავისა და ტანის მთა, დასავლით ვრემის ჭევი და ალგვის მთა, ჩრდილოთ ვართალიც მთა“<sup>25</sup>.

სიტყვა „ბოდ“-ს ან „ბოდო“-ს არავითარი კავშირი არა აქვს ფალატურ-სპარსულ „ბუთ“-თან და ის უნდა ავხსნათ ქართული ენის საფუძველზე. „ბოდორნის“ მსგავსი სიტყვები გვაქვს „ნოკორნა“ „ნოსორნა“, „ბოკორნა“, („ბოკონი“), „ბოტორნა“ და სხვ.

ფშურ კილოში არის ასეთი სიტყვა — „ბოდოშალი“, ე. ი. დიდად მოუწესრიგებელი ქალი. საინტერესოა შეგარულში რას ნიშნავს „ბოდო“, რადგან ვვაქვს ვვარიც და სხველიც „ბოდოკია“.

უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ სიტყვა „ბოდო“ ან „ბოდ“ დავაემორბეულია ციკაბოკლდესთან, დიდ კლდესთან და საერთოდ დიდისა და მალის სინონიმად გვესახება. ვისაც ძალი შესწევს უყეთესად განმარტოს ეს სიტყვა ჩვენ მოხარული ვიქნებოდით.

<sup>25</sup> ვახუშტი... გვ. 64-65.







# ღვანულადი მეცნიერი

ქართული მწერლობის სახელმწიფო მკვლევარს, გამოჩენილ რუსთველოლოგს, თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთ აღიარებულ მეთაურს, აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს შეუსრულდა 70 წელი.

თითქმის 50 წელია, რაც სახელოვანი მეცნიერი მოუღწევდად ემსახურება ქართველი ხალხის დიდი ეროვნული საუნჯის — მდიდარზე მდიდარი ძველი ქართული მწერლობის მზის სინათლეზე გამოტანას.

იგი ღირსეული მოწაფე, გამგრძელებელია თავისი დიდი მასწავლებლების ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის და მომდევნო თაობებისათვის თვითონვე იქცა თავდადებული შრომის, სისპეტაკისა და პრინციპულობის მისაბამ მაგალითად.

დღეს ალექსანდრე ბარამიძე თვითონ არის მრავალრიცხოვანი მოწაფეთა აღმზრდელი და დაბადების 70 წლისთავს ეგებება, როგორც ფუნდამენტური შრომების ავტორი, ფართოდ ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

მის კალამს ეკუთვნის 200-მდე მნიშვნელოვანი გამოკვლევა და წერილი. საყოველთაოდ ცნობილია ალექსანდრე ბარამიძის „ნარკვევების“ 5 ტომი, რომლებიც დღეს უსაჭიროეს სამაგიდო წიგნებად ითვლება უველასათვის, ვინც დაინტერესებულია საქართველოს კულტურული წარსულის შესწავლით. მისი გამოკვლევები და ნარკვევები დღეს თარგმნილია არა ერთ ენაზე და მათ ავტორს დამსახურებული აღიარება მოუპოვეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის მეცნიერულ წრეებში.

სახელოვანმა მეცნიერმა ბრწყინვალე გამოკვლევები მიუძღვნა ქართული კლასიკური ხანის ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორცაა „ამირან-დარეჯანი“

ნი“, „ვისრამიანი“, „თამარიანი“ და „აბდულუმესიანი“, ახლებურად გააშუქა ამ ურთულესი ეპოქის არა ერთი ბნელით მოცული საკითხი.

დაბეჭილებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ჩვენ დღეს ბევრად მეტი ვიცნობთ ქართული მწერლობის ე. წ. „აღორძინების ეპოქაზე“ (მე-15, მე-18 სს.) ამაში უპირველესი წვლილი სწორედ ალექსანდრე ბარამიძეს მიუძღვის. საყოველთაოდ არის ცნობილი ალექსანდრე ბარამიძის გამოკვლევები თეიმურაზ პირველზე, არჩილზე, სულხან-საბა ორბელიანზე, გურამიშვილსა და ბესიკზე.

ფართო ერუდიცია, განსწავლულობა აღმოსავლურ ენებში, მკვლევარს ხელს უწყობდა წარმატებით ეკვლია ლიტერატურული ურთიერთობანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალექსანდრე ბარამიძის მონუმენტური გამოკვლევები, რომლებიც მიეძღვნა „ქილილა და დამანას“ საქართველოში შემოსვლის ლიტერატურულ ისტორიას, „შამანმეს“ ქართულ ვერსიებს, „ამირანდარეჯანიანისა“ და „რუსუდანიანის“ ლიტერატურულ წყაროებს. ალექსანდრე ბარამიძემ თავისი დიდი მოძღვრის კორნელი კეკელიძის კვალდაკვალ საფუძველი ჩაუყარა ძველი ქართული მწერლობის ერთიანი მეცნიერული კურსის შექმნა-ჩამოყალიბებას.

ალექსანდრე ბარამიძის, როგორც მეცნიერისა და მკვლევარის განსაკუთრებული სიყვარულისა და გატაცების საგანია გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა. მრავალზე მრავალი გამოკვლევა უძღვნა მეცნიერმა „ვეფხისტყაოსანს“ და თითქმის არ დარჩენილა რუსთაველოლოგიის სფეროდან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზედაც მას თავისი სიტყვა არ ეთქვას. ალექსანდრე ბარამიძის ფართო, განმარტოვებელი ხასიათის მონოგრაფია „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“ თანამედროვე რუსთაველოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ალექსანდრე ბარამიძემ დიდი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ კვლევაში და ცხოველი მონაწილეობა მიიღო პოემის უკანასკნელი ხანების თითქმის ყველა გამოცემაში.

ალექსანდრე ბარამიძის ფართო მეცნიერულ ინტერესებზე მეტყველებს ისიც, რომ მან არაერთი წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა მე-19 საუკუნის და თანამედროვე მწერლობის მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. იგი მსურველდ ინტერესს იჩენს თანამედროვე ქართული მწერლობისადმი და ჭეშმარიტი სიზარულით ეგებება მის ყოველ წარმატებას.

მუშაობის სტილითა და საქმისადმი უანგარო ერთგულებით მისაბძია ალექსანდრე ბარამიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წლების მანძილზე უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, ამჟამად შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი არაერთი კულტურული წამოწყების მეთაური და მონაწილე. ჩვეული ენერჯითა და პრინციპულობით უძღვება ჩვენი კულტურის მნიშვნელოვან უბნებს და კვლავაც ადგისილია სურვილით, რათა მომავალშიც ასეთივე რუდუნებით ემსახუროს თავის მშობლიურ ხალხს, ჩვენ ახალგაზრდობას—ერის იმედსა და მომავალს.

ვუსურვებთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ცხოვრებისა და შემოქმედების კიდევ დიდ გზას და მსურველედ ვულოცავთ შესანიშნავ საიუბილეო თარიღს.





# ლევანდა გალაკტიონის სხოპრებისა

„მწარე გათიშვა“

შუბლზე მეხება ხელით  
და ვგრძნობ, ცივია ტილო:  
— შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,  
რა გემართება, შვილო!

აბესალომის წერილი ოლია ოკუჩავასადმი (ოციანი წლების მიწურული):

„გალაქტიონი კარგად არის. საუცხოო ხანიათზეა, ლეონოსა და არაყს სრულებით არსევამს, ზის და წერს... ხუმრობს, იცინის და ხშირად საათობით ებასება დედას... ვინ იცის, რაზე, არა?“

დედაც სავსებით გამოცვლილია, გალაქტიონის დანახვისას სახეზე ნაოკები გადაეცლება და ღიმი გაუთამაშებს.

ჩვენ ჭერ არ გვინდა გამოუშვათ, მაგრამ ახლა დაიწყო ტფილისზე საუბარი და ეს იმის წინამორბედი უნდა იყოს, რომ დიდხანს არ გაჩერდება სახლში. მერე თუ სთქვა, ხომ არ შეიძლება იმის გაჩერება“.

სოფელში დროდარო ჩასვლა იყო განწირული ცდა — მისთვის ქაოტურა, გამოუცნობი. ილაგის გამწვევები ყოველდღიურობიდან გაქცევის, ცოტათი მაინც სულის მოთქმისა. აქ თითქოს აღდგებოდა ხოლმე დაკარგული წონასწორობა, თავთავის ადგილს დალაგდებოდნენ სინამდვილის აფუტკნული ხაზები, ფერები, მიმართებანი, ჰქრებოდა კონფლიქტი სხვებთან თუ საკუთარ თავთან. ასეთ დროს (როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, „როს ვუკვირდები თავისთვის და არ ვემდური მეტადა... ფრთები მესხმება, ვიზრდები, ცალ ვიწვევ ასაფრენადა“) კვლავ თავის სტიქიონში იყო თით-

ქოს. კვლავ ძველებურად ხშიანებდნენ „მწყობრი სიტყვები“.

როგორც მენავემ ძველი სანავე, ვით გულმა გული და მკლავმა მკლავი, ისე პირველი ნახვისთანავე ვიციანი ჩვენი მდინარის ნაღი.

ჩემი ყრმობის ხნის, დიდი ხნის წინედ ამ ნაპირებზე, სავსემ მწვანეთი, იყოდა, საჭვე, რა გულმოდგინედ დავიმეგობრეთ ჩვენ ერთმანეთი.

ასეთ დროს ჩნდებოდა ილუზია, რომ სულმა კვლავ დაიპყვიდა სიმშვიდე და ჰარმონია, რომ არ დაბინდულა სამყაროს ცინცხალი ალქმის, სათანადო ალქმის ნიჭი.

აჰა, ოთახში მზის შუქი შემოდგა, მერე მის არსებაშიც ჩაიღვარა და აზიარა გადავიწყებულ ნეტარებას. გაჰქა ყოველივე, გარდა იმ შუქისა, გარდა სულის მკვდრეთით აღმდგარი ზეობის, გამოუთქმელი პარზონისა. წამოიჭრება ტახტზე მწოლარე და თავდაკარგული ეამბორება ფანჯრის რაფას, სადაც ის ღვთაებრივი შუქია დაფენილი. — გაღაირე?! — კივის ოთახში შემოსწრებული დედამისი (დროდარო უამისოდაც მეჭველი მისი ჭკუათამყოფლობისა). ზმანება ჰქრება. ისღა დარჩენია, იდგეს და უმზიროს, როგორ ბედიოდად და უღმობლავ იძვრის ჩრდილის ხაზი. „გასცდა ჩვენს ფანჯარას ის მზის შუქი. ვინ იცის, დაბრუნდება ისევ თუ არა?“ (1 თებერვალი, 1929).

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციცკარი“ № 1, 2, 3.

მისი შუქი რომ დაგიბრუნდეს, შენშიც უნდა ენთოს მზე. ბოლო შენ აწეწილი გაქვს სული «და უბოლოოდ მიქტრის, როგორც გაშვება ქორის, მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის». გამოსცდები თუ არა სოფლის სიმყურდროვს, უმალ თავს იჩენს ეს მწარე გათიშვა. რადგან შენი ფიქრი ახალ ეპოქას დასტრიალებს, მყობადს მივლტვის, შენი ერთადერთი მისწრაფება საამისოდ გადასდი თავი, ყოველივე გულდასმით გაიზარო, გაიმთლიანო და შენი შემოქმედება სამშობლოს მიუძღვნა. შენ სიოცხლე გწყურია, «შორი აღუბნის წყაროზე წმინდა, სამხრეთის მხზეუ უღიაღესი», გსურს, რომ «ძლიერ მომავალს უხერხულეს მომავლის ქნარი». და, ნაცკლად ამისა, როგორც კი შენი ფიქრებიდან და ოცნებებიდან გამოერკვევი, როგორც კი ფეხს გამოღვამ შენი მცირე თავისადრეკიდან — ექსპერტიანი ოთახიდან, უმალ გადაყრები ჯერ აუცია მუზობლებს, მერე ირონიულად მომზირალ ნაცნობებს, ბოლოს — იმ დამთხვეულ საქმისნებს, გამყინველი თვალებით რომ მოგჩერებინან, სულში თავიანთ ბინძურ ზელებს ვიფთხერებენ... მის ლექსებში (და დღიურებშიც) გაჩნდა საშინელი სიტყვა: მტერი. ის სიტყვა, რომლითაც სამშობლოს, რევოლუციის მოწინააღმდეგეებს ახსენებდა მხოლოდ, ახლა მრავალსა და მრავალ ნაცნობსა თუ უცნობს დაუეჭვირდა («მტრების ჯარი»), მრავალსა მიმართ აღივსო უსაფუძვლო ეჭვით. ისინი, ვინც მართლაც მტრად შეეძლო შეერაცხა (რადგან კულტურის მტრობასა და სამშობლოს მტრობას შორის, ბოლოს და ბოლოს, დიდი ზღვარი არაა), მცირედნი იყვენენ, დიდხანს არც დასცლიათ პარპაში, როგორც ზემოთ ითქვა, ცხოვრებამ უღმობლად მოისრლოა და თავთავისი სოროები მიუჩინა. მაგრამ ამასობაში მათ შეიწირეს გალაკტიონ ტუბაიძის «ნერგები» «სიმშვიდე!»

(«შენ სული გქონდა ისე ყველიო, ოპ, სერაფიმის ცისფერი სული, ეხლა დალილი და დაფლეთილი არის ქსოვილი ფერმიღებული», — თითქმის წინასწარ ეახროს 1916 წელს).

ვინმე პატრონი რომ ჰყოლოდა, უპაველად მიხედობოდა, რომ ეს კაცი თავისი სიმწიფისა და სრულყოფის ასაკს თავის აკმეს — დაბადების 40 წლისთავს — უკვე დაავადებული შეხვდა.

ამიტომ შეთათვდნენ სოფლად დედამისი და აბესალომი, გალაკტიონის ბედის გამო წუხილი უწამლავდათ სიოცხლეს, კვლავ მოვეუსმინოთ აბესალომს:

„შეშინია ავით არ იყოს. ვიცი მაგის ხასიათი: თავისთავზე ზრუნვა არ ახასიათებს. სხვა მაგის ადგილზე... მივლ ოჯახს დაარჩენდა. შავი კი — ვინც იცის — იქნებ შიმშილითაც კვდება... აბა თქვენ ოცით — თუ მუდამ თვალყური გეგნებოდა. ჩვენი ზრუნვის საგანი მაგის ჯანმრთელო-

ბა უნდა იქნეს. ნუ დაიზარებთ. დაეხმარებოდით ასეთ ღროს უნდა დაამაინს ამხანაგი და მგჯობარი“. „ჩვენ კარგად ვართ, მაგრამ რაფქვექვექვეთი ყოფილ: დღე ერთია და დღეაჩემისა... სხვა მხარეა დღერი ათასი. აბა, დეკეშა გაუგზავნე გალაკტიონს, აბა წერილი მიწერე“ (პარათები ოლია ოკუქავასადმი).

... ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხარია, რომ შენ მეტრელობა დააწყია... ნეტად შენში ვარდატეხა მოხდებოდეს იმ მხრივ, რომ თავისთავზე იზრუნებდე, ჯანმრთელობას ყურადღებას მიაქციედე. და მეტი არაფერი მინდა... შენს ჯანმრთელობაზე არის დამოკიდებული ჩვენი ბედნიერება. არ იფიქრო — მატერიალური, ან სამსახურებრივი, ან სხვა (მე ჩემს დღეებს როგორც იქნება გავატარებ). არა, ეს იქნება უღიღესი კმაყოფილება, ზნეობრივი და სულიერი დამშვიდება“ (წერილი გალაკტიონისადმი).

თეთონდა აწუხებდა ის ამბავი, რომ დედამისი და მძა აგრერივად იყვენენ გამწარებულნი მისი საცოდაობით. ამას სხვაგვარი წუხილიც ერთფიდა — წუხილი და სატყვიარი ვაქიშვილისა, რომელმაც ცხოვრებაში ბევრი ვერაფერი სინაარული მოუტანა მშობელ დედას. გალაკტიონ ტუბაიძის არქივში არის ერთი ბარათი, რომლის გულმშვიდად წაკითხვა ძნელი უნდა იყოს (მართლწერა და პუნქტუაცია დაკულია):

„ძვირფასო დედა ჩემო დედა! შენმა წერილმა მე მომელა: დედიკო რატომ იწერებო, რატომ იწერებო, რომ მე ყოველ წამში შენთვის სანატრული ვარ. არა, დედა, შენ გესაკვალე, ჩემზე ნუ ფიქრობ. თუ არ მოგკვდი, სწორედ ურცხველად როგორც შენ გინდა გავატარებ ჩემს ახალგაზრდაობას.

შენ იწერებო: „შენგან მოძულელებული“!!! ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის სთქვა „შენგან მოძულელებული“.

ო, ჩემო ძვირფასო დედა!

...დედა რაც შეეხება ჩემს ეხლა ჩამოსვლას — ჩემთვის ძალიან ძნელია, დედიკო რა ვქნა! სწორედ ახლა იბეჭდება, დედიკო, ჩემო ოთხი წიანი. შეიძლება ორი მიანი მალე მოთავდეს. მე, თუ ეს მოთავდა, მოვალ.

ასე დედიკო! მშვიდობით.

წიენის დაბეჭდვის შემდეგ მე შენთან ვარ. აბესალომი! დედაჩემს ეს წერილი სწორად წაუკითხე“.

ყოველდღიურობაში გაურკვეველობა, ბრალიანისა და უბრალოს ერთ ჯამში მოქცევა, მიიწკადავინე მტრად მიჩნევა. ასე, რომ „დღემ გაიარა ჩინებულად, შინაგანი მეორე „მე“ იყო მშვიდი და ნათელი“, — ამგვარი დღეები იშვიათად უთენდებოდა იმხანად.

ყოველივე უფრო ცხადი რომ შეჩქენეს, რამდენიმე ვრცელი ამონაწერი მოუტანოთ მისი დღიურებიდან.



„1932 წ. 20 ნოემბერი.

...ეს ფესფუსი პატარ-პატარა ხალხის (საუბარი მწერალთა კავშირის შეხება. — რ. თ.) ჩემთვის სრულიად გაუგებარია. რა გამწარებით ებრძვიან ცხოვერებას და ერთიმეორეს. არავითარი სერიოზული. ჩუმჩუმ ხითხითი და არა გულიანი ხარხარი (გაცივნი, საცოდავო, ადამიანურად) მაგრამ ვერაფრის ვერ გაამტყუნებ.

„31 დეკემბერი. 1932 წლის უკანასკნელი დღეა. საათი დაეკუნე სწორედ თორმეტზე, და მისი რკვეა შემატყობინებს ახალი წლის დადგომას. ოთახი შეძლებისდაგვარად დავაფუთავე. ოთახშია და აივანზეც ანთია ელექტრონები. მე მინდა მხიარულად შევხედო ახალ წელს. არ მინდა მახსოვდეს უკანასკნელი დღეების კომპარატი (საიამო რომ გადაიდო ქართულ კლუბში, ვინაიდან არავინ არ დამეხმარა. შემდეგ მწერალთა პლენუმზე რომ გამოვედი სასტიკად გაბოროტებული, ყველა მწერლები რომ დავიმღვრე, საშინელი კრიზისი რომ იყო და ხელი არავინ გამომიწოდა, რომ ისევ ავად ვარ და ახალ წელს ეხედები ჯიბე-გაფხვილი, რომ „არც ერთი პიასტრი“ არ გამაჩნია, რომ ყველა მისაყვედურებს რაღაცას...

ღირს კი რაიმეს ვახსენება მიმავალი წლის ამბებიდან? ძალიან ცოტა რამ იყო კარგი ჩემის მხრით შეცდომები იყო უმარავი...

„საქართველოს ჩაიშ“ ხუთასი მანეთი მომცა შემოქმედებითი მიეღინებისთვის. ის ფული ზუთ დღეში გავაქრე და ვერსად წავედი. პენსიის ფულს ყოველ თვის წინდაწინ ვიღებდი, მარა ორ ღღეს იქით არ გამყოლია. „ეპოქა“ უნდა გამოსულყო, ფული ნაწილ-ნაწილად ავიღე, და არაფერი კი არ დამჩენია. რადიომ სამასი მანეთი მომცა ავანსად და ისევ უტებ ვაჭვრა. ასი მანეთი აჭარისტანის ცაქს გამოვართვი და დღემდე ვერ დავუბრუნე, ასი ბარონს საღამოსთვის, ასი კიდევ სხვა ორგანიზაციას (სახელიც კი არ მახსოვს). დღე-ჩემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბე-სალში აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაილია გამართა და ისევ წაიდა. ოლია სწორედ მაშინ ვაპქრება, როდესაც ავად ვარ და წყალის მომწოდებელი კაცი არ არის. ამას წინად მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად, ვიწქეი საწოლში და კაცი ჩემთან არავინ მოსულა“.

„1933 წ. 14 იანვარი.

12 იანვარს ვიყიდე ბილეთი ბათუმამდე რკინგზისა და ბათუმიდან სოხუმამდე გემის. ჩავედი ბათუმში, მაგრამ სოხუმში აღარ წავედი. ღღეს ისევ ტფილისში ვარ. ვანა შეიძლება კალმით აწერა ყოველივე იმის, რაც უკანასკნელი თოთხმეტი დღის განმავლობაში განვიცადე? მაგრამ სულიერი განწყობილება, დიდი წვალების მერე, თანდათან განთლდა და მე ისევ აქა ვარ“.

„...მანობლივია, რომ სწორედ ამ წლებში ხშირდება დღიურები და ჩანაწერები საბჭო-სოდ გამოყენებულია სქელ-სქელი რედაქციის აურაცხელი უბის წიგნები, ბლოკნოტების ბომბები, კალენდრის ფურცლები, პაპიროსის კოლოფები, ქაღალდის ნახევები, ზოგჯერ — ამა თუ იმ წიგნის გვერდები. „ამერიკიდან მრჩება ერთადერთი მეგობარი — წიგნი“, — ჩაუწერია ერთხელ. კითხვით უამრავს კითხულობს, ხოლო ადრულ ვერცა და ვინცა გამოხიარებული რაე არავინ ჰყავს, წერილთა ბევრს წერს — ფიქრებსა და ვანცდებს ქაღალდს ან-დობს მანობლივთა ნაცვალად.“

რამდენიმე მოკლე-მოკლე ჩანაწერი, რომელთა მსგავსი ასობით და ათასობითაც ვაბნეულია სხვადასხვა ადგილას, რვეულებში, ბლოკნოტებში თუ ცალკე ფურცლებზე:

„არაფერი ჩემი ბავშვობის დღეებიდან მე ისე არ მახსოვს, როგორც შორითშორს მყოფი ცისფერი სახლი“.

„ხალხი, ირთიული შეხვედრა“.

„თბილისში ცოტა დარჩა ოჯახები, სუფთა ქართული რომ ლაპარაკობდნენ. რად არის ასე? რატომ? რატომ?“

„პურის ქარხანა ემუქრება რაქველებს პურის ცხობაში. ემუქრება ჩვენს ქართულ თონეს. ემუქრება კერიის ჰალებს. ემუქრება წისქვილებს“.

„მაგრამ ნუთუ ყველაფერი მოგონებაა მხოლოდ?“

„ომი, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ეს ფრაზა ძალიან ხშირად გვხვდება სულ სხვადასხვა ფურცლებზე მიწერილი).

„მუსიკა კაცს როგორ არ უნდა უყვარდეს — ცხოველებსაც კი უყვარო“.

„ინტელიგენტს რომ დავინახავ, გამაგრყოლებს ტანში. თუ ნაცნობია, სახეს ვაჩუქ მივიბრუნებ, არ გამომელაპარაკოს იქნებ, არ მიცნოს როგორმე-მეთქი. ჭირივით მეჭვარება, თუ თვალზე მომაშენრა დაეინებოთ“.

„სახიზლარი რესტორნებია ტფილისში, ყოველად უკუტურთო. ყოველად უსინდისო, სავეს მთვრალი წინანდელი მიეიტნებოთ. ავადმყოფი ხალხი, ბინძური სახის გამომეტყველებით. უწმინდური სიტყვებით, გამომწვევი ველარული ყოფაქცევით და რაც მთავარია: ხშირ, რომელიც არასგზით არ არის ქართული, ძირითადად ზრდილობიანი“.

„ეს ქალაქი მომწოდეს ქალიშვილებმა პირველ დეკემბერს — წიგნთსაცავ-სამკითხველო-ში ლექსის ამოსაწერად ვაბ. „კომუნისტადან“. მადლობა მათ უტრადლებსთვის“ (მიწერილია რვეულიდან ამოხეულ ფურცალზე).

**რედაქცია მხარაძე**  
ლევანდა ბალაბტიონის ცხოვრებისა

„არის ადამიანის ცხოვრებაში: შორდები ქვეყანას, რომელიც გაქვს, ძალიან გაქვს. არა, უფრო მეტი: გეზიზღება! კიდევ უფრო მეტი: ცდილობ საჩქაროდ წახვიდე, რადგან გეშინია. გეშინია, გაქვს, გეზიზღება და კიდევ უფრო მეტი: გეშინია, გეშინია, გეშინია. აი, რა არის თავი და თავი.“

და ამ დროს ხარ ქვეყანაში! მოხვდი. მოხვდი ისეთ ქვეყანაში, სადაც არავის არ გეშინია, არავინ არ გაქვს, არავინ არ გეზიზღება. და კიდევ უფრო მეტი: არავის არ გეშინია! აი, რა არის თავი და თავი.“

„როგორ ვმთხვევიან ერთმანეთს მიქელანჯელოსა და უცნობი ქართული არქიტექტორის იდეები — ციხე-სიმაგრეები სიმაღლეზე ყველას დასანახავად, დიდი ქანდაკებები სიმაღლეზე ყველას დასანახავად.“

„მოვე მშვიდობა საქართველოს.“  
„შრომაში“ არის რამდენიმე მოსამსახურე, არაჩვეულებრივად ზრდილობიანი და პატივსაცემი. ისინი მეპყრობიან როგორც ძველს ნაცნობს, მე კი ისინი არ მახსოვან.

აი ჩემი ტრაველია. რამდენია კარგი კაცი, რომელთაც ვარგუნულად ვიცნობ, მაგრამ არ ვიცი სად შემხედლარიან. და არ მახსოვან.

ხანდახან უხერხულ მდგომარეობაშიც კი ვეარდები.

აქ არ შეიძლება: ნუთუ საბოლოოდ მლაატობს მესხიერება? =

ეს უკანასკნელი ჩანაწერი მრავლისმეტყველია. ისევე როგორც ცოტათი ზემოთ წარმოღვენილი: გაზეთიდან ლექსის ამოწერა უნდოდა, ქაღალდი არ ჰქონდა. უცნობმა ქალიშვილებმა ცალსახიანი რვეულიდან ფურცელი ამოიხეს და მიაწოდეს. ამ უბრალო ყურადღებამ იმდენად ააღვლეა, ლექსის ნაცვლად ეს ფაქტი ჩაიწერა სიგელდაგულად (პირველ დეკემბერს — ამის მითითებაც კი არ დავიწყებია!) და ქაღალდი შეინახა.

რაოდენ მცირე რამეს მოითხოვდა ეს კაცი ცხოვრებისგან—ნორმალურ ადამიანურ, ზრდილობიან მოპყრობას, ერთბეწო ყურადღებას!...

სიმაართე არ დაიფარა, ხალხის ნება მაინც გამოვლინდა — ვალაკტინი ტაბიქეს სახალხო პოეტის სახელი შეინიჭა, რიგაინი ბინა მიეცა, ყოველთვიური პენსია დაენიშნა.

მაგრამ ამგვარი მზრუნველობა და ყურადღება ყოველდღიური ცხოვრების წერილმანებამდე ხომ ვერ ჩამოჰყვებოდა! მას კი ფსიქიკა უკვე იმ ზომამდე ჰქონდა მოშლილი, სწორედ ყოველდღიური მზრუნველის თვალის ესპირობოდა აუცილებლად. ვიდაცას უნდა დაემშვიდებინა იმნებ ტუთილუბრალოდაც აღმოფთებულ, ვიდაცას უნდა გაეჭარწყლებინა ამაოდ აღძრული ეპეი, ვიდაცას თვალი უნდა სჭრო-

და, რომ ნორმალურად ესაზრდოა, სასმელს სერი დეპოდა შერყეული ჯანმრთელობა მოემგვრებინა.

ამგვარი არავინ ჰყავდა. ასე რომ ტრაველია, „მწარე გათიშვა“ გარდუვლილი იყო. ვარგუნულად გულდასმით მალავდა ამ ტრაველის, სხვას არ აწუხებდა თავისი სატყვიართ, თავისი ჭირითა და ვარაშით. მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა. მის სიცოცხლეშივე თუ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული ლექსები ოცდაათიანი წლებიანა გულის შემძვრელ სატყვიარს გვიმხვლენ.

ჩემო ზღვაო, ავად ვიყავ მთელის გულით, სულით, ტანით, იმავე ზამთრის მარტოობის მწუხარებით ნამეტანით.

სხვა ლექსიდან:

ისევე ერთად მივალთ მთვრალი, მე და ჩემი ძველი დარდი, ზამთარს წაჰყვა თებერვალი და თებერვალს მიჰყვა მარტი... რა შეიქნა უსაშველო, სიკვდილსაც რომ აღარ გვაცლი! ჩამოგვხსნენ, გულის მგვლელო, ვერა, სულს ვერ ამოგვაცლი.

კიდევ სხვა:

არის შენს გულში მწარე განადგურება მკედარი, როცა ზიზღია არე, როცა ვერ სუნთქავს ქნარი. როსმე მჩქეფარე, ცხელი გაყინულია სისხლი, თვალთაც არა აქვთ ცრემლი, გულს — შეზრალეხა სხვისი. და შეკითხვაზე: შენს გულს რა დაემართა, რა სურს? — ცისკენ აღაპყრობ ხელეხს, კაცთ კი არ მისცემ პასუხს.

ბოლო კიდევ უფრო ზარბაქცივი სურათი ავადმყოფობის, საშინელი სიმარტოების, ვერადაძლეული შემთვრალეობის და ამითაც მომბეტებული სახმობისა გადმოცემულია ერთი მოკლე ჩანაწერი:

„ხელა ჩემი ვართობაა რგოლი, რომელიც ბოჩიდან არის მოხსნილი, როცა ვაგაგორებ, იგი ქანათბს ისე, როგორც მთვრალი, სახლისკენ მიმავალი. მიდის და მიქანათბს. ბოლოს ძალა ეცლება, დაეცემა, მაგრამ ისევე წამოდგება. და ბოლოს ერთ ზღაბთანს მოადენს, ისეთს, რომლის შემდეგაც ფეხზე წამოდგომა შეუძლებელია ყოველდ. და დღეს, საწყალი, და გდია ისე, როგორც მკედარი.“

ბედის დაცინვა თუ იყო, რომ ამ ავადმყოფ

კაცს, ძლიერ, ძლიერ ავადმყოფს, 1937 წელს ახალი უბედურება დაატყდა თავს: მისი მეუღლე რებრესიებს ემსხვერპლა. ამ ამბავმა ერთიანად შეძრა მისი არსება. ეს, სხვა რომ არაფერი, ცხადი ხდება განმთრებული ლექსით — „უცანასენელი მატარებელი“. მაგრამ ერთობ ცოტა ვინმემ თუ იცის რა კომპარული თეები მოჰყვა ამ ამბავს მის ცხოვრებაში. უაქისოდაც სასმელს შეჩვეული რამდენსავე თვეს გონს აღარ მოსულა. აი, რა დღეში იხილა სოფლიდან ჩამოსულმა ძმამ 1938 წლის 8 იანვარს:

„შენ გმინავს... არ მინდა გავაღვიძო და ისე მივდივარ... მაგრამ ვაი ასეთ ხასიათს, ეხლა მე რომ ვარ. ფიტრები, მწარე ფიტრები არ მასვენებს. შენ თუ ასე განაგრძებ, აუცილებლად დავიღუპებით. ვალაქიონ, რა უნდა ქნა კაცმა, თუ რამე ვითხარბი, გული მოგდის. თუ ვინმემ სასარგებლოდ დაილაპარაკა და გირჩია, შენ გულისწყრომას საზღვარი არა აქვს — ჩემი მტერიო. არა გრცხვენია? მეც ხომ მტერი არა ვარ შენი. ვიცი, შეგძლია თავის დაღებრა. მე დარწმუნებული ვარ, შენ შესძლებ თავის შემაჯერებას, მაგრამ არ ინდომებ და თავს იღუპავ...“

ვალაქიონმა სცადა უღიწესიერებინა პირადი ცხოვრება, უღიასახლისოდ გამოყრუებული ბინის დალაგებას შეუდგა. მაგრამ დიდი ხნით გამობრუნება არ ეწყრა იმხანად. ქვემოთ უცულოდ, თითქმის უკლებლივ მოტანილი ვრცელი ამონაწერი მინდა ძალიან გულდასმით წაიკითხოთ (სტილსა და მართლწერას ყურადღებას მიაქციეთ, გაითვალისწინეთ, რა დღეშიც იყო).

„1938 წელი.

9. IV. ვიციღე თუთუნი, იგი მცყოფა დაახლოებით 2 კვირას (უნდა მეყოს, რა ჯანი აქვს).

10. IV. აიენიდან სამზარეულოში გადმოვიტანე შეშა. ამით ვიწყებ აიენის წესრიგში მოყვანას...

10. IV. გავრეცხე წინდები. დავეცე ნაწილი გარეცხილებსა... დავასუფთავე ბოთლები. მუდგარი ბრძოლა მაქვს მტვერთან და უსუფთაობასთან.

11. IV. განვაგრძობ შეტევას. დაფერთხე ნო-რი და საწმენდი ტილოები. ბურბუმელა მკედით შევკარი და თავისა ადგილი მიუღჩინე. დაფერთხე ძველი საბანი და შევკარი დარჩენილი ბურბუმელა და მტვერისაგან საგრძნობლად გაესუფთავე აიენი. ნაკავი გადავყარე სანაგვე ყუთში. აღმოვაჩინე ქაპარი (კიდევ ბევრია გასაყუთებელი).

შემდეგ ხელახლა დავხვეტე: კაბინეტი, საწოლი ოთახი, სასადილო, ვანის ოთახი, სამზარეულო, უბორნია, კორიდორი, აიენი. დავფერთხე წიგნები, დივანი კაბინეტში, დივანი

სასადილო ოთახში, ჩამოვაცილე ობობას ზე-ლი ყველა ოთახებს, მთელი ბინას...

ამ დროს მოვიდნენ ტელესტილიდან დამჩვენებელი ბინაში შემოიყვანეს სატელეფონო მშენებელი ყველაფერი მზადა ტელეფონისთვის — თვით ტელეფონის ვარდა.

შემდეგ სველი ტილითი გავწმინდე იატაკი მთელი ბინისა და აიენის.

მთელი დღე ვმუშაობდი როგორც ნამდვილი დამკვერელი და აი—ნაყოფიც: ბინა ცოტათი ბინას დამეშავება!

12. IV. გადავათვალიერე ჩემდამი მოძღვნილი ქართული და რუსი ავტორების წიგნები.

აღმოვაჩინე ქუდი, მუნღმტუკი.

აღმოვაჩინე ბლოკნოტი.

დავეცრე ერთი წინაი. გადავიყიბე წერილები...

აი ყველაფერი.

14. IV. დავცერე წინდები ყველა, რაც დასაკერი იყო (24 ე.) ეხლა სუფთა წინდა 56 მაქვს, რაც საკმარისია თითქმის მთელი ზაფხულისათვის.

განვაგრძობ დიეტაზე ყოფნას.

ღამით 1 საათზე მოვიდა შალვა. მან მასესხა 3 თუმანი. ყოველდღიურად, აგერ რამდენი ხანია, მხოლოდ ო-რ-ო მანეთს ეხარჩავ, უკანასკნელ დღეებში კი (4-5 დღეა) მანეთსახვევარს. საფხებით მყოფნის.

15. IV. დიდი ხანია ვამჩნევდი, რომ ნავთურადან ფონავდა ნავთი და აფუჭებდა იატაკს. ნავთი სანავთეში გადავასხი და ნავთურას მალე გასაყუთებლად წაიღებ (ნავთურა — კერასინ-კაი).

ყველა დაკერილი წინდები დავეცე და წყვილწვილად მივაყრე ერთმანეთს. სულ სამოცი ცალია. 24-ს გარდა ყველა უღმეფეტრა.

სალამით კი უსიამოვნება. სრულიად ჩამოინგრა ჭერი „ვანაიაში“. ხელაქების ბინიდან დიდი ხანია წყალი მოდიოდა. ჯერ ისე შარშან, ოთხჯერ ჩამოიღებდა წყალი, ყოველთვის ვაღრთხილებდი. დღეს დილითაც გადავრთხილე: ქალმა სთქვა, ოსტატს დაეუძახებო, როდესაც საღამოთი მოვიდა, რას ნახავ: მთელი ოთახის იატაკი მოფენილია ჩამონგრეული ქერის თიხითა და სხვ. ჩამოვიდა ქალი, მოიყვანა ოსტატი, მან გაასწორა მილი და წვეთება შეწყდა... ჰმ, აი, ხათაბლა! ძოვის ძლიერობით ვეწყობი და ხელი კი მივშლი!

16. IV. ფეხსაცმელები მივეცი შესაკეთებლად. მზად იქნება 19 ს. ვიციღე პური, ყველი, ნიორი, საღამოს გაზეთები, პაპიროსი, ანტი-ნიკოტინი, ფეხსაცმლის საფენი. სხვადასხვა დროს დავღვი სამი ჭიქა სოდა... ვანის ოთახის ქერი მგონია თანდათან შრება. მხოლოდ ნესტის

**რეზიუმე**  
ღამინდსა ბალატიონის ცხომრეცისა

სუნის ისევ დღას და ოთხთხი კირით ისევ დანა გვიანდა. შევიწროებ ერთი ლექსი მგზავრის წერილებიდან, მგონია კარგი გამოვიდა\*.

17. IV. დილით ადრე წავედი აბანოში... გამოვიტანე სამარცხაოდან პალტო, ორი პიჯაკი და შარვალი, რომელიც ვასაშუენდათ მქონდა მიცემული. მაგრამ ...Шаг вперед, десять шагов назад... ვილაკამ ჩემოდანი გამისხნა და ერთი ინდიგოს პიჯაკი მომპარა, როდესაც ფეხსაცმელების მაღაზიაში ვიდექირივში უბრალო ორმანეთიანი საფენის ჩეკის ასაღებად. კიდევ კარგი, რომ პალტო და ერთი კოსტუმიც არ წაიღეს!

დავურეკე აბაშელს: წიგნი იქნებო ერთ კვირაში. ამოუღიათ ორი ლექსი. ნაცვლად უმატებზე სერგებრიაკოვის თარგმანებს.

ვიყოფ ძმარი, კნობკები (ტვიკარტები). პალტო და კოსტუმი დაკვიდე და ჩამოვაფარე ზეწარი. შუაღღმღღ დამეხარა 9 მანეთი... ეს ჩემს ბიოგეტს ყირამალა აყენებს! დამატა საღამოთი: პური, შაპიროსები, გაზეთები.

18. IV. წინდები ჩავალაგე ჩემოდანებში. დავხვეტე კაბინეტი, საწოლი, სასადილო, კორიდორი. წყალით ვაგრეცხე ვანის იატაკი, მოფენილი კირით. შიანც სინესტის სენი სდგას... კბილები 40 წამის განმავლობაში ვიხებე ხლოროფორმით... ვიყიფი ფეხსაფენი და სივარტები. დიდი ხლისით წაფიკიხებ პუშკინის "შორის გოდუნოვი". პალტო და კოსტუმი დაკვერე.

20. IV. გამოვიტანე ფეხსაცმელი, დაკვერეზინე რეზინა, ჩაიციკი ტანსაცმელი კარგად. და გვედი. მამასადამე ერთი რგოლი, ერთი ხარვეზი გათსწორებულა. შემხვდა შალვა. დიდი სოფიზღლეა საქირო... ასეთი დღეები.

21. IV. ჩემს ათვანზე (საიდან სად?) გდია შვენიერი გიტარა პატარა ბაშვისა. შეგვხდი ჩემდა საუბედუროდ კ. იოსელიანს. მერე ლოლიას და დარკოს, სულ ბოლოს თეოდორეს. საქმე არაფითარი. დღემ მხოლოდ გაიარა\*.

(ამას მოსდევს გაკრული, არეული სტრიქონები — მთვრალის ხელწერა):

„22. IV. და ამდენი დღეების დამუშევარი სულ ერთ დღეს ხეხულასავით დაინვრა! არა, არ არის ჩემი ბრალი!“

ერთხელ მოგახსენებ უკვე — ის დღე დღედ არ მოაჩნდა, როცა რაიმეს არ წაიკითხავდა ან არ დაწერდა-მეთქი. ასეთ გაცდენილ დღეებს სიმთვრალის პერიოდებსაც მიათვლიდა. სიმთვრალე შეგნებით სპავდა, მაგრამ იმხანად ავად იყო და ნებლობა მღღუნებული ჰქონდა, თავს ეურ იმაგრებდა. და თითქმის განზრახ — შემხვედრი მტერ-მოყვარენი აქეთ აძალბდნენ სასამელს, ნაცვლად ამისა, რომ ყოველივე ღონე ეღონათ და ამ უბედურებისგან თავის დასხნაში შეშვალდობდნენ. სწორად ამას მიტყველებს ზემოთ მოტანილი დღიური ბოლო სტრიქონები — მისივე ნების წინააღმდეგ დაათვრეს ხე-

ლახლა. შემდეგშიც არაერთხელ მეორად აღაშკარა რამ.

კიდევ ერთი დღიური. ვიდრე სიმთვრალის ამბავს მიატანდეთ, პირველი იანვრის დღეში დაუკვირდით ავადმყოფური ექვიანობის დამალბურებელ სტრიქონებს.

„1 იანვარი, 1939 წ.“

ახალი წელი დღევანდელ ვაზეთებში იხსნება ჩემი ლექსებით („ეფჩერნი თბილისი“, „მუშა“. „ახ. კომუნისტ“, „ფიზულტურელი“). ეს უსათუოდ გამარჯვებაა. ყველა ლამაზად პირველ გვერდზე „ვერ. ტბ-სი“ ათავსებს ჩემს ლექსს. „ახ. კომუნისტ“ ამშვენებს ფაქსიმილად. „მუშაში“, მართალია, პირველად და პირველ გვერდზეა, მაგრამ შესამჩნევი ხდება მტრის იღუმალა, მვენებლური ხელი, რომელიც არასწორად ალაგებს ჩემს სტრიქონებს, ამახჩევს სახელს... საღამოთი... ყველა სტუმრები ყველა პატოვის-ცემით მიხსენიბდნენ... გამარჯვება ვაზეთებში, გამარჯვება საზოგადოებაში. ასეთი იყო ახალი წელი. „სადაც წაზევი-წამოხვიდე, არსენა, ვაგიმარჯვდესა!“

„2 იანვარი.“

როდესაც დილით სასაუზმეში შევედი, მომესმა ჩემი ჩურჩული: „გალაქტიონი!“ მე ჩვეულბრივად უხერხულად ვეგრძენი თავი, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, სულერთია-მეთქი. არ მიყვარს, როდესაც ყურადღებას მაქცევენ საზოგადო ადგილას, თითქმის გვიჩვენებ, რაღაცა ფიქრობენ\*.

„14 იანვარი.“

დაიწყო რაღაც საშინელება: მე ჩაკეტე სახლის კარები.

ო, მართლაც საშინელება!

15 იანვრიდან 5 აგვისტომდე.

ეს იყო გრიბის საშინელება... მე არ მქონდა საავადმყოფოში დაწოლის საშუალება. ამიტომ იძულებული ვიყავი ფეხზე გადამეტანა იგი. ცეცხლს ამ ზამთარში ვერ ვანთებდი შეშა არა მქონდა. დამდამობით მძძვედა ოფლს, ვანუ წყვეტილ საშინლად მახველებდა, გული მეტრეოდა, მთელი სხეული მიკანკალებდა, ხელში კალამს ძლივს ეღებდი, მაგრამ მუშაობის თვისად იყო...

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვაებრებდი-ცოტაოდნად მუშაობას...

იანვრის დამლევს, როგორც იქნა, მოიტანეს შეშა. შეშის ეზოდან სახლში ამოტანის დროს ხელი ვაგიფხავს: თითი ვანკივდა და მთელი ერთი თვე საავადმყოფოში დავდიოდი შესაბევადა. ეს იყო მარჯვენა ხელი. მუშაობა აღარ შემეძლო. არანორმალურად მიდიოდენ დღეები. მთელი თვეები.

კონფლიქტი თავის თავთან, აპატია ყველაფრისადმი, საშინელი ვანზრახვები ისევე მწერალთა კავშირის სრულიად ჩამოვშორდა.





და ერთხელ...

ეს იყო 25 მასის, ღამის პირველი საათი იქნებოდა. საჯარო მოხელე შევედი რომელიღაც ქვრივს ღია რესტორანში. ერთს მაგიდასთან იჯდა ხუთი ახალგაზრდა კაცი. ყველა მთვრალი. როგორც ჩვეულებრივად ხდება, მიმწვივებს სუფრაზე. არავითარი უარი არ გამოვიდა. აავსეს სუფრა ღიტრებებით. მაგიდაზე რომ სადღესებრო ლანგარი იდგა (მთელი ლიტრა ჩაილია), იგი აავსო, დასცალა და ჩემთან ვაღმოვიდა. მეც დავცალე სულმოუთქმელად. ასევე მეორეც. და ამოვკემწვიდობე საშინლად მთვრალი. სახლში მხოლოდ მივიღე. ეს იყო და ეს. მეორე დღეს ტანგაუხდელს გამოვძვინებდი, მაგრამ ფეხზე ვეღარ ავდექი. ვიგრძენი გვერდის ტკივილი, რაღაც აუტრანელი. ვეღარ ვდგებოდი. მეგონა, რომ ჩამტვრეული მაქვს გვერდის ძვლები..." (პლევრითი აღმოაჩინდა).

ამ ხანაში ჩვეულებრივად გაცილებით ცოტას წერდა. დაწერილებსაც უბრუნდებოდა, უმარავ ვარიანტს ქმნიდა, ასწორებდა (ხშირად აუარესებდა ამ ჩანაწერებით), კვლავ ბევრს კითხულობდა. კიდევ რას აკეთებდა? ეს, ნაწილობრივ, დღიურებითაც შეიქმნებოდა საინო (სმას არ ვგულისხმობ — შინიდან ფეხს ვაღვამა და ნება-უხებური სიმთვრალე ერთი იყო თითქმის მუდამ, მაგრამ, თუ გონზე იყო, ვრიდებოდა გარეთ ვასვლას)...

25. III. საღამო. მაგიურმა ხოჭომ გაიარა სიტყვებზე: Черногрив (იელი), Черномазын (ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა), Чернота (სიშავე). ეს „მაგიური“ ხოჭო აღმოჩნდა რუსულ-ქართული ლექსიკონის 1118 გვერდზე! მისი ამ გვერდზე მოგზაურობის შემდეგ მე იგი ჩავსვი ასანთის კოლოფში. თუმცა ალბად ეს მას არ ასიამოვნებს. მხოლოდ ეს უფრო პატარა, ერთი ნამცეცა ბუნჯანალია, ვინემ ხოჭო. იელი, რომელიც მან აღმოაჩინა, ბოტანიკური მცენარეა ყვილონი ყვილილებით. მითი ვადაფარული იყო, მასსოვს, ქუთაისის მიდამოები. ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა: ეს ხომ ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი მე! სიშავე კი — აქ წერტილის დასმა შეიძლება... მაგრამ... შავებით მოსილი ქალები მთაწმინდაზე, ყველგან? ო! სიშავე თვალთა, სიშავე ღამის, სიშავე, ყორნის ფრთების! შავი ზღვა, შავი დღე, შავი ბერი, შავი ღრუბელი, შავი ფიქრები!"

ახლა წარმოვიდგინოთ დაახლოებით ამნაირად გატარებული მრავალი ასეული საღამო, მსგავსი ასოციაციებით ცხოვრება ნიადაგ; ან მუშაობა, ან სმა, ან ამგვარი საღამოები, უსასრულო საღამოები სწული კაცისა — მეტი არაფერი...

ოცდაათიანი წლები თითქმის მთლიანად ხანიარ ყოფილა გაატარა. მისთვის ეს იყო ხანა ზარელი დებრსისა. ყოველ წუთს იყო ზრუნა ლოდნელი იმ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა 1959 წლის 17 მარტამდე რომ გადაიღო ჩვენი კულტურის საბედნიეროდ.

და მანც, ოცდაათიანი წლებისთვის თვალის მოვლებსას არ შეიძლება სავეულადგულიად არ აღინიშნოს ორი რამ.

პირველი თაობაზე უკვე გვქონდა ჩამოგდებული სიტყვა. ეს არის ამ თითქმის სუსტი, საკმაოდ მერყევი ბუნების მქონე კადის მიერ გამოვლენილი განსაკვირვებელი სულიერი მხნეობა, შინაგანი ვაჟკაცობა: ერთობ, ერთობ ძნელად შესაგუებელი გარეგანი პირობების მიუხედავად, რაც უმთავრესაა — თითქმის გამდუმებული ავადობის მიუხედავად, რწმენა ფაქტიურად არ შეუცვლია, არ შეუცვლია თავისი „ხანი“. შეექვდებოდა ხოლმე საკუთარ თავში, მოიუთლებდა ხოლმე მტრებს (ნამდვილს თუ წარმოსახულს), მაგრამ ურყევად სწამდა, რომ ეს იყო ოდენ მისი მირალი ტრაველი, ხოლო ცხოვრებაში უუკველად გაიმარჯვებდა ქვემო რიტება და სიკეთე, რომ ამ პიროვნული ტრაველის მიღმა თავის მარადიულ გზას მიუყვებოდა მისი სალოცავი სამშობლო, თავის სახე მომავალს სვედდა ხალხი და რომ, დასასრულ, რაც თვითონ შეექმნა ან რასაც ქმნიდა, არ უნდა გაუტეხებულიყო ამ მომავლის წინამდებარედ ვარ გულდაჩერებული — იმხანად სწორედ ამ რწმენამ გადაარჩინა თვითმკვლელობას.

მეორე მხრივ, რწმენადაკარგული კაცი ესოდენ გულდასმით არ მოეშვადებოდა მომავალ მუშაობისთვის. შეიძლება ვაიციდეთ მისი არქვის შესწავლისას — აფორიაქებული, მოუწყობელი ცხოვრების, აშლილი ფსიქიკის მიუხედავად რამდენს კითხულობდა და რამდენს რამდენ იაზრებდა ამ წლებში. შტუდირებული წიგნები, ცალკეული ნაწარმოებები, მეცნიერული ნაშრომები, ყოველივე ამასთან დავაქმიორებული ჩანაწერები, კონსპექტები, გვეგებები, მისთვის უცნობ თუ იშვიათ სიტყვათა ფუნქციონირება... აქ არის ამონაწერები ძველი თუ ახალი დროის მრავალი და მრავალი ვერობული ან აღმოსავლელი ავტორის ქმნილებებიდან, უამრავი ყინაწერი — ვეფხისტყაისნიდან, ჭართული წავიერგაფიული ძეგლებიდან, ზალხური ბოეზიიდან ასომთავრულის ნიმუშები (ეტყობა, სწავლობდა თუ იხსენებდა), ვერა ზარდელიძის ნაშრომთან — „სვანურ ზალხურ დღიურთა კულენდარი“ დავაქმიორებული შენიშვნები, აგრეთვე მოსაზრებები, გამოთქმული ზერწუნულ ენაზე კავკასიური ენების საფირაულად გავლენა

1 იგულისხმება 1937 წელს გამოცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“.

რედაქცია თბილისი  
ლევანოვა გალაკტიონის ფონოგრაფია

წასთან დაკავშირებით, ცნობები ძველ ქართულ არქიტექტურის შესახებ, თავისებური კამათი ილია ჭავჭავაძესთან — ასო 2 ამოღო განდევნა ქართული ანბანიდან, მისი აღდგენა აუცროლებულია... ყოველივეს ზერელე ჩამოთვლა კი რამდენამე გვერდს დაიჭერად.

დიდი, გრანდიოზული მასშტაბის მუშაობისთვის ემზადებოდა, უმარავი რამ ჰქონდა ჩაიჭრებული და, ომის მიმამ წლებს რომ არ შეეფერებინა და არ გამოეთითა ხელახლა, 40-50-

იან წლებში შექმნილ შედევრთა ნუსხა, უნდა ვიფიქროთ, ერთიორად მაინც გაიზარდებოდა დასასრულს, სწორედ ოცდაათიან წლებში იქცეა დასაბამი მისი პოეზიის ზრული უსრულსტილს, მანამდე უცნობ ზელწერას, რაც ორმოციანი წლებიდან სისტემად იქცა და რამაც გამოამზერებინა მუსიკალურ პრინციბს დამყარებული ქართული ლექსის მანამდე ყოველად წარმოდგენილ შესაძლებლობანი.

მაგრამ ეს ისეთი საკითხია, საგანგებობა და ვრცელ გამოკვლევას საჭიროებს...

## „სული უფულილი და ბედნიერი“

მოსვენებას შესთხოვს ვისმე?

გი მაგრამ ვის? ჰე, ვის? ჰე, ვის?

აივანზე ტყიდან ისმის

ხმაურობა უძოს ხევის.

მარტოსულ აღმთიანებს უყვართ რიცხვებისთვის, წლებისთვის, წელიწადის ამა თუ იმ დროისა ან თვეებისთვის საკრალური მნიშვნელობის მინიჭება. გალაკტიონ ტაბაქისაც უყვარდა. ცალკეული თარიღები, წლები, თვეები, რიცხვები, ობიექტურადაც რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული თუ მხოლოდ მისთვის სუბიექტურად მნიშვნელოვანი, ისეთი რომანტიკით აქვს შემოშილი, სამუდამოდ აღგებებულება მესხიერებაში: „მწვიდზე მშვიდი ცხრაას შვიდი“, „წიწამურსუ რომ მოკლეს ილია“, „რად მომავონდა მწველი ცხრაას ოთხმეტე წელი“, „გაილანდა ათას ცხრაას მეოთხმეტე წელი“, „ცხრაას ჩვიდმეტე! კიხინებდა შავი მერანი“, „ცხრაას თერამეტე“ (ლექსის სათაური), „თენდება, ქარმა წაიღო გული და ათას ცხრაას მეოცე წელი“, „ოცდაორი აგვისტო ცხრაას ოცდაორისა“, „ორი მილიონი თვალებით ვუტყერი ახალ — ათას ცხრაას ოცდასამ წელს“, „დავთარიღე ახალი ლექსი შეცდომით — ცხრაას ორმოცდახუთი...“ „იანვარს მოძმედ არ ვეძებლები“, „თებერვალს უხმობენ, თებერვალს საძრეკლოს ჭეირიდან ყვავები“, „ტოტებს ქარისას გადაწყვა შარტი“, „ვემშვიდობები მშვენიერ შიხს“, „ამ შიხს, ამ ივინს, ამ იელისს“, „სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს“, „ფრთები ნამკათაფერი“, „იელისისფერი ყინვის თასები“, „ავისისტო თბილი...“ „პირველი ენკენისთვე“ (ლექსის სათაური), „ელვარე და ლომფერი იყო ცხრა ოქტომბერი“, „წვიმა, მდინარე, თვე ნოემბერი...“ „იგი ოთხი დობილი, ოთხი ქარით გამხდარი — ვაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი“, „საშინელი რამ იყო კარზე მათი შროდგომა — ვაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა“, „უკანასკნელი დღეა ვაზაფხულის“ და მრავალი სხვა.

ის ამბავიც თითქმის რაღაცით საკრალურია, რომ ვალაკტიონ ტაბაქის ცხოვრებაში ოცდაათიანი წლების საზარელი კოშმარიდან გამოფხიზლება, გონს მოსვლა და „მწარე გათიშვის“ ხანასთან გამოყენა მონიდამაინც ორმოციანი წლების დამდეგს უკავშირდება.

1940 წლის ზაფხული საგურამოში გაატარა აწეწილი და აფორიაქებული ცხოვრების წილსიმშვიდე, გადამბული მემთერალოების წილს გულდამჯღარი მუშაობა თუ იქ მყოფ კოლეგებთან ტყბილი საუბარი პოეზიის, ხელოვნების, ცხოვრების საკითხებზე. მართალია, ერთი-ორ დღეებში აქაც იჩენს თავს ავადმყოფური ეპიკრიზისის შემოტევა, მაგრამ ეს მღვრიე კოშმარი მაინც შედარებით მალე დაიძლევა საერთოდ მოსვენებული, დაწმენილი ყოფის ატმოსფეროში. ეტყობა, ვარკვეული როლი იმანაც შესართლა, რომ აქ ნიადაგ თავს ადგა დიდი წინაპრის ბუმბერაზი, მშვიდი, უტეხი ნებით მომზირალი აჩრდილი და ამ მომწესხველი მხერის წინაშე ამჩატება, წვრილმანების გამო ავარდნა და დაჯარდნა, ცოტა არ იყოს, ბალღური საქციელი იქნებოდა.

წინაპრებთან, საერთოდ, ერის წარსულთან თავისი ურთიერთობის საბოლოოდ ვარკვევას ოცდაათიან წლებშივე შეეცადა. ამ ამბის პირველი მაცნეები იყო „მწერ ვინმე მესხი მეღექსე“, „ამირანი მიჯაჭვული“, „რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და გეა?“ და რამდენიმე ლექსი კიდევ. მაგრამ იმხანად ეს იყო ფაქტიურად გაუცნობიერებელი, ინტუიტური სწრაფვა, კრიზისისგან თავის დახსნის იმედს ბუნდოვანად რომ სახავდა. ასევე გაუცნობიერებლად გარნდა მის ლექსებში სრულიად ახალი ინტონაცია, თანაბრად დაპირისპირებული როგორც ათიანოციანი წლების სწორებუოვარ არტისტიზმს,

ისე ოციანი წლების მიწურულისა და ოცდაათიანის დამდევის მორღვეულ, მოშლილ მეტყველებას; სტრეიონებმა შეიძინეს იმგვარი მსუბუქი სისადავე, რომლის წიაღში შეებდვა უეჭველად ხელს მოაცარიენება ყველას, გარდა უღიდესი არტიტისა.

მისცემია ძილს ბრეტანი,  
აღვიღებებს ზეირთებს მთვარე.  
ნამეტანი, ნამეტანი  
შორი გზები მოვიარე.

ეს იყო მკვეთრი შებარუნება მეტყველების კლასიკურ სტილისკენ. შემთხვევით არ გახშირებულა მის პოეზიაში რეპარტეკლიანი ლექსი (ქართული კლასიკური მწერლობისა და ფოლკლორის საფუძველთა საფუძველი), შემთხვევით არ დაუქარგავს რითმას ოდინდელი თვითმყოფადი მნიშვნელობა, თვითმკმარი ღირებულება (მთვარე-მთვარე — ამნაირ რითმებს 1915-1927 წლებში თითქმის აღარ მიმართავდა). არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ დროიდან მოქარბდა რითმათა იმგვარი წყობა, აკაცი წერეთელს რომ უყვარდა განსაკუთრებით მასხა „საიდუმლო ბარათო“, საღამური“...

ეს იყო იმგვარი სასწაული, ერთობ, ერთობ იწვიათად რომ გვხვდება მწერლობის, განსაკუთრებით — პოეზიის ისტორიაში: ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი თითქმის ხელშეორედ იშვა და ისეთ საოცრებათა სახილველად გადაეხსნა მზერა, მანამდე არც მოზმანებოდა. მზერა თუ სმენა? ან იქნებ „გული, გონება და სული“? თუ ყოველივე ერთად? ყოველივე, რაღა თქმა უნდა, გათიშული პიროვნება გამთელდა, აღდგა, ოღონდ სხვა კაცად იქცა.

ხოლო ეს ამბავი ამგვარად დაიწყო: ლიტერატურული შეგირდობის წელთა ტანვას, უფსკრულთა წიაღ მარტილობას 1915-1927 წლებში არნახული სულიერი ზეობა მოჰყვა, ისეთ მიმართებათა და სფეროთა წვდობა, მოკვდავთათვის ცხრაკლიტული რომ არიან დაგმანულნი. მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რომ მის მიერ მიკვლეული პარმონია მაინც გვერდმორღვეული იყო, ამ პარმონიის ერთი ვრცელი სეგმენტი ქაოსისა და გაურკვევლობის საფუძვლად რჩებოდა. ისიც ვნახეთ, რომ ვითარებაში რიგინად გარკვევა, ახალი ეპოქის მიერ მოტილი ცვლილებათა გულდასმით გააზრება და შინაგან რეალობად ვადაქცევა აღარ დასცალდა — სხვათა და სხვათა ააჩქარეს, ააფორიჩქეს... ამას მოჰყვა ათწლიანი კრიზისი, ლამის იყო თვითმკვლელობით წერტილდასმული. რადგან ერთთა უმწიფარი ჰაბუცის თუნდაც გაუძლისი სატყვიარი და სხვა სულიერი განვითარების მწვერვალზე მყოფი დაღვინებული პიროვნების ხელახლა უფსკრულს დანთქმა. ამ

უქანასკნელთან შედარებით პირველი ძუძველა ბალის მუცლის ტკივილს თუ შეედრება. აკამ საზარელი კრიზისის დროს მიაკითხა ხელისწილად დაიღა წინაპართა უკვდავ საუფლოს და, თავისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ისე აბირებდა ამ ქვეყნიდან წასვლას, მათი სიღიადის საიდუმლოს ბოლომდე ვერ ჩასწვდომოდა.

თვითონაც დიდი იყო, „მაღალი და მღვალად მხელი“, იცოდა ეს ამბავი. მაგრამ იმათ რაღაც კიდევ იცოდნენ ისეთი, რის ჩაუწვდომლადაც მათ გვერდით თამამად ინახით ჭლომას ვერ ხელიწიფებდა. აღერ ჰაბუცური კანდიერებით არაერთხელ გაუწვევია ისინი სასაპარტუზოდ, კაფითობა თუ მუშაირა გაუმართავს, ლექსის სინატიფით, კეთილზმონავანებით, სიმალღეთა გზნებით ზოგჯერ დაუქარბებია კიდევ მათთვის. საყვირველი იყო — ამის შეგნება სინარულს აღარ ჰგვრდა.

ისხდნენ ის მღვეკაცები მარადიულ ნაღიზგ და მშვიდზე უმშვიდესი ღიმილით გადმოსცქერდნენ ამ გენიოს ბავშვს, ორმოცდაათ წელს მიტანებულს, თითქმის მათს ტოლს, რაღაცით მათთან წილუყრეს მინც.

იმ ექვს მწვერვალთა გვეფარა ჩრდილი,  
ვინ მოგვიღია —  
გურამიშვილი, ბარათაშვილი,  
ჩენვი ილია,  
აკაცი, ვაგა გასაკვირველი —  
ღიდება დროთა,  
და მათ გვირგვინად მუდამ პირველი,  
ტიტანი — შოთა.

საუღუსხმთა, რომ ამ ლექსის ერთ ვარიანტში ყოფილა სტროფი: „ავიღებ ხელში ისევე შოთას, მეყო სიმშვიდე, მე ჩენთა ღღეთა ავაგებ ოდას, რიცხვით მეშვიდეს“. საკრალური რიცხვებისაღმი მისი სიყვარულის ამბავი რომ ვეცით, უამსტროფოდაც ვიპარებდით: ექვსი მწვერვალი დასრულებულ მწკრივს ვერ ქმნის, უეჭველად შვიდი უნდა იყოს. და თავადვე გახლდა ის მეშვიდე<sup>2</sup>. ეს ამბავი კანდიერებად არ მიიჩნით, პოეტურ თავგასულობად ან კვენხნად. საკუთარი სიღიადის ამგვარ გრძნობის ტრამახთან არაფერი აქვს საერთო. ჩვენთვის თვალშეუღდა ამგვარ სიმალღეზე ასული კაცი სრულიად ძალდაუტანებლად ამბობს: ...გა-

<sup>2</sup> სხვაგან ვითხულებობთ: „შენს შვილ შგოსანს სახალხოს, შვილს — დაფნის გვირგვინიანს — რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, ვაგასა და აკაცის დროშებს ვარდ-ყვავილიანს უწვიდი“... „შვიდსო, კი ამბობს, მაგრამ ჩამოთვლილი ექვსია მხოლოდ. მეშვიდე დასახლებული აღარაა, ცხადია, ვინც იგულისხმება.“

რეპაზ თხარამა  
ღებინდა ზალაბტიონის ცხომრეზინა

შომგზავნა ქვეყნად ცაბა" (ილია), „ხან უდგუ-  
რი ვარ, ხან — ბრძენი" (აკაკი), „ვლამპარაკობ-  
დი ღმერთთანა" (ვაჟა). მსგავსი ამბავია იმ  
მღვდელთა გვერდით მეშვიდე ადგილის სათავე-  
სოდ მონგვეა.

ოღონდ იმ მღვდელთა ერთი უმთავრესი საი-  
ფუმლო წერაც ამოუცნობი ჰქონდაო, ვთქვით  
ჩვენ. ლეჩხის ოსტატობით არც ერთ მათგანს არ  
შამოუვარდებოდა, მაგრამ, მათგან განსხვავე-  
ბით, თვითონ სრული პარმონია ვერ დაემკვი-  
დრებინა წერაც. აი, აქ უნდა მოძებნილიყო  
კომისის გასაღები, აქეთვე მინარსებდნენ წინა-  
პართა „ძველი პანგები“.

აბ, ხაზმარი მეფონება  
ძვილი პანგის გავონება,  
მთამონება იგი მარად,  
როგორც კარგი მოგონება.  
მთამონება და მგონია —  
არა მატებს და არც მქონია  
წინაობა მეტი უფრო, რასაც  
უწოდება პარმონია.

ერთ დამკვიდრეს დიდმა წინაპრებმა ეს პა-  
რმონია, ეს უმაღლესი ღვთაებრივი გრძნობა?  
იმით, რაც მის პარმონიას აცლდა, რათა სრული  
და თვითმყოფადი ყოფილიყო — ის „მორღვე-  
ული გვერდი" მათ გამოდიანებული ჰქონდათ,  
ყოველივე დანარჩენთან სწორ მიმართულებაში  
მოყვანილი. „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თა-  
მამად და მიიანს მღერად", — ხიანებდა რუს-  
თაველი; „ამისთვის მე არ შევსძებნე, რაც  
ღაერგვე ივავთ ხე ველად, — უფრო ადვილად  
აღვლიან ზედ ყრმანი დასარხვევლად", — ბო-  
ლინობდა გერამიშვილი; „რომ ჩემს შემდგო-  
მად მომესა ჩემსას სიმნელ გზისა გაუადვილე-  
დეს", — ამავე აზრს აკონკრეტებდა ბარათა-  
შვილი; „აბა მე დღეს ვის რა ვარგე?", — ნია-  
დავ ეს ფიქრი აწვალდება ილიას; „ჩემი ხატია  
სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა, და რომ  
ვოწოდე, ვდნებოდე, არ შემოძლია მე ვანა?"  
— საწილად დაღვენთვის ესწრაფვოდა აკაკი  
წერეთელი; „თავის ჯამს ჩასტყურ, საქმევენოდ  
არც რომ არ ვამოსდგებოთა, არ იციო, გაჩნდაა  
რისად, ანდა რისათვის ჰკვდებიოთ", — ვილაც-  
ვილაცებს საყვედურობდა ვაჟა-ფშაველა.

ეს იყო თავი და თავი. „საქმევენოდ გამოდგო-  
მა", „სიცილილი მოყვრისათვის, მსხვერპლად  
მისვლა, თავის დადება ხანაცვლო საზღაურის  
დაულონლად. ხოლო, რადგან ეს მალალი  
მცნებები თავისთავად ვერასდროს განხორცი-  
ვლდება, მათი აღსრულების უქმეველი პირობაა  
ქმედება — მიწყივი, დაუცადებელი ქმედება.  
(უამისოდ აზრი, ცოდნა, მუდამ ცალად იქნება  
ვაიმოვლებული: „არა ვიქმ, ცოდნა რის მარ-  
ვებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა"). ოღონდ  
ამგვარი ქმედება, როდესაც მოქმედი ნაყოფითა,  
მოწვევისას საყოთარ თავს ივიწყებს, მისი მზე-  
რა სხეულისკენ არის მიმართული. მაშინ პი-

როვნება თავისთვისვე შეუმჩნევლად მადლდუ-  
ბა და ბოლოს აღწევს სისრულის მარსაგნს, რა-  
მისი სახელიცაა თავისუფლება. ყველ-  
სხვა შემთხვევაში იგი გათიშულია სამყაროსა-  
გან და, ამავე დროს, მასზე დამოკიდებული,  
შეზოქილი. მხოლოდ ამგვარი ქმედება, მიწყი-  
ვი, დაუცადებელი ქმედება აზიარებს თავისუფ-  
ლებას, აქ შეერწყმის მისი გზა სამყაროს, ბუნების  
უსასრულო გზას და ამით ახალ საფეხურზე, მა-  
ლალ, სინთეზურ საფეხურზე აღდგება ბავშვო-  
ბისდროინდელი დიფულხიური პარმონია —  
მარად მოსაგონარი და სანატრელი („როდეს-  
საც სული ბუნებასთან ერთიანდება და ქმნის  
მშვენიერი თვის ოცნებას", — როგორც თვი-  
თონ ამბობდა).

ეს იყო სწორედ დიდთა წინაპართა დიდზე  
დიდი საიდუმლო, რომლის ამოცნობა მის მა-  
ნამდე არ ეწერა. სიყრმიდანვე პოეზიის სა-  
კურთხველზე ჰქონდა თავი მსხვერპლად მიტა-  
ნილი, მაგრამ ეს მსხვერპლად მისვლა, ეს თავ-  
განწირვა თავისისავე თავს ეძღვნებოდა, ტან-  
ვის, უფსკრულთა წილად მარტივობის ფასად  
დამკვიდრებელი სულიერი ზეობა ოდენ მის  
საყუთარ აღმსივლას გულისხმობდა. სწორედ  
ამიტომ ექცა სიმარტოვე მსოფლმხედვე-  
ლობრივ ფაქტად („ბავშვობიდანვე იყავი მარ-  
ტო ჯვარზე გაკრული"), ბოლოს კი დახშული  
ინდივიდუალიზმის გარღვევალ წინაპარობად.

ასე რომ ბუნებრივი იყო უცმარობის, დაუ-  
ცმყოფილებლობის განცდა, რაც დროდადრო  
აღეძვროდა ხოლმე:

ეს ძველი მუზა ციბირი გველივით  
ნეიჭრობს დამით თუ თბება დღისით,  
მარადის ფიქრობს, რომ ყოველივე  
იწყება მისით, თავდება მისით.

მაგრამ მაინც ამ ინდივიდუალიზმისგან მა-  
შინაც არ იყო თავდახსნილი, თვითმპრობე-  
ლობის დამხობის ალტაცებული რომ ეგებე-  
ბოდა და შემდეგ მგზნებარე სტრატეგიებით  
ადიდებდა ახალი ეპოქის დასაწყისს. მან იცო-  
და: „თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,  
მე მოკვდები — როგორც პოეტს შეჰფე-  
რეს"; მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა: „და ჩემს  
შემდგომად მომესა ჩემსა სიმნელ გზისა გა-  
უადვილდეს". ცხადია, ეს უკანასკნელი ვერას-  
დროს რომც ვერ შეეცნო, მისი შემოქმედება  
იმდენად დიდი იყო, თავისთავად მაინც გაუ-  
ადვილებდა მომემთ გზის სიმნელს. მაგ-  
რამ უამისოდ, ამის შეუცნობლად ისევე თვი-  
თონ იქნებოდა მარად ტანჯული, სისრულის-  
კენ, თავისუფლებისკენ მიმსწრაფი და ვერ-  
მიღწეული მჭევრმეტყველი გვერდმორღვევთა  
პარმონიისა; მისი მსოფლმხედველობა საბო-  
ლოოდ ვერ შეერწყმოდა მისსავე შემოქმედ-  
ებას. რადგან ეს შემოქმედება, რომელ ეტაპ-  
საც უნდა ვგულისხმობდეთ, წინააღმდეგ ზო-



ვერთი მოართული შეხედულებისა ან თუნდაც მისივე განცხადება-დეკლარაციების, დემონსტრაციის, სატანურის, ბოროტების ყვავილებისკენ მოჩვენებითი სწრაფვისა, სინამდვილეში მუდამ იყო სიკეთის, სისრულის, ჰარმონიის თავგადაკლული ძიება. უწყინარეს ყოვლისა სწორედ ამ სფეროში ვლინდება მისი უადრესად ქართული ბუნება და ქართული კულტურის მავრისრალური გზიდან გადაუხვევლად სიარული.

ახლა იმის განცხადებებაც მოხერხდა, რომ პირველი ბედნიერებისათვის ზრუნვა „საწყაული აღუქმებელი“ იყო მხოლოდ. ბოლოს და ბოლოს, მის რომ წილად ხვდა, ისეთი სიყვარული და აღიარება სიცოცხლეში აკავი წერეთელს თუ ღირსება: პოეტების მეფედ გამოაცხადეს, გენიალური ვალაკტიონი უწოდეს, ბოლოს სახალხო პოეტის წოდებაც მიანიჭეს ოფიციალურად. სხვა რა უნდა ენატრა? ქონებრივი კეთილდღეობა? მაგრამ ბედნიერებად სიმდიდრე, ეკონომიური ფაქტორი არასოდეს უტყვისსხია. უილიამ ფოლკნერის ნათქვამის არ იყოს, ამ მხრივ მისი იდეალი უმცირესით განისაზღვრებოდა: განმარტოების საშუალება, ქაღალდი, თამბაქო და ცოტაოდენი საზრდელი. მაშ სი იყო ბედნიერება? ახლა მიხვდა: შინაგანი თავისუფლების დამკვიდრება იყო ქეშმარიტი ბედნიერება, ისეთი, რომლის შედეგაც ახალ-ახალ ქიშკრებს აღარ გამოუდევნებოდა. ხოლო იმ შინაგან თავისუფლებას პირადი ბედნიერებისთვის მზრუნველი კაცი ვერასოდეს დაიმკვიდრებს, ვიდრე პირად ბედნიერებას იქით ეძალდები და გაფაციცებული მიეღტვი, იგი მუდამ გაგირბის: ყოველი სურვილის აღსრულების უშუალო ახალი სურვილი ჩნდება ჰორიზონტზე; ამასაც ავისრულდა და ბედნიერი ვიქნებით, — ფიქრობს უმცირე; მაგრამ სურვილთა კიბე უსასრულოა და მასზე მოხტუნავე არსება ისე გაღვეს სიცოცხლეს, სულს ვერც მოითქვამს ხეირიანად. ხოლო როდესაც პირადი ბედნიერების საცდური ძღვეულია, მაშინ ქეშმარიტ თავისუფლებას იმკვიდრებს კაცი. და მაშინ ბედნიერება, სიკეთე, ჰარმონია გარემდება რაიმედ კი აღარ განიცდება, არამედ შინაგან მოცემულობად, ინდივიდუალურიც რომ არის და თან ბუნების დიდ ჰარმონიას, სიკეთეს, თავისუფლებას რომ არის შერწყმული.

ზღვა ხმაურობდა ერთ ხმაურობით, ანდა გრიგალის მეთაურობით მოგზაურობდა.  
ძარღვებს თანდათან ეს უცნაური სწყწდა, არღვევდა აურსაური.  
ზღვა ხმაურობდა.  
ძარღვებში ხისხლის წვეთი ყოველი, იმ სიმფონიის ვერდამტოვლი, გრიგალს სწყურობდა.  
ფენის ყოველი მცირე ატომით,

ძალგამტებთ, ძალგადაკვდომით  
ზღვა ხმაურობდა.  
და მე ვფრქვნი უეცრად, მაყარად,  
რომ არა ფრთვლად და არა ნაყარად  
დღეთ წინაურთა,  
არა ჩემს გარეთ, არა რამე სხვა,  
არამედ ჩემში ახმაურდა ზღვა,  
ზღვა ახმაურდა.

ეს ლექსი იმტომაც შეგახსენეთ, ხაზგასმით აღგვენიშნა კიდევ ერთხელ: ბედნიერება, სიკეთე, ჰარმონია, თავისუფლება — ნეტარი განცხრობა კი არ არის, მიწყვიცი, დაუცავებელი ქმედება, ვეფაცური კვეთება, შემართება და გადალახვა. ასე ვეფაცურად შემართული სული მართლაც ბოლოქარ ზღვას ემსგავსება.

ასე შევიღიანე იქლია სიყრმიდან დაყოლილი და შემდეგ მსოფლმზებველობრივ ფაქტად ქცეული მარტოსულობა. რადგან სიმარტოვის განცდა იმის შედეგად აღიძვრის, რომ კაცი გათიშულია დანარჩენი სამყაროსგან, უცხოოდ მიანიშნა იგი. ხოლო როდესაც პიროვნება შეიქნობს, რომ მისი სულის ვიბრაცია აბსოლუტურად შეებამება დანარჩენი სამყაროსას, სამარადისოდ არის მასთან შერწყმული, მეტიც — თვითონ და სამყარო თურმე იმ ზომადვე იქნა ყოფილან, უერთმანეთოდ ვერასგზოთ ვერ იარსებებენ, რომელიმეს გაუცხოების შემთხვევაში უშალ ირღვევა ყოველგვარი სისრულე, სიკეთე და ჰარმონია (მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან მენ ხარ მისი წილი“ — როგორც რუსთაველი იტყობდა), როდესაც კაცი ამას შეიცნობს, სიმარტოვის განცდა თავისთავად უნდა გაქრეს.

სწორედ ასეთ სულიერ ვითარებას მოჰყვა სულ სხვაგვარი მსოფლმგარტებება. თუ წინათ ოდენ საუკეთარო პიროვნების პრიზმიდან სჭვრეტდა ყოველსავე და მოკვდავთათვის მიუწვდომელ სამყაროელ მიმართებებს მხოლოდ წამიერად იშინაგანებდა ლექსის მეშვეობით, ახლა ამ მიმართებებს შეეცარა თვითონაც, მეტიც — თვითონვე იქცა ერთ საოცარი მიმართებად, იმ საოცარი რიტმების მფლობელად, რომელთა მოხელდება შეუძლებლად მიიანდა, რადგან მხოლოდ თავისთავს გარეთ ეგულეობდა ის რიტმები.

თუ წინათ გარესამყაროს იმ თვლით გვაჭვრეტინებდა, როგორითაც თვითონ გამჭვრდა, და სუბიექტ-ობიექტის ვიბრაციით ყოველი სხვაობა მოურჩივებელ კონფლიქტს აძლევდა დასაბამს, ახლა ეს სუბიექტი და ობიექტი — თვითონ და გარესამყარო — თანხვედრილი ვიბრაციით, გონების დამყარკვინებელი მთლიანობითა და სისრულით წარმოდგენ ჩვენს წინაშე, მათი გამთიშველი ზღვარი ლამის წარბოცა. ეს

**რეპაზე თხარაძე**  
ლიმანდა ბალახაბინის ცხოვრებისა

მისა კი არ ნიშნავა, თითქოს პიროვნება უკვე  
ლოდ განზავებულიყოს ამ საწყაროში. პირუკუ  
— სწორედ ახლა მიალწია ამ პიროვნებამ მანამ-  
დე არჩახულ სიმაღლეს, იმ მწვერვალებს, სიყრ-  
დიდანვე რომ სდევდნენ, ეძახდნენ და აზიდავ-  
დნენ მაკვირთ ძალით, სწორედ ახლა იქცა ეს  
პიროვნება შინაგანად დაუბზარავ, დაუზღუჩელ  
მთლიანობად, ოღონდ ახლა საკუთარ არსებას  
კვლავინდებურ ყურადღებას აღარ აპყრობდა,  
შერაცხ და სმენდა იმით ჰქონდა მიმართული,  
საიდანაც პიროვნებაზე განუზომლად აღმატე-  
ბული, ელვარე და მქლერი ფერები და ბეგრები  
მოედინებოდნენ. ხოლო რადგან გაუწყფავ მზე-  
რასა და სმენას იმ ფერთა და ბეგრთა აღქმა  
არ ძალუდდა, თავად შუამავლის როლს სჯერდე-  
ბოდა, რათა მოკვდავთათვის ზარდამცემი სამ-  
ყაროული ვიბრაციები გაემშობლათურებინა, ახ-  
ლობლად, ინტიმურ შესავარძნობად, თვისად  
ექცია მოამქეთათვის.

8

ახლა იგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.  
პირადული იქნა. რასაც ქმნიდა, საკუთარი არ-  
სების, თავისი პოეზიის ზეობისთვის კი აღარ  
ქმნიდა უწინარეს ყოვლისა, მოამქეთა თვისთა  
სწორადედა მსხვერპლად: „შენი, სამშობლო, მსა-  
სოფარი ჰა, ჩემი ჩანგი... ჰა, ჩემი გული...“ ეს  
დეკლარაციული სტრიქონები ცოტათი უფრო  
აღრე, 1934 წელს აღმოთქვა, ხოლო მათი ნამდ-  
ვილი რეალიზაცია აქ განხილულ ხანაში დაი-  
წყო. რადგან სწორედ ამ ხანაში ჩასწვდა უმ-  
თავრეს: სამშობლო იდეალად ქცეული ცნება  
კი არ იყო მხოლოდ, სამშობლოს ცნება, პირ-  
ველ ყოვლისა, მისთა მოამქეთ გულისხმობდა,  
ვისთვისაც სიძნელე გზისა უნდა გაეადვილები-  
ნა, იმ მოწყაართ, რომელთათვის სიკვდილით  
„თამაშად და მღერად“ უნდა მიეჩინა; სამშობ-  
ლო უწინარეს ყოვლისა, იყო ხალხი — „მა-  
რად მოქმედი ხალხი, მარად მომრავი ხალხი,  
შეუცდომელი ხალხი. ხალხი და მხოლოდ ხალ-  
ხი“. უმთავრესი, რაც წინაპართაგან ისწავლა,  
ეს იყო სწორედ.

ერის უწინაგანეს არსებას აღრევე იყო  
წუღომილი, ამ არსების განცხადება იყო მისი  
პოეზია. ოღონდ მსოფლმხედველობრივად სწო-  
რედ იქ მოიხებოდა საწყაროს, სადაც მის მიერ  
დამკვიდრებულ დიდებულ პარმონიაში ინდი-  
ვიდუალურად ნაგზნები სამშობლო კი იყო შერ-  
წყმული. მაგრამ სამშობლოს ცნების უპირვე-  
ლესი მატარებელი — ხალხი ოდენ გუმანით,  
ოდენ ბუნდოვანად იგულისხმებოდა. ხალხის სა-  
მოქმედო ასპარეზი მისთვის დიდხანს წარმოად-  
გენდა ამოუცნობ, გაურკვეველ სფეროს, ქაო-  
სის საუფლის. და ამ წინააღმდეგობის მოუკვა-  
რებლად მისი პარმონია ვერასვით ვერ იქცეო-  
და თავისთავში დასრულებულ რამედ. დიდ-  
ხანს აწელებდა ეს შინაგანი დაუსრულებლო-

ბის განცდა და, როცა სძლია, ენით უთქვამს  
ბედნიერების მოხლადეება იგრძნო. ანლა გულ-  
მწვიდა შედელო სიკვდილს შეგებებულ  
გორც ძველად იტყოდნენ — „შესხვერვალთურსენ  
თვისსა“.  
მაგრამ არა! სწორედ ახლა მოქარბდა სათქმე-  
ლი, იმნიანი საკვირველ რიტმებად მოსოველი,  
ლამის სადავეები ველარ დავქირა, ლამის  
მთლიანად გადაეკლეთ ამ რიტმებს თვითონაც,  
მისი განცდებით, აზრებით, ხილვებითა და ჩე-  
ნებებით. ერის სული, იგივე სამშობლოს სული,  
კიდევ ერთხელ, ახლებურად გადმოსკდა მ  
რიტმებით და ვრცელი სადინარი გაჯავალა მის  
პოეზიაში.

მოწმი იმ ყრმობის, კვლავ შუა ეამთა,  
სხვა მთათა შორის შვერის შუამთა.  
მრავალთა წამთა სჯეროდათ, სწამდათ  
ძველი შუამთა, კარგი შუამთა.  
დღეს ჰგავდა ნამდვილს მუხს იმ გზაში.  
ერთხელ იმ ადგილს — იმ შუამთაში,  
სად ჩანდა ჩრდილი, გზად შედგა წყვილი,  
იმური ზრდილი — ქალი და ვაჟი.  
ვითარცა სვედა რამ იღუმალი,  
რადაც აღზნებდა ორთავეს ალი.  
მონებმარ დვარებად ცქრებთ მდღუარებით  
ვაეს მწესარებით გტყვლია ქალი:  
— ტარიელ, ბნელა, ეხო ჰავეს ქურას,  
შემოღის ყველა, ვისაც გზად ურანს...  
რა გითხრა ერთგულს? წიგნი წაიღეს,  
გულს გარდა ჩემს გულს ვერვინ გაიგებს.  
არ ივის ყველამ, რა დადოს მწველად  
მწველს, გულში ბნელა, დარდი წამიღებს.  
მაგრამ რა ვუყოთ, რომ დაღამდება,  
დრო უპასუხოდ არ დაამდება,  
ახეა ეამი — მისდევს წამს წამი,  
ლამის წამწამს ახამამბედა.  
მოედოს აგრეც გზას ერთანტელი,  
მინც ვერ ჩაქრეს ჩვენი სანთელი.  
იტყვი: არს რაცა — არის სიხმარნი...  
მეტყვი? მითხარნი!  
დღემოლით ვით ხარ... მოღის, ენთება,  
ტარიელ, მითხარ, რომ გათენდება...  
— თამარ, ამირე გზათ მონა ვიქნე...  
— მამ ვლი სულიერ ვენახთა წინდვით...  
— თამარ, ჯერ უგულეს მივიელი ტყე-ველს...  
— წიგნი, ტარიელ, ტარიელ, წიგნი!

ეს არის დასაწყისი პოემისა „მშვიდობის  
წიგნი“. პოემა ხუმარცკლიანი ლექსითაა და-  
წერილი (აქ ადგილის სიმეტრიის გამო ათმარე-  
ლიან ლექსად წარმოვადგინე მოტანილი ნაწყუ-  
ტი — ორ-ორი სტრიქონი თითო სტრიქონად  
გაერთიანდა). მისი მეტრულ-რიტმული სტრუქ-  
ტურა ძალზე უჩვეულოა, რასაც, უწინარეს ყო-  
ვლისა, რითმათა წყობა ქმნის: რვასტრიქონიან  
სტროფში გარითმულია პირველი-მესამე, მეო-  
რე-მეოთხე-მეხრე და ცალკე ერთად — მეხუ-

თუ-მეექვსე-მეშვიდე სტრიქონები (ababccbb). ზოგჯერ ეს წყობა ოდნავ იცვლება — პირველი-მესამე სტრიქონები ერთიმეორეს არ ერთობა (abcbdddb).

რითმითა ამგვარი წყობა, სტრიქონთა სიმოკლე, რიტმის სიმძაფრე, დინამიურობა ლექსს გავგონარ ექსპრესიას ანიჭებს. ვინდაც დაიბოხილი ბედღარით მიჰქრობდეთ. ეგვემ თვისება გამოირჩევაეს პოემისთვის ტრადიციულად მიჩნეულ ეპიურობას, ღინჯ თხრობას. ოღონდ ამ ფაქტის კონსტრუქციით დაკმაყოფილდეთ — თანადროულ პოემის სპეციფიკისთვის გამართულ საცაოდ აბნეულსა და კიდევ უფრო მეტად მოსაყენ პოეტიკაში ნუ ჩავერთებთ. მით უმეტეს, „მშვიდობის წიგნის“ ირგვლივ ამტყდარი პოლემიკა (უმეტესწილად ზეპირი — მწერალთა, ფილოლოგითა, პოეზიის მოყვარულთა შორის) სულ სხვა მხრივ იყო წარმართილი. სადაოდ აქციეს ნაწარმოების მხატვრული ღირსება. ზოგიერთისთვის „მშვიდობის წიგნი“ იყო მდარე ლექსით შესრულებული აბაღუბდა, რომლდანაც კაცი აზრს ვერ გამოიტანდა. არ დაგივარავთ — ამ შეხედულებას ადგა არაერთი სახელმძღვანელო პოეტი და ავტორიტეტად მიჩნეული სპეციალისტი.

მწერლობა, პოეზია სანახევროდ გემოვნების საშემა-მეტეო, მოგახსენეთ ზემოთ. ამიტომ ნურც ამ კამათს გამოვედევნებთ, მით უფრო, თუკი ეს პოემა არ წაიგვიტახავს ის, ამ წუთის ხსენებულ სახელმძღვანელო პოეტთა და ავტორიტეტად მიჩნეულ სპეციალისტთა მსგავსად, მხოლოდ ზერელედ გადაგვიტვლიერებია და შემდეგ გულმოსულებს მოგვისერია კუთხეში. ვინც ამ ამბით დაინტერესდება, ვალატიონ ტაბიძის თხზულებათა 1957 წელს გამოცემული მერვე ტომი მოქმენოს და წაიკითხოს „მშვიდობის წიგნი“ (თუ საამისოდ შეექნა საქმე — ცოტათი ძალაც დაატანოს თავს). ოღონდ ერთ რამ უმკველად ვაითვალისწინოს: პოემა სრულ სახით ვერაფერ არ გამოქვეყნებულა; ხსენებული ტომის გამოქვეყნენიცი იმ აზრისანი იყენენ, ეს რაღაც დომბალი არისო, ასე რომ ვალატიონ ტაბიძეს, როგორც გამოჩენულ პოეტს შეშვენოდა, პატივი დასდეს, სულ გეღარ გააწბილეს და პოემის დაბლოგებით ნახევარი (თუ ცოტათი ნაკლები) დაუბეჭდეს თავისივე თხზულებების მერვე ტომში. სრულად „მშვიდობის წიგნი“ ამჟამად გამოშავალი აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ ტომში დაიბეჭდება (დაინტერესებულ პირი ხელნაწერის ნახვასაც მოახერხებს მანამდე).

თვითონ პოემის ავტორს რაც შეეხება, სულ სხვა შეხედულებია იყო, მისი აზრი საესებათ თანხედებოდა ამ წიგნის ავტორისას (უკაცრავად, იმის თქმა მინდოდა, ამ წიგნის ავტორის აზრი საესებით თანხედება-მეტეო პოემის ავტორისას). აი, რა ჩაწერა დღიურში 1956 წლის თებერვალში, როცა ბოლოს და ბოლოს, რო-

გორც იქნა, თავი მოება „მშვიდობის წიგნის“ ხელნაწერის რემინტონზე ვალატანას: „მან... ნახე ვახდებდელია წიგნი, რომლიც... ლიო სახელს მოიბოვებს“.

თუკი ამასობაში თქვენ სულ არ დავაიწყვდათ პოემის მიტანილ დასაწყისში ხსენებულთქალი და ვაუთ, — თამარი და ტარიელი, — უმთავრესს მივებარუნდეთ. ეს სახელებია, რალა თქმა უნდა, შემთხვევით არ შეურჩევიო ავტორს. ტარიელი ის პაროვნება იყო, ვინც კაცთაგან გავგონარი ტანჯვისა და გმირობის მეოტებით შეძლო ბოროტება დაეთრგუნა და სუცხადეღ ექცია ის ფარული, საიდუმლო სიბრტნე, რომ საშუაო სიკეთის ზეობისთვის არის გაჩენილი. ხოლო თამარი, მოგახსენებათ, ის პაროვნება იყო, ვინც რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმენლად შთააგონა. აქაც, „მშვიდობის წიგნშიც“, თამარი არის შთამაგონებელი (ანალოგია უფრო შორისაც წვათ, თუ ვაიხსენებთ როგორც ვაგაზუნა უცხო მოყმის საქებრად აეთანდლიო თინათინმა, ვისი პროტოტიპიც იყო თამარი. ფაქტურად ამით დაიწყო იმ აზრის საქმით, ქმედებით განცხადება; რომ ბოროტება არაარსია, ძირი არ უღდას).

თამარი ავალებს ტარიელს — წიგნი უნდა მოქმენოს, მიტაცებული, დაკარგული წიგნი; უამისოდ ვერ გათენდება, ირგვლივ გამიფებული წყვილია, ბოროტება ვერ დაითრგუნება.

რა არის წიგნი? სამშობლოს, ერის მიტაცებული, დაკარგული სული, რომელიც ისევე უნდა გამოიხსნას „მშვიდობის წიგნის“ ტარიელმა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელმა გამოიხსნას ქაჯთაგან მიტაცებული ერსანი (პქ აკაცი წერეთლის „ქალარაც“ ვაიხსენათ).

ეს დღი მისია მშობლივ მიწუვიცი, დაუცადებული ქმედებით, თვადღებით, საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანიო შეიძლება აღსრულდეს. ოღონდ საეულისხმო კიდევ ისაა, რომ თამარი ამბობს: „მას ელი სულიერ ენახათა წინდელით: ხალხმა, ერმა თვითონვე უნდა მიაკვლიოს გაუჩინარებულ სულს, მისი მარადი მოქმედებით ცხადი უნდა შეიქნეს, რომ არს რაცა — არის სიზმარი“ მხოლოდ მაშინ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხორციელდება ეს ქმედება, როდესაც ერის უმინაგანესი არსება არ ელინდება, არ შეერწყმის მის ყოფას და, ამის შედეგად, — „ხნელა, ეხო ჰვავს ქუჩას, შემოდის ყველა, ვისაც ვბოდ უჩანს“.

მასშავდავე, „მშვიდობის წიგნი“ მოზრებულია, როგორც პანორამა ერის წარსულისა მის მთლიანობაში. წინა პლანზე აქ დგას ერი, ხალხი, რომელმაც თვითონვე უნდა მოუაროს თავის სატიკვარს, მიაკვლიოს ყამთა სიავის შედეგად დაკარგულ, გაუჩინარებულ საკუთარ არსებას, საკუთარი სულს. ტარიელი, სიმბოლუ-

რამაზ მთარაძე  
ლეგენდა ბალატბონის ცხოვრებისა

რი სახე ერის, ხალხისა, წიგნის ძებნისას გარდასხეულდება სხვადასხვა პირად: ხან ბობოქარ ზვირთებს შებმული მამაცი მენავეა, ხან — წულის საზარელი მოვარდნისგან თანასოფელთა მისნელი, — ხან მონასტრის შეფარებული ბერი, ხანაც წარმოადგინეთ, — ლუარსაბი, სწორედ ლუარსაბი, როგორც განსახიერება ქვაბ-სმაზე, სომატორ მოთხოვნილებათა გულ-ხარბად დაემაყოფილებაზე დაყვანილი, პირად სოამოვნებებს უზრუნველად, დანაშაულდებრ-ვალ თავმაცემული, უნუგეშოდ დაეცემული ცხოველური ყოფისა.

აი, როგორ არის მოთხოვნილი ტარიელიან ვლუარსაბების კოშმარი (დედნის ხუთმარცვლიან სტრქონებს ამჟერადაც ათმარცვლიანებდ ვერთიანებ):

გადამცულ არის აწ სხვისი კაბით, რომ იჭვის არვის მისცეს საბაბი — ლუარსაბ ქვეია, ნამდვილად კია ტარიელია, რის ლუარსაბი! ესლა სხვა რამე... ან სულ სხვა სოფლად წის ლუარსაბი არც ისე თბლად, თოქოს ლუარსაბს დომის გარდა სხვა არ სჯერა, არ სწამს რამ წუთისოფლად. რადაც კუპრიანს, უმადლოს, ყისმათს დღეს შეუპყრია, როგორც თილისმას. გრნობს სითბოს, ჰაერს, ვით რამე დაირს, თან ასეთნაირს ხედავს, ვით სიზმარს:

...იწყება დიდი რამ წვეულება, ხონჩებით მოაქეუ ხორციელობა, შემწვარი ღორი ერთი და ორი, აი როგორი განძეულება! მოაქეთ წყვანილი, ფხალი ან რამე, აქ მოტანილი, რომ რომელსამე ატანენ ნიგოზს... ჩამოიბრების — ბირველი იყოს, გინდა მესამე. ყოველივე სხვა მოაქეთ ხონჩებით, რომ დაიწყეთ თვლა, აქ ჩამოიბრებით, ფრინველს და ნადირს ვადის შესადარს შეხედავთ სადაც, რიცხვს ვერ მორჩებით. ყოველივე ეს ვეულებს ვყოფა, მიაკვება დღეებს ამგვარი ყოფა, და შამფურები, როგორც შუგები, ნუ ეხუმრები, ჯარად ეწყობა... აქ სხვაა ზეცა, აქ სხვაა ქარი ჭრის. ისეღ მიეცა ტარიელი ფიქრს: „აქ ვხედავ ბეცებს, თვალს რას აცეცებ, აქ წიგნს დაეცებ? აქ რა უნდა წიგნს?“

მონასტრის თავშეფარებული ბერიც ვახსენეთ. ცხადია, ავტორი ეკლესიის მსახურთ არ გულისხმობს. იგი ვმყარება იმ ცნობილ ფაქტს, რომ ძნელბედობის ქაშის, როდესაც ქვეყანა მტრების მიერ იყო გაქედილი და ყოველი ჭურის უკეთური შიგ ჭუნასავით მიმოდიოდა,

ერის სულიერი მოძღვარნი, მწიგნობარნი, მოღვროვნენი, ერის სულის მიძენელი შურტყეუთუ... უვალ სანახებში გაშენებულ მონასტრებში: მონასტრებში ეხიზნებოდნენ ხოლმე. პოემის ეს ადგილიც გავიხსენოთ, იმიოთაც საგულისხმო, რომ ამბის საერთო მდინარებაში ავტორიც ჩაერთვის და თითქოს მონაწილე ხდება ერის სულის მიცველების დიდი მისტერიისა:

აი სენაკი მონასტრის ჩვენის, აღმაფრენა კი მთას ვით არ შეგნის! გული დასწვია, სტავრა აცვია, თაო საწყვია წიგნების ფენის. რაოშეს არა გზა, — ქვეია — გზა წმინდა, სენაკი მე სხვა არ მაქვს, არც მინდა. აქ სული ფრენდა და ნათელს ჰქვენდა — წიგნით გათენდა, წიგნით შეშინდა. არა საშობებდ კოლხეთის გარდა, სადაც ჩემთა დღეთ აუშვა ფარდა, მივყავს აქ წესი და, ჰა, მიხევი — უსაყვარლესი წიგნის კარდა. სენაკი მთიდან ლმობას ჰბადებდა, შუქი ხარამლიდან მოანათებდა, ვინ იყის, სადმე აქ მყოფი რამდენ გათუნებამდე წიგნს არ დადებდა. სანთელს ჰმონებდა, მის შუქზე წერდა, შთააგონებდა რასაც კი ღმერთი. სვედა, ხალისი, რწმენა, სინდისი, სიციცხლე მისი — წიგნია ერთი. გულმოდგინედ სხვა წიგნს გაღასწერდა... რამდენი სიტყვა, რამდენი გვერდი, რა გულის ძვერით, იმ სიტყვათ ბვერით. სულით ნაწერი და ყდახვერდი მასაც კვლავ ხელით გაღაწურია... ო. როგორ შეველი წიგნს, ივერია! დილია ძღვენი სინათლის მფენი, რაც ქვეყნად შენი ხელნაწერია. იქ დაშვრენ შენდა წმინდა მამანი ბჭესთან, სად ფშვენდა იასამანი, მტეხელმან დამის დაძობის ლამის ვინმე მოწამის დიდი საგანი. დამით რიგ-რიგად ძლივს მტეხტავ სანთელს ანდობდნენ გრიგალს და კორინტელს. მოხდიდნენ ძაძას უძველეს ტაძარს, მას, უზარმაზარს რომ ჰვაჯავა კანდელს. ამაოდ ხვალის ამაოება ებრძოდა ხალისს, სდევდა დროება: ჩნდა წიგნის ყდაზე — ბარად თუ მთაზე განვლილი ასე საწუთროება... მზე — ივერია, გმირების ხვედრი ბედნიერებას მისას ვის ვედრის? იგი, ვინც იყის ამ ძვირფას მიწის ძალა-სიმტკიცე და ხმალი მკვეთრი, მიეც მას ბოლოს გონი და ძალა, რომ აიშროოს მძიმე ფილა, შნამებთო სახვებ, რაიცა ასე ბედმა მის თავზე დაატარიალა.





1947 წლის გაზაფხულზე მრავალი თბილისელი ააღივლა კონსერვატორიის შენობასთან გაკრულმა აფიშამ, რომელზეც დაახლოებით ამგვარი რამ ეწერა: „თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი (გრიბოედოვის ქ. № 8). 1947 წ. 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17 და 18 მარტს საქართველოს სახალხო პოეტის ვალაქტიონის საღამოები. დასაწყისა საღამოს 9 საათზე“.

ვალაქტიონის დეკლამა — დაიბნა ქალაქში ხმა. დიძაძენ და რაღაც საოცრების სახილველად თუ მოსასმენად განემზადნენ პოეზიის მოყვარულები.

მაგრამ არავითარი დეკლამაცია არ შემდგარა. დეკლამაცია კი არა, ერთი საღამოც არ გამართულა და გაბრწყინებულ, გაწვილებულ, გაოგნებულ ხალხს პირველსავე დღეს უკან გაბრუნება მოუხდა. ვინ იცის, რანაირი ხმები არ გავრცელდა ამ ამბავთან დაკავშირებით, ვის არ აბრალებდნენ დეკლამის ჩაშლას. ყველანი გულს ეცუკით შემოსკდარნი, ვბობოჭრობდით, ვილაკებებს ვგმობდით, მიწასთან ვასწორებდით...

გვიანდა მივხვდით და ღმერთს მადლიც შევწირეთ, რომ ის ახირებულად ჩანაფიქრი დეკლამაცია მოწყობილა. თქვენმა მტრებმა ისინი გადამხლებულად ათ საღამოს ლექსები, ისიც სცენიდან წაიკითხული ვალაქტიონის ლექსები და ისიც ზოგიერთი მსახიობის მიერ ათრთოლებულ-ანარჩუნებული ხმით წაიკითხული ლექსები. თავად ავტორის დეკლამაციურ ოსტატობას ხომ ნულარ იკითხავენ! გაწვილება მაშინ უნდა გენახათ, ის დეკლამაცია მართლა რომ შემდგარიყო. ვალაქტიონი კი არა, საკუთარი საღამოების მოწყობაში დიდად დახელოვნებული და გაწაფული კალმოსნებიც სამუდამოდ მოიჭრებოდნენ თავს, მსგავსი დეკლამაციის ჩატარება რომ ამოეკრათ გულში.

ვალაქტიონ ტაბიძის ლექსთა სცენიდან კითხვა და მოსმენა იმთავითვე განწირული საქმეა. ქართული პოეზიის ერთი ყველაზე დიდი ოსტატი სულის უინტიმურეს ვიბრაციათა წვედომისა თავისი ყოველი ლექსით გინდაც უღრმეს საიდუმლოს გიხმელდეთ. ზოლო საიდუმლოთა საპაროლ გამოუქნებლად, მეტი რომ არ ვთქვა, დათრგუნვილნი რჩებით რაღაცნაირად. ეს ლექსები თავისთავად მოითხოვენ ინტიმს, თავის ვათავისწინებას, ფსიქიკის განსხვავებულ დაუწყებას, რაც ევრაფრით ვერ ხერხდება ხალხმრავალი აუდიტორიის თანდასწრებით. მეორე, მესამეხარისხოვანი პოეტები ვაცილებით მძლავრ აპოლონისმენტებს აართმევენ ამ აუდიტორიას მარჯვედ მოქმედი წყალწყალა ფრანგებით, ვიდრე ვალაქტიონის ლექსი. ამ ლექსთა სასიძღვროდ ან მუსიკალურ ნაწარმოებად ტექსტის არ იყოს. მათში თავისთავად არის ისეთი მუსიკა, ევრაფრითარ დანამატს რომ ვერ

პგუბოს. ამ მუსიკას თავისი კანონები აქვს და ხელოვნების სხვა სახეობის ენაზე შეუძლებელია თქმა დიდად, დიდად სარისკო საქმეა... მაგრამ ისევე იმ დეკლამაციის ამბავს მივუბრუნდეთ. ვის დაებადა მისი ჩატარების უცნაური იდეა? წარმოიდგინეთ — ვალაქტიონ ტაბიძის თავად. იდეაც მისი იყო, აფიშის ტექსტიც (არქივში ინახება ქართულად და რუსულად დაწერილი); ნებაართვის მიღებაც თვითონვე მოახერხა, ცოტათი ნავიანევად გაუქმებული ნებაართვისა.

ეს იყო მხოლოდ ერთი გამოვლინება იმ ლამის სახედისწერო იდეა ფიქსისა, რომლითაც ორბოციანი წლებიდან დაავადდა (ამ სიტყვის სრული, გადაუტარებელი მნიშვნელობით). მია არქივს რომ ვეწინაშეობი, ჩემი ყურადღება ძალაუფლებურად მიიპყრო რაღაც სიების სიმბოლემში. რვეულებში, ალბომებში, ცალკე ფურცლებზე უშენიშვნოდ, უგანმარტებოდ ჩამომწყვრივებულთა თუ ჩემთვის სულაც უცნობ პირთა გვარები — ორას, სამას კაცამდე... ერთხელ შემხვდა ამგვარი სია, ორჯერ... ათჯერ... კიდევ და კიდევ... ვერაფრით ვხელებოდი მათს დანიშნულებას. ერთი კი ცხადი იყო: ამ სიებს თავდაპირველად რომელიმე ოფიციალური დოკუმენტებიდან იწერდა, რადგან მათი უმრავლესობა ანბანზე იყო გაწყობილი (ანაშული, ანაშიძე, ანაზინაძე და ასე — ჯაფარიძემდე თუ ჯიბლაძემდე). შიგდაშიგ, გვერდის არმოხვე სხვა გვარებს ურთავდა თვითონ, ან ბოლოში მიუქმებდა ხოლმე. ეს კი ვაირკვა, მაგრამ დანიშნულება ამ სიებისა ვერაფრით დამედგინა — რაში სჭირდებოდა მისთვის ისედაც ახლოს ნაცნობ ადამიანთა გვარების ამდენჯერ ჩამოწიკიცება? უშიშრო გართობასაც ანაფრთხვედა ეს ამბავი — ყოველი სია გულდასმით იყო შედგენილი და, ჩანდა, საგანგებოდ აწონილ-დაწონილი.

ალარ მახსოვს, როგორც შინაარსის იყო ერთი მცირე მიწაწერი, რომელშიც ახლა ვხედავ ამ საიდუმლოს: თურმე ეს იყო სხვანი იმ ხალხისა, ვინც, მისი აზრით, უეჭველად უნდა დასწრებოდა მის საღამოს, არა მარტო დასწრებოდა — მონაწილეობაც მიეღო... შერედა რამდენი ამდენი საღამო გაუმართეს, — იკითხავთ. საქმეც ეგ არის სწორედ. და კიდევ ეს არის საქმე, რომ საღამოს ჩატარების მრავალი ათეული ცდიდან რამდენიმე კი გაუმართლდა, რამდენიმე საღამო კი მოეწყო, მაგრამ არც ერთ მათგანს იმედის გაცრუებისა და მწარის სინანულის მეტი არაფერი მოუტანია მისთვის.

მაინც რას მივტვობდა, რა სურდა, რატომ ცდილობდა ამნაირად თავდადაკლებული უეჭველად საღამოები მოეწყო (ვინდ შეხედურები

**რამაზ თვარაძე**  
**ლიპინა ვალაქტიონის ცნობრების**



ქერ გამოცემლობასთან ჰქონდა საქმე. სხვას უკმისის შესაძლოა ესოდენ ტრაგიკულად არ განეცადა აქ დახვედრილი წვრილმანი დაბრკოლებები (მით უმეტეს, გამოცემლობები, იშვიათი გამოცემის ვარა, ხალისით ხედვებდნენ მისი წიგნის გამოცემის იდეას და, რაც მთავარია, ზოგჯერ თვითონაც ავლენდა გამოცემლობებს საქმოდ ძნელ დღეში — პირველობით, მოუთმენლობით თუ იმგვარი ფანტასტიკური წინადადების წაყენებით, როგორც იყო, ვიქვათ, დაბეჭდა თორმეტობის სახელწოდებით „გალაქტიკისა და რვეოლუცია“). მაგრამ იგი ავადმყოფურად განიცდიდა ყოველ ნამდვილსა თუ მოჩვენებითს დაბრკოლებას.

როგორც იქნა, დასრულდა დაუსრულებელი დავა გამოცემლობაში და წიგნი სტამბას ვგზავნება ასაწყობად და დასაბეჭდად. ხოლო სტამბას თავისი წესები და კანონები აქვს — ზოგი დაწერილი, ზოგიც დაუწერელი, აქვს თავისი რიტმი, განუმეორებელი, გარეშე აღმაშენისთვის მეტწილად ძნელად გასაგები რიტმი. ასოთამწყობი, დამკაბადონებელი, სტამბის კორექტორი, მბეჭდავი, მენიჟერი, შემფუთველი — ყველანი სულდგმულობენ ამ წესებით, ამ რიტმებით, რომელთა საიდუმლო მათ-მათი სამაქროს უფროსმა და სტამბის ადმინისტრაციამ იცის მხოლოდ. აქ საქმეში გარეშე პირის ჩართვის და საკუთარი რიტმის მათთვის თავს მოხვევის ცდას არცე-დაარევის, შეფერხების მეტი არაფერი მოჰყვება სახეიროს (ცხადია, იგულისხმება ისეთი ვითარება, როდესაც სტამბა თავის-თავად გამართულად მუშაობს. უქნარებისა თუ ცუდლტუტების ხელში ჩავარდნილი სტამბა ცალკე საუბროს თემა).

და, ამ, ამ თავისებურ სამყაროში ხედება კაცი, რომელსაც აღარ აქვს ამდენ ნიუანსებში გარკვევის თავი. ნერვებდაწყვეტილი, აჩქარებული კაცი, რომლის ერთადერთი მიზანია, რაც გაეწყობა სწრაფად მიიტანოს მკითხველამდე თავისი ნაფიქრი და ნატანჯი აზრები, ვანცდებო, განწყობილებები. კი, ბატონო, ვალაქტიკო ტაბიძე ეს კაცი, ლინოტიპისტით დაწყებული და სამაქროს უფროსით თუ დირექტორით დამთავრებული ყველანი უზომო პატივს სცემენ, მიაი თავყვანისცემელნი არიან (სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ ამ კაცის კლამს ეკუთვნის „ფიქრები როტაციონის გრავინვაში“), მაგრამ მისი ყველა პირველობის მოთმენა ძნელია ერთობ; არადა ამ კაცს იქით ეჩვენება — ყველანი მე მატყუებენ, ჭიბრში მიდგანანო. და არის გაუთავებელი ტრაგედია. რამდენი დამბული ჩანაწერია ამის თაობაზე! ერთი მათგანი:

„წიგნი ჩაბარდა 22 ივლისს. 1. როდის გადაეცემა წიგნი ასაწყობად? 2. რამდენი კაცი იმუშავებს? 3. შეიძლება თუ არა მონემატოს ასოთამწყობები? 4. რამდენ ხანს მოუღებიათ

აწყობას? 5. რა საჭირო, რომ დაჩქარდნ გაეწყობა? 6. ზედმეტი საათების შესანება? 7. საღ და ვის გადაეცემა წიგნი აწყობის შემდეგ? 8. ლინოტიპზე თუ ხელით? 9. წიგნის ფორმირება იქნეს სექტემბრის დამლევს. 10. ვინ არის კორექტორებელი? (სააწყობო ცეხში, შეიგნო!!!). 11. შეხვედრები ყოველდღე. 12. დილის რვაზე, ცხრაზე... ათზე... ყოველთვისა... შემდეგ მიდის...“

იმ პირობებში, რომელთანაც ყოველდღე აპირებდა შეხვედრას დილის რვიდან ათ საათამდე (ეს უეჭვოდ აღსაწყობო სამაქროს უფროსი იყო), ამ ჩანაწერის მეცხრე პუნქტი რომ ენახა, გაიღიმებდა მხოლოდ. რადგან 22 ივლისს ჭერაც ასაწყობად გადაუცემელი წიგნი სექტემბრის დამლევისთვის გამოსვლას საქმეში ჩახედული კაცი არასგზობთ არ ივარაუდებდა. ამ საკითხში სტამბას და ავტორის შეხედულებანი უნუგეშოდ შორიშორს იყო ერთმანეთისგან.

წიგნის გამოცემის თანშელები დავიდარბით სასოწარკვეთილებამდე მისული ერთ დღეს დაჭდა და დაიწყო დრამის წერა. არქივში ნახათ ამ დრამის გეგმას: „მოქმედება პირველი — რედაქტორი და გამოცემლობის დირექტორი. მოქმედება მეორე — სტამბა...“ რაღა თქმა უნდა, ბევრი არაფერი დაუწერია, ამ დრამასც ისევე მალე მიანება თავი, როგორც იუთული კეისარისადმი მიძღვნილ რომანს (შედგენილია ვრცელი გეგმა-კონსპექტი), როგორც მრავალათეულ პროზაულ ნაწარმოებს. დრამის გვარძელებას ნაცულად აღწვას: „მივიტანე იერიში სახელგამზე; დღეს საღამოთი გამოიჩვენება, იქნება თუ არა ვადარიცხვა, ურომლისოდაც...“ (აღარ ამთავრებს).

ეს უქანასკნელი ჩანაწერი (განსაკუთრებით გაწყვეტილი ფრაზა — „ურომლისოდაც“) ერთხელ კიდევ გვახსენებს მის მუდმივ სატყეარს — გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობას, ხშირად მისივე მიზეზით წარმოქმნილს (ფულის ყადრი არასოდეს სცოდნია და, თუკი რამეს იმოვნინდა, ქეშმარიტად ბავშვური წინდაუხედაობით ფლანგავდა უმაღლეს). უკვე ითქვა: ეკონომიური კეთილდღეობისკენ მისწრაფება სავსებით უცხო იყო მისთვის; მაგრამ კაცს პურის ფულიც რომ აღარ მოგეძეებდა და ამის გამო მეშობას ვეღარ ახერხებდა, ამ მდგომარეობიდან თავის დახსნის ნატურას ეკონომიური კეთილდღეობისკენ მისწრაფება როდი ეთქმის.

სიცოცხლის ბოლო ათ წელიწადს ეკონომიურად აღარ უქირდა, პონორარით მიღებული შემოსავალი უკვე დიდად აჭარბებდა მისი მფლანგველობის უნარს. წყნურში ავარაკი აიშენა, სოხუმში ადგილობრივი თავაკები დაეხმარენ სახლის აშენებაში, მანქანაც შეიძინა. როგორც

**რეზა თვარაძე**  
ლეგენდა ბალაქიონის ციოვრებისა

მოსალოდნელი იყო, დოკლამის დაგროვებას ბედნიერება არ მოუტანია მისთვის. პირუტყუ — ახალ-ახალი საზრუნავი გაუჩინა და უფრო აუწეწა სული.

„1 ივლისი, 1949.

ვაშენებ ვარაყის ეს პირველი წამოწყებაა ჩემი — პრაქტიკული ხაზით. დაიწყო და ვნახოთ!“

„7 მაისი, 1950.

გადაიდა ნაბიჯები წყნეთის სახლის შიდა კედლების შესასუსტად. 1. ავიტანეთ საჭირო ტყე. 2. შევიძინეთ ლურსმანი. 3. შევეთანხმდით დურგალს, რომელიც იმუშავებს ზეალ.

9 მაისი.

შოფერმა და პრორამმა (არტომ და ბიციკომ) ჩემდა დაუკობხვად გააქანეს ჩემი ავტომობილი სადღაც, ექვსს უღლდა 20 წუთი... რას ნიშნავს ეს? არაფერად ჩავგებამს სხვას არაფერს...“

„რამდენიმე წლის შემდეგ:

„ტყემ ღრმად ამოიხორა... ტყემ უეცრად იგრძნო, რომ უქოს ზვიდანაც, ბეთანიდანაც, ყოველი მხრიდან მოდიოდა ვასასიერებლად ამოსული ხალხი. ტყემ მხოლოდ ეხლა გაიხსენა, რომ დღეს კვირა დღე იყო. ტყეს უხაროდა, ო, ძლიერ უხაროდა, რომ არავითარი რამ გადაუდებელი საქმე არ ავალებდა მას დამარულყო ადგილიდან, ვაჟყოლიდა ამ ახალთ-ახალ მოსთვალტებულ გზას ტფლისისკენ, ტფლისიდან კიდევ უფრო შორს, ზღვისკენ, ზღვიდანაც... მაგრამ არა. ის ადგილიდან არ დაიძვრის, ის თავისთავს მალა აყენებს. ამ განზრახვებზე უფრო მალა. მას უხარია, არავითარი გადაუდებელი საქმე არ ავალებდა მას დამარულყო ადგილიდან.“

პრაქტიკულ საქმეთა მოგვარებასთან დაკავშირებული ეს გაქამაწია ერთობ, ერთობ იშვიათად შეერწყმოდა სიბარულს:

„აივანი იფინებოდა ცემენტით. მუშაობდა ამ საქმეზე სამი ხელოსანი... მაღე ცემენტი გაშრა.

დღეს დილით კი ჩვენი აივანი დაფარული იყო აკაციის ახალთ-ახალი ყვავილებით სწორედ ჩვენი ზიდან, ჩვენი ძვირფასი ეკლს ზიდან. ცვიოდა ახალთ-ახალი ყვავილები.

ერთბაშად ორი სიბარული: ახალი აივანი და ახლად გაშლილი ეკლს ბე!!!

17 მაისი, 1952 წელი, შუეა ჩვენი აივნის ისტორიაში ახალი ცხოვრების დაწყების დღეღ!!!!“  
„ორმოციანა და ორმოცდაათიან წლებში ამ მოტანილებზე უფრო ვრცელი დღერები და ჩანაწერები აღარ გვხვდება — მეტისთვის ვედარ ივლის. ომისშემდგომ თბილისში ცხოვრების რიტმი თანდათანობით აჩქარდა და მისინი შეკადრნიც ნება-უნებურად უნდა აჟყოლოდნენ ამ რიტმს. დღითიდღე, თვალსა და ხელს შუა ჰქვებოდა ჩვეული, უშფოთველი ცხოვრების წესი, უფრო და უფრო გაიშვიათდნენ ქუჩებში, პროსპექტებზე, პარკებში დინჯად მავალი, აუჩქარებლად მოზაასე შერელები, ხელო-

ვანი, მოქალაქენი ურთიერთობათა სურათი დაიწყოვდა, შემცირდა, ღონისძიებები ვნაშირდა. ყველას საღაღც მიეჩქარებოდნენ, ყველას გან, მათ შორის — მწერალთა კავშირშიც. და ახალი, საკმაოდ უჩვეულო ყალის ხალხი, რომელმაც საკმაოდ უჩვეულო სულისკვეთება მოიყოლა თან — გალაკტონ ტაბიძისთვის აბსოლუტურად გაუგებარი:

„რადღე მოძრაობის შექმნას ცდილობენ ჩემს წინააღმდეგ“ (1952).

„სურთ ჩამითრიონ რაღაც ორმოტრიაღში, უსარგებლო ტანციობაში (!), დამალვეღში. ამ მხრით გაღმომივდებენ ხოლმე ანეკსს. მეც თითქმ ვანებე წამოვეგები ზედ... მთავარი ხაზი ჩემი — მე ვიცი — მათთვის უცნობია“ (24. II. 1957).

ოკღაათ წელიწადზე მეტი იყო გასული, რაც ამ „მთავარი ხაზის“ სხვებისთვისაც გარკვევას ლამობდა. თავდაპირველად ნერვიული ტინიანობით, შემდეგ განზე გამდგარი ასკეტის სიმამაგით, მეგრ — სიმამლთა მწვდომელი ბრძენკაცის შემწყწნარებელი ღიმილით, ბოლოს, — ცხოვრების რიტმის აჩქარების კვალობაზე, — სულმოსწრაფებული წყვეტებით, ფაცი-ფუციით. რამდენადღე შვინით, სიღრმეში ცხადად, ზეღ-შესახებდა ჰქონდა გამოკვეთილი თავისუფლებიხისა და ჰარმონიის ნეტარი სამყარო, იმდენად დაუღავებელი და აფორიაქებული ჩანდა ყოველდღიური ცხოვრების ორმოტრიაღში. ამაღსაც სხვებსაგვით საღღაც მიეჩქარებოდა ხოლმე, საღღაც აგვიანდებოდა: წუთით გაუჩერდებოდა აბლობელსა თუ ნაცნობს („ამაიყო, საკვირველია სწორედ, ძამიყო!“), მეგრ ისევ საითკენღაც მიჰქროდა, ნერვიულობდა, წრიაღებდა. თუ წყნეში არ იყო ან ზღვის პირას, თბილისში უფრო და უფრო იშვიათად ახერხებდა თავის გათავისწინებას და ტიტანური ძალისხმევის ფასად დამკვიდრებულ შინაგან წონასწორობაში მოვანებას. ხოლო უამისოდ ფსიქიკის ზედაპირული შრეების ეგრანზე ყოველდღიურობის წამიერი, უფერული შთაბეჭდილებები ან წარსულის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სურათები თუ ვაქრებოდა.

ამნარ აწეწოდ ყოფას სიცოცხლის უქანასკნელ წლებში დაერთო კვღაც მეტი ტინით მიტანება ალოპოლისადმი, რამაც უფრო გაამძაფრა ისეღაც მოშლილი ნერვიული სისტემის ავადმყოფური აღგზნება. ამას თვითონაც გრძნობდა.

ღვინოს არ ვგამდი, ისევ დაიწეწე, მე საწყაული ჩემი ავიწყე, რაც ჩვენ დაგმორღით, ტურფავ, ერთმანოს, მწარე დამეღმდა სიგულმავიწყე, მე შენი თმები გულთან ჩავიწყე, საჭეს მასხარას გრიმი წავიციე, სცენაზე ხალხის მომესმა სტვენა, როცა სიმები ჩანავს ავიწყე.



ქრინალი გააფორმა ჟ. ლოლუამ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტიკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი სავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

---

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ მგ. შიღინის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის  
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 16/II-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-72 წ., ქალაღის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.  
თაბახი 14,5                      შეკვეთა 561.                      უე 01784.                      ტირაჟი 32.650.

---

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფან 60 333.

ფ 89/67



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236